

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

**დავით ჩიკვაძის
სადისერტაციო ნაშრომი თემაზე:**

საეკლესიო სამართლის პროცესი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გიორგი დავითაშვილი

თბილისი
2012

სარჩევი

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულ შემოკლებათა ნუსხა	6
შესავალი	8
1. სადისერტაციო ნაშრომის პრინციპები	9
2. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანი	10
3. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მეთოდები	10
4. სადისერტაციო ნაშრომის მიზანი	11
5. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა	11
I. საეპლესიო სამართლის პროცესის პრინციპები	14
1. მონაცემის შეწყნარების სავალდებულობის პრინციპი	14
2. ყველა ბრალდების დამტკიცების პრინციპი	15
3. ერთი შეცოდებისათვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობის პრინციპი	16
4. სასულიერო პირის ხარისხით ჩამოქვეითების დაუშვებლობის პრინციპი	17
5. განაჩენის სხვა ადგილობრივ ეკლესიებში სავალდებულობის პრინციპი	18
II. განსჯადობა	20
1. ზოგადი დებულებანი განსჯადობასთან დაკავშირებით	20
2. დიაკვნისა და მდგდლის საქმეების განხილვის უფლებამოსილება	22
3. ეპისკოპოსის საქმეების განხილვის უფლებამოსილება	23
4. საგანგებო წესები განსჯადობასთან დაკავშირებით	25
4.1. ზემდგომი იერარქიისადმი მიმართვა	25
4.2. სხვა მდგდელმთავრისადმი მიმართვა	26
4.3. წინამდღვრის მიერ საქმის განხილვის უფლებამოსილება	27
5. აცილების საკითხი	28
III. საქმის აღძვრა	30
1. აღიარება, როგორც საქმის აღძვრის საფუძველი	31
2. ბრალდება, როგორც საქმის აღძვრის საფუძველი	32
2.1. ბრალდების ორი სახე	32
2.2. პირები, რომელთა საეკლესიო ბრალდება არ მიიღება	33
2.2.1. მწვალებელი	33
2.2.2. განდგომილი	34
2.2.3. უზიარებელი	36
2.2.4. ბოროტებაში მხილებული	36
2.2.5. საერო კანონმდებლობით ბრალდებააკრძალული პირები	37
3. საქმის აღძვრის სხვა საფუძვლები	38
3.1. გავრცელებული ცნობა	38
3.2. შემოწმების შედეგად მიღებული ცნობა	39
IV. საქმის არსებითი განხილვა	42
1. წინაპირობები საქმის განხილვის დასაწყიებად	42
1.1. ბრალდება წერილობითი სახით	42
1.2. თავის მართლების დრო და საშუალება	43
1.3. განხილვის დრო და აღგილი	44
2. ადვოკატის ინსტიტუტი საეკლესიო სამართლის პროცესში	46
3. საგანგებო შემთხვევები, როდესაც საქმის არსებითი განხილვა არ ხდება	47
3.1. აღიარებისას	47
3.2. ბრალდებულის გამოუცხადებლობისას	47
3.3. ბრალმდებლის მიმაღვისას	49
3.4. ცრუბრალდების და ცრუმოწმეობისას	50
3.5. სახელმწიფო სასამართლოს მიერ გამოგანილი განაჩენისას	50

4.	საქმის განხილვის წესი	51
4.1.	ზოგადი დებულებანი საქმის განხილვის თაობაზე	51
4.2.	მხარეთა პოზიციის მოსმენა	52
4.3.	დაკითხვა	53
4.4.	მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებათა გამოკვლევა	54
V.	განაჩენის გამოტანა	56
1.	გადაწყვეტილების მიღების წესი	56
1.1.	ერთი მოსამართლის მიერ	56
1.2.	კრებულის მიერ	58
2.	ბრალდების დამტკიცება ან უარყოფა	59
3.	სასჯელის ზომის განსაზღვრა	59
4.	განაჩენის ტექსტი და მისი სავალდებულო ნაწილები	62
4.1.	განაჩენი დმრთის სახელით	62
4.2.	განაჩენის წინაპირობა ან დასაბუთება	63
4.3.	განკანონების ნაწილი	66
4.4.	სინანულისკენ მოხმობა	66
5.	განაჩენის ოანძღვი პროცედურები	67
5.1.	გაფრთხილება დასჯამდე	67
5.2.	დაინტერესებულ მხარეთათვის შეტყობინება	69
6.	საეკლესიო კრების 1764 წლის 18 ოქტომბრის განჩინება ზაქარია ხუცესის საქმეზე	69
6.1.	შესავალი	70
6.2.	ბრალდება	70
6.3.	ბრალდებათა კანონიკური დასაბუთება	71
6.4.	განკანონება	73
6.5.	დასკვნითი ნაწილი	73
7.	განაჩენის ძალაში შესვლის საკითხი	73
VI.	გასაჩივრება	74
1.	შემთხვევები, როდესაც გასაჩივრება არ დაიშვება	74
1.1.	განაჩენის მხარეთა არჩეული მოსამართლეების მიერ გამოტანისას	74
1.2.	ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებისას	74
1.3.	საერთ სასამართლოში	75
2.	გასაჩივრებისა და განხილვის წესი	75
2.1.	გასაჩივრების უფლება	75
2.2.	გასაჩივრების ვადები	76
2.3.	საქმის ხელახალი განხილვა	76
3.	საქმის განსახილველად დაბრუნება	78
4.	შერიგებით დასრულება	78
5.	კასაციის საკითხისათვის	80
6.	გასაჩივრებული განაჩენის ძალაში შესვლის საკითხი	81
VII.	განაჩენის აღსრულება სასჯელების მიხედვით	82
1.	ზოგადი დებულებანი განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებით	82
2.	ეპიტომიების აღსრულების წესი მათი სახეების მიხედვით	84
2.1.	შეტირება	84
2.2.	შევრდომა და მეტანია	85
2.3.	მსმენელებთან დადგინება	85
2.4.	მორწმუნებებთან ლოცვა ზიარების გარეშე	86
2.5.	მორწმუნებებთან ლოცვის აკრძალვა	86
2.6.	დამატებითი მარხვა	87
2.7.	ფინანსური ვალდებულება	88
2.8.	ჩატმულობა და გარეგნული სახე	90

2.9. სხვა გალდებულებები	90
3. უზიარებლობის აღსრულების წესი	91
3.1. კანონიკური განსაზღვრება	91
3.2. ვადა და მისი დინება	93
3.3. სიკვდილამდე უზიარებლობის შემთხვევები	94
4. დაყენების (დაცადების) აღსრულების წესი	95
4.1. ცალკეული მდვდელმოქმედებისაგან დაყენება	95
4.2. მდვდელმოქმედების დროებითი აკრძალვა	96
4.3. დაყენება მთელი ცხოვრების მანძილზე	97
5. განკვეთის აღსრულების წესი	97
5.1. მადლოქმედების საკითხი	97
5.2. განკვეთილის სამდვდელო ხარისხში აღდგენის საკითხი	98
6. ანათემის აღსრულების წესი	99
6.1. კანონიკური განსაზღვრება	100
6.2. ანათემის აღსრულების თავისებურებები	100
7. სხვა სასჯელების აღსრულების წესი	101
7.1. სხვაგან გადაყვანა	101
7.2. განკანონებულის წიგნების აკრძალვა	102
VIII. შენდობა. შეწყალება	103
1. ზოგადი დებულებანი შენდობისა და შეწყალებისათვის	103
2. შენდობის მიღების წინაპირობები	104
3. შეწყალების მიღების წინაპირობები	104
3.1. კერძო დებულებანი შეწყალებისათვის	105
3.2. პირები, ვისი შეწყალებაც შეიძლება	105
3.3. შეწყალების კანონისმიერი უფლებამოსილება	106
3.4. გამონაკლისი შემთხვევები	108
3.4.1. განაჩენის გამომტანი ეპისკოპოსის გარდაცვალება	108
3.4.2. განაჩენის გამომტანი ეპისკოპოსის მიერ შეწყალების შეუძლებლობა	109
4. სასამართლო პრაქტიკა შეწყალების თაობაზე	109
5. შენდობისა და შეწყალების განსაკუთრებული შემთხვევები	110
5.1. მოწამეობის შედეგად	110
5.2. ცალკეულ საკულესით საიდუმლოებში მონაწილეობის შედეგად	110
5.2.1. აღსარება	110
5.2.2. ზეთის კურთხევა	111
5.2.3. ზიარება	111
5.2.4. მღვდლობა	111
5.3. სიკვდილისწინა მდგომარეობისას	112
IX. ბტკიცებულებები	113
1. ბრალდებულისა და ბრალმდებლის ჩვენება	113
2. წიგნიდან ციტატა, როგორც მტკიცებულება	113
2.1. წმ. წერილის და საღმრთო წიგნების დამოწმება	114
2.2. სადაცო მოსაზრებისა და მართლმადიდებლური სწავლების შედარებები	114
3. კრების სწავლების გამოცემა მტკიცებულების სახით	117
4. მოწმის ჩვენება	118
4.1. პირები, რომლებიც მოწმედ არ მიიღებიან	118
4.2. სასამართლო პრაქტიკა მოწმის ჩვენების გამოყენების თაობაზე	119
5. ფიცი	120
5.1. კანონიკური ნორმები ფიცის გამოყენების თაობაზე	120
5.2. ფიცის ჩამორთმევის წესი	120
5.3. ფიცის ფორმა და მისი მნიშვნელობა	121

5.4.	განკანონება ცრუ ფიცისათვის	122
6.	სხვა მტკიცებულებები	122
6.1.	დოკუმენტი	122
6.2.	დათვალიერება	123
6.3.	ნივთმტკიცება	124
6.4.	ექსპერტის დასკვნა	124
	დასკვნა	126
	ბიბლიოგრაფია	132
	დანართი: ქართულ და რუსულ ენებში ხმარებიდან ამოღებულ ასოთა წაკითხვის წესი	134

**სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულ
შემოკლებათა ნუსხა**

ქართულ ენაზე

არქიძ.	არქიმანდრიტი
გაზ.	გაზეთი
გამ.	გამომცემლობა
გვ.	გვერდი
დასახ.	დასახელებული
ეპ.	ეპისკოპოსი
ეწ.	ეგრეთ წოდებული
თბ.	თბილისი
ინ.	სახარება იოანესი, ახალი აღთქმის წიგნი
ინ. I	I კათოლიკე ეპისტოლე იოანესი, ახალი აღთქმის წიგნი
იღ.	იღუმენი
იხ.	იხილე
კაზი	კათალიკოზი
კონსტ.	კონსტანტინოპოლის
ლპ.	სახარება ლუკასი, ახალი აღთქმის წიგნი
მაგ.	მაგალითად
მეფ. III	III მეფეთა წიგნი, ძველი აღთქმის წიგნი
მთ.	სახარება მთესი, ახალი აღთქმის წიგნი
მოც.	მოციქულის, მოციქულთა
მსოფ.	მსოფლიო
ნაუმ.	წინასწარმეტყველება ნაუმისა, ძველი აღთქმის წიგნი
ნიკ.	ნიკეის კრების (I ან VII მსოფლიო კრება)
პროტოპრ.	პროტოპრესვიტერი
პროფ.	პროფესორი
რედ.	რედაქციით
რუსთ.	რუსთავი
საქმ.	საქმე მოციქულთა, ახალი აღთქმის წიგნი
სსმ	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
ტ.	ტომი
ტრულ.	ტრულის, იგივე V-VI მსოფლიო კრების
ტფ.	ტფილისი
ლირ.	ლირსი
შეად.	შეადარე
შევს.	შევსებული
წ.	წელი
წმ.	წმინდა

ბერძნულ ენაზე

Αθ.	Αθήναι
-----	--------

რუსულ ენაზე

г.	город
д-ръ	доктор(ъ)
еп.	епископ
изд.	издание
M.	Москва
сост.	составленный
СПб	Санкт-Петербург
тип.	типография

შესაგალი

საეკლესიო სამართალი მიეკუთვნება რელიგიური სამართლის კატეგორიას. იგი გარკვეული სახეცვლილებების გათვალისწინებით მოქმედებს თითქმის ყველა ქრისტიანულ ეკლესიაში. მართლმადიდებლურ, კათოლიკურ, არაქალკედონურ-ორიენტაციურ და ზოგ პროტესტანტულ ეკლესიაში საეკლესიო სამართალს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მრევლისა და ეკლესიის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მართლმადიდებელ ეკლესიაში საეკლესიო სამართალი პირველი საუკუნებიდანვე მოქმედებდა. ცხადია, ქრისტიანობის პირველ წლებში ეკლესიას არ ჰქონდა დამოუკიდებელი, ეკლესიისვე წიაღში შექმნილი საეკლესიო სამართლის ძეგლები და ამ შემთხვევაში საეკლესიო სამართლის წაყროებს ძირითადად წმინდა წერილი, წეს-ჩვეულებები და ძველი აღთქმიდან (მოსეს ოჯული) შემორჩენილი წესები წარმოადგენდა. თუმცა ქრისტიანული თემების გამრავლების პარალელურად და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქრისტიანობამ სახელმწიფო სტატუსი მიიღო არაერთ ქვეყანაში, უკვე ჩნდება დამოუკიდებელი ქრისტიანული სამართლებრივი ძეგლები.

მართლმადიდებელი ეკლესია, მიიჩნევს რა თავს უშუალოდ მოციქულთა მიერ გავრცელებული მოძღვრების მემკვიდრედ, საეკლესიო სამართალს აფუქნებს მოციქულთა სწავლებებზე და მოციქულთა კანონებზე. მართლმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებული ავტორიტეტით აღიარებს მსოფლიო კრებების მიერ მიღებულ კანონებს. მას, საეკლესიო ტრადიციით, უცდომელობის პატივი გააჩნია.¹

საქართველოს ისტორიის მიხედვით და საქართველოს სამოციქულო ეპლესიის ტრადიციით, ქრისტიანობა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე პირველი საუკუნეებიდანვე იწყებს გავრცელებას და იგი უშუალოდ უფლის მოციქულებს – წმ. ანდრია პირველწოდებულსა და წმ. სიმონ კანანელს უკავშირდება.² სახელმწიფო სტატუსი ქრისტიანობამ ჩვენშიც IV საუკუნეში მიიღო და ამ საქმეში მნიშვნელოვანია მოციქულთა სწორების – წმ. ნინო ქართველთ განმანათლებლის, წმ. მეფე მირიანისა და წმ. დედოფალ ნანას ღვაწლი.³

ჩვენთვის უცნობია, რა ზომით და ფორმით იყო საეკლესიო სამართალი საქართველოში გავრცელებული. თუმცა, თუკი გავიხსენებო იმას, რომ უკვე ნიკეის I მსოფლიო კრებაზე მონაწილეობდა უმნიშვნელოვანები ქართული საეკლესიო კათედრის – ბიჭვინთის ეპისკოპოსი, მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს ეკლესია ჩართული იყო მსოფლიო საეკლესიო სამართალ შემოქმედების პროცესში.

¹ პროტოპრესვიტერი მიხეილ პომაზანსკი, დოგმატური დფთისმეტყველება, თბ., 2006, გვ. 222

² მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ. 2009, გვ. 119

³ წმიდათა ცხოვრებანი, ტ. II, თბ., 2008, გვ. 290-295

საეკლესიო სამართალშემოქმედების უმნიშვნელოვანესი ადგილი მსოფლიო საეკლესიო კრება იყო, კრების მოწვევის მიზეზი კი – როგორც წესი, მნიშვნელოვანი დოგმატური და სამოძღვრო საკითხების განხილვა.⁴ ამიტომ, მსოფლიო კრება, განსაზღვრავდა და დაადგენდა რა ეკლესიის სწავლებას, იდებდა კანონებს იმ საჭირობოროტო საკითხებზე, რაც იმ პერიოდისთვის მნიშვნელოვნად ჩაითვლებოდა. შესაბამისად, ცალკეულ მსოფლიო კრებებზე საეკლესიო კანონები მიიღებოდა არადარგობრივად, ვხვდებით როგორც, თანამედროვე გაგებით, სისხლის, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ კანონებს, აგრეთვე საპროცესო ხასიათის ნორმებს.

1. სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა

სადისერტაციო ნაშრომის საეკლესიო სამართლის სფეროდან შერჩევა განაპირობა ამ დარგის იმ მნიშვნელობამ, რაც თვალნათლივ ჩანს დღევანდელ პერიოდში. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ შეუშალა ხელი საბჭოურმა და ანტირელიგიურმა პროპაგანდამ საეკლესიო სამართლის კვლევას, შესაბამისი სპეციალისტების ჩამოყალიბებასა და ქართული საეკლესიო სამართლის მცოდნეთა დირსეული სკოლის შექმნას, ამ დარგის მეცნიერული დამუშავება უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება სამართლის ისტორიისა და თეორიის კვლევის შემდგომი განვითარებისათვის. მეორე მხრივ, საქართველოს სახელმწიფო კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარა რა საეკლესიო სამართალი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მოქმედ სამართლად,⁵ მის მეცნიერულ დონეზე გამოკვლევას პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება, რადგან კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე ეკლესიასა და სახელმწიფოს ცალკეულ უწყებებს შორის იდება ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ხდება კონსტიტუციური შეთანხმების ნორმათა იმპლემენტაცია ქართულ სამართალში და ამ ნორმაშემოქმედებით პროცესში დიდად სასურველია შესაბამისი საეკლესიო კანონების ცოდნა და გამოყენება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საეკლესიო სამართლის მეცნიერული კვლევა აუცილებელია იმ მემკვიდრეობის გასაგრძელებლად, რაც ჩვენს ერს გადმოეცა თავისი დიდი წინაპრებისგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი ქართული სამართლებრივი აზროვნების განვითარებაში. ამასთან, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი იქნება საეკლესიო ნორმების საერო ნორმაშემოქმედებით პროცესში გათვალისწინება, რათა ერთი მხრივ, სათანადოდ იქნეს გამოყენებული საეკლესიო სამართლის მიღწევები, მეორე მხრივ კი უურადღების მიღმა არ დარჩება სამართლის იმ სფეროს კანონები, რომელიც განსაზღვრა მართლმადიდებლობამ და ამით გარკვეულწილად ჩამოყალიბა ქართული ეროვნული მსოფლმხედველობა სამართლისმცოდნეობაში.

⁴ მსოფლიო საეკლესიო კრებები. დოგმატური დმრთისმეტყველება, შემდგ. გრიგორ რუხაძე, თბ., 2004, გვ. 6

⁵ იხ. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი, სსმ, 2002, №108

რაც შეეხება საკუთრივ სადისერტაციო ნაშრომის თემატიკას – საეკლესიო სამართლის პროცესს, იგი შერჩეულ იქნა იმის გათვალისწინებით, რომ საპროცესო ნორმები, ზოგადად, მნიშვნელოვანია სამართლის დარგის კვლევისთვის, მის შესახებ უფრო სრული და ზუსტი წარმოდგენის შესაქმნელად. საპროცესო ნორმების გამოყენებით, შეიძლება ითქვას, ხდება სამართლებრივი დარღვევის გამოვლენა, გამოძიება, განხილვა, გადაწყვეტილების მიღება – სამართლიანობის აღდგენა და ამ გადაწყვეტილების აღსრულება. ამ ყოველივეს შესწავლით კი მოხდება საეკლესიო სამართლის მნიშვნელოვანი მიმართულების გამოკვლევა.

საეკლესო სამართლის პროცესის მეცნიერულ დონეზე გამოკვლევა პრაქტიკულ ხასიათსაც ატარებს – დღესდღეობით საეკლესიო სასამართლო საქართველოში დამოუკიდებელი სახით არ არსებობს და სასამართლო ფუნქციები შეთავსებული აქვთ ადგილობრივ მდგრდელ-მთავარსა⁶ და წმ. სინოდს.⁷ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვდა საეკლესიო სასამართლოს აღდგენა, ამას ხელს შეუწყობს საეკლესიო საპროცესო ნორმების მეცნიერული დამუშავება.

ბუნებრივია, საეკლესიო სამართლის პროცესის კვლევისას შეუძლებელია აცდე საეკლესიო სასამართლოს. საეკლესიო სასამართლოსა და სასამართლო ორგანიზაციის საკითხები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას ცალკე კვლევა სჭირდება. იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი ნაშრომი მხოლოდ საეკლესიო სამართლის პროცესს ეძღვნება, მასში გამოყენებულ იქნება საეკლესიო სასამართლოს შესახებ ბერძნულ და რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შრომები, წინამდებარე სადისერტაციო თემიდან გამომდინარე საჭიროების გათვალისწინებით.

2. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანი

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს საეკლესიო სამართლის ინსტიტუტები. კერძოდ, საეკლესიო სამართლის საპროცესო ნორმები, პროცესუალური პრინციპები, საქმის განხილვის სტადიები, განაჩენის აღსრულების დოგმატურ-კანონიკური მიმოხილვა, მტკიცებულებები. ნაშრომის კვლევის ობიექტი კი არის ის საეკლესიო კანონები, რომლებიც თავისი შინაარსით მიეკუთვნება საპროცესო ნორმათა კატეგორიას, აგრეთვე სასამართლო პრაქტიკა საქართველოში და მსოფლიო საეკლესიო კრებებზე.

3. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მეთოდები

საეკლესიო სამართლის კვლევის დროს უმეტესწილად გამოიყენება ისტორიული მეთოდი, კერძოდ, კვლევის დროს შეისწავლება კონკრეტული საპროცესო ინსტიტუტის ისტორიული განვითარება. ზოგადად, თითოეულ საკითხზე მსჯელობისას, შეისწავლება ინსტიტუტი, როგორც ასეთი, ხო-

⁶ ი. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება (შემდგომში – მართვა-გამგეობის დებულება), თავი VII, §17, ტექსტი აქ და შემდგომში მოყვანილია საიტიდან: <http://www.patriarchate.ge/>

⁷ ი. მართვა-გამგეობის დებულება, თავი II, §7 - §9

ლო შემდეგ მისი განვითარება ისტორიული თვალსაზრისით შესაბამისი ადგილობრივი ეკლესიების მაგალითზე.

გამოყენებულ იქნება ლოგიკური მეთოდიც, რაღაც სამართლებრივი მსჯელობა ამ მეთოდის გარეშე, პრაქტიკულად წარმოუდგენელია. გამოყენებული იქნება შედარებითი მეთოდიც.

გასათვალისწინებელია, რომ სამართლის სხვა დარგებისაგან განსხვავებით საეკლესიო სამართლის მეცნიერულ კვლევაში გამოიყენება კიდევ ერთი – დოგმატური მეთოდი. დოგმატური დვთისმეტყველება საეკლესიო სამართალთან ახლოს მდგომი მეცნიერებაა, იგი შეისწავლის ეკლესიის მოძღვრებას, რომელიც ხშირ შემთხვევაში, თავის მხრივ, საფუძველია კონკრეტული კანონიკური ნორმისა. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა მსოფლიო საეკლესიო კრებას (რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს ეკლესიის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს) წინ უსწრებდა დოგმატური სწავლების საწინააღმდეგო სწავლების გავრცელება, აუცილებელია, რომ კანონიკური ნორმები ამ მეთოდითაც იქნეს გამოკვლეული.

4. სადისერტაციო ნაშრომის მიზანი

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია გამოკვლეულ იქნეს საეკლესიო სამართლის მთელი პროცესი, რომელიც მოიცავს ყველა საპროცესო მოქმედებას, დაწყებული საქმის აღმგრიდან დასრულებული განაჩენის აღსრულებით. ამასთან, უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნაშრომში თითოეული საპროცესო მოქმედების გამოკვლევის პარალელურად განხილული იქნება მსოფლიო საეკლესიო კრებების ოქმები და საქართველოს ეკლესიის სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც მნიშვნელოვანი წყაროა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებების შესასწავლად. აღსანიშნავია, რომ, თავის მხრივ, ეს იქნება ამ წყაროთა პირველი შესწავლა სამართლებრივი თვალსაზრისით.

5. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება სარჩევის, გამოყენებულ შემოკლებათა ნუსხის, შესავლის, 9 თავის, დასკვნის, ბიბლიოგრაფიისა და დანართისაგან.

I თავი ეძღვნება საეკლესიო სამართლის პროცესს, სადაც განხილულია ის სპეციფიკური პრინციპები, რაც ახასიათებს საეკლესიო სამართლს და მის პროცესს. სულ განხილულია 5 პრინციპი.

II თავში შესწავლილია განსჯადობის საკითხები. ცალკე ქვეთავებად არის გამოყოფილი ის შემთხვევები, როდესაც განსახილველი საკითხი განსხვავებულად წესრიგდება, კერძოდ საეკლესიო საქმის მხოლოდ საეკლესიო სასამართლოს მიერ განსხილვა, დიაკვნისა და მდგდლის საქმის განხილვის უფლებამოსილება და ეპისკოპოსის საქმის განხილვის უფლებამოსილება. ქართული საეკლესიო სამართლის წყაროების ანალიზის შედეგად მიგნებული განსჯადობის განსხვავებული წესები მოცემულია ქვეთავში – საგანგებო წესები განსჯადობასთან დაკავშირებით. ამ თავში

ცალკე ქვეთავად არის გამოტანილი აცილებასთან დაკავშირებული საკითხები.

III თავი ეხება საქმის აღმდების საკითხებს. განხილულია აღიარება და ბრალდება, როგორც საქმის აღმდების საფუძვლები. ბრალდების საკითხის ქვეთავში დეტალურად არის განხილული საეკლესიო სამართლის ნორმები იმის თაობაზე, თუ გის აქვს და არ აქვს უფლება იყოს ბრალდებელი საეკლესიო საქმეზე. ამავე თავშია მსჯელობა გავრცელებულ ცნობაზე, როგორც საქმის აღმდების საფუძველზე და განხილულია შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა და საეკლესიო სასამართლო პრაქტიკა, ხოლო რაც შეეხება ამ თავის შემდეგ ქვეთავს – საქმის აღმდების სხვა საფუძველს, აღნიშნულში მოცემულია ასევე ცალკეულ მეცნიერთა და სასამართლო გადაწყვეტილებათა ანალიზის შედეგად დადგენილი საფუძვლები.

საქმის არსებით განხილვას ეთმობა ნაშრომის IV თავი. მასში მოცემულია მსჯელობა და ანალიზი, რის საფუძველზეც ჩამოყალიბებულია ის მნიშვნელოვანი წინაპირობები, რომელთა არსებობა აუცილებელია საქმის არსებითად განსახილველად: ბრალდების ტექსტი, თავის მართლების დრო და საშუალება, საქმის განხილვის დრო და ადგილი, აგრეთვე ამავე ქვეთავშია განხილული ადვოკატის საკითხიც. ცალკე ქვეთავად არის გამოტანილი ის საკითხები, რომლებიც ეხება შემთხვევებს, როდესაც საქმის არსებითი განხილვა არ ხდება.

რაც შეეხება უშუალოდ საქმის განხილვის წესს, აღნიშნულში განხილულია ამ თემატიკაზე საეკლესიო კანონები, მეცნიერთა შეხედულებები და საეკლესიო სასამართლო პრაქტიკის კრიტიკული ანალიზი.

ნაშრომის ცალკე – VI თავი ეთმობა განაჩენის მიღების წესს. მასში განხილულია გადაწყვეტილების მიღების წესი როგორც ერთი მოსამართლის, ისე კრებულის მიერ, ასევე ბრალდების დამტკიცებას და სასჯელის განსაზღვრას. ცალკე ქვეთავშია განხილული განაჩენის ტექსტის სავალდებულო ნაწილები და თანმდევი პროცედურები, რაც, როგორც წესი, მოსდევს განაჩენის გამოტანას.

VII თავში დეტალურად არის განხილული განაჩენის აღსრულების წესი თითოეული სასჯელის და ეპიტიმიის მიხედვით.

VIII თავი ეძღვნება შენდობასა და შეწყალებას. განხილულია სხვაობა ამ ორ ტერმინს შორის, წინაპირობები ორიგესთვის. აგრეთვე, ცალკე ქვეთავი აქვს დათმობილი შენდობისა და შეწყალების განსაკუთრებულ შემთხვევებს.

ნაშრომის ბოლო, IX თავი ეხება მტკიცებულებებს. მასში განხილულია როგორც საეკლესიო სამართლისთვის მახასიათებელი სპეციფიკური მტკიცებულებები, როგორებიცაა წმ. წიგნიდან ციტატის მოხმობა, როგორც მტკიცებულება და კრების მიერ სწავლების გამოცემა მტკიცებულების სახით, ისე საყოველთაოდ გავრცელებული მტკიცებულების ფორმები – მოწმის ჩვენება, ფიცი და სხვა.

ნაშრომს თან ერთვის დასკვნა, სადაც მოკლედ არის ჩამოყალიბებული, რამდენად იქნა მიღწეული დასახული მიზანი და რა სიახლეებს შეიცავს სადისერტაციო ნაშრომი.

სადისერტაციო ნაშრომს თან ერთვის ბიბლიოგრაფია, სადაც ბიბლიო-გრაფიული წყაროები დალაგებულია თემატურად, ხოლო თითოეულ თე-მატიკაში – ენის მიხედვით.

სადისერტაციო ნაშრომს აგრეთვე ახლავს დანართი, სადაც სადისერტა-ციონ ნაშრომის ამოკითხვის გასაიოლებლად მოცემულია ქართულ და რუსულ ენებზე იმ ასოთა წაკითხვის წესი, რომელიც გვხვდება ძველ წაყროებში, აღნიშნულის შესახებ მითითებულია სადისერტაციო ნაშ-რომში და ამჟამად ამოღებულია ხმარებიდან.

I. საეკლესიო სამართლის პროცესის პრინციპები

საეკლესიო სამართლის პროცესს, მსგავსად სხვა საპროცესო სამართლისა, გააჩნია თავისი პრინციპები, ამოსავალი დებულებები, რომლის საფუძველზეც ხორციელდება საეკლესიო სამართლწარმოება. იმის გათვალისწინებით, რომ მკვლევართა უდიდესი ნაწილი არ მსჯელობს საეკლესიო სამართლის პროცესის პრინციპების თაობაზე, ჩვენ შევეცადეთ დიდი სჯულისკანონის ნორმების ანალიზის საფუძველზე გამოგვეყო საეკლესიო პროცესის, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი და ძირითადი პრინციპები. ისინი შერჩეულ იქნა საეკლესიო სამართლის პროცესის სპეციფიკის მიხედვით, ანუ ისეთი პრინციპული საკითხები, რომლებიც საკუთრივ საეკლესიო სამართლს და მის პროცესს ახასიათებს. იმის გათვალისწინებით, რომ სახელწოდებები, როგორც წესი, პრინციპებს ცალკე გამოყოფილი არ აქვს, ისინი ჩვენს მიერ იქნა შერჩეული და, შესაბამისად, პირობითია.

1. მონაწელის შეწყნარების საგალდებულობის პრინციპი

საეკლესიო სამართლისთვის, ისევე როგორც თავად მართლმადიდებელი ეკლესიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქრისტიანი ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობდეს და ასრულებდეს ეპლესის მიერ დადგენილ მცნებებს. მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ დამტკიცდა სწავლება, რომლის მიხედვითაც აღიარებულია, რომ ყოველი ადამიანი სცოდავს, მათ შორის წმინდანებიც,⁸ ხოლო ეს სწავლება, თავის მხრივ, ეფუძნება წმინდა წერილს.⁹ ამიტომაც ეკლესიაში დადგენილია, რომ საგალდებულოა შეცოდების მონანიერის ქრისტიანის შეწყნარება, რაც არ უნდა მძიმედ ჰქონდეს შეცოდებული. ცხადია, იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა მონანიება გულწრფელია.

მოციქულთა 52-ე კანონით განისაზღვრა, რომ: „უპულუ ვინმე ეპისკოპოსმან ანუ ხუცესმან მოქცეული ცოდვისაგან არა შეიწყნაროს, არამედ განკარგოს, განიკუთეთენ“¹⁰. ამგვარი კანონის გამოცემის საფუძვლად, ეპისკოპოს ნიკოდიმოს მილაშის მიხედვით, ყოფილა „ზოგიერთი გნოსტიკური სექტის მკაცრი დამოკიდებულება ცოდვის ჩამდენთა მიმართ (ადარ სურდათ მათი დაბრუნება თავიანთ საზოგადოებაში)“. ¹¹ ამავე პათოსს გადმოსცემს V-VI მსოფლიო კრების 43-ე კანონიც, რომელმაც განსაზღვრა, რომ: „კელეწიფების და შეეტყუების ყოველსა ქრისტეანესა აღებავ მოღუაწებრივისა ცხორებისად და მრავალ შფოთიანსა ღელვასა საწუთოთა საქმეთა განვითარება... დაღათუ ფრიად ძურ-ძურთაცა ვინ დაცემათა შთაგრდომილ იყოს, რამეთუ მაცხოვარმან ლმერომან ჩუენმან თქუა,

⁸ იხ. კართაგენის 114-ე, 115-ე და 116-ე კანონები, დიდი სჯულისკანონი, ე. გაბიძაშვილის რედ., გამ. „მეცნიერება“, თბ., 1972, გვ. 344-346 (შემდგომშიც დიდი სჯულისკანონიდან ციტატები მოყვანილი იქნება ამ გამოცემიდან)

⁹ იხ. I იხ. 1, 8-9; III მეფ. 8, 36

¹⁰ დიდი სჯულისკანონი, გვ. 222

¹¹ მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით, I ტომი, თბ., 2007, გვ. 103

ვითარმედ „მოსრული ჩემდა არა განვაძო გარე“.¹² მოციქულთა 52-ე კანონის კომენტირებისას, ბერძენი კანონისტი ბალსამონი იმოწმებს დოგ-მატურ განმარტებას, რომელიც ამბობს, რომ „არ არის ცოდვა რომელიც ძლევს დმრთის კაცომოყვარებას“.¹³ ეს დებულება სამართლებრივად გულისხმობს იმას, რომ სასულიერო პირს უფლება არ აქვს განუსჯელად გააძვოს ვინმე ეკლესიიდან, ცოდვის სიმძიმის მიუხედავად, მით უმეტეს, თუ იგი ინანიებს თავის შეცოდებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამკლესიო სამართლის ეს პრინციპი უზრუნველყოფს იმას, რომ ქრისტიანი დაცული იყოს განუხილველად დასჯისაგან და პქონდეს მას საშუალება, რომ ცოდვის სიმძიმის მიუხედავად დარჩეს ეკლესიის წევრად.

2. ყველა ბრალდების დამტკიცების პრინციპი

ეს პრინციპი ასახულია კართაგენის 130-ე კანონში. იგი ადგენს წესს, რომ ერთი ბრალმდებლის ყველა ბრალდება, რომელიც წაეყენება სასულიერო თუ საერო პირს, უნდა დამტკიცდეს ერთად, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ ბრალდებათაგან თუკი რომელიმეს დამტკიცება ვერ შეძლო ბრალმდებელმა, მაშინ მის მიერ წარდგენილი ყველა ბრალდება მიუდებლად და დაუმტკიცებლად ჩაითვლება: „რომელმან ერთისა ბრალისა გამოჩინებავ ვერ უძლოს, სხვათუს არღარა შეწყნარებულ იქმნეს... რაოდენგზისცა ვიეთმე მოყუასთა ეკლესიისათა მრავალნი შესმენანი ზედა-დაესხნენ შემასმენელთა მიერ და ერთისა მათგანისა, რომლისათუ პირველ ქმნილ იყოს სიტყუად, გამოჩინებავ ვერ უძლონ, სხუათა შინა ნუღარა შეწყნარებულ იქმნებიან ამის შემდგომად.“¹⁴ ამ კანონის კომენტირებისას ეპისკოპოსი ნიკომიდოსი იმოწმებს ბალსამონისეულ ძალიან მნიშვნელოვან განმარტებას: „ძველი სამართლის თანახმად ბრალმდებელი ჩვეულებრივ წარდგენილი განცხადებას (ბერძ. – ენგრაფა), რომ დაისჯებოდა იმავე სასჯელით, რაც დაეკისრებოდა ბრალდებულს, თუ მის მიერ წარდგენილი საჩივარი არ იქნებოდა დამტკიცებული; ასეთ შემთხვევაში, ე.ი. უსაფუძვლო საჩივრის დროს ბრალმდებელი ითვლებოდა ღირსებაჩამორთმეულად და შესაბამისად აღარ პქონდა უფლება წარედგინა სხვა რაიმე ბრალდება ვინმეს წინააღმდეგ. თუკი ბრალმდებელს წინასწარ არ პქონდა წარდგენილი ზემოხსენებული განცხადება, ხოლო საჩივარი უსაფუძვლო აღმოჩნდებოდა, მაშინ იგი ჩაითვლებოდა ცილისმრამებლად და ღირსებაჩამორთმეულად, და შესაბამისად აღარ ექნებოდა უფლება საჩივრის წარდგენისა“.¹⁵ აქ განმარტებულია კართაგენის 130-ე კანონის ფაქტობრივად პირველი ნაწილი, სადაც საუბარი იყო ერთი პირის მიერ წარდგენილი უსაფუძვლო ბრალდების შემდეგ ამავე პირისგან სხვა ბრალდების მიუდებლობის შემთხვევაზე. თუმცა მნიშვნელოვანია ამ კანონის მეორე ნაწილიც, სადაც აღნიშნულია, რომ რამდენიმე ბრალდების არსებობისას, თუკი პირველი არ მტკიცდება, მაშინ არც სხვა ბრალდებებს აქვთ ძალა. ამ ნაწილის მცირე განმარტება არსებობს სლავურ „კორმჩაიაში“, სადაც ნათქვამია, რომ „რადგან

¹² დიდი სჯულისკანონი, გვ. 389. წმ. წერილის მოყვანილი ციტატა აღებულია იოანეს სახარების მე-6 თავის 37-ე მუხლიდან.

¹³ Σύνταγμα των Θειών και Ιέρων Κανόνων, Γ.Α.Ράλλη, Μ.Πότλη, τόμος Β', Αθ., 1966, გვ. 69

¹⁴ დიდი სჯულისკანონი, გვ. 352

¹⁵ Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, епископа Далматинско-Истрийского, перевод с сербского, том II, изд. Свято-Троицкой Сергиевой Лавры, გვ. 272

[ბრალმდებელი] ცილისმწამებელი აღმოჩნდა, ამის გამო უღირსია იგი და ვერც სხვას დაამტკიცებს“.¹⁶

საპროცესო თვალსაზრისით ეს შეიძლება გავიგოთ ისე, რომ პირველი ბრალდების განხილვის შემდეგ, თუკი იგი ვერ იქნა სათანადო წესით დამტკიცებული, სხვა დანარჩენი ბრალდებების განხილვა შეწყდება.

3. ერთი შეცოდებისთვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობის პრინციპი

ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია საეკლესიო სამართალში. იგი სათავეს ჯერ კიდევ ძველი აღთქმიდან იღებს¹⁷, ხოლო საეკლესიო სამართალში ასახვა პპოვა არაერთ კანონში. თუმცა ამ პრინციპს ისეთი კლასიკური სახე არ აქვს, როგორც ეს დღესაა. იმ პერიოდისთვის ამგვარი პრინციპი გულისხმობდა იმას, რომ ერთი შეცოდებისთვის ქრისტიანის მიმართ არ უნდა გამოყენებულიყო ორმაგი სასჯელი, ანუ ორჯერ არ უნდა დასჯილიყო. კანონიკურ დებულებას, რომელიც ადგენს ამ პრინციპს, ვხვდებით მოციქულთა 25-ე კანონში, რომლის მიხედვითაც „ეპისკოპოსი, ანუ ხუცესი, ანუ დიაკონი, რომელი სიძვასა, ანუ ცრუფიცობასა, ანუ პარვასა და ეპირას, განიკუთენ და ნუ უზიარებელ იქმნებინ, რამეთუ იტყვს წერილი: „არა შური იმიო ერთბამად ორგზის“.¹⁸ ასევე სამდვდელო დასის წარმომადგენლები.“ მართალია, ამ კანონში მხოლოდ სამ შეცოდებაზეა მითითება, მაგრამ ჩვენი აზრით, ერთი შეცოდებისთვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობის პრინციპი ვრცელ-დებოდა სხვა სახის შეცოდებზეც.

საინტერესოა, რომ ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი ამის თაობაზე ამტკიცებს, რომ „ამ კანონის ლმობიერი განწევება ეხება მხოლოდ ამავე კანონში მოხსენიებულ დანაშაულებს, რადგან, იმავდროულად, მოციქულთა კანონებში (29-ე და 30-ე) მოხსენიებულია სხვა სახის დანაშაულობანი, რომლის ჩამდენიც ორმაგ სასჯელს იღებს განკვეთასა და განყენებას. ასეთ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, სიმონია.“¹⁹ მოციქულთა 25-ე კანონის კომენტირებისას ბალსამონიც იმავე აზრს ავითარებს, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ბალსამონის აზრით, მართალია, სხვა დანაშაულებისთვის ორჯერ შეიძლება მოხდეს დასჯა, მაგრამ ეს წესი (ანუ ორჯერ არდასჯის) არ ვრცელდება მხოლოდ ამ კანონში მითითებულ სამ შეცოდებაზე, არამედ სხვა შემთხვევებზეც, რის დასტურადაც მას მოხმობილი აქვს ბასილი დიდის კანონები. ²⁰ წმ. ბასილი დიდი კი დეტალურად განმარტავს ამის მიზეზს: „ძუელი არს კანონი ესე, რომელი სამდველოსა ხარისხისაგან დამტკილთათვს მხოლოდ მას ოდენ კმა-იყოფს სახესა მტანჯველობისასა შედგომითა, ვითარ ვჰონებ, პირველითგანისა მის სჯულისავთა, რომელი იტყვს, ვითარმედ „არა დაპაჯო ერთბამად ორგზის“ და კუალად სხვა მიზეზისათვს, რამეთუ ერისკაცთა დასისაგანი, განიჭადნენ რად ადგილისაგან უცომელთა მორ-

¹⁶ Кормчая (Номоканонъ), отпечатана съ подлинника Патриарха Иосифа, изд. пятое, Воскресеніе, СПб, 2004, გვ. 470

¹⁷ ნაუმ. 1:9

¹⁸ დიდი სჯულისკანონი, გვ. 218

¹⁹ Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, დასახ. ნაშრომი, გვ. 63

²⁰ Σύνταγμα των Θειών και Ιέρων Κανόνων, Γ.Α.Ράλλη, Μ.Πότλη, τόμος Β', Αθ., 1966, გვ. 32-33

წმუნეთადისა, შემდგომად შენანებისა კუალად შეწყნარებულ იქმნებიან ადგილსა მას, რომლისაგანცა განცვეს. ხოლო დიაკონსა ერთგზის მიეკადების პატიჟი განკუეთისად და ამისთვის, ვითარცა არღარა კუალადგებადისა მასვე ხარისხსა დიაკონობისასა, მხოლოდ ესდე ოდენ შურისგებად განუჩინეს“. ²¹ უფრო მეტიც, არისტინეს ამ პრინციპის დაუცველობა ქრისტიანობასთან შეუთავსებლადაც კი მიაჩნია და მოციქულთა 25-ე კანონის კომენტირებისას აღნიშნავს, რომ „[შემცოდე] არ შეიძლება უზიარებლობითაც დაისაჯოს, რადგან ამ გზით არ მოხდეს მისი ორგზის დასჯა, რაც სრულიად ეწინააღმდეგება კაცომოყვარებას“.²²

მოციქულთა 25-ე კანონის იმგვარი ინტერპრეტაცია, რასაც ჩვენ ვამტკიცებთ, ქრისტიანთათვის რომ ბევრად მისადები იყო, ადასტურებს ქართული საეკლესიო სამართლის წყაროები. მაგალითად, რუის-ურბისის ძეგლისწერის პირველივე კანონი, რომლის თანახმადაც მოხდა უღირსი მღვდელმთავრების განკვეთა. საგულისხმოა, რომ ოდნავ ქვემოთ საგანგებოდ არის აღნიშნული: „ხოლო არა კრულ ვყვენით და არცა შევაჩუნებით, ნუ იყოფინ, არამედ ლიტონთა ერისკაცთა თანა ზიარებად ფლობილ ვყვენით“²³. იქ, სადაც საუბარია მღვდელმთავართა უღირსებაზე, არ არის მითითებული კონკრეტული შეცოდებები. ამდენად, თუკი მივიჩნევთ, რომ მილაშის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ერთი შეცოდებისათვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობის პრინციპი არ არის საზოგადო, არამედ ნაკარნახევია კონკრეტული ვითარებიდან, მაშინ რუის-ურბისის ძეგლისწერაშიც, სადაც მითითებული არ არის განკვეთილ მღვდელმთავართა ცალკეული შეცოდებები, გამოყენებულ უნდა ყოფილიყო საზოგადო წესი – ანუ მათი ორჯერ დასჯის ზომა. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესო დოსითეოს ნეკრესელის განჩინება პეტრე მღვდლის სასისხლო საქმეზე, სადაც აღნიშნულია, რომ „ნიკოლოს მღვდელს სისხლი ერგებოდა, მაგრამ არ მივეცით: ერთი რომ მღვდელია, მეორედ, ორის სარჯელის მიწდა არა ბრძანებულ არს“²⁴.

4. სასულიერო პირის ხარისხით ჩამოქვეითების დაუშვებლობის პრინციპი

მართლმადიდებელ ეკლესიაში დაწესებულია მღვდლობის საიდუმლო, რომელიც სამი ქიროტონისაგან შედგება.²⁵ საეკლესიო კანონებში მძიმე შეცოდებისთვის სასულიერო პირების მიმართ განსაზღვრულია განკვეთა სასულიერო ხარისხიდან. როგორც ქალკედონის მსოფლიო კრების 29-ე კანონიდან ირკვევა, იმ პერიოდისთვის ეკლესიაში არსებობდა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სასულიერო პირების ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში ხარისხით ჩამოქვეითებდნენ, მაგ.: ეპისკოპოსს მღვდლამდე, ან დიაკონამდე. მსოფლიო კრებას აღნიშნული ვითარება გააცნო კონსტანტინოპოლელმა მთავარეპისკოპოსმა ანატოლიმ. მანვე დასძინა,

²¹ იხ. დიდი სჯულისკანონი, გვ. 475

²² Σύνταγμα των Θειών και Ιερών Κανόνων, Γ.Α.Ράλλη, Μ.Πότλη, τόμος Β', Αθ., 1966, გვ. 33

²³ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III (საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 115, იხ. აგრეთვე, დიდი სჯულისკანონი, გვ. 550

²⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი V (სასამართლო განჩინებანი), ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1974, გვ. 550

²⁵ პროფ. პანაიოტის ი. ბუმისი, კანონიკური სამართალი, თბ., 2007, გვ. 127

რომ თუ გარევეული პირი უდირსად იქნა ცნობილი საეპისკოპოსო პატივისთვის, შეუძლებელია იგი ღირსი იყოს მდგდლობისა. ამიტომ მან შესთავაზა წმინდა კრებას, რომ აეკრძალათ ამგვარი პრაქტიკა, რაც მსოფლიო კრებამ ერთხმად დაამტკიცა.²⁶

5. განაჩენის სხვა ადგილობრივ ეკლესიებში სავალდებულობის პრინციპი

ეკლესია, როგორც ქრისტიანული სწავლებიდან ცნობილია, წარმოადგენს ერთიან მისტიკურ სხეულს,²⁷ იგი შეერთებულია ეპქარისტიის საიდუმლოთი და ლოცვითი ურთიერთობით. ამიტომ ერთ ავტოკეფალურ ეკლესიაში გამოტანილი განაჩენი სავალდებულოა სხვა ეკლესიებშიც. ავტოკეფალური ეკლესია არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ეკლესიას, იგი მხოლოდ თვითმწყემსობის უფლებით სარგებლობს.²⁸ მართლმადიდებელ ეკლესიაში არის ერთიდაიგივე მოძღვრება, ამიტომაც შეუძლებელია ქრისტიანი ზიარების ან მღვდლობის უდირსი იყოს ერთგან, ხოლო მეორეგან კი ღირსი იყოს. ეკლესიაში მოქმედებს წესი, რომლის მიხედვითაც არათუ სხვა აგტოკეფალური ეკლესიაში, არამედ თვით სხვა საეპისკოპოსოშიც კი არც საერო და არც სასულიერო პირს არ აზიარებენ თავისი მმართველი ეპისკოპოსის წერილის გარეშე, რომელშიც დადასტურებული იქნება, რომ მოცემულ პირს აქვს შესაბამისად ზიარების ან მღვდელმოქმედების უფლება.²⁹ ამ მხრივ საინტერესოა „კათალიკოსთა სამართლის“ მე-9 მუხლი, რომელიც უკრძალავს ეპისკოპოსს ჩაერიოს სხვა ეპისკოპოსის საქმეებში. საინტერესოა ამ მხრივ ქართული საეკლესიო სამართლის სხვა წყაროებიც:

1702 წ. კათალიკოს ევდემოზის მიერ მოწვეული საეკლესიო კრების მე-5 კანონით „რომელმაც თავადმა, გინა ეფისკოპოზმან ანუ დიდმან ანუ მცირემან იქიდამ მამისა კრებისა შეუნდობარი და გამოვარდნილი და ამ წყევას ქვეშ დანარჩენებული ბერი მიუშვას და შეიწყნაროს, ისიც მისი მონაწილე და თანაზიარი იყოს“.³⁰ აქ ორი დეტალია საინტერესო. პირველი ის, რომ ეს კანონი მოხდევს წინამდებარე კანონებს, სადაც აკრძალულია ბერის მიერ მონასტრებში სიარული და შემდეგ დადგენილია სასჯელი ამის დამრღვევთა მიმართ, ანუ მე-5 კანონი არის ერთგვარი დანასკვი წინა კანონებისა. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ისიც, რომ ამ საეკლესიო წესის დაცვას კრება ავალებს არამხოლოდ სასულიერო პირებს, არამედ საერო პირებსაც – თავადებს, დიდთა და მცირეთა.

საინტერესო 1748 წელს მეფე ერეკლე II-ისა და პატრიარქ ანტონის ინიციატივით მოწვეული საეკლესიო კრების მე-15 კანონი, რომელიც ადგენს ამავე წესს: „უკეთუ ვიუთნიმე მღვდელნი ბრალსა, გინა რისათვამე მიზეზისა მღვდელობისაგან დაყენებულ იყვნენ, ნურვინ იკადრებს ეპისკო-

²⁶ იხ. ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი (მილაში), დასახ. ნაშრომი, გვ. 395-396

²⁷ პროტოპრ. მიხეილ პომაზანსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 203-206

²⁸ ამის შესახებ იხ. ბლασίου Φείδα, Το «Αυτοκεφάλιον» και «Αυτονόμιον» εν τη Ορθόδοξω Εκκλησίᾳ, Ιεροσ. 1979

²⁹ შეად. პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95-96

³⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 634

პოსთაგანი მიცემად მისა სამდგრელოსა ოლარისა³¹, რამეთუ არცა ერთი რომელიმე საიდუმლო არა აღესრულების მის მიერ, არამედ სრულიად დაყენებულ არს.“³²

მსგავსი შინაარსის ჩანაწერს ვხვდებით განჩინებებშიც. კერძოდ, ტყვეთა გაყიდვისთვის აფხაზეთის კათალიკოსმა მაქსიმემ 1776 წლის 28 დეკემბრის შეჩვენების წიგნით ანაოგმას გადასცა კაცია ჩიჩუა. შეჩვენების დასკვნით ნაწილში კი ვკითხულობთ: „აწ რომელმაც ჩვენი შეჩვენება შეურაცხოთ და არა ეკრძალნეთ ვითა განცოფებულსა ძალლსა, თქვენდაცა იყავნ წყვვა ესე და შვილთა თქვენთა ზედა. ამინ“.³³ თუმცა, აქვე უნდა აღნიშნოს, რომ მსგავსი შინაარსის დასკვნითი ნაწილი ძალიან ხშირად გვხვდება ქართულ როგორც საერო, ისე საეკლესიო ხასიათის სასამართლო განჩინებებში.

³¹ ოლარი, იგივე ეპიტრაქილი – სამდგრელო შესამოსელის ნაწილი, ორნაწილიანი და კისერზე ჩამოსადები, რომელსაც მდვდელმსახური იკეთებს ნებისმიერი საეკლესიო წესის შესრულების წინ.

³² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 801

³³ იქვე, გვ. 910

II. ბანსჯადობა

საეკლესიო სამართლის პროცესში სამართლის სხვა საპროცესო დარგების მსგავსად, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს განსჯადობა, ანუ ვინ შეიძლება იყოს ამა თუ იმ საქმის განმხილველი ორგანო. თავ-დაპირველად უნდა ითქვას, რომ საეკლესიო მართლმსაჯულების უფლებამოსილება მიენიჭა მოციქულებს.³⁴ მოციქულთაგან კი იგი გადაეცა მხოლოდ ეპისკოპოსებს, რომლებიც სრულად ფლობენ სამოციქულო მადლს, რამდენადაც ისინი ითვლებიან მოციქულთა მემკვიდრეებად.³⁵ სწორედ ამის გამო, ბერდნიკოვი მიიჩნევს, რომ „საეკლესიო სასამართლო, როგორც მაცხოვრის სიტყვებიდანაც ჩანს, ძირითადად ეფუძნება საღმო-რომ უფლებამოსილებას, იგი არის დმრთის სასამართლო.“³⁶

საქმის განხილვის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, საეკლესიო კანონმდებლობა ადგენს რამდენიმე მნიშვნელოვან დებულებას:

1. ზოგადი დებულებანი განსჯადობასთან დაკავშირებით

კართაგენის მე-15 კანონის თანახმად, სასჯელს ექვემდებარება ის სასულიერო პირი, რომელიც საეკლესიო საქმის განხილვის საჭიროებისას გვერდს აუვლის საეკლესიო სასამართლოს: „თითოეულთათვეს დასთა მსახურად ეკლესიისა განჩინებულთა და ვითარმედ, უკუეთუ ვინმე განსაკითხავსა საქმესა შთავარდეს და იჯმნას საეკლესიოვსა სამსჯავროსაგან, უკმს ეგევითარსა მას ზღუეულ-ყოფად თუსისა პატივისაგან“.³⁷ ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი ამ კანონის კომენტირებისას აღნიშნავს, რომ „ეს სულაც არ გულისხმობს იმას, რომ ეკლესიას სურს თავისი მსახურები მუდმივად და ყოველმხრივ გაათავისუფლოს საერო სასამართლოსაგან და არ უშვებს, რომ ისინიც შეიძლება დაექვემდებარონ ამგვარ სასამართლოს; ვინაიდან არსებობს საქმეები, რომლებიც თავისი შინაარსით ექვემდებარებიან საერო სასამართლოს, მაგალითად სახელმწიფოებრივი დანაშაულები, რომელთა განსჯა არასდროს აუღია მალესიას თავის თავზე.“³⁸

ამ მხრივ უდავოდ საინტერესოა კათალიკოს ანტონ II-ის 1795 წლის 21 იანვრის ბრძანება მიმბაზ ბეჭან ამილახორიშვილისადმი, საიდანაც ჩანს, რომ ვინმე დათუნა გვერდწითელს მღვდელი შემოკვდომია, იმერეთში გაქცეულა და წერეთელთან იმაღლებოდა. კათალიკოსი ავალებს მიმბაზს: „შენ უნდა გარდახვიდე იმერეთს და გარდამოიყვანო“,³⁹ შემდეგ ავალებს სხვადასხვა საქმეებს და ბოლოს ძალიან საინტერესოდ განმარტავს მიზეზს, თუ რატომ აიღო საერო სასამართლოს მიერ შესასრულებელი საქ-

³⁴ იხ. მთ. 18:18, აგრეთვე, საქმ. 5:1-11

³⁵ შეად. I მსოფ. კრების მე-5 (დიდი სჯულისკანონი, გვ. 232), II მსოფ. კრების მე-6 (იქვე, გვ. 261-262) და III მსოფ. კრების 1-ლი (იქვე, გვ. 264) კანონები

³⁶ Краткий курс церковного права, сост. проф. И.С.Бердниковъ, Казань, тип. Императорского Университета, 1888, გვ. 180

³⁷ დიდი სჯულისკანონი, გვ. 296

³⁸ Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, досяб. ნაშრომი, გვ. 158

³⁹ ქართული სამართლის ქაგლები, ტ. III, გვ. 1022

მე თვითონ: „ამისთვის უფრო ვიღწვით ამ საქმეზედ, რომ ცხოვართათვის წარწყმედულთა მოძიებად მოვიდა დმერთი და ამგვარის მოქმედის კაცისა ჩვენდამო ბრძანებულ არს სამართალი და არა სხუათაგან“.⁴⁰

განსახილველ საკითხს ეხება, აგრეთვე, ანტიოქიის მე-5 და კონსტანტინოპოლის ორგზისი კრების მე-9 კანონები.

ანტიოქიის მე-5 კანონი ეხება იმ სასულიერო პირებს, რომლებიც გაექცევიან კანონიერ ეპისკოპოსებს და მათგან დაუკითხავად აღმართავენ საკურთხევლებს ან მოაწყობენ კრებებს. კანონის ბოლოს მითითებულია, რომ „ხოლო უკუეთუ ეგოს შფოთებასა და აღძრვასა ზედა ეკლესიისასა გარეშისა და სოფლიოსა ჭელმწიფებისა მიერ, ვითარცა მეშვოთე, განიწუართენ“.⁴¹ აქ, როგორც ვხედავთ, პირდაპირ არის მოწოდება საერო ხელისუფლებისადმი, რომ არეულობის შემთხვევაში მან გამოიყენოს თავისი ძალაუფლება წესრიგისა და სამართლიანობის აღსადგენად. რაც შეეხება კონსტანტინოპოლის ორგზისი კრების მე-9 კანონს, მასში საუბარია ფიზიკური ძალადობის შემცველ დანაშაულებზე, რისთვისაც საეკლესიო სასჯელია დადგენილი. თუმცა, კრება დასძენს, რომ „ხოლო უკუეთუ ყოვლითურთ დაუმორჩილებელნი და წურთასა განკანონებისასა არა მოუდრკებოდინ, ამასა სოფლიოთა მთავართა მიერ მათ ადგილთასა ჩუეულებისაებრ მათისა წურთასა არავინ აყენებს“.⁴² საგულისხმოა, რომ ამ კანონის დასასრულ ორგზის კრებას მოხმობილი აქვს სწორედ რომ ანტიოქიის მე-5 კანონი.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ საეკლესიო ხასიათის ყველა სასამართლო პროცესი უნდა შესრულდეს საეკლესიო მართლმსაჯულების მიერ. გამონაკლისია მხოლოდ მკაფიოდ გამოხატული საერო ხასიათის ქმედებები. საგულისხმოა, რომ ამ დებულებას უფრო ლაპონურად აყალიბებს კართაგენის 104-ე კანონი, რომლის თანახმადაც თუ სასულიერო პირი ითხოვს მეფისაგან საერო სამსჯავროში თავისი საქმის გარჩევას, წაერთმევა მისი პატივი. ხოლო თუ მეფისაგან საეპისკოპოსო სამსჯავროს მოითხოვს, ნუ აეგრძალება ეს მას.⁴³ ამ მხრივ საინტერესოა მეფე ერეკლე II-ის განჩინება ალავერდელ ეპისკოპოს ნიკოლაოზსა და ნეკრესელ ეპისკოპოს დოსითეოსს შორის დავის შესახებ. განჩინების შესავალში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ მეფეს თანაგანმხილველად ჰყავდა კათოლიკ-პატრიარქი ანტონი და რომ „ჩუენთანა შეკრებულთა ყოვლადსამღუდელოთა და საქართველოს მსაჯულთ თანდასწრებით მოვისმინეთ და გამოვიძიეთ სარჩელი“.⁴⁴ მართალია, უშუალოდ განჩინების ტექსტიდან არ ირკვევა, მაგრამ როგორც ჩანს, მეფე ერეკლეს საქმე საეკლესიო წესების გათვალისწინებით გამოუკვლევია, რაკიდა პროცესზე თავად კათალიკოსი და სასულიერო პირები ჰყავდა მიწვეული.

საინტერესო მოსაზრებას ავითარებს ბერდნიკოვი, რომელიც აღნიშნავს, რომ „საეკლესიო სასამართლოში აუცილებელია განვასხვოთ საერთო

⁴⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 1023

⁴¹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 248

⁴² იქვე, გვ. 442

⁴³ იქვე, გვ. 341

⁴⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 262

სასამართლო ყველა მორწმუნისათვის და საგანგებო სასამართლო ეკლესიის მსახურთათვის“⁴⁵

2. დიაკვნისა და მღვდლის საქმეების განხილვის უფლებამოსილება

საეკლესიო წესებითა და კანონებით დადგენილია, რომ მღვდელსა და დიაკონს ხელს ასხამს მხოლოდ ერთი ეპისკოპოსი.⁴⁶ შესაბამისად, დიაკონიცა და მღვდელიც იმყოფება ერთი ეპისკოპოსის იურისდიქციაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგენილია, რომ „ეპისკოპოსი და საერთოდ ყოველი საეკლესიო მართლმსაჯულებრივი ორგანო განიხილავს მხოლოდ იმ სამღვდელო პირთა და მორწმუნეთა შეცოდებებს, რომელნიც მათი უფლებამოსილების გარემოს მიეკუთვნებიან.“⁴⁷ ჩვენ საეკლესიო სამართლის პროცესის პრინციპებზე საუბრისას აღვნიშნეთ, რომ არცერთი ეპისკოპოსი არ არის უფლებამოსილი განიხილოს მეზობელი ეპარქიის სამღვდელო ან საერთო პირის საქმე. ყოველი ეპარქია და შესაბამისი მმართველი მღვდელმთავარი სარგებლობს თვითმმართველობის უფლებით. საგულისხმოა, რომ ყოველი ავტოკეფალური ეკლესია მკაფიოდ და ზუსტად განსაზღვრავს ეპარქიათა იურისდიქციის საკითხებს, რათა ზედმიწებნით იქნეს დაცული თითოეული საეკლესიო ერთეულის საზღვრები. ამ მხრივ საინტერესოა არა მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, რომელიც ზუსტად ადგენს ეპარქიათა საზღვრებს⁴⁸, არამედ ქართული საეკლესიო სამართლის წყაროები, სადაც ზედმიწებნით, თითოეული სოფლის მიხედვით არის დადგენილი ეპარქიათა საზღვრები. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

მოიპოვება XVI საუკუნის დასაწყისის სიგელი, რომლის თანახმადაც დადგენილია კათალიკოსის სამწყსო სამცხე-საათაბაგოში, ზედმიწებნით არის განსაზღვრული თითოეული მონასტრისა და სოფლის იურისდიქციის საკითხი.⁴⁹

1529 წელს აფხაზეთის კათალიკოსმა მალაქიამ გამოსცა წიგნი გენათელ ეპისკოპოზ მელქიზედეკისადმი სამწყსოსა და საწირავის გაჩენის შესახებ. წიგნში აღნიშნულია:

„და გაუჩინეთ სამწყსონი და საგურთხი: რიონსა და ქუთაის ქალაქსა ზედათ, ყვირილას გამოდმა და ვიდრე კაცხის ზღუარამდე და ხრეითს აქეთ რაჭის მთამდის, ოკრიბა სრულიად, ქუთაის ქალაქსა შიგან, გაღმა და გამოდმა და ანუ დაბანი და სოფელი იყვნენ მიმოდათესულნი გლეხნი“.⁵⁰

რაც შეეხება მმართველი ეპისკოპოსის ვალდებულებას, რომ მან განიხილოს თავის სამწყსოში არსებული კანონიკური ხასიათის დავები, ამ

⁴⁵ Краткий курсъ церковного права, даса. ნაშრომი, გვ. 180

⁴⁶ იხ. დიდი სჯულისკანონი, მოციქულთა კანონი 2, გვ. 216

⁴⁷ პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 157

⁴⁸ იხ. მართვა-გამგეობის დებულების I თავის §4

⁴⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 242

⁵⁰ იქვე, გვ. 250

მხრივ უაღრესად საინტერესოა ურბნელი ეპისკოპოსის იულიოსის განჩინება მოსე ხუცისშვილისა და გიორგი ხარებაშვილის მნათეობის საქმეზე. შესავალში აღნიშნულია:

„ხუცისშვილს მოსეს დმრთის მსახურის მეფის ძის იულონისათვის არზი მიერთმივნა კვირაცხოვლის მნათეობის საქმეზედ.

მის უგანათლებულესობას მათის უწმინდესობისათვის მოეხსენებინა, სამართალი თქვენ უსაჯეოთ. და მათ უწმინდესობას დიკასტირიისათვის ებრძანებინა, რადგან ურბნელის სამწყსო არის და ეგლესიის საქმეა, წიგნი მიუწერეთ, იმათი ეფისკოპოსია და ვალიც ამს, მოიკითხოს და სამართალი იმან უსაჯოს“.⁵¹

როგორც ირკვევა, მნათეობასთან დაკავშირებით მოსე ხუციშვილმა გიორგი ხარებაშვილს უჩივლა უფლისწულ იულონ ერეკლეს ძესთან. იმის გამო, რომ საქმე საეკლესიო თემატიკის იყო, ჩანს, ჩვენ მიერ ოდნავ ზემოთ ხენებული კანონის გათვალისწინებით, რომელიც საერო სასამართლოს უკრძალავს საეკლესიო საქმეების განხილვას, იულონმა საქმე განსახილველად გადასცა კათალიკოსს. კათალიკოსმა ნახა რა, რომ საქმეზე არ იყო მმართველი მღვდელმთავრის პოზიცია, დაავალა დიკასტერიას, რომ ეს საჩივარი გადაეგზავნათ შესაბამისი ეპისკოპოსისათვის. აქ ყურადსაღებია ის, რომ კათალიკოსი საქმეს განსახილველად მოტივირებული მიზეზით აგზავნინებს ურბნელ მღვდელმთავართან. მოტივაციაში აღნიშნულია, რომ (ა) სხვა ეპარქია, რომ (ბ) იულიოსი მათი მღვდელმთავარია და ყველაზე მნიშვნელოვანი: (გ) „ვალი ამს“, ანუ სწორედ რომ ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსიდ ვალდებული, რომ მის ეპარქიაში არსებული საეკლესიო დავა განიხილოს.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მღვდლისა და დიაკვნის საქმეს კრება განიხილავს, აუცილებელია მის სხდომაში მმართველი ეპისკოპოსის მონაწილეობა.⁵²

3. ეპისკოპოსის საქმეების განხილვის უფლებამოსილება

განსხვავებით დიაკვნებისა და მღვდლებისაგან, ეპისკოპოსები ხელდასხმულ იქნებიან მინიმუმ ორი ეპისკოპოსის მიერ, თანახმად მოციქულთა 1-ლი კანონისა.⁵³ ეპისკოპოსი, დოგმატური დმრთისმეტყველების მიხედვით, ფლობს უწყვეტ სამოციქულო მადლს, აღჭურვილია სრული სამღვდელო უფლებამოსილებით და არის ეპარქიის კანონიკური მმართველი. ⁵⁴ გამომდინარე აქედან, არ ჰყავს რა ეპისკოპოსს უშუალო მმართველი, მისი საქმის წარმოება ექვემდებარება საეკლესიო კრებას.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი კართაგენის კრების მე-12 კანონში გადმოცემულია ფელიქს ეპისკოპოსის მონათხოვი: „მომეჭსენების ძუელთა კრებათა მიერ განსაზღვრებული, რათა უკუეთუ ვინმე ეპის-

⁵¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 660

⁵² იხ. კართაგენის მე-12 კანონი, დიდი სჯულისკანონი, გვ. 295

⁵³ იქვე, გვ. 216

⁵⁴ შეად. მართვა-გამგეობის დებულება, თავი VII, §1

კოპოსი, რომელი-ესე ნუმცა ქმნილ არს, განკითხვისა თანამდებად იპოვს და უდუნო იყოს შეკრებად უმრავლესთავ, რათა არა დაშთეს იგი განკითხვისა თანამდებობასა მას შინა, ათორმეტთა ეპისკოპოსთა ისმინონ საქმე მისი და მათ განიხილონ მისთვის⁵⁵. აურელიოს კართაგენელი ეპისკოპოსის თავმჯდომარეობით კრება შედგა 418 წელს. ვინაიდან კრების კანონში საუბარია ძველ კრებათა მიერ დადგენილ კანონებზე, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი ნორმა უნდა ვეძიოთ 418 წლამდე შემდგარი კრებების მიერ მიღებულ კანონთა შორის. 418 წლამდე გამართული იყო მსოფლიო ორი – ნიკეიისა (325 წ.) და კონსტანტინოპოლის (381 წ.) მსოფლიო საეკლესიო კრებები. ნიკეის კრებათა კანონებში არ არის საუბარი ეპისკოპოსის ბრალდების საქმის თორმეტი მღვდელმთავრის მიერ განხილვის თაობაზე. რაც შეეხება II მსოფლიო კრების კანონებს, მე-6 კანონი მართლაც ადგენს, რომ ეპისკოპოსის საქმეს კრებული იხილავს: „ამათ [ე.ი. ბრალმდებლებს] უბრანებს წმიდად კრებად პირველად, რათა ყოველთა მის სამთავროდას ეპისკოპოსთა წინაშე წარმოთქუნენ შესმენანი და მათ წინაშე ემხილენ ბრალეულობანი თვისნი მიზეზიანსა მას ეპისკოპოსესა“⁵⁶.

ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი ამ კანონის კომენტირებისას აღნიშნავს: „სიტყვა „დიოცეზი“, როგორც ეს ნიკეის კრების კანონებისა და ამ კრების მე-2 კანონის განმარტებებიდან ვიხილეთ, შეესაბამება ამჟამინდელ საპატრიარქოს ცნებას და, ამდენად, დოზეცური კრება შეესაბამება საპატრიარქო კრებას, რომლის წევრებიც არიან ყველა საპატრიარქოს მიტროპოლიტი და ეპისკოპოსები პატრიარქის თავმჯდომარეობით. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ყველა მიტროპოლიტი – კრებელი, პერაკლიელი, თესალონიკელი და კიდევ სხვა სამოცდათვრამეტი, მათზე დაქვემდებარებული ეპისკოპოსებით, ერთად შეადგენენ ერთ დიოცეზს, რომლის სათავეშიც კონსტანტინოპოლის პატრიარქი დგას და ყველა ერთად შეპრებილნი წარმოადგენენ დიოცეზურ (საპატრიარქო) კრებას“⁵⁷. როგორც ვხედავთ, გაერთიანებულ საპატრიარქო კრებაზე მოიწვევა 12-ზე ბევრად მეტი მღვდელმთავარი, ანუ სრული შემადგენლობა კონსტანტინოპოლის ეკლესიის ეპისკოპატისა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეპისკოპოსი ფელიქსი კართაგენის საეკლესიო კრებაზე ამბობს, რომ ეპისკოპოსის საქმე უნდა განიხილოს (ა) კრებამ, ხოლო ეს თუ არ ხერხდება, მაშინ (ბ) თორმეტმა ეპისკოპება. ამ კანონის უკეთ განსამარტად უნდა გავიხსენოთ კონსტანტინოპოლის ადგილობრივი ეკლესიის ტრადიცია, კერძოდ 12-კაციანი სინოდალური მმართველობა. პ. ბუმისის მიხედვით, 1860 წელს გამოქვეყნდა „საყოველთაო წესები“, რომლის თანახმადაც დამტკიცდა საპატრიარქო კრების მოწვევა პატრიარქისა და თორმეტი მღვდელმთავრის შემადგენლობით. ეს მღვდელმთავრები კრებაში აირჩეოდნენ 2 წლის ვადით⁵⁸ მართლაც, დღესაც, კონსტანტინოპოლის ადგილობრივი ეკლესია შედგება 50-ზე მეტი ეპარქიისაგან⁵⁹, მაგრამ წმინდა სინოდში შედის მხოლოდ 12 მღვდელმთავარი⁶⁰ სხვათა შორის, ანალოგიური ვითარებაა მოს-

⁵⁵ დიდი სჯულისკანონი, გვ. 295

⁵⁶ იქვე, გვ. 263

⁵⁷ ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი (მილაში), დასახ. ნაშრომი, გვ. 240

⁵⁸ პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 153

⁵⁹ იხ. <http://www.patriarchate.org/patriarchate/jurisdiction/administration/dioceses>

⁶⁰ იხ. <http://www.patriarchate.org/patriarchate/jurisdiction/administration/synod>

კოვის საპატრიარქოშიც.⁶¹ რაც შეეხება საქართველოს საპატრიარქოს, ჩვენთან განსხვავებული ვითარებაა: საეკლესიო კრება და წმინდა სინოდი იდენტურია, ხოლო წმ. სინოდის წევრებად ითვლებიან ეპარქიათა მოქმედი მღვდელმთავრები.⁶² ამიტომაც, თანახმად ამავე თავის §7-ისა, „წმ. სინოდი არის პირები და უკანასკნელი ინსტანცია საქართველოს ეკლესიაში, რომელიც უფლებამოსილია გაასამართლოს მღვდელმთავარი, განისილოს მისი მოღვაწეობის დოგმატური და კანონიკური ცდომილება.“ ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, როგორც ისტორიულად, ისე დღეს მოქმედი საეკლესიო წესებით, ეპისკოპოსს განსჯის ეპისკოპოსთა კრება, წმ. სინოდის ან საეკლესიო კრების სახით.

4. საგანგებო წესები განსჯადობასთან დაკავშირებით

4.1. ზემდგომი იერარქიისადმი მიმართვა

II მსოფლიო კრების მე-6 კანონით დადგინდა, რომ „თუ სამთავროს (ეპარქიის) ეპისკოპოსები ვერ გადაწყვეტენ ეპისკოპოსის ბრალდების საქმეს, ვერ გაასწორებენ ბრალდებულს, მაშინ მათ უნდა მიმართონ დიდ კრებას“. მართალია, ამ კანონში საუბარია მხოლოდ ეპისკოპოსის საქმის განსჯადობის თაობაზე, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს წესი უნდა გავრცელდეს მღვდელთა, დიაკონთა და მორწმუნე ერისკაცთა საქმეებზეც. ეკლესიის ისტორიის მანძილზე არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც ეკლესიის გამორჩეულ მოღვაწეებს ეპისკოპოსები მიმართავდნენ ეპისტოლებით, სადაც თხოვდნენ კონკრეტულ განმარტებებს შეცოდებებთან დაკავშირებით და სასჯელის ზომასაც კი. დიდი სჯულისკანონის მეოთხე ნაწილი – ეპისტოლარული კანონები სწორედ რომ ამ პრინციპით არის შედგენილი. ჩვენ ეს წესი საგანგებო წესებად ჩავთვალეთ და გამოვყავით სწორედ იმიტომ, რომ ამ სახით განმხილველი მღვდელმთავარი საქმის გარემოების თაობაზე რეალურად პოზიციას იყალიბებდა სხვა ეპისკოპოსის მოსაზრების გათვალისწინებით. მეტიც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამგვარი ქმედებით ფაქტობრივად ეპისტოლის ადრესატი განიხილავდა საქმეს და მისი განსჯის ქვეშ ექცეოდა ეპისტოლით გათვალისწინებული საქმე.

განსჯადობის თაობაზე უმსჯელია 1762 წლის 20 დეკემბერს მოწვეულ საეკლესიო კრებას და საეპისკოპოსოთა მართვის კრების დადგენილების მე-3 კანონით განისაზღვრა, რომ „თუ წმიდათ ეპისკოპოსთ თქვენთა სამწყსოთა შინა ურჩი ვინმე გყვანდესთ, ჩვენ მოგვაჭისნოთ; და ეგვიპტორთა ჩვენ დაგსჯით“.⁶³

ამ მხრივ საინტერესოა 1771 წლის 9 მარტით დათარიღებული ანტონ I-ის წიგნი ნეკრესელი ეპისკოპოსისადმი, სადაც კათალიკოსი აღნიშნავს, რომ „თქვენს ყოვლად სამღვდელოებას სათივიდამ გარდავარდნით წამხდარის დედაკაცისა რომელიმე სჯულიერი საქმეები ეკითხა“.⁶⁴ როგორც წერილი-

⁶¹ რესეტის მართლმადიდებელი ეკლესიის დებულების V თავის მე-2 პუნქტს თანახმად, რმების წმინდა სინოდი შედგება პატრიარქის, 7 მედმივი და 5 არჩევითი ეპისკოპოსისაგან. იხ. <http://www.patriarchia.ru/db/text/133126.html>

⁶² იხ. მართვა-გამგეობის დებულება, თავი II, §§1-3

⁶³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 848

⁶⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 890

დან ირკვევა, ნეკრესელ მღვდელმთავარს მიუწერია კათალიკოსისადმი ვინმე ცოლ-ქმრის საკითხი. საქმის არსი ყოფილა ის, რომ ცოლს ამ გადმოვარდნის გამო მიუღია გარკვეული დაზიანებები, რის გამოც მისი მეუღლე განქორწინებას და სხვა ქალის მოყვანას გეგმავდა. ნეკრესელმა მღვდელმთავარმა, ჩანს, დამოუკიდებლად ვერ გადაწყვიტა საქმე და კითხვით მიმართა კათალიკოსს. ანტონ I თავის ეპისტოლეში ჯერ განუმარტავს ნეკრესელს საქმის არსს და დასძენს, რომ „ესთა მიზეზ-თათვის არ შესაძლებელ არს ქმრისა მიერ დატევებად დედაკაცი იგი.“⁶⁵ ხოლო შემდეგ იმპერატიულად უთითებს ნეკრესის ეპისკოპოსს, რომ „უკეთუ დედაკაცი სხუა მიეყუანოს ქორწინებით, უნდა გააშუებინოთ ცოლი იგი კაცსა მას, რამეთუ არა სჯულიერ არს ქორწინება იგი“.⁶⁶

4.2. სხვა მღვდელმთავრისათვის მიმართვა

შესაძლებელია, რომ საქმის განხილვა დაევალოს სხვა მღვდელმთავარს როგორც ერთჯერადი, ისე მრავალჯერადი გამოყენების განჩინებით. საბედნიეროდ, ქართული საეკლესიო სასამართლო პროცესის პრაქტიკაში გვაქვს ორივე შემთხვევის მაგალითი:

1740-1741 წწ. დომენტი კათალიკოზის წიგნში მროველისა და ურბნელის სამწყსოს საქმეზე მოთხოვნილია, რომ საქმე განუხილავთ მცხეთის მთავარეპისკოპოსს და ტფილელ მიტროპოლიტს, ხოლო კათალიკოსი თავისი წიგნით იწონებს ამ განჩინებას. განჩინებაში მოკლედ არის მითითებული, რომ „ჩვენ არ შეგვეძლო“ საქმის განხილვაო. ⁶⁷ წიგნის ბოლოს კათალიკოსი დასძენს, რომ თუ დასჯერდნენ თქვენს განჩინებას, ხომ კარგიო, „თუ არა, ორთავ კელი ააღებინეთ, წიგნებიც გამოართვით და ჩვენთვის სახსრათ კელი ამართეთ; არცერთს კელი აღარა ჰქონდეს“.⁶⁸

კათალიკოსის ამ წიგნის მეორე გვერდზე მოთავსებულია განაჩენი, მცხეთელი მთავარეპისკოპოსისა და ტფილელი მიტროპოლიტის ხელ-თვებით. სწორედ ამ განაჩენიდან ირკვევა, რომ კათალიკოსის წინაშე წარდგენილი საჩივარი ამ ორ ეპისკოპოსს გადაეცა: „ბატონმა კათალიკოზმა ეს წიგნი ჩვენ, მთავარეპისკოპოზს ბატონს კირილესა და ტფილელ მიტრაპოლიტ ევთომეს გვიბოძა: სამართალი გასინჯეთ“-ო.⁶⁹

რაც შეეხება მრავალჯერადი გამოყენების წესს, ხელთ გვაქვს ანტონ I-ის 1771 წლის 18 დეკემბრის სამწყსოს საქმეთა განწესება, რომლის ბოლოს მიწერილია „უწმიდესი კუნი რომ მეორედ რუსეთს წაბდანდა და სამნი ეპისკოპოსნი თვისად მოადგილედ განგვაწესნა, იმისი წიგნი“.⁷⁰

განწესების პირველივე კანონში აღნიშნულია შემდეგი:

„ჩუენ მაგიერად ზედამხედველად განგვიწესებია: ყოვლად სამდგდელო მიტროპოლიტი სამთავროსა და გორისა ბესარიონ, ყოვლად სამდგდელო

⁶⁵ იქვე

⁶⁶ იქვე, გვ. 890

⁶⁷ იქვე, ტ. III, გვ. 762

⁶⁸ იქვე

⁶⁹ იქვე

⁷⁰ იქვე, გვ. 895

მიტროპოლიტი ტფილისისა მიხაილ, ყოვლად სამღვდელო ნინოწმიდელ მიტროპოლიტი და ათორმეტოა მონასტერთა არხიმანდრიტელი საბა, დეკანოზი ანჩისხატის ეკლესიისა გიორგი⁷¹ სავარაუდოა, რომ დეკანოზი გიორგი თანაშემწედ ჰყავს განჩინებული კათალიკოსს და იგი, ცხადია, სამღვდელმთავრო ფუნქციების შესასრულებლად არ დაუტოვებია. ამას ამჟარებს ზემომოყვანილი მინაწერიც, რომ „სამნი ეპისკოპოსნი თვისად მოადგილედ განგვაწესნა“, სადაც დეკანოზი გიორგი ნახსენები არ არის. მეორე კანონით განისაზღვრა ის უფლებამოსილებები, რაც გადაეცათ მღვდელმთავრებს და მათ შორის მითითებულია „საეკლესიო მსჯავრიც“: „და ამა ზემო წერილთათვის გვირწმუნებია ყოველივე სულიერი მსჯავრი, ყოველი საეკლესიო განგება და ყოველი მამობრივნი კანონი ყოვლისა მიმართ სამწყსოისა ჩვენისა და ჩვენი დიდი სამოციქულო ეკლესია მცხე-თისა და ტფილისისა, ქრისტეშობის ეკლესია და აქა დატევებული ჩუენი სამღვდელო კრებული“⁷².

განწესებანი ამის შემდეგ ადგენს სხვადასხვა უფლებამოსილებებს მღვდელმთავრებისათვის. ჩვენთვის საინტერესოა მე-13 კანონი, რომელიც განსაზღვრავს მღვდელმთავრების სრულ უფლებამოსილებას განსჯადობასთან დაკავშირებით:

„ჩუენ ჩვენის მღვდელმთავრობის გელმწიფება განჯსნისა და შეკრვისა ესეგვარი მიგვიციეს: ჩვენს სამწყსოში თუ ვინმე შერისხვისა, შეჩვენებისა და შეკრვის დირსად გამოჩნდეს, ჩვენის გელმწიფებით შერისხონ, შეა-ჩვენონ და შეკრან. და თუ შეკრული დირსად განჯსნისა, კურთხევისა და ნუგეშინისცემისა გამოჩნდეს, განხსნან, აკურთხონ და ნუგეშინისცენ ჩვენითვე გელმწიფებითა. ესრეთ ყოვლითურთ გელმწიფება გვიბოძებიეს ამა შეკრებულებისათვის“⁷³. ეს კანონი ადგენს რამდენიმე მნიშვნელოვან დებულებას: ზემოხსენებულ სამ მღვდელმთავარს კათალიკოსი (ა) აძლევს მართლმსაჯულების სრულ უფლებამოსილებას (მათ შორის, შეჩვენების უფლებასაც), (ბ) ასევე აძლევს მათ სრულ უფლებამოსილებას, რომ შეიწყალონ განკანონებულები და (გ) ყოველივე ეს გადაწყვეტილებები მათ უფლება აქვთ გამოიტანონ კათალიკოსის სახელით, ანუ მისი ხელისუფლების ძალმოსილებით.

4.3. წინამდღვრის მიერ საქმის განხილვის უფლებამოსილება

განსჯადობის საგანგებო წესებზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლებს ამ საკითხზე კერძოდ, პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონის XII თავის კანონი 45 ადგენს, რომ მონასტერში დავანებული მონაზვნების განკანონებას ახორციელებს მონასტრის წინამდღვარი, ხოლო თუ მისი არყოფნის შემთხვევაში – მის მიერ უფლებამოსილი მღვდელი⁷⁴ იქვეა მოცემული განმარტებაც: „რამეთუ გელსა შინა მღდლისასა არს შეკრვად და განჯსნაა“⁷⁵ საინტერესოა, რამდენად შეგვიძლია მოვიაზროთ მსგავსი ნორმა საერთო წესად ქრისტიანულ მონასტრებში? თუ გადავხედავთ მცირე

⁷¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 892

⁷² იქვე

⁷³ იქვე, გვ. 894

⁷⁴ იქვე, გვ. 67

⁷⁵ იქვე

სჯულისკანონში მოთავსებულ იოანე მმარხველის კანონების ექვთიმე მთაწმინდელისეულ კომენტარებს, დავინახავთ, რომ ღირ. ექვთიმე წინამდგრის მიერ მონაზონთა შეცოდებების განხილვის საკითხს, ჩვეულებრივად მიიჩნევს და მას არაერთგან იხსენიებს, სხვადასხვა კონტექსტში:

- (ა) „[...] ამის ყოვლისა გამოძიებად ჯერ არს მოძღვრისა მიერ უამისად და ჰასაკისად და ადგილისად და იძულებითისად და ფლობილობისად და მას ზედა მიცემად კანონისად“;⁷⁶
- (ბ) „გულისჯმა-ყოს მოძღვარმან ძალი მონაწილისად მის [...] და გულსმოდგინებად და მას ზედა მისცეს კანონი“;⁷⁷
- (გ) „უკუეთუ ვინმე წინამდღვარმან განკანონს სამართლად...“;⁷⁸
- (დ) „ნუ უამითა განიკითხავ და განაწესებ კანონსა მონაწილთასა [...] ჟ წინამდღვარ“.⁷⁹

შეგვიძლია თავისუფლად ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ წინამდგრის მიერ საქმის განხილვის უფლებამოსილებას დიდი სჯულისკანონის არცერთი ნორმა არ ადგენს, სულ ცოტა ქართული სინამდვილისთვის მონასტრის წინამდგრის მიერ საქმის განხილვა უცხო არ ყოფილა.

წინამდგვის მიერ მართლმსაჯულების განხორციელების დროს უდავოდ გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორი: მღვდელმსახური, რომელსაც აქვს სამღვდელო და არა სამღვდელმთავრო ქიროტონია არ არის უფლებამოსილი არც რომ ხელი დაასხას მღვდელს ან დიაკონს⁸⁰ და შესაბამისად, არც რომ განკვეთოს. ამდენად, იმგვარი საქმეების განხილვა, რომლის სასჯელად საეკლესიო კანონმდებლობით მღვდელმსახურის განკვეთა არის დადგენილი, ვფიქრობთ, ვერ შევა მონასტრის წინამდგრის კომპეტენციაში. სავარაუდოა, რომ აქ იმგვარი საქმეები იგულისხმება, რომლებიც არ ითვალისწინებენ ამგვარ სასჯელს.

5. აცილების საკითხი

ჩვენ მიერ განხილული კანონებიდან მხოლოდ ერთადერთში – კირილე ალექსანდრიელის 1-ლ კანონში არის მითითებული ამგვარი უფლების თაობაზე. კერძოდ, წმინდა მამა კირილე დომნოსისადმი მიწერილ ეპისტოლეში აღნიშნავს: „განისაჯენინ იგი [საუბარია ვინმე ეპისკოპოს პეტრეზე, დჩ.] ჩუეულებისაებრ წინაშე ღმრთისმსახურებისა შენისა თანამყოფობასა, ცხად-არს, ვითარმედ ჭელსა ქუეშე შენსა მყოფთა ღმრთისმოშიშთა ეპისკოპოსთასა, თუნიერ გარნა თუ ვიეთისამე არა ინებებდეს იგი, ვითარცა ვერ სრულიად მინდობილი სიყუარულისა მათისად. რამეთუ ჩუენ არცა ერთისა ვის ღმრთისმოყუარეთა ეპისკოპოსთაგანისა მმისა მიმართ ქონებად მტერობისად ვირწმუნოთ. ხოლო რათა არა მიზეზი ესე დამჯინელ იქმნეს მისთვის ყოფადისა მის მსჯავრისა ნაკლულევანად

⁷⁶ მცირე სჯულისკანონი, ე. გიუნაშვილის რედ., თბ., 1972, გვ. 103 (შემდგომშიც მცირე სჯულისკანონიდან ციტატები მოყვანილი იქნება ამ გამოცემიდან)

⁷⁷ იქვე, გვ. 109

⁷⁸ იქვე, გვ. 121

⁷⁹ იქვე, გვ. 123

⁸⁰ შეად. მოციქულთა 1-ლი და მე-2 კანონები, დიდი სჯულისკანონი, გვ. 216

რაღმე ქმნისა საგონებელ-ყოფითა, არა ჯერ-არს შესაკრებელსა მას შინა ყოფად მათი, რომელთა მიმართ აქუნდეს მას იჭვ რაღმე ესევითარი“.⁸¹ ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი ამ კანონის კომენტირებისას აღნიშნავს, რომ რამდენადაც ამ საქმის განხილვა ხდება პეტრეს სიბერისა და ცრემლების გამოო, შეიძლება დაშვებულ იქნეს, რომ მისი განსჯა განახორციელონ ეპისკოპოსებმა, რომელთა შორის არ იქნებიან ისინი, ვისზეც თავად პეტრეს ექნება მიკერძოებულობის თაობაზე ეჭვიო. „კირილე დასძენს ძალიან მნიშვნელოვან შენიშვნას, კერძოდ იმას, რომ მას არ სჯერა, რომ მოიძებნებიან ეპისკოპოსები, რომლებიც მტრულად იქნებიან განწყობილნი თავისი ძმა ეპისკოპოსის მიმართ, მაგრამ ეს ითქვა უბრალოდ საიმისოდ, რათა ბრალდებულს აღარ ჰქონდა შესაძლებლობა, რომ ედავა სასამართლოს მიკერძოებულობის გამო, თუკი კრებაზე ისხდებოდნენ მიკერძოებულობაში ეჭვმიტანილი ეპისკოპოსები“.⁸²

ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მართალია მცირედით და არა ზოგადი ნორმის სახით, მაგრამ მაინც არსებობს საეკლესიო კანონებში ნორმა, რაც ითვალისწინებს აცილებას განმსჯელი ეპისკოპოსის მიმართ ბრალდებულის მხრიდან, რის მოტივადაც წმინდა მამა ასახელებს უნდობლობას ბრალდებულის მიმართ სავარაუდო მტრობის გამო. სხვა მოტივებს აცილების თაობაზე, როგორც ვხედავთ, საეკლესიო კანონებში ვერ ვხვდებით. საგულისხმოა, რომ აცილება დადგენილია „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის (მოსკოვის საპატრიარქოს) საეკლესიო სასამართლოს შესახებ“ დებულების მე-9 მუხლით. კერძოდ, ამ მუხლის 1-ლი პუნქტი განსაზღვრავს, რომ საეკლესიო მოსამართლე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილების თაობაზე, თუკი იგი არის რომელიმე მხარის ნათესავი (მე-7 ხარისხამდე) ან მოკეთე (მე-4 ხარისხამდე) ანდა მას აქვს რაიმე უშუალო კავშირი რომელიმე მხარესთან.⁸³

⁸¹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 532

⁸² Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, დასახ. ნაშრომი, გვ. 525

⁸³ <http://www.patriarchia.ru/db/print/428440.html>

III. საქმის აღმგრა

საპროცესო მოქმედებები იწყება საქმის აღმვრით. ცხადია, საპროცესო ნორმების განხილვის დროს აუცილებელია გაიმიჯნოს სისხლის-სამართლებრივი და სამოქალაქო საქმეთა წარმოების დაწყება, მაგრამ რამდენადაც საეკლესიო კანონმდებლობა მკაფიოდ არ მიჯნავს ამ ორ დარგს, აგრეთვე იმის გამო, რომ დიდ სჯულისკანონში მოცემული საპროცესო ხასიათის ნორმები, როგორც წესი, შეეხება სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებას, ჩვენ მიერ სადისერტაციო ნაშრომში განხილული იქნება ძირითადად სისხლის სამართლის საქმის წარმოება საეკლესიო სასამართლოში.

კანონიკური ნორმების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქმის აღმვრის რამდენიმე საფუძველი არსებობს. ჩვენ ისინი პიროვნებითად ოთხ ჯგუფში გავაერთიანეთ. ეს ჯგუფები მოიცავს როგორც შესაბამის ნორმატიულ ნაწილს, აგრეთვე მათ კომენტარებსა და, თუკი ხელთ გვაქვს, სასამართლო პრაქტიკის ნაწილს. უნდა ითქვას, რომ მსოფლიო საეკლესიო კრებების საქმეებსა და ქართული საეკლესიო სასამართლოს განხინებებში უდავოდ ბევრი საინტერესო მაგალითი არსებობს განსახილველ საკითხთან მიმართებაში.

საგულისხმოა, რომ პროფ. პანაიოტის ბუმისის მოსაზრებით, საეკლესიო სასამართლო საქმე სამ შემთხვევაში იწყება:

- ა) იმ უწყების სახით, რომელსაც უგზავნის შეცდომილ სასულიერო პირს მეორე სასულიერო პირი ან საერო პირი;
- ბ) საეკლესიო შეცოდების ჩამდენი სასულიერო პირის პირადი განაცხადის, ანუ აღსარების სახით;
- გ) იმ ეპისკოპოსის პირადი თაოსნობით, რომელიც იწვევს შეცდომილ სასულიერო პირს თავის გასამართლებლად.⁸⁴ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ბატონი ბუმისის ამგვარ დაყოფას, რადგან რეალურად, პირველი და მესამე მაინც „ბრალდების“, ანუ სხვის მიერ მხილების კატეგორიაში გადის და უფრო მისი ქვეპატეგორიებია, ხოლო რაც შეეხება მეორე შემთხვევას, მას ჩვენც ვეთანხმებით. აგრეთვე აღსანიშნავია ისიც, რომ პროფ. ბუმისი აქ არ საუბრობს საერო პირის შეცოდებაზე, რომლის წინააღმდეგაც, ცხადია, შეიძლება აღიძრას საქმე. საგულისხმოა, რომ რუსეთის საეკლესიო სასამართლოს დებულების 33-ე მუხლიც იცნობს საქმის აღმვრის მხოლოდ ორ საფუძველს.⁸⁵

საქმის აღმვრისათვის აუცილებელია, რომ არსებობდეს საფუძვლიანი ეჭვი საეკლესიო სამართლის სუბიექტის მიერ⁸⁶ შეცოდების ჩადენის თაობაზე. შეცოდება ჩვენ გავმიჯნეთ ცოდვისაგან და იგი ვუწოდეთ საეკლესიო დანაშაულს: „შეცოდება არის ისეთი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია საეკლესიო კანონებში, როგორც დვოის მცნების დარღვევა და მისთვის გათვალისწინებულია საეკლესიო სასჯელი. სამართლებრივი თვალსაზრისით, შეცოდება უნდა განვასხვავოთ ცოდვისგან.“

⁸⁴ პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 167

⁸⁵ <http://www.patriarchia.ru/db/print/428440.html>

⁸⁶ ამის თაობაზე იხ. ჩვენი განმარტება საეკლესიო სამართლის სუბიექტთა შესახებ: დ. ჩიკვაიძე, საეკლესიო სამართლი (ლექციების კურსი), თბ., 2008, გვ. 64

ცოდვა არის დვთის მცნების ყოველი დარღვევა, თვით ბოროტი ფიქრიც კი. ხოლო რაც შეეხება შეცოდებას, მას თავისი მნიშვნელობის გამო ენიჭება საშიში ცოდვის (სახელი პირობითია, დ.ჩ.) ხარისხი, ამიტომაც მისთვის უკვე საეკლესიო სასჯელია გათვალისწინებული. მაგალითის-თვის მოვიყენოთ მარხვის დარღვევა. იგი წარმოადგენს ცოდვას, ვინაიდან ეს მოქმედება მარხვის დაცვის სავალდებულობის შესახებ დვთის მცნებას ეწინააღმდეგება. ხოლო თუ ასეთმა მოქმედებამ ქრისტიანის მხრიდან რეგულარული ხასიათი მიიღო, მაშინ ეს უკვე იქნება შეცოდება, რისთვისაც საეკლესიო კანონებით გათვალისწინებულია სასჯელი. ცხადია, ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ შეცოდება პირდაპირ არის ცოდვის პრეიუდიცია, თუმცა კი, რაღაც გაგებით მსგავსი შეიძლება იყოს“.⁸⁷

1. აღიარება, როგორც საქმის აღმვრის საფუძველი

ეკლესიაში ქრისტიანთათვის დაწესებულია აღსარების საიდუმლო, რომელიც ერთ-ერთია შვიდ საიდუმლოთაგან. აღსარების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ქრისტიანი აცნობიერებს რა მის მიერ ჩადენილი ქმედებების ანტიკანონიკურ და დვთის საწინააღმდეგო ხასიათს, ნანობს მას და აღიარებს ამას სულიერი მოძღვრის წინაშე. თუკი ქრისტიანის ქმედება შეიცავს შეცოდების ნიშნებს, ცხადია, ეს შეიძლება გახდეს საქმის წარმოების დაწყების საფუძველი.

აღიარების საკითხის განხილვის დროს ყურადსაღებია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: აღსარების დროს წარმოთქმული ცოდვა არ შეიძლება გახდეს საქმის დაწყების საფუძველი აღსარების მიმღები მღვდლის მიერ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღსარების შედეგად შეტყობილი შეცოდების შესახებ მღვდელი არ არის უფლებამოსილი და მეტიც, კარგალება, რომ იყოს ბრალმდებელი. ხოლო რაც შეეხება იმას, თუ ამგვარი რამ მაინც მოხდება, იგი განეკუთვნება მძიმე შეცოდებათა რიცხვს.⁸⁸

აღიარების საფუძველზე საქმის დასაწყებად, როგორც ამას პროფ. ბუმისი წერს, სჭირდება წერილობითი განცხადება, სადაც ჩამოყალიბებული იქნება პირის მიერ ჩადენილი შეცოდება. ამგვარ ქმედებას, გარდა თავისი სულიერი მხარისა, აქვს საპროცესო მნიშვნელობაც, რადგან აღიარების საფუძველზე დაწყებული საქმის წარმოება მარტივია (იხ. ამ ნაშრომის IV თავის მე-2 ქვეთავი), განაჩენის გამოტანის დროს წარმოადგენს შემამსუბუქებელ გარემოებას⁸⁹ და შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სასჯელის აღსრულების პერიოდში.

ჩვენ მიერ განხილული სასამართლო პრაქტიკაში არ შეგვხვედრია ისეთი განჩინება, რომელიც აღიარების საფუძველზე დაწყებული წარმოების შედეგი იყო. სავარაუდოდ, ამის მიზეზია ის, რომ, როგორც ზემოთაც

⁸⁷ იხ. დ. ჩიკვაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 128

⁸⁸ პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 161

⁸⁹ მაგ. ბასილი დიდის 61-ე კანონი: „მპარავმან უაუეთუ თუთ შეინანოს და შეასმინოს თავი თავსი ერთსა ოდენ წელიწადსა დაყენებულ იქმნეს ზიარებისაგან სიწმიდეთავსა, ხოლო უაუეთუ სხეუათა მიერ კმხილოს, ორსა წელიწადსა“ (დიდი სჯულისკანონი, გვ. 493).

აღინიშნა, აღიარების დროს საქმის წარმოება ბევრად მარტივია და შეიძლება ისეც სრულდებოდა, რომ განჩინება ცალკე დოკუმენტის სახით არ დგებოდა.

2. ბრალდება, როგორც საქმის აღმგრის საფუძველი

საეკლესიო სამართლის პროცესში საქმის აღმგრის ყველაზე გახშირებული საფუძველი არის ბრალდება. საეკლესიო პროცესის ხასიათთან მიმართებაში ზოგადად გასათვალისწინებელია ეპ. ნიკოდიმოსის მოსაზრება, რომ „პროცესის ორი სახიდან, კანონებში, გვხვდება ისეთი, რომლებიც იწყება რამე ბრალდებით“.⁹⁰ საეკლესიო ბრალდება გულისხმობს იმას, რომ საეკლესიო სამართლის სუბიექტის მიმართ განსჯადობის უფლებამოსილების მქონე საეკლესიო ორგანოში ხდება ცნობის წარდგენა ამავე სუბიექტის მიერ შეცოდების ჩაობაზე.

2.1. ბრალდების ორი სახე

საგულისხმოა, რომ საეკლესიო კანონებით ბრალდება შინაარსის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: საეკლესიო და საერო ბრალდებად.⁹¹ ეპ. ნიკოდიმოსი საუბრობს რა საეკლესიო სამართალწარმოების ისტორიულ განვითარებაზე, აღნიშნავს, რომ „პირველი საუკუნეების კანონიკურ წყაროებში შიდა საეკლესიო საქმეებთან დაკავშირებული საეკლესიო საქმეებისათვის მითითებულია საეპისკოპოსო სასამართლო, როგორც თვითმყოფადი და ჩვეულებითი, ხოლო კერძო ხასიათის საქმეებისათვის – სამედიატორო სასამართლო (jus arbitrii)“.⁹² როგორც ჩანს, იმ პერიოდისათვის ქონებრივ და სხვა საერო ხასიათის დავებს „კერძო ხასიათის“ დავებად მოიხსენიებდნენ, ხოლო რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეს, მას, შინაარსიდან გამომდინარე, ან საეკლესიო სასამართლო განიხილავდა, როგორც საეკლესიო საქმეს, ან კიდევ თუკი ეპლესია დანაშაულად არ ჩათვლიდა – საერო სასამართლო, რაც გასცდებოდა ეკლესიის კომპეტენციას.

ჩვენი მოსაზრებით კი, საერო ბრალდება გულისხმობს იმას, რომ ბრალდების შინაარსი არის საერო-სამართლებრივი, აღნიშნულის თაობაზე სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილია შესაბამისი ნორმები და იგი არ ეხება ეკლესიის სწავლებისა თუ შიდა მოწყობის საკითხებს. II მსოფლიო კრების მე-6 კანონით დადგენილია, რომ „უკუეთუ ვინმე თუსსა რასმე საჩივარსა, ესე იგი არს თუსსა სიგლახაკისასა და სოფლურსა დასდებდეს ეპისკოპოსსა ზედა, ვითარცა მიხუეჭილი, ანუ სხუებრ ვითამე თუნიერ სამართალისა ვნებული მისგან ესევითართა შესმენათა ზედა, ნუმცა გამოიძიების ნუცა პირი შემასმენელისა, ნუცა ვითარებად სარწმუნოებისა, რამეთუ მაშინ ყოვლითა სახითა თავისუფალ-ყოფად უგმს სკნდისისა ეპისკოპოსისასა და მიმდლავრებულებისა თუსისა მჭუარსა მას სარწმუნოდ შერაცხილება, რომლისადცა იყოს იგი სჯუ-

⁹⁰ Никодимъ, Еп. Далматинскій, Д-ръ Богословія, Православное Церковное право, переводъ съ сербскаго Милана Петровича, СПб, 1897, гл. 480

⁹¹ იხ. კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრების მე-6 კანონი, დიდი სჯულისკანონი, гл. 261-263

⁹² Никодимъ, Православное Церковное право, დასახ. ნაშრომი, гл. 477

ლისა და სარწმუნოებისად“.⁹³ ამდენად, ამ კანონით განისაზღვრა, რომ არასარწმუნოებრივ საკითხებზე მართლმადიდებელი ქრისტიანის მიმართ ბრალდების წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ ადამიანს. აქ, მართალია, არ არის აღნიშნული, მაგრამ ჩვენი მოსაზრებით იგულისხმება პირთა ის წრე, რომლებსაც საერო კანონმდებლობა ნებას რთავს, იყვნენ ბრალ-მდებლები ან მხარეები სასამართლო პროცესზე. მცირეწლოვნები, შეურაცხადები და საპროცესო უფლებაჩამორთმეული სხვა პირები, ცხადია, თვით არასარწმუნეობრივი თემატიკის ბრალდების წარმდგენებიც ვერ იქნებიან.

რაც შეეხება საეკლესიო ბრალდებას, მისი ამომწურავი განმარტება არ არის მოცემული სჯულისკანონში, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „საეკლესიო ბრალდება გულისხმობს იმას, რომ შესმენა (ბრალდება) უნდა ხდებოდეს საღვთისმეტყველო, სარწმუნოებრივ ან ეკლესიოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით, ანუ ისეთებზე, როგორიცაა, მაგალითად წირვის არასწორი ჩატარება (მოც. მე-3 კანონი), უდირსად ჭელლდასხმა (ნიკ. I კრ. მე-9 კანონი), მწვალებლობა და ეკლესიისგან განდგომა (კონსტ. 1-ლი კანონი) და ა.შ“.⁹⁴

ამ დაყოფას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საპროცესო თვალ-საზრისით, რადგან იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა საეკლესიო ხასიათის ბრალდება, კანონიკური ნორმები მკაცრად განსაზღვრავენ იმ პირთა წრეს, ვის მიერ არ შეიძლება იქნეს ამგვარი ბრალდება წარდგენილი: „ხოლო უპუეთუ საეკლესიო იყოს ეპისკოპოსსა ზედა მოღებული იგი ბრალობად, მაშინ გამოწულილვად სათანადო არს და განცდად პირებსა შემასმენელთასა“.⁹⁵

2.2. პირები, რომელთა საეკლესიო ბრალდება არ მიიღება

2.2.1. მწვალებელი

თანახმად მოციქულთა 75-ე კანონისა, „შესმენისათვის ეპისკოპოსისა წამებად მწვალებელისად ნუმცა შეწყნარებულ არს“.⁹⁶ იგივე შინაარსია გადმოცემული II მსოფლიო კრების მე-6 კანონშიც: „მწვალებელი არა შეწყნარებულ იქმნენ შემასმენელად მართლმადიდებელისა ეპისკოპოსისა საეკლესიოთა საქმეთათვის“.⁹⁷ ამ საკითხს აწესრიგებს, აგრეთვე, კართაგენის 129-ე კანონი, რომელიც ვრცელ ჩამონათვალს აკეთებს იმ პირებისა, რომელთა ბრალდება არ შეიძლება იქნეს მიღებული და მათ რიცხვში მოიხსენიებს მწვალებლებსაც.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ მიიჩნევა მწვალებლად. II მსოფლიო კრების მე-6 კანონი მოკლედ განმარტავს ამ პირთა კატეგორიას: „მწვალებელად უწესო ძუელვე საღვე განყრილთა ეკლესიისაგან და შემდგომად ამისსა ჩუენ მიერ შეჩუენებულთაცა“.⁹⁸ საინტერესოა ბასილი დიდის 1-ლი კანონი, რომელიც წარმოადგენს ამფილოქე იკონიელისადმი მიწერილი ეპის-

⁹³ დიდი სჯულისკანონი, გვ. 262

⁹⁴ დ. ჩიკვაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 128

⁹⁵ დიდი სჯულისკანონი, II მსოფლიო კრების მე-6 კანონი, გვ. 262

⁹⁶ იქვე, გვ. 224

⁹⁷ იქვე, გვ. 262

⁹⁸ იქვე

ტოლის ნაწილს, სადაც წმინდა მამა ჩამოთვლის იმ მოძღვრებებს, რომლებსაც ეკლესია მიიჩნევს მწვალებლობად.⁹⁹ პროფ. ბუმისი იძლევა კანონიკურ განმარტებას, თუ რა შემთხვევაში მიიჩნევა კონკრეტული მოძღვრება მწვალებლობად: „იმისთვის, რომ ესა თუ ის აღმსარებლობა, კვალიფიცირებულ იქნას, როგორც მწვალებლობა, აუცილებელია: ა) მცდარი აღმსარებლობის წარმოჩენა ან განცხადება, გინდა წერილობით, გინდა სიტყვიერად, გინდა საქმით, ანდა სარწმუნოების ამა თუ იმ არსებითი ელემენტის მიზანდასახული უგულებელყოფა („გარდაქცევა“). უბრალო აზრები, რომლებსაც იწვევენ, ვთქვათ, ახალგაზრდული მშფოთვარება, ან უჭვები, არ წარმოადგენენ მწვალებლობის დამადასტურებელ კანონიკურ შეცოდებას. ბ) მწვალებელს შეგნებული უნდა ჰქონდეს განსხვავება საკუთარ სიბრძნისმეტყველებასა და საეკლესიო სწავლებას შორის. ამის გამო, შეცდომილის განკითხვამდე საჭიროა მისი გამოკითხვა, რათა ცხადი გახდეს, რწმენითაა მისი მოსაზრებები განპირობებული თუ უმეცრებით. გ) მწვალებელი დაუინებით დადგრომილ უნდა იყოს თავის აზრზე, თავგამოდებით უნდა იცავდეს მას და არ ემორჩილებოდეს პასუხისმგებლობით აღჭურვილ საეკლესიო მთავრობას. დასასრულ, დ) ამა თუ იმ სიბრძნისმეტყველების („სიცრუისმეტყველების“) მწვალებლობად კვალიფიცირებისათვის კომპეტენტურია ეკლესია, რომელიც სადმრთო წერილისა და პასუხისმგებლობით აღჭურვილი საეკლესიო გადმოცემის საფუძველზე იკვლევს შესაბამის საკითხს“.¹⁰⁰ საინტერესოა, ბუმისისვე შენიშვნა, რომელიც მწვალებლობასთან დაკავშირებით აქვს გაკეთებული სხვაგან: „რასაკვირველია, მათაც, რომლებიც არ არიან განკვეთილნი, რაკი ასწავლიან და ქმნიან კიდევაც მწვალებლობას (ერესს), შეიძლება ეწოდოს მწვალებლები (ერებიკოსები). მხოლოდ გამოთქმას, რომ ისინი მწვალებლები არიან, გარკვეულწილად იქნებ მოვერიდოთ, მანამ, სანამ ეკლესია სინოდური წესით არ დაადგენს ამას“.¹⁰¹ როგორც ვხედავთ, ბუმისი საუბრობის ძირითადად იმის თაობაზე, თუ რა შემთხვევაში ითვლება კონკრეტული საეკლესიო მოძღვრება მწვალებლობად. აღნიშნულის გათვალისწინებით, მწვალებლად კონკრეტული პირი უნდა მივიჩნიოთ მაშინ, როდესაც იგი სრული გაცნობიერებით, განცხადებულად და დადასტურებულად მიაკუთვნებს თავს ამგვარ მწვალებლურ ეკლესიას ან თავად ქმნის ან ქადაგებს მსგავსი შინაარსის მოძღვრებას. რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც სახეზეა პირის მწვალებლური იდეები, მაგრამ სინოდური წესით არ არის დადასტურებული მის მიერ ერესის ქადაგება, ასეთი პირები, ჩვენი აზრით, განექუთვნებიან განდგომილთა ჯგუფს (იხ. შემდეგი ქვეთავი).

2.2.2. განდგომილი

II მსოფლიო კრების მე-6 კანონი, სადაც საკმაოდ დეტალურად არის აღწერილი საეკლესიო სამართლის პროცესის საკითხები, ადგენს, რომ ბრალმდებლად არ მიიღებიან, რომელნიც „გამოხეთქილ არიან და წინააღმდეგომად კრება-პყოფენ და კანონებრივთა ეპისკოპოსთა წინაგანეწყობვიან“.¹⁰² განხეთქილება, ანუ სქიზმა წარმოადგენს ერთ-ერთ მძიე შეცოდებას და გულისხმობს იმას, რომ სქიზმის მომწყობნი, მართა-

⁹⁹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 472-473

¹⁰⁰ პ. ბუმისი დასახ. ნაშრომი, გვ. 203

¹⁰¹ იქვე, გვ. 84, მე-8 სქოლით

¹⁰² დიდი სჯულისკანონი, გვ. 262

ლია, განსხვავებით მწვალებლობისაგან, ინარჩუნებენ მართლმადიდებლურ დოქტრინას, მაგრამ გამოდიან ეკლესიის უზენაესი კანონიერი იერარქიის დაქვემდებარებიდან და გარკვეული სუბიექტური ოუ ობიექტური მიზეზის გამო ცალკე აყალიბებენ ეკლესიას. „სქიზმა ეწოდება ორგანიზებულ უარყოფას ეკლესიის კანონიკური წყობისა და მმართველობისადმი მორჩილებისა და ეკლესიისგან მის წევრთა ერთი ნაწილის გამოყოფას საკუთარი რელიგიური საზოგადოებრიობის დაარსებით. განყოფის დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ იგი, ჩვეულებრივ, ყალიბდება ერთი ან ერთზე მეტი ეპისკოპოსისაგან, სამღვდელო და საერო პირებთან ერთად“.¹⁰³ როგორც ვხედავთ, ბუმისი სქიზმას უკავშირებს სულ ცოტა ერთი ეპისკოპოსის განდგომას ეკლესიის დაქვემდებარებიდან, რადგანაც, როგორც ზემოთაც ადინიშნა, სასულიერო პირთაგან მხოლოდ ეპისკოპოსია აღჭურვილი სრული სამოციქულო და სამღვდელმსახურო მადლმოსილებით. ჩვენი აზრით, განდგომილად მოიაზრება, აგრეთვე, ის სამღვდელო ან საერო პირიც, რომელიც უკვე არსებულ სქიზმატურ დაჯგუფებაში გადადის და უარს ამბობს საკუთარი კანონიკური იერარქიისადმი მორჩილებაზე. სქიზმის განხილვასთან დაკავშირებით უდავოდ საგულისხმოა კონსტანტინოპოლის ორგზისი კრების მე-15 კანონი: „რომელთა წმიდათა კრებათა და მამათა მიმართისა რახსმე განწვალებულებისა მისისათვის განყვნენ თვენი თვესი ზიარებისაგან მღვდელმთავრისა თვესისა, ცხად არს, ვითარმედ რაჟამს მან წვალებად იგი საეროდ ქადაგოს და დაუბურველითა თავითა ეკლესიასა შინა ასწავოს, ეგვითარნი იგი არა ხოლო კანონთამიერისა განკანონებისაგან თავისუფალ არიან, რომელთა უწინარეს საკრებოსა განხინებისა განაშორნენ თვენი თვესი ზიარებისაგან ეპისკოპოსად სახელდებულებისა მის, არამედ ვითარცა მოშურნენი მართლმადიდებლობისანი პატიგსაცა ჯეროვნისა ღირს იქმნენ, რამეთუ არა ეპისკოპოსი, არამედ ცრუ ეპისკოპოსი და ცრუ მოძღუარი განიკითხეს და არა განხეთქილებითა დაჭრეს ერთობად ეკლესიისად, არამედ განხეთქილებათა და განყოფილებათაგან ჭინად ეკლესიისად ისწრაფეს“.¹⁰⁴ ამდენად, როდესაც ეკლესიის წევრი განდგომილია თავისი ეპისკოპოსისაგან სწორედ იმის გამო, რომ მიიჩნევს მის მიერ წარმოთქმულ ქადაგებებსა და სწავლებას ეკლესიის მართლმადიდებლური რწმენის საწინააღმდეგოდ, ასეთ შემთხვევაში მას, როგორც ეკლესიის ერთობისაკენ მოსწრავეს, როგორც ამას ზემომოყვანილი კანონი ამბობს, უნდა მიეცეს უფლება წარადგინოს ბრალდება, მით უფრო, თავისი ეპისკოპოსის წინააღმდეგ. ეპ. ნიკოდიმოსი ამ კანონის კომენტირებისას ადნიშნავს, რომ ეკლესიის წევრს უნდა ჰქონდეს ორი წინაპირობა საიმისოდ, რომ თავისი ეპისკოპოსი მიიჩნიოს მწვალებლად და შესაბამისად, მიეცეს მას უფლება, რომ კანონიერად განუდგეს მას:

„ა) ქადაგებს სწავლებას, რომელიც ღიად ეწინააღმდეგება კათოლიკე ეკლესიის სწავლებას და უკვე განსჯილია წმ. მამათა ან კრებების მიერ და არა კერძო რაიმე აზრი, რომელიც შეიძლება ვიდაცას უმართებულოდ მოეჩენოს და განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭება მას, რამდენადაც იოლად შეიძლება მისი გამოსწორება, წინასწარგანზრახვით არამართლმადიდებლობაში ბრალდების გარეშე;“

¹⁰³ პ. ბუმისი დასახ. ნაშრომი, გვ. 203

¹⁰⁴ დიდი სჯულისკანონი, გვ. 445

ბ) თუ ცრუსწავლება მის მიერ იქადაგება დიად და საჯაროდ ეკლესიაში მაშინ, ე.ო. იგი უკვე კარგად არის მოფიქრებული და მიმართულია ეკლესის აშკარა საწინააღმდეგოდ, და არ არის მხოლოდ კერძო სახით წარმოთქმული“.¹⁰⁵

ყოველივე აღნიშნულის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზოგადად, სქიზმის მომწყობს ან სქიზმატურ დაჯგუფებაში მყოფ პირს ეკრძალება იყოს კანონიკური საპატრიარქოებისა და დიოცეზების სამღვდელო პირთა და მრევლთა ბრალმდებელი საეკლესიო ბრალდების საკითხებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიზეზი განდგომისა არის იერარქის მიერ დია და აშკარა უარყოფა მართლმადიდებლური რწმენისა და მოძღვრებისა.

2.2.3. უზიარებელი

კართაგენის 128-ე კანონის თანახმად ბრალმდებლად არ შეიძლება იქნეს მიღებული ის პირი, ვინც განკანონებულია უზიარებლობით: „ამისთვის განვაჩინებოთ მართლად მისსა არა შეწყნარებასა შემასმენლად, რომელი შემდგომად უზიარებელ-ყოფისა ჯერეთ მასვე კანონსა ქუეშე იყოს უზიარებლობისასა, გინათუ მოყუასი იყოს, გინა ერისკაცი, რომელსა ეგულებოდის შემასმენელობა“. ¹⁰⁶ აქ იგულისხმება ის პირი, ვის მიმართაც უკვე ძალაში არის შესული უზიარებლობით განკანონების განაჩენი. რაც შეეხება იმ პირთა წრეს, რომლებიც არ არიან აღებული მომენტისათვის უზიარებლობით დასჯილი, მაგრამ მათ მიმართ საქმე წარმოებაშია, რომლის სავარაუდო შედეგიც შეიძლება იყოს უზიარებლობა, თუკი დადასტურდება წარდგენილი ბრალდება, აწესრიგებს II მსოფლიო კრების მე-6 კანონი: „არცა რომელი თვთ შესმენილნი იყვნენ, მისათუალველ არიან შემასმენელად ეპისკოპოსისა ანუ სხვსა მღდელისა, ვიდრემდის არა უბრალოდ გამოაჩინენ თავნი თვსნი მათთვის თქუმულთა მათ ბრალობათაგან“.¹⁰⁷

2.2.4. ბოროტებაში მხილებული

კართაგენის მე-8 კანონში აღნიშნულია:

„ნუადიოს ეპისკოპოსმან მაქსულიტანისამან თქუა: არიან მრავალნი არა კეთილისა ქცევისა და ზრდილობისანი, რომელი პგონებენ, ვითარმედ ჯეროვან არს, ვითარცა დახუდეს შესმენად მამათა და ეპისკოპოსთა, ესევითართად ჯერ-არს შეწყნარებად, ანუ არა?“

ავრილიოს ეპისკოპოსმან თქუა: საოთო-უჩნსა სიუჟარულსა თქუენსა, რაოთა ხენეშთა საქმეთა თანა შეთხულნი ვინმე შემასმენელ უქმნებოდეს მამათა?

ყოველთა ეპისკოპოსთა მიერ ითქუა: უკუეთუ განქიქებული და სიბოროტესა ზედა შესწავებული იყოს, ეგევითარი იგი ნუმცა მითუალულ იქმნების“. ¹⁰⁸

¹⁰⁵ Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, фасб. №309

¹⁰⁶ დიდი სჯულისკანონი, გვ. 352

¹⁰⁷ იქვე, გვ. 262

¹⁰⁸ იქვე, გვ. 294

ეპ. ნიკოდიმოსი არ განმარტავს ამ კანონს და მხოლოდ უთითებს II მსოფლიო კრების მე-6 კანონის კომენტარზე,¹⁰⁹ სადაც ზოგადად განხილულია ის პირები, ვისაც ბრალდების წარდგენა ეკრძალება, თუმცა მათ შორის არ არის მოხსენიებული ბოროტებაში მხილებული. აქ საპროცესო თვალსაზრისით გასარკვევია ერთი რამ: კანონი საუბრობს მხილებულ პირზე და არა განკანონებულზე. ანუ, დასაშვებია, რომ ეს მხილებული პირი სულაც ცილისწამების საფუძველზე იყოს მხილებული. მით უფრო, რომ კანონის ასევე არ აქვს დათქმა იმის თაობაზე, რომ ამგვარ პირთა ბოროტება საჯაროდ არის ცნობილი კველასათვის. დამატებით დაზუსტებას მოითხოვს, აგრეთვე, თავად ტერმინი ბოროტება, ანუ კონკრეტულად რა ტიპის, სახის ან ზომის შეცოდებას გულისხმობს იგი. რაც შეეხება სლავურ „კორმჩაიას“, იგი ნაწილობრივ განმარტავს ამ კანონს და განსაზღვრავს, რომ ბოროტებაში მოიაზრება პირის ისეთი მდგომარეობა, როცა იგი ცოდვებშია მხილებული და იგი არ უარყოფს მას.¹¹⁰ ჩვენი აზრით, აქ უნდა მოიაზრებოდეს ზოგადად საზოგადოებაში უარყოფითი რეპუტაციის მქონე პირი, რომელსაც, შესაძლოა, ისეთი ცოდვები არ აქვს, რომ შეცოდების კატეგორიაში იყოს გადაზრდილი და ამდენად, მის წინააღმდეგ ბრალდების საქმე იყოს აუცილებლად დასაწყები, მაგრამ მას იმდენად უარყოფითი სახელი აქვს ახლო მყოფთა შორის, რომ როგორც უზიარებლის, ისევე მისი საეკლესიო ბრალდების მიღება არ შეიძლება. საგულისხმოა ერთი დათქმა, რომელსაც აკეთებს კართაგენისვე კრების მე-19 კანონი: „უკუეთუ განქიქებული და სიბოროტესა ზედა შესწავებული იყოს პირი შემასმენელისავ მის, შეუწყნარებელ არს იგი შემასმენელად, გარნა თუ თვისისა რამსმე მიხუეჭილობისათვს ჭულდის“.¹¹¹ ეს საქმაოდ მნიშვნელოვანი მითითებაა, რადგან, ჩანს, ბოროტებაში მხილებულ ადამიანს მთლიანად არ ერთმევა ბრალდების უფლება, არამედ შეუძლია, რომ ბრალმდებელი იყოს ისეთ საქმეზე, სადაც, დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, დაინტერესებული მხარეა.

2.2.5. საერო კანონმდებლობით ბრალდებააკრძალული პირები

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ეკლესიის სახელმწიფოსთან ურთიერთობის პრინციპია „მიეცით კეისარს კეისრისა“, რაც გულისხმობს იმას, რომ ეკლესია პატივს მიაგებს სახელმწიფოს მიერ დადგენილ კანონებს და მის მრევლსაც მოუწოდებს ანალოგიური პატივისცემისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმწიფოს მიერ მიღებული წესები დიად და აშკარად ეწინააღმდეგება ეკლესიის მოძღვრებას. ამის გათვალისწინებით, ეკლესია უკრძალავს იმ პირებს, ვისაც სახელმწიფომ ჩამოართვა უფლება იყვნენ ბრალმდებლები, ბრალდება შეიტანონ საეკლესიო სასამართლოშიც: „ასევე მიგვაჩნია, რომ არ შეიწყნარებიან ბრალმდებლად მონები, განთავისუფლებულები და ისინი, ვისაც სამოქალაქო კანონები არ შეიწყნარებენ ბრალმდებლებად“.¹¹² ცხადია, მონებსა და გააზატებულ პირებზე დემოკრატიულ სახელმწიფოში არც არის საუბარი, მაგრამ რაც შეეხება იმ პირებს, რომლებსაც საერო კანონმდებლობით ეკრძალებათ პროცესზე ბრალდების მხარის

¹⁰⁹ Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, фасад. ნაშრომი, გვ. 167

¹¹⁰ Кормчая (Номоканон), гл. 470

¹¹¹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 299

¹¹² იქვე

სასარგებლოდ ჩვენების მიცემა, ვფიქრობთ, რომ ამ ნაწილში ეს კანონი კვლავაც ძალმოსილია.

გამომდინარე აქედან, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბრალდების შეტანა ეკრალებათ პირებს, რომლებიც არიან შეურაცხადნი ასაკის ან ჭკუასუსტობის გამო, აგრეთვე იმ პირებს, რომლებისთვისაც ბრალდებაში აღნიშნული საქმის ვითარება მათთვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს და ამგვარად წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დაცულ საიდუმლოს.¹¹³

ჩვენ მიერ განხილული პრაქტიკიდან გვხდება შემთხვევა, როდესაც საეკლესიო ბრალდების თაობაზე არქიმანდრიტმა ვასილიმ, ბერმა თალასიმ და სხვა ბერებმა თხოვნა მისწერეს იმპერატორებს ფლაბიანესა და ვალენტინიანეს ნესტორის ერესთან დაკავშირებით და თხოვეს მათ, რომ განეხილათ მათი ცრუსწავლება და უზრუნველყოთ ყოველივეს სათანადოდ განხვა.¹¹⁴

ბრალდების საფუძველზე საქმის განხილვას ვხვდებით, აგრეთვე, დიკასტერიის 1779 წლის 18 დეკემბრის განხინებაში, სადაც ბრალდება მანუჩარ ლაშქარნივისმა წარუდგინა დიკასტერიას მღვდელ მიქაელის წინააღმდეგ.¹¹⁵ ბრალდება ქონებრივ საკითხს შეეხებოდა და განხინება ორ გვერდზეა მოთავსებული.

საინტერესოა, აგრეთვე იოანე ავალიშვილის არზა მღვდელ ლაზარეს წინააღმდეგ, რომელიც განიხილა და 1780 წლის 14 მაისის განხინებით გადაწყვიტა დიკასტერიის სასამართლომ. ამ შემთხვევაში ბრალდების საფუძველი იყო მღვდლის მხრიდან წარმოთქმული შეურაცხმყოფელი სიტყვები იოანეს მიმართ.

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკლესიის მიერ საეკლესიო ბრალდების წარმოების დროს უპირველესად ხდება ბრალდებულის პირვენების გამოკვლევა, რათა ზემომყვანილ აკრძალულ პირებს არ მიეცეთ უფლება, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანის მიმართ აწარმოონ ბრალდების საქმე.

3. საქმის აღმგრის სხვა საფუძვლები

3.1. გავრცელებული ცნობა

კონსტანტინოპოლის ორგიზის კრების მე-15 კანონის კომენტარების განხილვის დროს ჩვენ ვნახეთ მნიშვნელოვანი წინაპირობა, რაც გულისხმობდა იმას, რომ თუკი ეპისკოპოსის მიერ მწვალებლობის ქადაგება დია და აშკარაა, ასეთ დროს მის ომოფორქეშ მყოფ ქრისტიანებს უფლება აქვთ განუდგენ მას, როგორც მწვალებელს, მიუხედავად იმისა, რომ საკრებო განხინება ამის თაობაზე ჯერ არ არსებობს. ამასთან, სა-

¹¹³ იბ. პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 163

¹¹⁴ Дѣянія Вселенскихъ Соборовъ, изданныя въ русскомъ переводѣ, при Казанской Духовной Академіи, томъ I, Казанъ, 1910, გვ. 204-207

¹¹⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 97

ქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების II თავის წ8-ის თანახმად, „ყოველგვარი სახივრის გარეშე საქართველოს ეკლესიის საეკლესიო კრება უფლებამოსილია პასუხი აგებინოს იმ მდგდელმთავარს, რომელიც ცხადად არღვევს საეკლესიო კანონებსა და წესდებებს.“

პროფ. ბერდნიკოვი აღნიშნავს: „ძველ ეკლესიაში საეკლესიო სასამართლოს ჰქონდა საბრალდებო ხასიათი... თუმცა საეკლესიო ხელისუფლება არ ყოფილა დაკავშირებული მართლმსაჯულების განხორციელებასთან მხოლოდ კერძო ბრალმდებლის ინიციატივით. აშკარა და უველასთვის ცნობილ დანაშაულზე სასულიერო ხელისუფლებას არ ჰქონია საჭიროება დალოდებოდა ბრალმდებელს; აქ მას შეეძლო და ვალდებულიც იყო ბრალდებული სასამართლოსათვის გადაეცა და დაედო სასჯელი“.¹¹⁶

აღნიშნულთან მიმართებაში უაღრესად საინტერესოა 1784 წ. 1 ნოემბრით დათარიღებული დიკასტერიის უწყება დოსითეოს ნეკრესელისადმი უკანონო ჯვრისწერისა და ხელდასხმის შესახებ.¹¹⁷ როგორც უწყებიდან ირკვევა ნეკრესის ეპარქიაში გავრცელებული იყო საეკლესიო საიდუმლოთა დარღვევით შესრულების შემთხვევის, რის გამოც დიკასტერიამ გამოსცა 4-პუნქტიანი მითითებითი ბრძანება ნეკრესის ეპისკოპოსისადმი. საგულისხმო აქ არის განჩინების გამოცემის საფუძვლად არსებული შესავალი, სადაც აღნიშნულია, რომ „მოგუესმა ვიეთგანმე სარწმუნოთა და ღმრთის-მოშიშთა კაცთაგან...“. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სარწმუნო, ე.ი. სანდო და ამავე დროს კეთილმორწმუნე („ღმრთის-მოშიში“) ქრისტიანების მიერ გავრცელებული ცნობა დიკასტერიამ ჩათვალა საქმის განხილვის დაწყებისათვის საქმარის პირბად. შემდეგ ირკვევა ისიც, რომ დიკასტერიას ამის შემდეგ დეტალურად განუხილავს ნეკრესის ეპარქიაში შექმნილი კანონიკური ვთთარება, მაგრამ ჩვენთვის არსებითი არის ის, რომ საყოველთაოდ გავრცელებული ცნობა შესაძლებელია გახდეს საქმის აღმვრის საფუძველი და საამისოდ არ არის საჭირო, რომ კონკრეტული პირის მიერ სათანადო საეკლესიო ორგანოში წარდგენილ იქნეს ბრალდების დოკუმენტი.

გავრცელებული ცნობის გამო აღიძრა საქმე და განკანონებულ იქნარუეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ანადირისა და ჩუკოტკის ეპისკოპოსი დიომიდე.¹¹⁸ მის შესახებ სამდგდელმთავრო კრებას ეცნობა, რომ ეპ. დიომიდე ეწეოდა ანტიკლესიურ საქმიანობას, აგრეთვე ქადაგებდა მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო მოძღვრებას.

3.2. შემოწმების შედეგად მიღებული ცნობა

მიუხედავად იმისა, რომ საეკლესიო კანონებით პირდაპირ არ არის დადგენილი საქმის აღმვრის სხვა საფუძვლები, როგორც მეცნიერთა შეხედულებები, ისე ჩვენ მიერ შესწავლილი ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლები ამტკიცებენ, რომ ეკლესიის სამართლალწარმოება იცნობს

¹¹⁶ Краткий курс церковного права, даса. ნაშრომი, გვ. 184

¹¹⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 949

¹¹⁸ Определение Освященного Архиерейского Собора Русской Православной Церкви 24-29 июня 2008 года «О деятельности Преосвященного Диомида, епископа Анадырского и Чукотского», <http://www.patriarchia.ru/db/print/428878.html>

საქმის აღმვრის სხვა საფუძვლებს, სადაც, ისევე როგორც ზემომო-
ყვანილი პროფ. ბერდნიკოვის მსჯელობიდან, ჩანს საეკლესიო სამარა-
თლის პროცესის ინკვიზიციური ხასიათი. ამდენად, საჭიროდ ვცანით,
რომ ეს პუნქტი ცალკე გამოგვეყო.

განხილული სამეცნიერო ლიტერატურა და პრაქტიკა საშუალებას
გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეკლესია ზედამხედველობის წესით ყურად-
ღებას აქცევდა სამღვდელო და საერო პირთა მიერ საეკლესიო კანონე-
ბის დაცვას და სათანადო ზომებსაც იღებდა გამოვლენილი შეცოდებე-
ბის აღმოსაფხვრელად და შემცოდეთა განსაკანონებლად. ე. ნიკოლომო-
სის მოსაზრებით, „საეკლესიო ხელისუფლება ვალდებულია ზედამხედ-
ველობა გაუწიოს როგორც სასულიერო დასის მსახურებით დამოკიდე-
ბულებას, ასევე მათ ცხოვრებასა და ქცევებს. ამიტომ, მას უნდა პქონდეს
უფლება თავად, ყოველგვარი ბრალმდებლების გარეშე, დაიწყოს სასა-
მართლო ძიება“.¹¹⁹

აღნიშნული მოსაზრების სისწორის დასტურად ხელთ გვაქვს საქარ-
თველოს საეკლესიო სასამართლოს – დიკასტერიის 1800 წლის 15
დეკემბრის ბრძანება ნინოწმინდელი მიტროპოლიტი იოანესადმი: „მისის
სიმაღლის მეფის და იმის უწმიდესობისა ბრძანება არის, რომ ოქვენის
ეპარხის ხუცებს უბრძანეთ, რომლისაც სამწყსოში გრძნეული, ჯადეგი,
მისსანი, მკითხავნი, მექიარენი და მელობიენი და ან ამგვარის საქმის
მოქმედნი იპოვებიან მოიკითხონ, შეიტყონ და ყველანი ადგილობრივ და
სახელდობრივ წერილით მოგახსენონ.

საჩქარო ბრძანებაა მისის უმაღლესობისა და არა დაგვიანებადი და ნუ
დააგვიანებთ; ოქვენც ჩვენ ადგილობრივ და სახელდობრივ წერილით
მოგვწერეთ, რომ იმისი სიმაღლეს და იმის უწმიდესობას მოვახსენოთ. და
რომელიც ხუცესი დაჰმალავს და სხვათაგან კი შევიტყობთ, საუკუნოდ
მღუდელობიდამ განიკვეთება და ერისკაცთა თანა დაიდგინება“.¹²⁰

გრძნეულება და მკითხაობა, თანახმად V-VI მსოფლიო კრების 61-ე, ¹²¹
ანკვირიის კრების 24-ე¹²² და ბასილი დიდის 65-ე კანონებისა, ¹²³ საქმაოდ
მძიმე შეცოდებას წარმოადგენს და მისთვის გათვალისწინებულია ხუთი
ან ექვსი წლით უზიარებლობა. განსახილველ შემთხვევაში დიკასტერიას
ხელთ არ აქვს არც შემცოდის აღიარება, არც ვინმეს მიერ ბრალდება
და არც, სხვათა შორის, გავრცელებული ცნობა. ეს ქმედება პგავს პრო-
ფილაქტიკის მიზნით გამოძიების დასაწყებად საჭირო ბრძანებას, მაგრამ
იმის გათვალისწინებით, რომ ოუკი ამ გამოძიების შედეგად მართლაც
მიკვლეულ იქნებოდა მისხები და მკითხავები, მათ წინააღმდეგ საეკლე-
სიო საპროცესო მოქმედებების დაწყების საფუძველი იქნებოდა ეს ბრძა-
ნება, ანუ პროფილაქტიკის მიზნით განხორციელებული მოკვლევის შედე-
გები.

¹¹⁹ Никодимъ, Православное Церковное право, дасиа. ნაშრომი, გვ. 481

¹²⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 1062

¹²¹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 393

¹²² იქვე, გვ. 240

¹²³ იქვე, გვ. 494

ეს ბრძანება იმითიც არის მნიშვნელოვანი და საყურადღებო, რომ აქ ჩანს საეკლესიო სამართლის პროცესის ინკვიზიციური ხასიათი, ანუ, როგორც ეს ეპ. ნიკოდიმოსის მოსაზრებითაც იყო აღნიშნული, საეკლესიო სასამართლო შეცოდებათა პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით არ დაელოდებია კონკრეტულ პირთა აღიარებას ან ბრალდებას, არამედ თავად მოითხოვა მოკვლევა და მოძიება.

ამასთან, მოცემულ ბრძანებაში საგულისხმოა ისიც, რომ დიკასტერია (ა) ასრულებს მეფისა და კათალიკოსს მითითებას („მისის სიმაღლის მეფის და იმის უწმიდესობისა ბრძანება არის“), (ბ) დავალებას აძლევს ეპარქიის მმართველ მღვდელმთავარს („თქვენი ეპარქიის ხუცებს უბრძანეთ [...] მოიკითხონ, შეიტყონ და [...] წერილობით მოგახსენონ“) და (გ) ადგენს მმიმე სასჯელს ბრძანების შეუსრულებლობის გამო („რომელიც ხუცესი დაჰმალავს [...] საუკუნოდ მღვდელობიდამ განიკვეთება“).

საგულისხმოა, რომ საეკლესიო პროცესის ინკვიზიციური ხასიათი ჩანს კათალიკოს ანგონ I-ის 1781 წლის 22 მარტის განჩინებაშიც იუსტინე ურბნელის შემსმენთა საქმეზე, სადაც შესავალში აღნიშნულია, რომ მათ მოწმეთა დაკითხვა შეასრულეს მეფის ბრძანების საფუძველზე: „მისმან უმაღლესობამან სრულიად საქართველოსა მეფემან ერეკლემ კრებაში ბრძანა, რომ ურბნელის იუსტინეს შემასმენელნი მოწამენი გასინჯეთო, სარწმუნონი არიან ან იმათი მოწმობა შეიწყნარება თუ არაო“.

ზემომყვანილიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საეკლესიო სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საეკლესიო სამართლის პროცესში ჩანს ინკვიზიციური პროცესის ნიშნები, კერძოდ იმ მხრივ, რომ საეკლესიო სასამართლო თავადვე ახდენს მოკვლევას შესაძლო გავრცელებული შეცოდებების აღმოსაფხვრელად ან გამოსავლენად. ¹²⁴

¹²⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 146

IV. საქმის პრეცედენტი განხილვა

საპროცესო სამართლის მთავარ სტადიას წარმოადგენს საქმის არსებითი განხილვა, რომლის დროსაც ხდება მტკიცებულებათა გამოკვლევა, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა და განაჩენის გამოტანა. ამ თავში ჩვენ განვიხილავთ საქმის არსებითი განხილვის წესს საეკლესიო სამართალში, ხოლო შემდეგ თავში შევეხებით უშუალოდ განაჩენის გამოტანის წესს, ვინაიდან საეკლესიო სამართალი მნიშვნელოვან ურადღებას უთმობს აღნიშნულ საკითხს.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა შემთხვევაში გადაეცემა საქმე სასამართლოს, ვინ არის საქმის განხილვაზე უფლებამოსილი პირი და რა სახის ბრალდებები არსებობს. საეკლესიო სამართლის პროცესის პრინციპების შესახებ საუბრისას კი აღვნიშნეთ, რომ მონაცემის შეწყნარების სავალდებულობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან და არსებით პრინციპს წარმოადგენს საეკლესიო პროცესში, ვინაიდან ამ პრინციპის საფუძველზე სავალდებულო განხილვას ექვემდებარება ბრალდების საქმე, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაბამისი საეკლესიო სასამართლო მოვალეა ნებისმიერ შემთხვევაში განიხილოს ბრალდება.

1. წინაპირობები საქმის განხილვის დასაწყებად

საეკლესიო ნორმებით დადგენილია ის აუცილებელი პირობები, რაც წინ უნდა უძლოდეს ბრალდების საქმის განხილვას. ეს წინაპირობები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ უშუალოდ განხილვის მომწესრიგებელი რამდენიმე კანონი სწორედ რომ ამ წინაპირობების შესრულების აუცილებლობაზე საუბრობს.

1.1. ბრალდება წერილობითი სახით

საეკლესიო კანონებისა და სამეცნიერო შეხედულებათა ანალიზის შედეგად შესაძლებელია გამოიკვეთოს ის აუცილებელი მოთხოვნები, რაც არსებობს ბრალდების ტექსტოან დაკავშირებით. ბრალდების ტექსტზე ვსაუბრობთ საქმის იმ შემთხვევაში აღძვრის დროს, როდესაც არსებობს ვინმე პირის მიმართ ბრალდება. აღიარების, გავცრელებული ცნობისა და ძიების შედეგად აღძრულ საქმესთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ბრალდების ტექსტი არ იქნება წარდგენილი სასამართლოში.

ამ საკითხზე მსჯელობს ეპ. ნიკოდიმოსი და ამბობს, რომ „საჩივრის წარდგენისას ბრალმდებელი ვალდებულია ზუსტად მიანიშნოს, რაშია ბრალდებული გარკვეული პირი და მიუთითოს ორ ან სამ მოწმეზე, რომლებსაც შეუძლიათ ამტკიცონ მისი საჩივრის დასაბუთებულობა“¹²⁵ მადენად, ბრალდების ტექსტი აუცილებლად უნდა შეიცავდეს სამ კომპონენტს: (ა) ცნობებს იმ პირის შესახებ, ვისაც ბრალი ედება; (ბ) კონკრეტულ ბრალდებას, სადაც, ჩვენი აზრით, მითითებულ უნდა იყოს, როგორც შეცოდების თაობაზე გარემოებების, ისე იმ კანონების შესახებ, რომლებიც, ბრალმდებლის აზრით, დაარღვია ბრალდებულმა; (გ) ცნობას ორი ან სამი მოწმის შესახებ. მოწმის შესახებ ჩვენების ნაცვლად, უფრო სრულყოფილი იქნებოდა, თუ იქნებოდა მითითება ზოგადად მტკიცებუ-

¹²⁵ Никодимъ, Православное Церковное право, დასახ. ნაშრომი, გვ. 482

ლების თაობაზე, კინაიდან ცალკეულ შემთხვევებში სრულად შესაძლებელია, რომ სხვა სახის მტკიცებულება უფრო ამაგრებდეს ბრალდებას, ვიდრე მოწმის ჩვენება.

რაც შეეხება ბრალდების წარდგენას იმ შემთხვევაში, როდესაც არ ხდება ბრალდების შეტანა, არამედ სხვა მოტივით აღიძრა საქმე, მნიშვნელოვანია საქართველოს ეკლესიის 1917 წლის გამგეობის დებულება, რომლის §38-ის თანახმად „სასამართლოს ერთ-ერთ წევრს მიენდობა საბრალმდებლო ოქმის შედგენა და მოხსენება; ეს წევრი შემდეგ მონაწილეობას აღარ იღებს განაჩენის გამოტანაში“.¹²⁶

ბრალდების ტექსტის წარდგენასთან დაკავშირებით საინტერესოა ნიკოლიმოსის მინაწერი: „ბრალდება უნდა წარმოითქვას ხმამაღლა, ფარული კი არ მიიღება თვით ეპისკოპოსისგანაც კი“.¹²⁷

1.2. თავის მართლების დრო და საშუალება

ამ მხრივ მნიშვნელოვანია კართაგენის კრების მე-19 კანონი, რომელიც განსაზღვრავს, რომ „ზიარებისაგან ნუმცა დაიყენების შესმენილი იგი, გარნა თუ წიგნებითა მსაჯულად მისსა გამორჩეულთადთა მიწოდებული სამსჯავროდ, რათა სიტყუა მისცეს თავისა თვისისათვის, არა მივიღეს განჩინებულსა დღესა, ესე იგი არს შინაგან თთვისა ერთისა დღეთავსა მით დღითგან, რომლითა შეიწყნაროს წიგნები ეპისკოპოსთად. ხოლო უკუეთუ მართალნი რამე და ჭეშმარიტი მიზეზნი გამოაჩინეს, რომელთა დაეხრწიოს მისდა წარსლვად სიტყვს-გებისა მიმართ მისთვის თქუმელთა შესმენათავსა, სხვაცა თოვსა შინაგან აქუნდინ ფლობილი თავისუფლებად ზიარებისად“. ¹²⁸ მაშასადამე, ამ კანონით დადგენილია, რომ ბრალდებული ვალდე-ბულია წერილის მიღებიდან 1 თვის ვადაში გამოცხადეს საქმის განმხილველ სასამართლოში. ამ ვადის დაცვის შემთხვევაში მას საქმის განხილვის დასრულებამდე ზიარების უფლება არ ერთმევა. კანონი ითვალისწინებს შემთხვევას, როცა საპატიო მიზეზით ბრალდებული ვერ ახერხებს გამოცხადებას, ასეთ შემთხვევაში მას ვადა კიდევ 1 თვით გაუგრძელდება, კვლავაც ზიარების უფლებით.

რაც შეეხება თავის მართლების საშუალებას, იგი, როგორც ამ კანონიდან ჩანს, საკმაოდ მნიშვნელოვანი საპროცესო წინაპირობაა. ერთი მხრივ, საამისოდ საეკლესიო კანონი ითვალისწინებს თავის მართლებისათვის დაგენილი ვადის გაგრძელებასაც, ხოლო მეორე მხრივ, ამ წესის დაუცველობას მნიშვნელოვან დარღვევად მიიჩნევს კირილე ალექსანდრიელი თავის კანონიკურ ეპისტოლეში კირილე დომნოსის მიმართ: „ხოლო საკმარ არს გულისჯმისყოფად მისიცა, რომელსა იტყუს იგი, ვითარმედ შემძლებელ იყო იგი განმართლებად თავისა და უბრალოდ გამოჩინებად თვისისა საეჭუელობისა, არამედ არავინ მისცა მას ჟამი სიტყვსგებისად, არცა ადგილი კანონებრივისა სამართლობისად. [...] ხოლო ვინათვან არარა ქმნილ არს ესევითარი, ზედა-დაპწმობს იგი საქმესა მას და გამოუთქმელისა უსამართლოებისა მოწევნასა მის ზედა და

¹²⁶ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა. დებულებანი მიღებული სრულიად საქართველოს 1917 წლის საეკლესიო კრებაზე, ტფ. 1917, გვ. 23

¹²⁷ Никодимъ, Православное Церковное право, დასახ. ნაშრომი, გვ. 482

¹²⁸ დიდი სჯულისკანონი, გვ. 298

უწესოდ განდევნილობასა თუსსა იტყვს“.¹²⁹ ამდენად, წმინდა მამა მიიჩნევს, რომ თუკი არ იქნება დაცული თავის მართლებრის ვადა, არ იქნება დადგენილი საქმის განხილვის დრო და ადგილი, ყოველივე ეს ერთობლიობაში ქმნის „უწესობას“ და მათი შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს გამოტანილი გადაწყვეტილების გადახედვის საფუძველი.

1.3. განხილვის დრო და ადგილი

ბრალდების განხილვის უფლებამოსილების მქონე ორგანომ უნდა განსაზღვროს ბრალდების განხილვის დრო და ადგილი. ამის აუცლებლობა განპირობებულია იმით, რომ ორივე მხარეს საშუალება პქონდეს გამოცხადდეს პროცესზე და წარმოადგინოს თავისი პოზიცია. კირილე ალექსანდრიელი კირილე დომინის მიმართ ეპისტოლეს 1-ლ კანონში საგანგებოდ აღნიშვნავს, რომ პეტრეს მიმართ დარღვეულ იქნა საპროცესო მოთხოვნა, რის შესახებაც ზემოთაც აღინიშნა: „ხოლო საჭმარ არს გულისჯმისყოფად მისიცა, რომელსა იტყვს იგი, ვითარმედ შემძლებელ იყო იგი განმართლებად თავისა და უბრალოდ გამოჩინებად თუსისა საეჭუელობისა, არამედ არავინ მისცა მას უამი სიტყვსგებისად, არცა ადგილი კანონებრივისა სამართლობისად“. ამდენად, საიმისოდ, რომ საეკლესიო სასამართლომ დაიწყოს საქმის განხილვა, წინასწარ უცილობლივ უნდა განისაზღვროს საქმის განხილვის დრო და ადგილი. ასევე ბრალდებულს უნდა განესაზღვროს ბრალდების უარყოფისათვის აუცილებელი პოზიციის შემუშავებისა და, სავარაუდოდ, მტკიცებულებათა მოსაგროვებლად საჭირო ვადა. ეს ვადა წინ უნდა უსწრებდეს საქმის განხილვის დაწყების დროს.

დიდი სჯულისკანონის საპროცესო ნორმებით დადგენილია საქმის განხილვის ვადა, რომელიც წარმოადგენს ერთ წელს ბრალის დადების მომენტიდან. კართაგენის კრების 79-ე კანონით დადგენილია, რომ „რაოდენგზისცა ემხილოს და დაესაჯოს მოყუასთა ეკლესიისათა ბრალი რაღმე, გინა საყუედრელი ეკლესიისად, ანუ უშუერმყოფელი პატივისა მათისად, რომლისათვეს უკმდა მათ რიდობად, ანუ განლადებულისაგან ზუაობისა მწვალებელთა და წარმართოასა, უკუეთუ ვითარცა შეპგავს, ეგრეტ იღუწიდებ საქმისა მათისათვეს და ჯერისაებრ ზრუნვიდენ მათოვს, შინაგან წელიწიდისა მას უზიარებლობისა მათისასა ქმნან ესე, ხოლო, უკუეთუ შინაგან წელიწიდისა მის განწმედა საქმისა თუსისად უდებ-ყონ, ნუცალამცა ერთი სიტყუად მათი მიითულვის მიერითან რაოთურთით“.¹³⁰ ამ კანონის კომენტირებისას ეპ. ნიკოდიმოსი აღნიშნავს, რომ „თუ სასულიერო პირების წინააღმდეგ საჯარო იქნა წარდგენილი ბრალდება ან საზოგადოებაში გავრცელდა ხმა, რომ მის მიერ დანაშაულია ჩადენილი, მაშინ მათ, თავისი კარგი სახელისა და ეკლესიის ავტორიტეტის გულისთვის, უნდა გამოიყენონ ყველა საშუალება, რომ წლის განმავლობაში გაიმართლონ თავი საეკლესიო სასამართლოს წინაშე და ამასთან ერთად საზოგადოებას დაუმტკიცონ თავიანთი უდანაშაულობა. ხოლო თუკი მათ ვერ მოასწრეს ამ განსაზღვრულ

¹²⁹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 531

¹³⁰ იქვე, გვ. 325

პერიოდში ამის გაპეტება, ისინი კარგავენ გამართლების უფლებას და გადაეცემიან სასამართლოს“.¹³¹

როგორც ვხედავთ, კანონიც და მისი განმმარტებელიც პირდაპირ მიუთითებენ, რომ თუ ამ პერიოდში არ იქნება განხილული საქმე და ეს მოხდება ბრალდებულის მიზეზით, როცა იგი განზრას აჭიანურებს საქმის განხილვას, ერთი წლის შემდეგ ბრალდებულის მხრიდან თავის გამართლებელი სიტყვა აღარ მიიღება. ამგვარად, კართაგენის კრების 79-ე კანონით განსაზღვრულია, რომ საეკლესიო ბრალდების საქმე განხილული უნდა იქნეს 1 წლის განმავლობაში.

თავად საქმის განხილვის დღესთან დაკავშირებით მოციქულთა განწესებებში საეკლესიო სჯულდების ცნობილი მკვლევარი ნ. ზაოზერსკი აღნიშნავს: „თავის სასამართლო სხდომებს ეკლესია იწყებს კვირის პირველი დღიდან, საიმისოდ, რომ შემდეგ შაბათამდე დასრულდეს უთანხმოება და უსიამოვნება, რომელიც ჩვეულებრივ არსებობს სადაცო საქმეზე დაპირისპირების შედეგად და სასამართლო გარჩევის დროს“.¹³² როგორც ვხედავთ, საეკლესიო საქმის განხილვის დაწყების დღედ ორშაბათია დადგენილი. ორშაბათობით საქმის განხილვა ქართული სამართლებრივი აზროვნებისათვისაც ცნობილია: იგი დადგენილია „შელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, კერძოდ, მე-8 მუხლის თანახმად: „ჭყონდიდელი ორშაბათს დღეს სააჯო კარსა შინაგან დაჯდების. ობოლთა და ქვრივთა და მიმდლავრებულთა მოჩიგართა განიკითხავს“. ¹³³ საეკლესიო საქმის ორშაბათ დღეს განხილვა ზაოზერსკის მითითებით,¹³⁴ მომდინარეობს და საღმრთისმეტყველო-ზნეობრივი თვალსაზრისით ახსნილია მოციქულთა განწესებებში, კერძოდ, განწესებათა მე-2 წიგნის 47-ე კანონში: „შედგეს თქვენი სასამართლოები შაბათიდან მეორე დღეს, რათა, თუკი აღმოჩნდება წინააღმდეგობა თქვენს მოსაზრებებთან, შაბათამდე მოხერხდეს წინააღმდეგობის გამოსწორება და საუფლო დღეს შემოირიგოთ უთანხმოებაში მყოფნი“.¹³⁵ სასამართლოს მხოლოდ ორშაბათ დღეს გამართვის ამგვარი ახსნა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ დღემდე ქართული სამართლის ისტორიის მკვლევართა შორის არსებობდა მოსაზრება, რომ სააჯო კარი ყოველდღიურად მუშაობდა და ორშაბათი მხოლოდ ჭყონდიდელისთვის იყო დადგენილი, ამასთან საერთოდ არ იყო ახსნილი, თუ რატომ იხილავდა საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი უმაღლესი საერო და საეკლესიო თანამდებობის მქონე პირი საჩივრებს მაინცდამა-ინც ორშაბათობით.¹³⁶

¹³¹ Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, фасб. ნაშრომი, გვ. 230

¹³² Н. Заозерский, Церковный судъ въ первые вѣка христіанства, историко-каноническое изслѣдованіе, М., 1878, გვ. 248

¹³³ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ., 1982, გარიგება ხელმწიფის კარისა, გვ. 387

¹³⁴ Н. Заозерский, Церковный судъ въ первые вѣка христіанства, გვ. 248

¹³⁵ http://krotov.info/acts/04/2/constit_apost.htm

¹³⁶ ივ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 341, აგრეთვე გ. მეტრეველი, ქართული სამართლის ისტორია, თბ., 2005, გვ. 396

2. ဈდვოკატის ინსტიტუტი საეკლესიო სამართლის პროცესში

ეპ. ნიკოდიმოს მილაში, საუბრობს რა საპროცესო სამართლის საკითხებზე, აღნიშნავს, რომ საეკლესიო სამართლის კანონები იცნობენ დამცველის ინსტიტუტსაც, რომლებიც ასრულებდნენ ადვოკატის ფუნქციებს საეკლესიო სამართლის პროცესში.¹³⁷ „კანონში მოხსენიებულია, აგრეთვე, დამცველებიც (ეკიკი, ბიკაიოფსულაკეც, თუნდიკი), რომლებიც ჩნდებიან V საუკუნიდან და იმ საქმეებზე, რომლებიც ეხებოდა ეკლესიას ან მის მფარველობაში მყოფ პირებს, ასრულებდნენ იმავე ვალდებულებას, რასაც დამცველები საერო სასამართლოში. დამცველთა, ანუ საეკლესიო საქმეების რწმუნებულთა თანამდებობა მუდმივად იქცა საეპისკოპოსო კათედრებზე და აღიარებულ იქნა ბერძენ-რომაელ იმპერატორთა კანონებით“.¹³⁸ ეპ. ნიკოდიმოს სქოლიოში მითითებული აქვს კართაგენის 75-ე და 97-ე კანონები, აგრეთვე, IV მსოფლიო კრების მე-2 და 23-ე კანონები. საინტერესოა, როგორ ითარგმნა ბერძნული ტერმინები ქართულად არსენ იყალთოელის მიერ.

კართაგენის ადგილობრივი კრების 75-ე კანონში მოხსენიებულია „თანაშემწე მოსაჯული“,¹³⁹ ხოლო ამავე კრების 97-ე კანონში – „თანამოსაჯული“.¹⁴⁰ საინტერესოა, რომ თანამოსაჯულს ACDFG ხელნაწერებში მიწერილი აქვს „ვაქილი“.¹⁴¹ რაც შეეხება IV მსოფლიო საეკლესიო კრების კანონებს, მე-2 კანონში მითითებულია „ქადაგი“,¹⁴² ხოლო იმავე კრების 23-ე კანონში არსენ იყალთოელს გამოყენებული აქვს „ბჭე“.¹⁴³ აღსანიშნავია, რომ ამ ოთხივე ტერმინის ორიგინალი ბერძნულად არის მხოლოდ ერთი ტერმინით - „ეკდიკით“ გადმოცემული.¹⁴⁴

ეპ. ნიკოდიმოსი მართებულად აღნიშნავს, როდესაც საუბრობს იმის თაობაზე, რომ დამცველთა თანამდებობა მუდმივად იქცა საეპისკოპოსო კათედრებზე,¹⁴⁵ რადგან ზემოხსენებულ IV მსოფლიო კრების მე-2 კანონში არსებობს მითითება „ეკდიკის“, ანუ „ქადაგის“, როგორც საეკლესიო თანამდებობაზე, რომელზეც განწევებას ახორციელებს ეპისკოპოსი: „[...] ანუ დაადგინოს საგრძლივო უკონიმოსი, ანუ ქადაგი, ანუ დეკანზი, ანუ სხუად რადცა რადცა მიერ განწევებული“.

დამცველის ინსტიტუტს იცნობს საქართველოს ეკლესიის 1917 წლის მართვა-გამგეობის დებულება, თუმცა აქ მასზე, როგორც პროცესის აუცილებელი მონაწილის თანამდებობაზე მითითება აღარ არის: „ბრალ-

¹³⁷ Никодимъ, Православное Церковное право, დასახ. ნაშრომი, გვ. 483

¹³⁸ იქვე

¹³⁹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 324

¹⁴⁰ იქვე, გვ. 338

¹⁴¹ დიდი სჯულისკანონის ქართული თარგმანის შენიშვნების შესახებ იხ. დიდი სჯულისკანონი, გვ. 72-74.

¹⁴² დიდი სჯულისკანონი, გვ. 269

¹⁴³ იქვე, გვ. 274

¹⁴⁴ იხ. Σύνταγμα των Θειών και Ιέρων Κανόνων, Γ.Α.Ράλλη, Μ.Πότλη, τόμος Β', Αθ., 1966, გვ. 217, 270; Σύνταγμα των Θειών και Ιέρων Κανόνων, Γ.Α.Ράλλη, Μ.Πότλη, τόμος Γ', Αθ., 1992, გვ. 494, 539.

¹⁴⁵ Никодимъ, Православное Церковное право, დასახ. ნაშრომი, გვ. 483

დებულს ნება აქვს სასამართლოში დამცველი (ვექილი) დაიხმაროს, მაგრამ თვით სასამართლოსთან დამცველის ინსტიტუტი არ არსებობს“.¹⁴⁶

3. საგანგებო შემთხვევები, როდესაც საქმის არსებითი განხილვა არ ხდება

საეკლესიო კანონებით დადგენილია ისეთი შემთხვევები, როდესაც ბრალდების არსებითი განხილვა და გამოკვლევა არ ხდება, არამედ ან წარდგენილი ბრალდება ითვლება დადასტურებულად და საეკლესიო სასამართლო მსჯელობს მხოლოდ სასჯელის ზომისა და ფორმის თაობაზე ანდა ბრალდება ითვლება მოხსნილად. ცხადია, იდენტური მიღვომა არ არსებობს ყველა იმ შემთხვევის მიმართ, რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული, მაგრამ მათი საერთო მახასიათებელი არის ის, რომ სასამართლო არ იყენებს იმ წესებს, რაც დადგენილია ბრალდების გამოკვლევისა და ჭეშმარიტების დადგენის მიზნით.

3.1. ადიარებისას

მოციქულთა 74-ე კანონის თანახმად განსაზღვრულია, რომ „ეპისკოპოსი თუ შესმენილ იქნეს საქმისა რაღასთვეს რწმუნებისა დირსა კაცოა მიერ, მიწოდებად მისი საჭირო არს სხუათა ეპისკოპოსთაგან და უკუეთუ მივიდეს და აღიაროს, რომლისათვეს-იგი შესმენილ იყოს, განუჩინონ მას კანონი“.¹⁴⁷ ეპ. ნიკოდიმოსი ამ კანონის კომენტირებისას გვერდს უკლის აღიარების ნაწილს. რაც შეეხება არისტინეს, იგი გაკვრით ეხება ხსენებულ საკითხს და აღნიშნავს, რომ თუკი ბრალდებული ეპისკოპოსი სამართლიანად აღიარებს წარდგენილ ბრალდებას, მის წინააღმდეგ გამოტანილ უნდა იქნეს განაჩენი.¹⁴⁸ არისტინე, როგორც ვხედავთ, დეტალურად არ საუბრობს აღიარებისას საქმის წარმოების შესახებ, მაგრამ კანონიდან და მისი კომენტარიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაშინ, როდესაც საეკლესიო სასამართლოს ხელთ აქვს ბრალდებულის აღიარება, მაშინ საქმის არსებითი განხილვა აღარ იწარმოებს და სასამართლო მხოლოდ იმსჯელებს სასჯელის ზომის თაობაზე. შევნიშნავთ, რომ, სავარაუდოდ, სასამართლოს შეიძლება მაინც მოუხდეს საქმის რამდენიმე გარემოების დადგენა-გამოკვლევის მიზნით გარკვეული წარმოების ჩატარება, მაგრამ რამდენადაც ამ პროცედურის მიზანი არ არის ჭეშმარიტების დადგენა და საქმის გამოკვლევა, არამედ საქმის კონკრეტული გარემოებების დაზუსტება, რათა ადეკვატურად იქნეს სასჯელი განსაზღვრული, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ეს იმგვარი წესია, როდესაც საქმის არსებითი განხილვა არ ხდება.

3.2. ბრალდებულის გამოუცხადებლობისას

ზემოხსენებული მოციქულთა 74-ე კანონი ადგენს, აგრეთვე, წესს, რომლის მიხედვითაც ბრალდებულის გამოძახება ხდება სამგზის: „ხოლო უწოდონ რამ, არა ერჩდენ, მიუწოდონ მეორედცა მივლინებითა მისდა ორთა ეპისკოპოსთაგან და უკუეთუ მაშინცა არავე ისმინოს, მიუწოდენ მესამედცა მივლინებითა კუალად ორთა ეპისკოპოსთაგანთა, ხოლო უკუეთუ

¹⁴⁶ შენიშვნა წ38-ისა, საქართველოს ეკლესიის 1917 წლის მართვა-გამგეობის დებულება, დასახ. გამოცემა, გვ. 23

¹⁴⁷ დიდი სჯულისკანონი, გვ. 224

¹⁴⁸ ο.β. Σύνταγμα των Θειών και Ιέρων Κανόνων, Γ.Α.Ράλλη, Μ.Πότλη, τόμος Β', Αθ., 1966, გვ. 96

ეგრეთცა შეურაცხე-ყვნეს და არა მივიდეს, განაჩინენ მისთვის კრებამან, რაცა სთხოდეს“.¹⁴⁹ აქ საგულისხმოა რამდენიმე გარემოება: ერთი ის, რომ ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვისათვის აუცილებელია მისი სამჯერ გამოძახება და სამჯერვა უარის მიღება ამ გამოძახებაზე. აქეე უნდა ადინიშნოს, რომ ეს წესი, თავის მხრივ, ეფუძნება სახარებისეულ სწავლებას მოყვასის შეცოდების თაობაზე.¹⁵⁰ მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი ამ კანონისა, რაც გასათვალისწინებელია, არის ის, რომ კრება უფლებამოსილია თვითონ განსაზღვროს, რაც საჭიროა. საინტერესოა, რომ ეპ. ნიკოდიმოსის მოსაზრებით ამ ფრაზაში იგულისხმება ის, რომ „კანონში საუბარია განჩინების შესახებ, რომელიც სასამართლოს, ანუ ეპისკოპოსთა კრებას გამოაქვს იმის მიუხედავად, რომ ბრალდებული ეპისკოპოსია და სასამართლოში მესამე გამოძახების შემდეგაც არ გამოცხადდა. ასეთი გადაწყვეტილების გამოსატანად, რომელიც ცხადდება ბრალდების წარმომდგენი მხარის თანდასწრებით, სასამართლოს აღმრავს ბრალდებულის სიჯიუტე, რომელმაც, კანონის სიტყვებით, არ უნდა იფიროს, რომ სასამართლოსაგან თავის არიდება მისთვის სასარგებლო შედეგს გამოიღებს. ასეთი განჩინება, ამ კანონის ტექსტის თანახმად, საბოლოოა და მასში არ არის ნათქვამი სხვა რომელიმე უმაღლეს სასამართლო ინსტანციაში აპელირების უფლების შესახებ, სადაც მსჯავრდებულს შეეძლებოდა თავისი საქმის წარდგენა სხვა გადაწყვეტილების მისაღებად“.¹⁵¹ საგულისხმოა ის, რომ მიღაშის მოსაზრებით, ბრალდებულის პოზიცია, კერძოდ მის მიერ აბუჩად აგდება კრების მიერ დაბარებისა და გამოუცხადებლობა, სასამართლოს უფლებას აძლევს პირდაპირ გამოიტანოს განაჩენი მის წინააღმდეგ. ბუნებრივია, პროცესზე, სადაც განხილულ იქნება მხოლოდ ბრალდების წარმდგენი მხარის პოზიცია, გადაწყვეტილებაც, დიდი ალბათობით, გამოტანილ იქნება ბრალდებულის საზიანოდ და მის საწინააღმდეგოდ. ეპ. ნიკოდიმოსი ამ საკითხზე საუბრისას უთითებს საპატიო მიზეზზე: „თუ ბრალდებული არ გამოცხადდება და არ წარმოადგენს გამოუცხადებლობისათვის საპატიო მიზეზს, ექვემდებარება სასჯელს“.¹⁵²

პროცესზე გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით ხელთ გვაქვს უაღრესად საინტერესო დოკუმენტი, რომელიც დათარიღებულია 1789 წლის 16 დეკემბრით. დოკუმენტს ეწოდება „მსაჯულთა წიგნი მხარეთა სასამართლოში გამოუცხადებლობის შესახებ“ და იგი ეხება მოძღვართმოდვარ ნიკოლოზის საჩივარს მგალობლიანების მიმართ.¹⁵³ როგორც ამ წიგნიდან ირკვევა, მეფეს ბრძანება მიუცია მოსამართლეებისათვის, რომ მოეტანათ შესაბამისი გუჯრები. ამის შემდეგ ორჯერ დაუბარებიათ აზნაურშვილები. შემდეგ მიუგზავნიათ დიაკონი იოანეც, მაგრამ სასამართლოზე მხარეები არ გამოცხადდნენ. დასასრულ, მითითებულია საგულისხმო

¹⁴⁹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 224

¹⁵⁰ „ხოლო უპუჟუ შეგცოდოს შენ ძმამან, მივედ და ამხილე მას, რაუამს შენ და იგი ხოლო იყვნეთ მარტონი. უპუჟუთ ისმინოს შენი, შეიძინე ძმად იგი შენი. ხოლო უპუჟუ არა ისმინოს, მიიყვანე შენ თანა ერთი ანუ ორი სხუა, რათა პირითა ორისა და სამისა მოწამისათვა დაემტკიცოს ყოველი სიტყუა. ხოლო უპუჟუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა; ხოლო უპუჟუ კრებულისადცა არა ისმინოს, იყ ავნ იგი შენდა, ვითარცა მეზუერე და წარმართი.“ (მო. 18: 15-17)

¹⁵¹ ეპ. ნიკოდიმოსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 131

¹⁵² Никодимъ, Православное Церковное право, Дааса. ნაშრომი, გვ. 482-483

¹⁵³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 484

პოზიცია: „ამ საქმეებმა ასე გაიარეს და არ ინტერეს სამართალში მოხვდა. და ახლა ნება მათის უმაღლესობისა არის“.¹⁵⁴ იმის მიუხედავად, რომ საქმის შინაარსი არ ეხება საეკლესიო ბრალდებას, იგი მაინც საინტერესო ცნობებს გვაწვდის იმის თაობაზე, რომ მხარის გამოუცხადებლობის დროს საბოლოო გადაწყვეტილება განმხილველი მოსამართლის, ამ შემთხვევაში – მეფის პრეროგატივაა.

განსახილველ საკითხთან მიმართებაში საგულისხმოა III მსოფლიო კრების საქმეები, სადაც აღნიშნულია, რომ იოანე ანტიოქიელს დიდხანს ელოდნენ კრების მამები, მიუგზავნეს მას წარმომადგენლებიც, ხოლო შეატყვეს რა, რომ იგი გამოცხადებას არ აპირებდა, კირილე ალექსანდრიელმა იმისათვის, რათა დრო უაზროდ არ გაჭიანურებულიყო, დაიწყო საქმის წარმოება.¹⁵⁵

ამ მხრივ საინტერესოა, აგრეთვე, ჩვენ მიერ ზემომოყვანილი ანტონ II-ის 1795 წლის 21 იანვრის ბრძანება მიმბაშ ბეჭან ამილახორიშვილისადმი ბრალდებულ დათუა გვერდწიოელის მოყვანის თაობაზე.¹⁵⁶ როგორც აღინიშნა, დათუა გვერდწიოელს შემოაკვდა მღვდელი და იგი გაქცეული იყო იმერეთში და თავს აფარებდა თავად წერეთელთან. ანტონ II მიმბაშ უბრძანებს, რომ „შენ უნდა გარდახვიდე იმერეთს და გარდამოიყვანო და შენთან ამყოფო, ნურსად გაუშვებ და ნურცა ვის დაანებებ, მანამ ჩუენ დავიბარებდეთ და სჯულიერის სამართლით საკანონოსა და სულიერს კანონებს განუჩინებდეთ“.¹⁵⁷ აქ, ზემოგანხილული წესისაგან განსხვავებით, ანტონ II არ იწყებს პროცესს ბრალდებულის გარეშე და მეტიც, ავალებს ქვეშვდომ თანამდებობის პირს, რომ მან დააპატიმროს ბრალდებული, თავისთან „ამყოფოს“, სანამ არ შედგება საქმის განხილვა. სავარაუდოა, რომ ამგვარი ბრძანება განპირობებულია დანაშაულის ხასიათიდან, კერძოდ მისი საეროობიდან გამომდინარე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ, მართალია, ანტონ II გეგმავს, რომ საქმე „სჯულიერის სამართლით“ განიხილოს, მაგრამ სასჯელი იქნება როგორც საერო, ისე საეკლესიო – „საკანონოსა და სულიერს კანონებს განუჩინებდეთ“.

3.3. ბრალმდებლის მიმაღვისას

განსახილველ საკითხთან მიმართებაში უდავოდ გასათვალისწინებელია კართაგენის მე-19 კანონის დებულება, რომელიც ადგენს, რომ „უკუეთუ ოდესცა განეშოროს, ვითარცა თავსა თვის ზედა მომხდელი უზიარებლობასა ეპისკოპოსისასა, უზიარებელ იქმენის იგიცა“.¹⁵⁸ ამ კანონის კომენტირებისას მიღაში აღნიშნავს, რომ „თუკი ბრალმდებელი იმგვარად მიიმაღება, რომ ვერ შეძლებენ მის პოვნას, და მოსამართლეებს საფუძველი აქვთ იფიქრონ, რომ მას თავისი საჩივრით სურს მხოლოდ ცილი დასწამოს ეპისკოპოსს, რომელსაც განესაზღვრა უზიარებლობა მისი გამოუცხადებლობის გამო, მაშინ ბრალდებულს აღუდგება ზიარების

¹⁵⁴ ქართული სამართლის ქეგლები, გ. V, გვ. 484

¹⁵⁵ იხ. Дѣянія Вселенскихъ Соборовъ, изданныя въ русскомъ переводѣ, при Казанской Духовной Академіи, томъ I, Казанъ, 1910, გვ. 282 (სქოლიო)

¹⁵⁶ ქართული სამართლის ქეგლები, გ. III, გვ. 1022-1023

¹⁵⁷ იქვე

¹⁵⁸ დიდი სჯულისკანონი, გვ. 299

უფლება, ხოლო ბრალმდებული თავადვე დაისჯება უზიარებლობით, როგორც ცილისმწამებელი¹⁵⁹“.

ეს მეტად მნიშვნელოვანი კანონია, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლო ადარ ახორციელებს საქმის მოკვლევასა და განხილვას, არამედ ბრალმდებლის მიმალვა მას უკვე უქმნის საქმარის წინაპირობას საიმისოდ იფიქროს, რომ რეალურად არ არის ჩადენილი ის შეცოდება, რაც გათვალისწინებული იყო წარდგენილი ბრალდების შესაბამისად და ამის გამო, ბრალდებულს უბრუნდება ზიარების უფლება, ესე იგი მის მიმართ ისხსნება ყველა ბრალდება, ხოლო ბრალმდებელი, თავის მხრივ, სხვა დამატებითი განხილვის გარეშე ექვემდებარება თავადვე უზიარებლობას. მსგავსი მიდგომა აისხსნება საეკლესიო სამართლის პროცესში არსებული პრინციპით, რომ ბრალმდებელი ისჯება იმავე სასჯელით, რაც გათვალისწინებულია იმ შეცოდებისათვის, რაც ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში მიესჯებოდა ბრალდებულს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქ არ არის საუბარი იმავე სასჯელზე, რაც ბრალდებაში მითოთებული შეცოდებისთვის არის გათვალისწინებული, არამედ მხოლოდ უზიარებლობაზე და ისიც, ვადის გარეშე.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ „თუ პროცესის დროს აღმოჩენილ იქნება, რომ თვითონ ბრალმდებელი იმყოფება ძიებაში, მაშინ მისი საჩივარი სრულად უარყოფილ იქნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ეხება კერძო საქმეს“¹⁶⁰.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბრალდებულის მიერ შეცოდების ჩადენის აღიარებისა და მხარის მიერ (როგორც ბრალდების, ისე ბრალდებულის) პროცესზე გამოცხადებისათვის თავის არიდების შემთხვევებში, სასამართლო პროცესი აღარ იმართება.

3.4. ცრუბრალდებისა და ცრუმოწმეობისას

ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი აღნიშნავს, რომ „ცრუმოწმეებისა და ცილისმწამებელებს სასამართლო მაშინვე, იქვე უსჯიდა სასჯელს“¹⁶¹ ამდენად, სავარაუდოა, რომ რაკიდა სასამართლო იქვე უსჯიდა სასჯელს, ასეთ დროს თავად ამ ცრუ ბრალმდებლის ან ცრუ მოწმის მიმართ საქმის არსებითი განხილვა ადარ ხდებოდა, თუმცა, შესაძლოა, საქმე ცალკე წარმოებით მაინც განიხილებოდა.

3.5. სახელმწიფო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენისას

თანამედროვე საეკლესიო-საპროცესო ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ თუკი საქმე განხილული და გადაწყვეტილია სახელმწიფო სასამართლოს მიერ, ეკლესია ამ საქმეს ხელახლა აღარ იხილავს და იღებს სახელმწიფო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს. რუსეთის საეკლესიო სასამართლოს დებულების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „გარემოებანი, რომლებიც დადგენილია კანონიერ ძალაში

¹⁵⁹ Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, დასახ. ნაშრომი, გვ. 167

¹⁶⁰ Никодимъ, Православное Церковное право, დასახ. ნაშრომი, გვ. 482

¹⁶¹ იქვე, გვ. 478

შესული სახელმწიფო სასამართლოების განჩინებებით (გადაწყვეტილებებით), აგრეთვე ადმინისტრაციული სამართლდარღვევის თაობაზე ოქმებით, გადახედვას და მტკიცებას არ ექვემდებარებიან“.¹⁶² „საეკლესიო სასამართლოებისა და მათი სამართალწარმოების შესახებ“ საბერძნეთის რესპუბლიკის 1932 წლის 31 მარტის №5383/1932 კანონის 156-ე, 157-ე და 158-ე მუხლებით დადგენილია, რომ მართალია საერო სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმების განსახილვებად მიღება პირდაპირ არ აბრკოლებს საქმის განხილვას საეკლესიო სასამართლოშიც, მაგრამ საეკლესიო სასამართლომ უნდა გადადოს საქმის განხილვა საბოლოო განაჩენამდე.¹⁶³

4. საქმის განხილვის წესი

4.1. ზოგადი დებულებანი საქმის განხილვის თაობაზე

უპირველეს უოვლისა უნდა ითქვას, რომ საეკლესიო სამართლის პროცესი განარჩევს ერთის მხრივ დიაკვნისა და მდვდლის, ხოლო მეორეს მხრივ ეპისკოპოსის საქმის განხილვის წესს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ საერო პირის საქმის განხილვის წესი, როგორც ასეთი, არც ცალკეა გამოყოფილი და არც სხვა კატეგორიის (მაგ.: დიაკვნისა და მდვდლის) საქმესთანაა ნახსენები. ჩვენი აზრით, საერო პირის საქმის განხილვა, სავარაუდოდ იწარმოება დიაკვნისა და მდვდლის საქმის განხილვის წესის შესაბამისად, ცხადია, საერო პირის, როგორც საეკლესიო სამართლის ერთ-ერთი სუბიექტის სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

ეპისკოპოსის საქმის განხილვა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ზოგადი წესის მიხედვით ექვემდებარება საეკლესიო კრებას. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საეკლესიო კრება მოიწვევა წელიწადში მხოლოდ ორჯერ ძირითადად დოგმატურ საკითხებზე, დასაშვებია მოწვეულ იქნებს 12 ეპისკოპოსიანი სასამართლო, რომელიც უფლებამოსილი იქნება განიხილოს აღნიშული კატეგორიის საქმე. დასაშვებია განმხილველ მოსამართლეთა რიცხოვნობის შემცირებაც, თუკი საპატიო მიზეზი არსებობს.

პროფ. ბერდნიკოვი საეკლესიო სამართლის პროცესზე საუბრისას გამორიცხავს პროცესში მხარეთა მონაწილეობას წარმომადგენლების მეშვეობით და წერს, რომ როგორც „ბრალმდებული ვალდებულია ბრალდების საქმე აწარმოოს პირადად“, ¹⁶⁴ ისე „ბრალდებულიც ვალდებულია სასამართლოში გამოცხადდეს პირადად“.¹⁶⁵

რაც შეეხება საქმის განხილვის საჯაროობას, საქართველოს ეკლესიის 1917 წლის მართვა-გამგეობის დებულების §39-ის თანახმად „საეკლესიო სამართალი დახურული არ არის, საქმის გარჩევას გარეშენიც ესწრებიან“. ¹⁶⁶ საპირისპიროს ადგენს რუსეთის საეკლესიო სასამართლოს დებულება, რომლის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საეკლესიო

¹⁶² <http://www.patriarchia.ru/db/print/428440.html>

¹⁶³ Βλασίου Ιω. Φείδα, Ιέροι Κανόνες και καταστατική νομοθεσία της Εκκλησίας της Ελλάδος, Αθ., 1998, Νόμος 5383/1932 περί των Εκκλησιαστικών Δικαστηρίων και της προ αυτών διαδικασίας, გვ. 523

¹⁶⁴ Краткий курс церковного права, фасад. ნაშრომი, გვ. 185

¹⁶⁵ Οქτ

¹⁶⁶ საქართველოს ეკლესიის 1917 წლის მართვა-გამგეობის დებულება, დასახ. გამოცემა, გვ. 23

სასამართლო პროცესი დახურულია, ხოლო ამავე დებულების 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პროცესი უნდა გაიმართოს ზეპირად და თუ შესაძლებლობაა, შეუჩერებლად.¹⁶⁷

„სასამართლოზე ბრალმდებელიცა და ბრალდებულიც თანაბარუფლებიანი მხარეები იყვნენ“,¹⁶⁸ რადგან „უსამართლოა, განსაჯოთ ცალმხრივად. მართლაც, თუ თქვენ მოუსმენთ ერთ პირს, ხოლო მეორე იქ არ იქნება და ვერ შეძლებს თავის დაცვას იმაზე, რაშიც ბრალი დასდეს, და თქვენ გამოიტანთ განაჩენს ნაჩარევად, მაშინ თქვენ, წინაშე ღმრთისა მართლმსაჯულისა, აღმოჩნდებით ბრალდებული მკვლელობაში და ცილისმწამელის საზომით განმზომელნი“.¹⁶⁹

განხილულ უცხოურ პრაქტიკაში ვხვდებით თარჯიმნის ინსტიტუტსაც. საქმეში ეპისკოპოს ივას წინააღმდეგ¹⁷⁰ ერთ-ერთ მოსამართლედ განწესებულ იქნა ვინმე ეპისკოპოსი ურანიოსი,¹⁷¹ რომელიც, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, არ ფლობდა ბერძნულ ენას, რის გამოც აუცილებელი გახდა მისთვის თარჯიმნის გამოყოფა: „სამუელმა (ერთ-ერთმა ბრალმდებელთაგან) გამოთქვა აზრი, რომ ჯერ საჭირო იყო ის, რასაც ეუბნებოდა ფლაბიანეს დომნე ანტიოქიელი მათი საქმეების თაობაზე, გადაეთარგმნათ სირიულ ენაზე ეპისკოპოს ურანიოსისათვის. ნოტარიუსმა შესთავაზა ეპისკოპოს ურანიოსისათვის თარჯიმნად დაენიშნათ ვინმე მარა, რომელმაც იცოდა სირიული ენა“.¹⁷² თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც ოქმებიდან ირკვევა, ეს მარა, შემდგომში სხვაგან დიაკონ მარად წოდებული, პროცესში მონაწილეობდა ბრალმდებლად,¹⁷³ რაც, ცხადია, ეჭვევეშ აყენებს მის ობიექტურობას.

4.2. მხარეთა პოზიციის მოსმენა

როდესაც ბრალდებული დროულად გამოცხადდება სასამართლოზე, მაგრამ ბრალს არ აღიარებს, მაშინ ბრალმდებელს წინადაღება ეძლევა წარმოადგინოს ბრალდება. როგორც ზემოთაც აღინიშნა, კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრების მე-6 კანონის თანახმად, საქმის განმხილველი ეპისკოპოსები ვალდებული არიან ბრალმდებელი გააფრთხილონ, რომ თუკი იგი ვერ დაამტკიცებს თავის ბრალდებას, მაშინ იგი იმავე სასჯელით დაისჯება, რა სასჯელითაც ბრალდებული დაისჯებოდა ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში, ხოლო ბრალმდებელი, თავის მხრივ ვალდებულია დადოს წერილობით პირობა იმის შესახებ, რომ ბრალდება არ არის ცილისწამება.¹⁷⁴

საინტერესოა, რომ საეკლესიო სამართლი უშეებს საქმის განხილვას მედიატორთა (კანონშია: ჩინებულთა ბჭეთა, გამორჩეულთა ბჭეთა) მი-

¹⁶⁷ <http://www.patriarchate.ru/db/print/428440.html>

¹⁶⁸ Краткий курс церковного права, иллюстрированный схемами и таблицами. Бакинско-Грузинское епархиальное управление, 185

¹⁶⁹ მოციქულთა განწესებანი, წიგნი 2, მუხლი 51, საიტიდან:
http://krotov.info/acts/04/2/constit_apost.htm

¹⁷⁰ Н. Заозерский, Церковный судь въ первые вѣка христіанства, гл. 320-328

¹⁷¹ იქვე, гл. 321

¹⁷² იქვე, гл. 322

¹⁷³ იქვე, гл. 324-327

¹⁷⁴ დიდი სჯულისკანონი, гл. 262-263

ერ.¹⁷⁵ ეს ხდება მაშინ, როდესაც მხარეები საქმის განმხილველ მოსამართლეს (ან მოსამართლეებს) უნდობლობას გამოუცხადებენ. ასეთ დროს ისინი უფლებამოსილი არიან თავად აირჩიონ მოსამართლეები. საეკლესიო კანონები არ განსაზღვრავენ, თუ როგორ ხდება მოსამართლეების არჩევა ან რამდენი მოსამართლე უნდა იქნეს არჩეული. სავარაუდოდ, ეს საკითხიც მხარეთა შეთანხმებით წყდება. ჩვენი აზრით, საქმის არსებითი განხილვა უნდა წარიმართოს ზემომოყვანილი წესის შესაბამისად. საეკლესიო კანონები განსაზღვრავენ, რომ მედიატორთა მიერ საქმის განხილვის შემდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ დაიშვება.

საგულისხმო III მსოფლიო კრებაზე, ნესტორის მწვალებლობის საკითხის განხილვის პროცედურა. წარდგენილი ბრალდების შემდეგ პირველ საპროცესო მოქმედებას რასაც ვხვდებით, ესაა ნესტორის მიერ თავის მართლება¹⁷⁶ და შემდეგ კრების მოხსენება იმპერატორის მიმართ ნესტორის თაობაზე. რამდენადაც საქმის განმხილველი ამ შემთხვევაში იყო თავად იმპერატორი, როგორც ნესტორის თავის მართლების, ისე კრების შეპასუხების ადრესატიც იმპერატორია.

ნესტორის თავის მართლებას ხელს აწერს მისი 10 თანამოაზრე ეპისკოპოსი. თავის მართლების ნაწილში ვერ ვხვდებით დეტალურ და პუნქტობრივ შეპასუხებას. იგი უფრო თხრობითი შინაარსისაა და მასში მცდელობაა მხოლოდ იმპერატორს გააცნოს ნესტორისა და მისი თანამოაზრეების შეხედულება ქრისტოლოგის თაობაზე და ეს მოსაზრება დააფუძნოს წმინდა წერილს ნიშნად იმისა, რომ მათი სწავლება სრულ თანხმობაშია ეკლესიის დოგმატურ მოძღვრებასთან. თუმცა, დასასრულ, ნესტორიანელები იმპერატორს იმის თაობაზეც მიანიშნებენ, რომ ისინი იდევნებიან, როგორც განსხვავებული რწმენის მქონენი. იმპერატორს ისინი იმასაც თხოვენ, რომ არ დაუშვას კრებაზე მათი პირადი მოწინააღმდეგების დაშვება. საინტერესოა, რომ ზემოხსენებული აცილების უფლება, რაც კირილე ალექსანდრიელის 1-ლი კანონით იქნა დადგანილი,¹⁷⁷ ამ პერიოდისათვის არ იყო სანქციონირებული კანონი. ჩანს, აცილების უფლება ეკლესიის საპროცედურო წესების ტრადიცია იყო. რაც შეეხება კრების შეპასუხებას, იგი ბევრად ვრცელია ნესტორის პოზიციასთან შედარებით და უფრო დეტალურად მოიცავს ნესტორის მოძღვრების სიმცდარეში მხილებას. კრება საქმის მეტი სიცხადისათვის თავის პოზიციას დანართის სახით ურთავს კირილე ალექსანდრიელისა და სხვა საეკლესიო მოღვაწეების ეპისტოლები ნესტორის მოძღვრებასთან დაკავშირებით.¹⁷⁸

4.3. დაკითხვა

საეკლესიო პროცესი, გარდა მხარეთა პოზიციისა ითვალისწინებს აგრეთვე, დაკითხვასაც. VI მსოფლიო კრების საქმეებში ჩვენ ვხვდებით სასამართლო ოქმს, სადაც გადმოცემულია საეკლესიო კრების თავმჯ-

¹⁷⁵ იხ. კართაგენის 96-ე და 122-ე კანონები, დიდი სჯულისკანონი, გვ. 337, 349

¹⁷⁶ Дѣянія Вселенскихъ Соборовъ, изданныя въ русскомъ переводѣ, при Казанской Духовной Академіи, томъ I, Казанъ, 1910, გვ. 269-270

¹⁷⁷ იხ. დიდი სჯულისკანონი, გვ. 531-532

¹⁷⁸ იხ. სქოლიო, გვ. 173

დომარე იმპერატორ კონსტანტინესა და კრების მონაწილე არაერთი ეპისკოპოსის დიალოგი კრების განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.¹⁷⁹ ოქმს თან ახლავს ერესიარქ¹⁸⁰ მაკარიოსის მოძღვრების თაობაზე მცირედი ჩანართი და შემდეგ თავად მაკარიოსის დაკითხვის ოქმი.

იმპერატორი დაკითხვამდე მაკარიოსს მიმართავს, რომ მან დაადასტუროს ან უარყოს წარდგენილი ბრალდება. თუმცა, ცხადია, იმპერატორი სიტყვა „ბრალდებას“ არ ახსენებს და მაკარიოსს მხოლოდ თხოვს, რომ დააფიქსიროს მისი პოზიცია წაკითხულ მოძღვრებასთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც კრება მოისმენს, რომ მაკარიოსი ეთანხმება ამ სწავლებას, იმპერატორი უკვე გადადის დაკითხვაზე: „დაე, თვითონ დვოთისმოყვარე მაკარიოსმა გვითხრას, ადიარებს თუ არა იგი ორ ნებელობასა და ორ მოქმედებას ჩვენ უფალ იესო ქრისტე დმერთში“. ¹⁸¹ დაკითხვა საკმაოდ ვრცელია და რამდენიმე გვერდს მოიცავს. დაკითხვაში იმპერატორთან ერთად მონაწილეობას იღებენ სასულიერო პირებიც. დაკითხვის შედეგად, კრების მონაწილეები და თავმჯდომარე სრულ წარმოდგენას იქმნიან მაკარიოსის მოძღვრების თაობაზე, რის შემდეგაც იმპერატორი წინადადებით მიმართავს კრებას, რომ მოსმენილი გაითვალისწინოს, ხოლო საქმის განხილვა გაგრძელდეს შემდეგი დღისათვის.

ამ მხრივ, საინტერესოა, აგრეთვე 1780 წლის 14 მაისით დათარიღებული იოანე ავალიშვილის შეურაცხყოფის საქმეზე დიკასტერის განხინება, სადაც გვითხულობთ, რომ სასამართლოს ორივე მხარე დაუბარებია: „ჩვენ ორნივ მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ და ორთავე ურთიერთარს სარჩელი და ლაპარაკი გავსინჯეთ“. ამ განხინებაში კურადსაღებია ის, რომ ბრალმდებელმა, ანუ იოანე ავალიშვილმა ჯერ წარადგინა სარჩელი, მაგრამ (ა) სასამართლო იბარებს მხარეებს, (ბ) დაკითხავს მათ („ვალაპარაკეთ“) და შემდეგ (გ) ახდენს შეფასებას, როგორც წარდგენილი სარჩელების, ისე დაკითხვის შედეგად მიღებული ჩვენებებისას („ლაპარაკი გავსინჯეთ“).¹⁸²

4.4. მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებათა გამოკვლევა

როგორც მსოფლიო კრებათა, ისე საქართველოს საკლესიო კრებათა განხინებებში ჩვენ ვხვდებით არსებითი განხილვის სტადიაზე მტკიცებულებათა გამოკვლევასაც. ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებულ ეპ. დიომიდეს წინააღმდეგ განაჩენში მოცემულია მტკიცებულებათა გამოკვლევა, კერძოდ, საკლესიო სასამართლო დაეფუძნა ექსპერტების დასკვნას.¹⁸³ იმავე ზემომოყვანილ დიკასტერის განხინებაში ავალიშვილის საქმეზე ვხვდებით მოწმეთა ჩვენებებს და მათ გათვალისწინებას საბოლოო განაჩენის გამოტანის დროს. მტკიცებულებათა გამოკვლევაზე ირიბად საუბრობს საქართველოს ეკკლესიის 1917 წლის მართვა-გამგეობის დებულებაც: „განაჩენს სასამართლოს წევრები დაადგენენ [...] მხოლოდ მას შემდეგ,

¹⁷⁹ Дѣянія Вселенскихъ Соборовъ, изданныя въ русскомъ переводѣ, при Казанской Духовной Академіи, томъ VI, Казань, 1908, гл. 78

¹⁸⁰ ბერძნებულია, ერესის, ანუ მწვალებლობის მფთავრს ნიშნავს.

¹⁸¹ Дѣянія Вселенскихъ Соборовъ, изданныя въ русскомъ переводѣ, при Казанской Духовной Академіи, томъ VI, Казань, 1908, гл. 90

¹⁸² იხ. ქართული სამართლის ქაგლები, ტ. V, გვ. 107

¹⁸³ <http://www.patriarchia.ru/db/print/428878.html>

რაც შემოწმებული იქნება სასამართლოში წარმოდგენილი საბუთები¹⁸⁴. რაც შეეხება თავად მტკიცებულებათა სახეებს, მას ეძღვნება სადისერტაციო ნაშრომის ცალკე თავი.

საქმის განხილვის პროცესში მხარეები (ბრალმდებელი და ბრალდებული) მოვალენი არიან ბრალდების მტკიცების დროს წარმოადგინონ საეკლესიო კანონებით განსაზღვრული მტკიცებულებები. საეკლესიო სამართლი პირდაპირ არ საუბრობს მტკიცების ტვირთზე, თუმცა შესაბამისი კანონების გამოკვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. კერძოდ, რაკი ბრალმდებელს ევალება, რომ მისი ბრალდება იყოს ზუსტი, მას ეკისრება პასუხისმგებლობა და ედება სასჯელიც კი, თუკი ბრალდება ცილისწამება იქნა, ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ მტკიცების ტვირთი არის ბრალმდებლის მხარეზე. ამ მხრივ გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროფ. ბერდნიკოვის მტკიცებით, ისტორიულად, „ბრალმდებელი ზრუნავდა ყველა იმ საშუალების შეკრებისათვის, როთაც დაარწმუნებდა სასამართლოს მისი ბრალდების სიმართლეში“¹⁸⁵.

მნიშვნელოვანია რუსეთის საეკლესიო სასამართლოს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომელიც ნაწილობრივ ეხება განსახილველ საკითხს: „პირი, რომელიც ბრალდებულია საეკლესიო სამართალდარღვევის ჩადენაში, არ შეიძლება დაექვემდებაროს კანონიკურ სასჯელს დირსეული მტკიცებულებების გარეშე, რომლებიც აღგენენ ამ პირის ბრალეულობას“¹⁸⁶ საინტერესოა, რომ დებულების ხსენებული პუნქტი იქვე უთითებს კართაგენის 28-ე კანონზე, რომელიც მხოლოდ იმას აღგენს, რომ განსჯა უნდა მოხდეს სათანადოდ.¹⁸⁷

მას შემდეგ, რაც მხარეები პროცესზე წარმოადგენენ სათანადო მტკიცებულებებს, სასამართლო მოისმენს ბრალდებას და პასუხს, იგი უფლებამოსილია გამოიტანოს განაჩენი.

¹⁸⁴ საქართველოს კლესის 1917 წლის მართვა-გამგეობის დებულება, დასახ. გამოცემა, გვ. 24

¹⁸⁵ Краткий курс церковного права, დასახ. ნაშრომი, გვ. 185

¹⁸⁶ <http://www.patriarchia.ru/db/print/428878.html>

¹⁸⁷ იბ. დიდი სჯულისკანონი, გვ. 301

V. განაჩენის გამოფანა

საეკლესიო სამართლის საპროცესო ხასიათის კანონები და პრაქტიკა შესანიშნავ წარმოდგენას გვიქმნის საპროცესო მოქმედებათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის – განაჩენის გამოტანის შესახებ. ზემოხსენებული კანონები შეიძლება დაყოფილ იქნეს იმის გათვალისწინებით, თუ რა აუცილებელი სტადია უნდა გაიაროს გადაწყვეტილებამ, სანამ ის ოფიციალურად გამოიცემოდეს საეკლესიო სასამართლოს სახელით. ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ გადმოცემულ იქნეს ის აუცილებელი ტრადიცია, რისი გათვალისწინებაც ხდება განაჩენის გამოტანის დროს.

1. გადაწყვეტილების მიღების წესი

1.1. ერთი მოსამართლის მიერ

თუ ბრალდებას განიხილავს ერთი მოსამართლე, მას, ცხადია, განაჩენი გამოაქვს პირადად. ჩვენ ზემოთ განვიხილეთ ისეთი შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის საეკლესიო მოღვაწეები ეპისტოლებით მიმართავდნენ ავტორიტეტულ სასულიერო პირებს და ეკითხებოდნენ მათ კონკრეტული გადაწყვეტილების თაობაზე აზრს. თავისთავად ცხადია, რომ რაც არ უნდა სხვის მოსაზრებას თუ პოზიციას უნდა ეფუძნებოდეს გამოტანილი განაჩენი, იგი მაინც იმ მოსამართლის პასუხისმგებლობით და მიერ არის გამოცემული, რომელმაც ხელი მოაწერა ამ განაჩენს.

ერთი მოსამართლის მიერ გამოტანილ განაჩენს ჩვენ ვხვდებით ქართული საეკლესიო სამართლის წყაროებში. თუმცა, თავის მხრივ, ეს განჩინება უნიკალურია. საუბარია კათოლიკოს-პატრიარქ ანგონ II-ის 1788 წლის 17 დეკემბრის წერილზე დოსითეოს ნეკრესელის მიმართ უკანონო ხელდასხმის შესახებ.¹⁸⁸ წერილიდან ირკვევა, რომ ნეკრესელ მღვდელმთავარ დოსითეოს მღვდლად ხელი დაუსხამს ვინმე დიაკონ დავითისათვის, რომელიც, წერილიდანვე გამომდინარე, მიეკუთვნებოდა კათალიკოსის უშუალო სამწყსოში. კათალიკოსი უკმაყოფილებას გამოხატავს და თხოვს ახსნა-განმარტებას მეუფე დოსითეოსს: „თუ საკათალიკოსო ეპარქია დაქვრივებული იყო და მწყემსი აღარ უჯდა, იმისის უწმიდესობისა-გან განწევებული და იმის სიმაღლისაგან დამტკიცებული დიკასტირია ხომ იყო, და ესენი განაგებდენ სამღუდელოსა და სულიერსა საქმეებსა, რატომ ამათ არ დაეკითხე და ამათის წიგნით არ აკურთხე? და თუ ამ ჩემს კათოლიკოსობაში იყო, ჩემს უკითხავად როგორ გაჰქით ჩემის სამწყსოს მიტაცება? ორგზითვე დიდი უკადრისი საქმე გიქნია და წინა-აღმდგომი წმიდათ მამათ კანონისა“.¹⁸⁹ როგორც ვხედავთ, ანგონ II ავითარებს ორ შემთხვევას, რამაც, სავარაუდოდ, განაპირობა კა. დოსითეოსის მიერ ხელდასხმა. ერთი, შედარებით შემამსუბუქებელი გარემოებით იქნებოდა ის, თუკი ხელდასხმა მოხდა კათალიკოსის საყდრის დაქვრივების დროს, ანუ როდესაც მოქმედი კათალიკოსი არ იყო. ხოლო მეორე, უფრო დამამიმებელი იქნებოდა ის, თუკი ეს ხელდასხმა განხორციელდა ანგონ II-ის კათოლიკოსობის დროს.

¹⁸⁸ იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 976-977

¹⁸⁹ იქვე, გვ. 976

კათალიკოსი აჯამებს რა ეპისკოპოსის ქმედებებს, წერს: „მე კარგი პასუხი მაქვს შენთვის მოსაწერი ამისთვის, მაგრა ამ დროებაში დია მოუცლელი ვარ; და ჩემ მაგიერ პასუხის მომცემად კმა არს შენდა კანონი წმიდათა მოციქულთა 35, ანტიოქიისა 22 და ეფესოსა 8; და იქიდამ სცნობ ყოველსავე, მე არა რა პასუხი გაგცე ამის მეტი“.¹⁹⁰ აქ კათალიკოსი ანტონი უკვე მოიხმობს სათანადო საეკლესიო კანონებს და სწორედ მათზე უთითებს ეპისკოპოს დოსითეოსს, რომ მათში მოცემული დებულებები „პასუხის მომცემად კმა არს“.

მოციქულთა 35-ე კანონი ზუსტად განსახილველ საკითხს ეხება: „ეპისკოპოსისა ნუმცა უკადრებიეს გარეგან სამრემლოვსა თუსისა ჰელო-დასხმისა ქმნავ ქალაქთა შინა და სოფელთა, რომელნი არა მიმდგომ იყვნენ ეკლესიისა მისისა“.¹⁹¹ ამავე საკითხს აწესრიგებს ანტიოქიის ადგილობრივი კრების 22-ე კანონიც: „ეპისკოპოსი ნუმცა ზედა-შევალს უცხოსა ქალაქსა, რომელი არა მის ქუეშე იყოს, ნუცა სოფლიოთა გარეგანთა სამრემლოვსა მისისათა ველო-დასხმისათვს ვიეთსამე“.¹⁹² რაც შეეხება ეფესოს III მსოფლიო კრების მე-8 კანონს, იგი მცირედ განაზოგადებს ზემომოყვანილ ორ კანონს და მსჯელობს ეპისკოპოსის მიერ ეპარქიის მიტაცებაზე: „ნუმცა ვინ ღმრთისმოყვარეთა ეპისკოპოსთაგანი მიიტაცებს სხუასა სამთავროსა, რომელი პირველითგანვე და ზემოვთგან არა მის ქუეშე და მისსა უწინარესთა საყდრის მპყრობელთა ქუეშე განწესებულ იყოს“.¹⁹³

ამდენად, კათალიკოსი ანტონ II სამართლიანად უთითებს შესაბამის საეკლესიო კანონებზე, რომლის დარღვევაშიც არის ბრალდებული ეპისკოპოსი დოსითეოსი.

საინტერესოა არის ამ განჩინების დასკვნითი ნაწილი: „მე ეგ მდუდელი დავით, კანონისაებრ მამათასა, მდუდელობიდამ განმიკუეთია; ახლავ გამოუცხადე, რომ ნუღარა სწირავს და ნუღარცა-რა იმდუდელმოქმედებს, ვითა ცხოვარი განჭრილი სამწყსოსაგან თვისისა და სხვსგან მიმდები კელის დასხმისა“.¹⁹⁴ განჩინებიდან ჩანს, რომ ანტონ II გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად, სხვათა შორის, საქმის გამომიების გარეშე. საგულისხმოა, რომ ანტონ II-ის გადაწყვეტილება ცალმხრივია, ანუ ეხება მხოლოდ მდვდელ დავითს, რადგან, მოციქულთა 35-ე კანონით, განკვეთის დირსი უნდა ყოფილიყო, წესით, ეპისკოპოსი დოსითეოსიც: „ხოლო უკუკო იმხილოს ამისდა მოქმედად [...] განიკუთენ იგიცა და გელთდასხმულნიცა მისნი“.¹⁹⁵ სავარაუდოა, რომ კათალიკოსის ამგვარი გადაწყვეტილება ორი გარემოებით არის გამოწვეული: (ა) მდვდელ დავითის შეცოდება აშკარაა: იმის მიუხედავად, საკათალიკოსო საყდარი დაქვრივებული იყო თუ არა, თვითონ კარგად უწყოდა მან, რომ დიაკვნად კათალიკოსის მიერ იყო ხელდასხმული და სხვას არ უნდა დაესხმა ხელი. რასაც ვერ ვიტყვით ეპისკოპოს დოსითეოსის ქმედებაზე, რადგან

¹⁹⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 977

¹⁹¹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 219

¹⁹² იქვე, გვ. 252

¹⁹³ იქვე, გვ. 266-267

¹⁹⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 977

¹⁹⁵ დიდი სჯულისკანონი, გვ. 219

უოველივე დამოკიდებული იყო მის პასუხებები; (ბ) ანგონ II-ს რომც ჩაეთვალა ღირსად მეუფე დოსითეოსის განკვეთა, იგი ამას ვერ შეძლებდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეპისკოპოსის განკვეთას იგი პირადად ვერ მოახდენდა.¹⁹⁶

1.2. კრებულის მიერ

კრებულის მიერ, ზოგადად, გადაწყვეტილების მიღების თაობაზე არსებობს ანგიოქიის კრების მე-19 კანონი, რომელიც ეხება ეპისკოპოსის გამორჩევის წესს, მაგრამ კანონისტო მოსაზრებით იგი ითვლება საერთო წესად კრებულის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.¹⁹⁷ კრების კანონით დადგინდა, რომ „[მიღება გადაწყვეტილებისა] ნუმცა იქმნების თვითი კრებისა და მუნ ყოფისა სამთავროვანი მის მიტროპოლიტისა. ხოლო იგი რად მუნ იყოს, უმჭულად უმჯობეს უგუე ესრეთ არს, რაოთა მის თანა იყვნენ სხუანიცა ყოველნი სამთავროვანი მისისა თანამწირველნი მისნი ეპისკოპოსნი, რომელთავ ეპისტოლებისა მიერ დედაქალაქად სათანადო არს მოწოდებად და უკუეთუ შემო-ვითა-კრებენ ყოველნი, უმჯობეს არს. ხოლო უკუეთუ მნელ იყოს ესე, უმრავლესთავ უმჭულად ჯერ-არს შემოკრებად, ანუ წიგნებისა მიერ თანაჯერმინებელ-ყოფად და ესრეთ ანუ მუნ ყოფითა, ანუ თანაჯერმინებელ-ყოფითა უმრავლესთა ეპისკოპოსთავთა დადგინებად ეპისკოპოსისად. ხოლო უკუეთუ სხუებრ, თვითი განსაზღვრებისა ამის, იქმნას ესე, არა მტკიცე არს კელთ-დასხმად იგი და უკუეთუ განსაზღვრებისაებრ კანონისა ამის იქმნას დადგინებად ეპისკოპოსისად, ხოლო წინააღმდეგებოდინ ვიეთნიმე ცილობისმოყუარებითა თვითია, უმრავლესთა იგი განჩინებად დაემტკიცენის“.¹⁹⁸

სამთავროს მიტროპოლიტი, ჩვენ შემოხვევაში, არის ეკლესიის მეთაური, ანუ კათოლიკოს-პატრიარქი. მით უფრო, რომ საქართველოს ეკლესიის დებულების თანახმად, პატრიარქი აგრეთვე დედაქალაქის – თბილისის მდგდელმთავარიც არის. საყურადღებოა ამ კანონის რამდენიმე დეტალი: (ა) კრებაზე მოწვეულ უნდა იქნეს ყველა. მართალია, აქ ხელდასხმაზეა საუბარი, მაგრამ ჯერ ერთი, აღინიშნა, რომ იგი ასევე მიღებულია, რომ ვრცელდება გადაწყვეტილებაზეც. და მეორე – რახან ხელდასხმის დროს არის აუცილებელი კრებულის გადაწყვეტილება, ცხადია, რომ აუცილებელი უნდა იყოს განაჩენის გამოტანის დროსაც. (ბ) მნიშვნელოვანია ისიც, რომ იმ პირობებში, როცა არ ხერხდება ყველა ეპისკოპოსის შეკრება, კანონი აუცილებლობად აწესებს კრების უმრავლესობის მაინც შეკრებას, ანდა, ასევე გამონაკლის შემოხვევაში, კრების გადაწყვეტილების ლეგიტიმურობისათვის აუცილებელ წევრთა წერილობითი პოზიციის წარდგენას. მნიშვნელოვანია დასკვნითი ნაწილიც, სადაც აღნიშნულია, რომ (გ) თუკი მაინც არსებობს აზრთა წინააღმდეგობა, მტკიცდება უმრავლესობის გადაწყვეტილება.

საბერძნეთის კანონით „საეკლესიო სასამართლოებისა და მათი სამართლწარმოების შესახებ“ დადგენილია, რომ როდესაც გადაწყვეტილება

¹⁹⁶ შეად. მოციქულთა 1-ლი კანონი, დიდი სჯულისკანონი, გვ. 216

¹⁹⁷ Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, დასახ. ნაშრომი, გვ. 77

¹⁹⁸ დიდი სჯულისკანონი, გვ. 251

გამოაქვს კრებულს, კრების თავმჯდომარე ხმას აძლევს ბოლოს (მუხლი 98).¹⁹⁹

2. ბრალდების დამტკიცება ან უარყოფა

თუმცა კი საეკლესიო სამართალი ცალკე არ მიუთითებს, მაგრამ განაჩენი შეიძლება იყოს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი.

გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში ბრალდებულს, ცხადია, ესხნება ყველა ბრალდება და აღუდგება ყველა თავისი უფლება (მაგ.: ზიარების, მდგდელმოქმედების და ა.შ.), რომელიც მას ჩამორთმეული პქონდა საქმის განხილვის დროს. ამასთან, საგულისხმოა ერთი საკითხიც: კონსტანტინოპოლის მე-6 კანონით, ბრალდების არდამტკიცების შემთხვევაში ბრალმდებელი იმავე სასჯელით უნდა დაისაჯოს, რაც ბრალდებულს ელოდა. ჩვენი აზრით, ვინაიდან ცილისწამებას ცალკე დამტკიცება სჭირდება, ბრალმდებლის გამტყუნება და დასჯა ცალკე წარმოებით უნდა მოხდეს და არა გამამართლებელი განაჩენის გამოტანისთანავე, თუმცა საეკლესიო კანონებში ამის შესახებ არაფერია მითითებული.

გამამტყუნებელი განაჩენით ხდება წაყენებული ბრალდების დადასტურება, ანუ დამტკიცება. საეკლესიო პროცესის პრინციპების შესახებ საუბრისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ყველა ბრალდების დამტკიცების წესის შესაბამისად საქმის განმხილველმა მოსამართლეებმა ერთი ბრალმდებლის მიერ წარდგენილი ბრალდებები ერთობლიობაში უნდა დაამტკიცონ. თუ რომელიმე ბრალდება ვერ დამტკიცდა, ამ ბრალდების წარმდგენი პირის სხვა ბრალდებებიც არ მიიღება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ თუ საქმის განხილვის დროს ბრალდებულის მიმართ ბრალდებები წარდგენილია სხვა პირის მიერაც, ამ უკანასკნელის ბრალდებები არ მიიღება. ბრალდების დამტკიცების შემდეგ საქმის განმხილველმა მოსამართლეებმა უნდა განსაზღვრონ სასჯელის ზომა. საპროცესო სამართალში მიღებული წესის თანახმად ბრალდების დამტკიცება ხდება კონკრეტული შეცოდების მიმართ, ხოლო შეცოდებას, როგორც წესი თან ახლავს სასჯელის ზომაც.

3. სასჯელის ზომის განსაზღვრა

საეკლესიო სამართალში მიღებულია, რომ ძირითადი სასჯელი, რაც დადგენილია ქრისტიანისათვის, ესაა ზიარებისაგან განყენება.²⁰⁰ დაცადება და მღვდელმოქმედებისაგან დაყენება, რაც სასულიერო პირებს მიესჯებათ ხოლმე, არსობრივად ზიარებისაგან დაყენებაა, რადგან მღდელმოქმედების აკრძალვა გულისხმობის იმას, რომ მღვდელს ეკრძალება მონაწილეობა საეკლესიო მსახურებებში, ანუ ფაქტობრივად ამით იგი განყენებულია ზიარებისგანაც.²⁰¹

¹⁹⁹ Βλασίου Ιω. Φείδα, დასახ. კრებული, გვ. 509

²⁰⁰ ამის შესახებ იხ. ჩვენი მოსაზრება – დ. ჩიკვაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 66-67

²⁰¹ პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 167

ამის გარდა, არსებობს ყოველითურთ განკვეთა, იგივე შეჩვენება, ან იგივე ანათემა. იგი გულისხმობს ეკლესიის ერთობისაგან მთლიანად განკვეთას, რამდენადაც ამ სასჯელის შემდეგ ადამიანი პკარგავს ეკლესიის წევრობას, ანუ ქრისტიანთა კრებულიდან განიღევნება.²⁰²

დიდი სჯულისკანონის შეცოდების დამდგენი ნორმები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: (ა) სადაც მითითებულია, სასჯელის მხოლოდ სახე და (ბ) სადაც მითითებულია მისი შესრულების ვადა.

პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი კანონები, სადაც აღნიშნულია მხოლოდ „უზიარებელ იქმენინ“, „დაეცადენ მღდელობისაგან“ და ა.შ. რაც შეეხება მეორე კატეგორიას, მას მიეკუთვნება ისეთი კანონები, სადაც უკვე ვხვდებით უზიარებლობის კონკრეტულ ვადას. საგულისხმოა, რომ პირველი კატეგორიის კანონები ძირითადად გამოცემულია მოციქულთა და მსოფლიო კრებების მიერ, ხოლო მეორე კატეგორიისა, როგორც წესი, ადგილობრივი კრებების მიერ. მასვე მიეკუთვნება ავტორიტეტულ საეკლესიო მოღვაწეთა ეპისტოლარული კანონები. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, არის ის, რომ მსოფლიო კრების კანონი უცვალებელია ეკლესიაში და ამდენად, სასამართლო იძულებული იქნებოდა, რომ სასჯელად მხოლოდ ის დაედგინა, რასაც მსოფლიო კრება განსაზღვრავდა. ამიტომ, მსოფლიო კრებათა კანონების ამ ერთგვარ „ხარვეზს“ ავსებს სწორედ ის კანონები, რომლებმაც დაადგინეს კონკრეტული ვადები და ამით სრულყვეს საეკლესიო კანონთა სანქციის ნაწილი.

სასჯელის გამოტანის დროს საგულისხმო და გასათვალისწინებელია ექვთიმე მთაწმინდელის კომენტარები იოანე მმარხველის კანონების მიმართ, სადაც წმინდა მამა დეტალურად ჩამოთვლის იმ გარემოებებს, რაც უნდა გაიაზროს მოსამართლემ განჩინების გამოტანისა და განკანონების წინ (პუნქტობრივად დაყოფა ჩვენია):

„და ყოველსავე ზედა მოძღვარსა მას, რომელი აღსაარებასა შეცოდებულისასა ისმენდეს, თანა-აც ხილვად:

- 1) სიჭაბუკისავ და სიბერისავ;
- 2) ძლიერებისავ და უძლურებისავ;
- 3) განყოფილებანი ადგილთანი და სახენი, რომლითა იქმნა ცოდვა, რამეთუ მრავალ სახე არს და მრავალგუარი:
- ა) გინათუ მან დაპატიჯა მეორესა, გინათუ მის მიერ დაეპატიჯა მას;
- ბ) გინათუ განზრახვით და წურთით მივიდა ცოდვასა მას, ანუთუ იშობრივ და აღტაცებით შეემთხვა;
- გ) ანუთუ მთრვალი იპოა;
- დ) ანუთუ პატრონისა ბრძანებითა ჭელმწიფებით შეემთხვა შიშითა მისითა;
- ე) ანუთუ სიგლახაკისაგან და მსგავსთა ამათვან;
- ვ) ანუთუ თვისითა ოდენ გულისთქუმითა და ნებითა ქმნა.

ამის ყოვლისა გამოძიებად ჯერ არს მოძღვრისა მიერ (ა) უამისავ და (ბ) ჰასაკისავ და (გ) ადგილისავ და (დ) იძულებითისავ და (ე) ფლობილობისავ და მას ზედა მიცემად კანონისავ, რამეთუ ამათ პირთა და საქ-

²⁰² პ. პუნქტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 205

მეთაგან უმძიმეს და უსუბუქეს იქმნებიან ცოდვანი, რამეთუ არა ერთად განიკანონების, რომელსა იძულებით და მძლავრობით და ჭირით შეემთხუს, და რომელმან კელმწიფებით დაპატიჟოს და მძლავრ ქმნას, გინა აქმნიოს ბოროტი²⁰³. ვფიქრობთ, კომენტარიც კი ზედმეტია იმდენად დეტალურად და ყოვლისმომცველად განსაზღვრავს ექვთიმე მთაწმინდელი ყველა იმ გარემოებას, რომელიც ქმნის შეცოდების სიმძიმეს და სიმსუბუქეს.

სასჯელის განსაზღვრის დროს განმხილველი სასამართლო ვალდებულია, აგრეთვე, გაითვალისწინოს ნიკეის I მსოფლიო კრების მე-12 კანონი, რომლის თანახმადაც საქმის განმხილველი მოსამართლეების მიერ „ყოველთა თანა გამოწულილვით გამოძიებად საჭმარ არს მოსწრაფებასა მათსა და სახესა სინანულისასა, რამეთუ რაოდენთა შიშით და ცრემლით, მომმინებით და კეთილთა მოქმედებით, საქმით და არა სახით ხოლო აჩუქონ მოქცევად თვისი²⁰⁴. მიღაში ამ კანონის კომენტირებისას იმოწმებს სხვა განმმარტებლებსაც და ადასტურებს, რომ ეს არის ქრისტიანი ეპისკოპოსების განსაკუთრებული უფლება, რომ გამოიძიონ მონანული შემცოდის სულიერი მდგომარეობა და არათუ ამის მიხედვით განსაზღვრონ სასჯელი, არამედ თვით განსაზღვრული და ძალაში შესული სასჯელიც კი შეამცირონ.²⁰⁵ ბასილი დიდის 54-ე კანონით სასჯელის ზომის განსაზღვრის უფლება აქვს საქმის განმხილველ ეპისკოპოსს, შეცოდების სიმძიმის, ბრალდებულის პიროვნების და სხვა სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით: „შენისა გულისწმის-ყოფისად არს, რაოთა სახისაებრ და ვითარებისა ვნებისა მის, გინათუ განავრცო ანუ შეამოკლო კანონი“,²⁰⁶ მიმართავს იგი ამფილოქე იკონიელს. საინტერესოა, აგრეთვე, გრიგოლ ნოსელის მე-8 კანონი, რომელიც მსგავს აზრს ავითარებს და განმარტავს, რომ „ყოველსა შინა სახესა ცოდვის მოქმედობისასა პირველ ყოვლისა ამისი განმხილვად სათანადო არს, თუ ვითარი არს გულსმოდგინებად განკურნებადისად მის და რაოთა არა ამას ვჰგონებდეთ, ვითარმედ ჲამი ჲამი არს საკურნებელად, რამეთუ რამდცა კურნებად იქმნა ჲამისაგან, არამედ ნებისაგან და აღრჩევისა მისისა, რომელი მოქცევისა მიერ მოსწრაფე იყოს კურნებად თავისა თვისისა“²⁰⁷. ამგვარივე მსჯელობა მოჰყავს ექვთიმე მთაწმინდელს მცირე სჯულისკანონში: „ნუ ჲამითა განიკითხავ და განაწესებ კანონსა მონანულთასა, არამედ მკურვალებისაებრ და წესისა და ლმობიერებისა გონებისა მათთავსა და საზომისაებრ სინანულისა მათისასა“²⁰⁸.

ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თვით ის კანონებიც კი, სადაც მითითებულია შეცოდებისათვის კონკრეტული ვადა უზიარებლობისა, მაინც პირობითია და საქმის განმხილველ მოსამართლეს უფლება აქვს გარემოებებისდა გათვალისწინებით დაადგინოს განკანონების ვადა და პირობები.

²⁰³ მცირე სჯულისკანონი, გვ. 103

²⁰⁴ დიდი სჯულისკანონი, გვ. 234

²⁰⁵ იხ. ეპ. ნიკოდიმოსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 193

²⁰⁶ დიდი სჯულისკანონი, გვ. 492

²⁰⁷ იქვე, გვ. 520

²⁰⁸ მცირე სჯულისკანონი, გვ. 123

ჩვენ ცალკე თავად გამოვყავით „განაჩენის აღსრულება სასჯელების მიხედვით“, სადაც სადისერტაციო თემის ფარგლებში დეტალურად ვსუბრობთ თითოეული სასჯელის აღსრულების წესის თაობაზე.

4. განაჩენის ტექსტი და მისი საგალდებულო ნაწილები

ჩვენ მიერ განხილულ საპროცესო ხასიათის საეკლესიო კანონებში არსად არ ვხვდებით ნორმებს, სადაც განსაზღვრული იქნებოდა ის აუცილებელი ნაწილები თუ კომპონენტები, რასაც აუცილებლად უნდა შეიცავდეს საეკლესიო განაჩენი. თუმცა, ჩვენ მიერ შესწავლილი სასამართლო გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, გამოვყავით ის პუნქტები, რასაც, როგორც წესი, შეიცავენ საეკლესიო სასამართლოს გადაწყვეტილებები.

საკუთრივ განაჩენის ფორმასთან დაკავშირებით შეგვიძლია მოვიყვანოთ ექვთიმე მთაწმინდელის მოსაზრება, რომლის თანახმად შესაძლებელია განკანონების განჩინება ზეპირადაც წარმოითქვას, წერილობითი დოკუმენტის გარეშე: „ოდეს ესე ყოველი [...] მონაწილეობა აღიაროს და არღარად დაუტეოს, მაშინ გულისწმა-ყოს მოძღუარმან და [...] ამას ზედა მისცეს კანონი წერით, გინა უწერელად“.²⁰⁹

4.1. განაჩენის დმრთის სახელით

საეკლესიო ტრადიციით განაჩენი გამოიტანება დვთის სახელით. ეს შეიძლება იყოს როგორც სამების დასახელება, ისე სამების მეორე პირის (იყხო ქრისტე) ან დვთის რომელიმე ქრისტიანული ეპითეტის.

ნებტორის განკანონების თაობაზე III მსოფლიო კრების განაჩენი მაცხოვრის სახელით არის გამოტანილი: „უფალი იეხო ქრისტე, რომელ-ზეც წარმოთქვა მან გმობის სიტყვები, წმინდა კრების პირით განსაზღვრავს, რომ დამხობილ იქნეს იგი საეპისკოპოსო საყდრიდან და განყენებულ საეკლესიო ერთობისაგან“.²¹⁰

საინტერესოა, რომ დიოსკორეს მიმართ IV მსოფლიო კრების მიერ გამოტანილი განაჩენი შესავალ ნაწილში მხოლოდ ახსენებს იმას, რომ კრება შედგა „წყალობითა დმრთისაითა“.²¹¹ აქ ვერ ვხვდებით ვერც წმინდა სამების ან დვთის სხვა ეპითეტის წანამდღვრებას გადაწყვეტილების მიღების დროს.

რაც შეეხება ქართულ საეკლესიო-სასამართლო გადაწყვეტილებებს, აქ უფრო ვხვდებით მრავალფეროვნებას მსოფლიო კრებებთან შედარებით. მაგალითად, კაცია ჩიჩუას შეჩვენების წიგნში, რომელიც ხელმოწერილია მაქსიმე კათალიკოსის მიერ 1776 წლის 28 დეკემბერს, უხვად არის მოცემული ქრისტიანისთვის თაყვანსაცემი პირები თუ სიწმინდეები:

²⁰⁹ იქვე, გვ. 109

²¹⁰ Дѣянія Вселенскихъ Соборовъ, изданныя въ русскомъ переводѣ, при Казанской Духовной Академіи, томъ I, Казань, 1910, გვ. 260

²¹¹ Дѣянія Вселенскихъ Соборовъ, изданныя въ русскомъ переводѣ, при Казанской Духовной Академіи, томъ III, Казань, 1910, გვ. 279

„წყეულ იყავნ და შეჩვენებულ სახელითა ყოვლად წმიდისა სამებისათა; კვალად წყეულ იყავნ და შეჩვენებულ სისხლითა ქრისტესითა, რომელიცა უხვად დაითხია ქვეყანასა ზედა სახსრად ჩვენდა;

კვალად წყეულ იყავნ და შეჩვენებულ მარიამ ყოვლად უმწიკვლოსაგან დედისა და ახდილ მფარველობა და მეოხება მისი თხემისაგან მისისა;

კვალად წყეულ იყავნ და შეკრულ სულით და ჭორცით ათორმეტოა მოციქულთა მადლისაგან, ოთხთა წმიდათა პატრიარხთაგან და ჩვენგან და ყოველთა მღვდელ-მთავართაგან...“ ამის შემდეგ შეჩვენების წიგნი კვლავ გრძელდება, თუმცა სახელდებით მოხსენიება აქ წყდება.²¹²

პატრიარქ ანგონ II-ის 1810 წლის 9 მარტის განკანონების ბრძანებაში, რომლის მიხედვითაც ზიარება აეკრძალა ერისკაც იოსებ ციციანოვს, სახელდება საერთოდ არ არის.²¹³ მსგავსივე მდგომარეობაა დიკასტერის თითქმის ყველა განჩინებაში და იმავე ანგონ II-ის წიგნში მღვდელ იოანეს განკვეთის შესახებ.²¹⁴

4.2. განაჩენის წინაპირობა ან დასაბუთება

განაჩენის დასაბუთებასთან მიმართებაში საინტერესოა პროფ. ბერდნიკოვის მოსაზრება: „ბრალმდებელი აყალიბებდა ბრალდების პუნქტებს და მხოლოდ ამ პუნქტების მიხედვით წარმოითქმოდა განაჩენი სასამართლოზე“.²¹⁵

პრაქტიკის გათვალისწინებით, შეგვიძლია გამოვკვეთოთ ასეთი ტენდენცია, რომ განჩინებას თან ახლავს დასაბუთება. დასაბუთება ერთი მხრივ შეიძლება წარმოადგენდეს მსჯელობით ნაწილს განჩინებაში, დღევანდელი გაგებით აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილს, ხოლო მეორე მხრივ, იგი შეიძლება იყოს ერთგვარი ოქმი, სადაც გადმოცემული იქნება მხარეთა მიერ პროცესის მიმდინარეობის დროს წარმოთქმული მოსაზრებები. განაჩენებში, როგორც წესი, იწერება წარდგენილი მტკიცებულებების შინაარსიც და ყველაფერი ის, რაც საფუძვლად დაედო გამოტანილ განაჩენს.

ზემოხსენებულ კაცია ჩიჩუას შეჩვენების წიგნში ვკითხულობთ: „ჩიჩუა კაციამ ჩვენი ბიჭვინტისა ეკლესიის კაცის შვილები მძღვანელებით და უსჯულოებით დაგვიყიდა და უსჯულოთა ოთომანიანთა მისცა წარსაწყმედელად და შესაგინებელად. და მიუხვნა დედასა თვისსა ეკლესიასა ძენი ემბაზე სანათლოსა აღმოშობილი უწყალოებითა და უსამართლობითა“.²¹⁶ როგორც აღნიშნულია, კაცია ჩიჩუას ბრალი გამოიხატა იმაში, რომ მან ოსმალებს მიჰყიდა ბიჭვინტის, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს მრევლი. შემდეგ მხატვრულად არის აღწერილი რომ ემბაზიდან, ანუ

²¹² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 909

²¹³ იქვე, გვ. 1107

²¹⁴ იქვე, გვ. 1110

²¹⁵ Краткий курс церковного права, დასახ. ნაშრომი, გვ. 185

²¹⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 909

სანათლავიდან შობილი ძენი უწყალოდ და უსამართლოდ გამოგლიჭად დედა ეკლესიას.

რაც შეეხება იოანე ავალიშვილის შეურაცხეყოფის საქმეზე გამოტანილ განაჩენს, მისი პირველი ნაწილი მოიცავს დაზარალებულის არზას: „დიკასტირიასა შინა არზით გამოაცხადა ავალისშვილმა იოანემ: ჩემმა ყმამ მღვდელმა ლაზარემ დიდის შეურაცხებით ლანძღვით, გინებით გამხადა და დიდის ავად მოპყრობით და ესეც მითხრა: შენი სისხლი მწყურიან და მინდა დავლიოო. მიზეზი ეს იყო, რომ მისს უგანათლებულესობა ბატონისშვილს იულონთან სანში გავლით ჩემი ყმობა ითავლა და იუარაო“.²¹⁷ იოანეს საჩივარი ორი ნაწილისგან შედგება, სადაც იგი მდვ. ლაზარეს უჩივის, რომ (ა) მან სახალხოდ შეურაცხეყო იგი და განსაკუთრებით ხაზს უსვამს მის ნათქვამს, რომ (ბ) შენი სისხლი მინდა დავლიოო. ჩანს, სასამართლომ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ საეკლესიო კანონების დაცვით, სრულად მოესმინა მათი პოზიცია: „ჩვენ ორნივ მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ და ორთავე ურთიერთარს სარჩელი და ლაპარაკი გავსინჯეთ“²¹⁸ აღნიშნულის შემდეგ, სავარაუდოდ, დიკასტერია არ დაკმაყოფილდა მხოლოდ მხარეთა ჩვენებით და ბრალმდებელს დაავალა მოწმეების მოყვანა: „იოანე ავალისშვილს მოწმეები ვსოთხოვეთ. რომელსაც ჩიოდა, ეს მართალი ყოფილიყო. ამის საქმისათვის ოთხმა და ხუთმა უმოწმა ავალისშვილს და თავისი საჩივარი დამტკიცებით აღმოუჩინეს, რომ ამის თქმული ყოველივე მართალიაო“.²¹⁹ საყურადღებოა, რომ სასამართლო (ა) ჯერ იბარებს მხარეებს, რათა მოისმინოს მათი პოზიცია, ხოლო შემდეგ თავადვე ავალებს ბრალმდებელს (ბ) წარმოადგინოს შესაბამისი მოწმეები. აქაც ჩანს საეკლესიო პროცესის ინკვიზიციური ხასიათი, რადგან სასამართლო არ კმაყოფილდება მხარეთა მიერ წარდგენილი პოზიციითა და მტკიცებულებებით და ერთ-ერთ მხარეს მოწმეების მოყვანას ავალებს.

ჩვენ მიერ განხილულ ერთ-ერთ დოკუმენტში ვხვდებით სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში შესაბამისი საეკლესიო კანონის მითითებას. კერძოდ, უკანონო ჯვრისწერისა და ხელდასხმის შესახებ დიკასტერიის 1784 წლის 1 ნოემბრის უწყების მე-3 პუნქტით განისაზღვრა, რომ „ამასაც ასე განვახინებთ და გაუწყებთ, რომ: ნურც იმერელსა, ნურც უცხოს ქუკუნიდამ მოსულს და ნურც აქაურს სხვის ეპისკოპოსის სამწყსოს სამღუდელოთაგანს, თუ თავისის ეპისკოპოსის წიგნი არა ჰქონდეს, გელს ნუ დაასხამ, რათა არა განვიპატიუნეთ კანონისაებრ სამოციქულოსა 35“.²²⁰ მოციქულთა ამ კანონის შესახებ ჩვენ ოდნავ ზემოთ ვისაუბრეთ. მართლაც, რაკი მოციქულთა კანონით განისაზღვრა რა, რომ ეპისკოპოსი ხელდასხმის დროს არ უნდა გასცდეს ეპარქიის საზღვრებს და იმოქმედოს მითვის განსაზღვრული სამწყსოს ფარგლებში, მსგავსადვე, ზემოხსენებულ უწყებაში მითითებულია, რომ თუკი მოხდება ანალოგიური დარღვევა, ქმედება დასჯილ იქნება თანახმად მოციქულთა კანონისა. ჩვენს მიერ განხილულ რუსეთის საეკლესიო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებში ხშირია შესაბამის კანონებზე მითითება.

²¹⁷ ქართული სამართლის ძეგლები, გ. V, გვ. 108

²¹⁸ იქვე

²¹⁹ იქვე, გვ. 109

²²⁰ ქართული სამართლის ძეგლები, გ. III, გვ. 950

მაგალითად, არქიმ. ვალენტინის (რუსანცოვი), არქიმ. ადრიანეს (სტარინა) და იღ. იოასაფის (შიბაევი) წინააღმდეგ გამოტანილ 2008 წლის 6 ივნისის განჩინების განკანონების ნაწილში მითითებულია ორგზის კრების მე-13 კანონი და იქვე მოყვანილია მისი ტექსტი.²²¹

ზემოთმოყვანილ ანტონ II-ის ბრძანებაში იოსებ ციციანოვის განკანონების თაობაზე არ არის მითითება საკუთრივ განკანონების მიზეზის ან წინაპირობის შესახებ და ტექსტი პირდაპირ იწყება მდვდელ ეფრემისადმი ბრძანებით. რაც შეეხება ანტონ II-ისვე წიგნს იოანე მდვდლის განკვეთის თაობაზე, მასში აღნიშნულია, რომ მისი გადაწყვეტილება დაფუძნა საქართველოს უზენაესი მმართველობის აღმასრულებელი (წიგნშია „ისპოლნიტელის“) ექსპედიციის წერილს.²²² ხოლო რა ეწერა ან რა იყო ამ წერილში აღნიშნული და განხილული, ჩვენთვის უცნობია.

საინტერესოა, აგრეთვე, მაქსიმე ქუთათელის მიერ შედგენილი საზოგადო შეჩვენების წიგნი. წიგნში გამოტოვებულია ადგილი, სადაც შემცვდის სახელი უნდა ჩაწერილიყო, ხოლო რაც შეეხება დასაბუთების ნაწილს, ისიც, ცხადია, ამის გათვალისწინებით საზოგადო ხასიათისაა და კონკრეტულ არცერთ შეცოდებაზე არ არის მითითება. აგრეთვე, განსხვავებით სახელისაგან, არც ცარიელი ადგილი არის დატოვებული საიმისოდ, რომ განმხილველ მოსამართლეს საშუალება ჰქონდა, მიეთითებინა კონკრეტული მუხლი. ქუთათელის მიერ დადგენილია, რომ „რომელიცა ეკლესიის განჩინება არის და ყოველთა მართლმადიდებელთა ქრისტეანეთაგან დამტკიცებული არის, შენ ამის დამხსნელ და წინააღმდეგ ხარ და წმიდას ეკლესიას მისს განწესებულს შესავალს ნიშანს უკარგავ და მძლავრებით ართმევ...“²²³

ჩვენს მიერ ზემომოყვანილ ანტონ II-ის წერილში ეპისკოპოს დოსითეოსისადმი, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს უკანონოდ ხელდასხმული მდვდლის დავითის განკანონების საბუთსაც, მოყვანილია დიდი სჯულისკანონის ის ნორმები, რომლებიც დაირღვა ამ ხელდასხმის დროს და რომლის საფუძველზეც განკვეთა მან მდვდელი დავითი: მოციქულთა 35-ე, ანტონქიის 22-ე და ეფესოს მე-8 კანონები.²²⁴

საინტერესოა, რომ ეპ. დიომიდეს წინააღმდეგ გამოტანილ განაჩენში, რუსეთის საეკლესიო ნაწილი დარღვევის დასადასტურებლად მოიხმობს ციტატას წმ. წერილიდან, კერძოდ კი, იოანეს სახარების იმ მუხლს, სადაც იქმო ქრისტემ მის მიმდევრებს ერთობისკენ სწრაფვა აღუთქვა (და რომელსაც, განჩინების თანახმად, წინ აღუდგა ეპ. დიომიდე).²²⁵

²²¹ <http://www.patriarchia.ru/db/print/417799.html>

²²² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 1107

²²³ იქვე, გვ. 912

²²⁴ იქვე, გვ. 977

²²⁵ <http://www.patriarchia.ru/db/print/428878.html>

4.3. განკანონების ნაწილი

ჩვენ მიერ ზემომოყვანილი კანონებიდანაც გამოჩნდა, რომ განაჩენი სრულდება განკანონებით, ანუ ამ ნაწილში მიეთითება ის სასჯელი, რაც განესაზღვრა და შეეფარდა ბრალდებულს. მართალია, ამის შესახებ პირდაპირ არ არის არცერთ კანონში მითითებული, მაგრამ განკანონების ფორმულირებისას შეიძლება მიეთითოს მისი აღსრულების წესი (ამ საკითხს ეძღვნება ნაშრომის ცალკე თავი).

4.4. სინანულისკენ მოხმობა

თანახმად მოციქულთა 52-ე კანონისა, ეკლესიის მსახურებს ეკრძალებათ მონაწილეული ადამიანის უკან გაძევება ან მის მიერ გამოხატული სინანულის მიუხედავად ეკლესიაში დაბრუნებაზე თუ სხვა იმ უფლების აღდგენაზე, რაც მას ჩამოერთვა განკანონებით, უარის თქმა.²²⁶ ეს კანონი ეფუძნება სახარებისეულ სწავლებას, რომელიც ბრძანებს, რომ „სიხარული დიდ იქმნების ზეცათა შინა ერთისა ცოდვლისათვეს, რომელმანცა შეინახოს“ (ლპ. 15:7). ამის გათვალისწინებით, რაც უნდა დიდი და მძიმე სასჯელიც არ უნდა იყოს მითითებული განკანონების ნაწილში, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ განკანონების შემდეგ განჩინებას თან ახლავს მოწოდება სინანულისკენ. ზაქარია ხუცესის საქმეზე 1764 წლის 18 ოქტომბრის განჩინება, რომელიც უმძიმეს საეკლესიო სასჯელს – ანათემას ითვალისწინებს ზაქარია ხუცესისათვის, მაინც ითვალისწინებს განკანონებულის მოხმობას სინანულისკენ: „ხოლო უკეთუ მოვიდნენ სინანულად, და დიდითარე სინანულით უკუთქვნენ ყოველნივე წართქმულნი თვისნი, და შეუვრდენ წმიდასა მამად-მთავარსა ჩვენსა და წმიდასა კრებასა, სრულითა გულითა შევიწყნარებთ და მოუწოდთ სინანულად, და არა სრულიად წარწყმედილ გყოფთ, ვითარცა მონანულთა...“²²⁷

მსგავსადვე სრულდება მონოფიზიტობის ერესიარქ ევტიქის განკანონება IV მსოფლიო კრებაზე: „თუ ის აღიარებს თავის ცოდვას, დარწმუნდება, რომ ანათემაზე გადასცეს თავისი სწავლება და დაგვეთანხმება ჩვენ, ვინც მივდევთ წმიდა მამათა მიერ ნასწავლს, მაშინ იგი, სამართლიანად, მოიპოვებს შეწყალებას“.²²⁸

ზემოხსენებულ ეპ. დიომიდეს წინააღმდეგ განაჩენიც სრულდება სინანულისკენ მოხმობით. მეტიც, განჩინებაში მითითებულია, რომ „გვსურს რა ვიმოქმედოთ თანაძმის გამოსწორებისა და სულიერი კურნებისათვის, კრება მოუწოდებს ეპისკოპოს დიომიდეს ეკლესიის შვილთა დამასწეულებელი და განხეთქილების გამომწვევი ქმედების დაუყოვნებლივი შეწყვეტისაკენ და ჩადენილის გამო სინანულის გამოჩენისაკენ ეკლესიის სისავსის წინაშე წმინდა სინოდის სახით, მის უახლოეს სხდომაზე. წმინდა სინოდმა გადაწყვიტოს ეპისკოპოს დიომიდეს შემდგომი მსახურების საკითხი მის მიერ შენანების შემთხვევაში“ (განკანონების მე-3 და მე-4 პუნქტები).²²⁹

²²⁶ იხ. დიდი სჯულისკანონი, გვ. 222

²²⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 507

²²⁸ Н. Заозерский, Церковный судь въ первые вѣка христіанства, გვ. 341

²²⁹ <http://www.patriarchia.ru/db/print/428878.html>

საგულისხმოა ერთი საკითხიც. ზოგადად, ნებისმიერ შემთხვევაში, განკანონებულმა სასჯელი უნდა მიიღოს სიმდაბლით და მორჩილებით: „რომელი განიკანონოს და იდრტკნოს და არა მადლობით მიითუალოს, ორკეცად მიიღენ კანონი იგი“.²³⁰

5. განაჩენის თანმდევი პროცედურები

საეკლესიო კანონმდებლობა ადგენს განაჩენის თანმდევ რამდენიმე აუცილებელ პროცედურას, რომლის შესრულებაც სავალდებულოა განაჩენის ძალაში სრული სისავსით შესვლისათვის. აღნიშნული პროცედურები არ არის განაჩენის გამოტანის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ მისი ზუსტი ანალოგი საერო სამართალში დღეს არ გვხვდება, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მისი ცალკე ქვეთავად გამოყოფა.

5.1. გაფრთხილება დასჯამდე

მას შემდეგ, რაც დაგიინდება პირის ბრალეული ქმედება, საეკლესიო სასამართლოს, ქრისტიანული კაცომოყვარებიდან გამომდინარე, უფლება აქვს, განსაკუთრებით ნაკლებად მძიმე შეცოდებებისათვის, რომ გააფრთხილოს ეს პირი მისი მოსალოდნელი სასჯელის თაობაზე. ეს არ ჰგავს საერო სამართალში მიღებულ „პირობით მსჯავრს“, რადგან მისგან განსხვავებით, ამ პროცედურის შედეგად პირს არ სჯიან, არც პირობითად და არც რეალურად, არამედ უდასტურებენ ბრალს და მოუწოდებენ, თავი დაანებოს ამ შეცოდებას, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „დასცხერეს“ მისგან. მოციქულთა 42-ე კანონის თანახმად, „ეპისკოპოსი და ხუცესი და დიაკონი, რომელი შეებათა და მთრგალობათა შექცეულ იყოს, ანუ დასცხერინ, ანუ განიკურებენ“. ²³¹ იმავე შინაარსისაა მოციქულთა შემდეგი კანონიც: „კერძო დიაკონი და წიგნისმითხველი და მგალობელი ამათივე მოქმედი ანუ დასცხერინ, ანუ უზიარებელ იქმნინ, ეგრეთვე და ერისკაცი“. ²³² მოციქულთა ეს ორი კანონი ადგენს, რომ თამაშობებსა და მემთვრალეობაში ჩაბმულმა სასულიერო და საეკლესიო მსახურთა დასის წარმომადგენლებმა ან (ა) თავი უნდა დაანებონ ამ შეცოდებას („დაცხერენ“) ან (ბ) მოხდება მათი გაკვეთა. ბუნებრივია, რომ კანონი მხოლოდ მაშინ დაავალდებულებს ზემოაღნიშნულ პირებს თამაშობისა და მემთვრალეობის შეცოდებებისაგან თავის დანებებას, თუკი ეს ბრალდება დადასტურებული იქნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ შეცოდებაში არამხოლოდ მხილებული, არამედ შემცოდედ უნდა იქნეს პირი ცნობილი, რათა საეკლესიო სასამართლოს მიეცეს უფლება მისი გაფრთხილებისა. მით უმეტეს, რომ საეკლესიო პროცედურის მიხედვით ხსენებულის დადატურებას კონკრეტული კანონიკური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შემდგომში, იმავე შეცოდების განმეორების შემთხვევაში, სასამართლოს უკვე ექნება უფლებამოსილება, განკვეთოს ეს პირი, როგორც „არა დამცხრალი“ შეცოდებისაგან. მეორე მხრივ, თუკი წარმოიქმნება იმგვარი შემთხვევა, როდესაც პირს განკვეთავენ ამ შეცოდებებისათვის, მაგრამ ისე, რომ არ

²³⁰ მცირე სჯულისკანონი, გვ. 123

²³¹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 221

²³² იქვე

იქნება დადგენილი წესით გაფრთხილებული წინდაწინ, მას უფლება ექნება მოითხოვოს ამგვარი განაჩენის გაუქმება, რადგან არ იქნა დაცული მოციქულთა მიერ დადგენილი წესი.

საინტერესოა, რომ მოციქულთა ამ კანონს მცირედი სახეცვლილებით იმეორებს 1777 წელს მაქსიმე აფხაზ-იმერთა კათალიკოსის მიერ შედგენილი „მცნებანი“ მამა იობისა (მოხსენიებულია, როგორც „უდაბნოს მამა“) და ერკეთის წინამდგარ ბესარიონის მიმართ. მე-2 მცნებით კათალიკოსმა განაჩინა, რომ „უკეთუ ვინმე სამღვდელოთაგანი უწესოდ იქცევდეს, ანუ ნაყროვანებითა, ანუ მთვრალობითა და სხვითა რომლითამე ბოროტითა, ამხილეთ, შერისხეთ. და უკეთუ არა შეიკდიმოს და არცა განიშოროს უწესო იგი ქცევა, დასცხერინ მღვდელობისაგან“.²³³ ეს მცნება საგულისხმოა რამდენიმე გარემოების გამო. (ა) შეცოდებათა ჩამონათვალში დამატებულია „ნაყროვანება“, ანუ უზომოდ ჭამა. თავის მხრივ, (ბ) ამოდებულია „თამაშობანი“ და იგი შეცვლილია საზოგადო სახელმწოდებით „სხვა რაიმე ბოროტი“. ჩვენი აზრით, აქ უნდა ვიგულისხმოთ, ყველა ის შეცოდება, რომელიც თავისი სიმძიმით მეტ-ნაკლებად ტოლია მემთვრალეობისა და თამაშობებისა. (გ) ყურადსალებია გაფრთხილების ნაწილი – „ამხილეთ, შერისხეთ“. განსხვავებით მოციქულთა კანონისაგან, აქ შედარებით უკეთ ჩანს გაფრთხილების პროცედურული მხარე: ჯერ უნდა მოხდეს მხილება, ანუ ბრალის დადასტურება და ამ დამტკიცებული ბრალდების შემცოდისათვის წარდგენა, ხოლო ამის შემდეგ „შერისხვა“, რაც, ჩვენი აზრით, გულისხმობს იმას, რომ მომავალი სასჯელის შიშით უნდა მოხდეს შემცოდის მკაცრად გაფრთხილება. დასკვნით ნაწილში (დ) საუბარია მღვდლის დაცხოობის თაობაზე. აქ მოყვანილი „დაცხოობა“ არ უნდა აგვერიოს მოციქულთა კანონებში ხსენებული „დაცხოობისაგან“. საზოგადოდ, „დაცხოობა“ თავის დანებებას ნიშნავს, ამდენად მოციქულები საუბრობენ ცოდვაზე თავის დანებების შესახებ, ხოლო ამ შემთხვევაში კი მითითებაა მღვდლობაზე თავის დანებების თაობაზე.

მონოფიზიტ ევტიქის განკვეთის განჩინების ტექსტში ვხედავთ, რომ მსოფლიო კრების მამები ცდილობენ, რომ მოუწოდონ და მიანიშნოს ევტიქის, რომ მისი აზრები მწვალებლურია და იგი დასჯის დირსია. მეტიც, მას არა ერთხელ და არა ერთგან ეკითხებიან, უმეორებენ და განუმარტვენ, რომ მაცხოვარს აქვს ორი ბუნება და მანაც ასე აღიაროს ეს დოგმატი.²³⁴

გაფრთხილება დასჯამდე, როგორც აღინიშნა, აუცილებელია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და იგი ერთგვარი დასკვნითი ნაწილია ბრალდებაზე გამოტანილი განაჩენისთვის. გასათვალისწინებულია ისიც, რომ „ბრალდებულს უფლება აქვს, რომ მოუსმინონ მას დაწვრილებით არა მხოლოდ იმასთან დაკავშირებით, რაშიც მას ბრალი ედება, არამედ იმაზეც, რაც მას შეუძლია განაცხადოს თავის დასაცავად. და მას ეპუზნის ბოლო სიტყვა“.²³⁵

²³³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 915

²³⁴ Н. Заозерский, Церковный судъ въ первые вѣка христіанства, გვ. 340-341

²³⁵ Никодимъ, Православное Церковное право, დასახ. ნაშრომი, გვ. 486

5.2. დაინტერესებულ მხარეთათვის შეტყობინება

საეკლესიო განაჩენთა პრაქტიკამ აჩვენა, რომ განაჩენის გამოტანის შემდეგ ერთ-ერთი თანმდევი პროცედურა არის დაინტერესებულ მხარეთათვის შეტყობინება განაჩენის თაობაზე. მსოფლიო კრების მიერ ნესტორის წინააღმდეგ გამოტანილ განაჩენს, კრების ოქმში მოყვება ორი შეტყობინება: (ა) ნესტორის მიმართ და (ბ) ერის მიმართ.

ნესტორის მიმართ შეტყობინებაში აღნიშნულია:

„წმინდა კრება, შეკრებილი ღმრთის წყალობითა და უკეთილმსახურეს და ქრისტესმოყვარე ჩვენ იმპერატორთა ნებით, ეფესოს მიტროპოლიაში, ნესტორს, ახალ იუდას.“²³⁶

იცოდე შენ, რომ შენი არაწმინდა ქადაგებებისა და კანონთა წინააღმდეგომის გამო, ოცდამეორე დღეს მიმდინარე ივნისის თვისა, საეკლესიო კანონებზე დაფუძნებით განკვეთილ ხარ წმინდა კრების მიერ და ჩამოშორებულ ყოველგვარ საეკლესიო ხარისხს“²³⁶

საგულისხმოა, რომ შეტყობინება იწყება მიმართვით, სადაც ხაზგასმულია, რომ კრება მოწვეულ იქნა (ა) ღმრთის წყალობით და (ბ) იმპერატორების ნებით. ამით, ერთგვარად, გამყარებულია, მსოფლიო კრების, როგორც უმაღლესი საეკლესიო ორგანოს ავტორიტეტი. ამასთან, ეს აბზაცი სრულდება (გ) ნესტორის, როგორც „ახალი იუდას“ მოხსენიებით. ეს ერთგვარი დამცირებაა და თან მიანიშნებს მისი შეცოდების ხასიათზე – ანუ ქრისტეს გაყიდვაზე მისი სამსახურის დროს.

რაც შეეხება შეტყობინების ტექსტს, იგი შეიცავს (ა) შეტყობინებას განაჩენის მიზეზის თაობაზე, (ბ) განაჩენის გამოტანის თარიღს და (გ) სასჯელს. საინტერესოა, რომ შეტყობინებას აქვს ბოლოს მინაწერი, რომ იგი გადაეგზავნა ნესტორს განაჩენის გამოტანის მეორე დღესვე.

აღნიშნულის მსგავსივეა შედარებით ვრცელი შეტყობინება სამრევლოს მიმართ, სადაც მრევლს ეცნობა იმის თაობაზე, რომ ნესტორი მისი არასწორი ქადაგებების გამო განკვეთილ იქნა ქრისტიანთა ერთობისაგან.

6. საეკლესიო კრების 1764 წლის 18 ოქტომბრის განჩინება ზაქარია ხუცესის საქმეზე

ქართული საეკლესიო სასამართლო გადაწყვეტილებათა შორის ერთ-ერთი გამორჩეული და ყურადსალებია საეკლესიო კრების განჩინება ზაქარია ხუცესის საქმეზე²³⁷. გადაწყვეტილება იმდენად მრავლისმომცველია საპროცესო ნორმების გამოყენების თვალსაზრისით, ბრალდების კანონიკური დამოწმებით და განაჩენის დასაბუთებულობით, რომ საჭიროდ მივიჩიეთ მისი ცალკე ქვეთავად გამოყოფა.

²³⁶ Дѣянія Вселенскихъ Соборовъ, изданныя въ русскомъ переводѣ, при Казанской Духовной Академіи, томъ I, Казанъ, 1910, гл. 266

²³⁷ ქართული სამართლის ქველები, ტ. IV, გვ. 503-508

საქმე ეხება თბილისის ეპარქიის მდვდელ ზაქარიას, აგრეთვე მის თანამზრანებელებს – დიაკონ იოსებს და ვინძე ისაკს. საქმესთან დაკავშირებით მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება კათალიკოს ანტონის კურთხვით და თავმჯდომარეობით, კრებას ესწრებოდა 6 ეპისკოპოსი.

6.1. შესავალი

განჩინების დასაწყისში მოთხოვობილია იმის თაობაზე, რომ ზემოხსენებულმა მდვდელმა ზაქარიამ არაერთხელ შესცოდა მეფის, კათალიკოსის და მთლიანად – ეკლესიის წინაშე. კერძოდ, როგორც განჩინების შესავლიდან ვიგებთ მდვდელ ზაქარიას ცილი დაუწამებია ეკლესიისთვის, რომ მეფეც და კათალიკოსიც მწვალებლები იყვნენ. მეფეს და წმ. კრებას შეუნდვია მისთვის ეს ცილისწამება და სიყვარულისა და ეკლესიის ერთობის შენარჩუნებისათვის მიუწვევია საღმრთო წირვაზე კათალიკოსთან მსახურებისათვის. მდვდელი ზაქარია ეზიარა რა წმ. საიდუმლოს, „ვითარ იგი მამამან მისმან იუდა ჭურ ეშმაკისა პყო თავი თვისი“ და კიდევ ერთხელ მწვალებლად მოიხსენია კათალიკოსი ანტონი.²³⁸

6.2. ბრალდება

ზემოაღნიშნულის გამო, წმინდა კრებამ მისი ქმედებების გათვალისწინებით, მდვდელ ზაქარიას წარუდგინა ექვსი ბრალდება:

1. მოყვასთა შორის სიძულვილის დათესვა;
2. სამეფოდან გაქცევა;
3. სიცრუის გავრცელება სხვა პატრიარქების წინაშე საქართველოს ეკლესიის მწვალებლობის თაობაზე;
4. ეკლესიის მიერ კრების წინაშე გამოცხადებაზე უარის თქმა;
5. კრების წევრთა მიმართ უჯერო პასუხის მიგება;
6. კათალიკოსის მიერ შესრულებული თარგმანების მწვალებლობად შერაცხვა.

ბოლო ბრალდებასთან დაკავშირებით, კათალიკოსმა წარმოთქვა შეჩვენების სიტყვები, რომ „უკუეთუ მე წინააღმდეგომსა რაღმესა აღმოსავლეთისა ეკლესიისასა ანუ თარგმანებასა შინა მეერგასისა ფსალმუნისასა (ესე იგი „მიწყალესა“)²³⁹ ანუ „აპოლოდიასა“ შინა ჩემსა ლათინთა სარწმუნოებისა რაღმე ანუ გონებით, ანუ მოგონებით, ანუ ჰაზრით, ანუ სიტყვით წარმოჩენილით დამესვასცა, ანუ დამეწეროს, მყავ მე წყეულ, კრულ, შეჩვენებულ, სულით და ჭორცით და საფლავით ამას სოფელსა და მერმესაცა მას;

და უკეთუ ცილის წამებით მაბრალებდეს მე ზაქარია ხუცესი, ჰყავ ესე წყეულ, კრულ, შეჩვენებულ სულით და ჭორცით და საფლავით ამას სოფელსა და მერმესაცა მას“²⁴⁰

²³⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 503-508

²³⁹ საუბარია 50-ე ფსალმუნზე, რომელიც იწყება სიტყვებით „მიწყალე მე დმერთო...“

²⁴⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 506

წმინდა კრება აღნიშნავს, რომ ზაქარია ხუცესმა დაარღვია წმ. მამათა კანონები და მოყვანილია შესაბამისი კანონიკური მასალა თითოეულ ბრალდებასთან მიმართებით.

6.3. ბრალდებათა კანონიკური დასაბუთება

პირველ ბრალდებასთან დაკავშირებით (მოყვასთა შორის სიძულვილის დათესვა), კრება აღნიშნავს, რომ ზაქარია ხუცესმა დაარღვია მოციქულთა ლვ (36) და ნე (55) კანონები. მოციქულთა 36-ე კანონი ეხება მცირეოდენ სხვა საკითხს, კერძოდ, მასში მოცემულია იმგვარი შემთხვევა, როდესაც ეპისკოპოსი, მდვდელი ან დიაკონი არ მოინდომებს მისთვის ჩაბარებულ მრევლზე ზრუნვას და მის მსახურებას. ხოლო თუ წავა იქ და არ შეიწყნარებენ არა მისი ნება-სურვილით, არამედ მრევლის უკეთურების გამო, იგი უნდა იყოს ეპისკოპოსი, ხოლო იმ ქალაქის მდვდელმსახურებმა თავი უნდა დაანებონ მდვდლობას, რადგანაც ვერ გაუწვრთნიათ ამგვარი დაუმორჩილებელი ერი. კრება განმარტავს, რომ „ხოლო მოყუასნი ეკლესიისა მის ქალაქისანი დაეცადნენ მდვდელობისაგან, რამეთუ არა მწურთელ იქმნეს ეგევითარისა მის დაუმორჩილებელისა ერისა“.²⁴¹ როგორც ჩანს, კრებამ მიიჩნია, რომ თუკი მდვდელი უნდა განიკვეთოს ხარისხიდან იმის გამოც კი, რომ მისმა მრევლმა არ შეიწყნარა ეპისკოპოსი, უფრო მეტად უნდა განიკვეთოს ისეთი მდვდელი, რომელიც თავად არ იწყნარებს თავის ეპისკოპოსს.

რაც შეეხება მოციქულთა 55-ე კანონს, ეს კანონი კრძალავს ეპისკოპოსის შეურაცხყოფას: „უკუეთუ ვინმე მოყუასმან აგინოს ეპისკოპოსსა, განიკუთხენ, რამეთუ თქუმულ არს: „მთავარსა ერისა შენისასა არა პრქუა ძური“.²⁴² წმ. კრება ამ შემთხვევაშიც განმარტავს ნორმას და ადგენს, რომ „უდიდესი გინება არა რამე არს, ვითარ იგი მწვალებლად წოდება“. პირველი ბრალდებისათვის ზაქარია ხუცესს დაუდგინდა განკვეთა.

მეორე ბრალდებასთან (სამეფოდან გაქცევა) დაკავშირებით წმ. კრებამ დაადგინა, რომ მდვდელმა ზაქარიამ დაარღვია მოციქულთა იე (15), ანტიოქიის გ (გ) და ია (ლ), ლაოდიკიის მა (41) და მბ (42), ქალკედონის IV მსოფლიო კრების იგ (13), კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო კრების იზ (17) და ნიკეის VII მსოფლიო კრების ი (კ) კანონები.

მოციქულთა მე-15 კანონის თანახმად აკრძალულია სასულიერო პირის სხვაგან წასვლა და იქ ყოფნა თავისი ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე.²⁴³ ანალოგიურ აკრძალვას ადგენს ანტიოქიის კრების მე-3 კანონიც.²⁴⁴ რაც შეეხება ამავე კრების მე-11 კანონს, იგი სასულიერო პირს უკრძალავს საჩივლელად მისვლას არათუ სხვა ქვეყნის, არამედ საკუთარი სახელმწიფოს მეფესთანაც კი.²⁴⁵ ლაოდიკიის კრების 41-ე და 42-ე კანონები ადგენს, რომ სამდვდელო პირმა უნდა იმოგზაუროს მხოლოდ კანონიკური წერილის საფუძველზე და მხოლოდ საკუთარი ეპისკოპოსის ნებართ-

²⁴¹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 219

²⁴² იქვე, გვ. 222

²⁴³ იქვე, გვ. 217

²⁴⁴ იქვე, გვ. 248

²⁴⁵ იქვე, გვ. 250

ვით.²⁴⁶ IV მსოფლიო კრების მე-13 კანონი კრძალავს ეკლესიის მსახურის მიერ მდვდელმოქმედების აღსრულებას სხვა ქალაქში.²⁴⁷ ამ მხრივ, ეს კანონი არ არის ზუსტად იმ ბრალდების ადეკვატური, რაც მდვდელ ზაქარიას წარედგინა, რამდენადაც უცნობია, ის აღასრულებდა თუ არა რამე მსახურებას, როდესაც ის საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა. VI მსოფლიო კრების მე-17 კანონი²⁴⁸ და VII მსოფლიო კრების მე-10 კანონი²⁴⁹ იმეორებენ სხვა, ზემომოხსენებულ კანონებში დადგენილ ნორმას.

ამ ბრალისთვისაც მდვდელ ზაქარიას დაუდგინდა განკვეთა.

მესამე (სიცრუის გავრცელება სხვა პატრიარქების წინაშე საქართველოს ეკლესიის მწვალებლობის თაობაზე) მეხუთე (კრების წევრთა მიმართ უჯერო პასუხის მიგება) და მემკვეთ (კათალიკოსის მიერ შესრულებული თარგმანების მწვალებლობად შერაცხვა) ბრალდებების თაობაზე, წმ. კრება აღნიშნავს, რომ დარღვეულია დანგრის კრების ვ (ვ) და ვ (ვ) კანონები.

შევნიშნავთ, რომ ზემომოყვანილი კანონები მნიშვნელოვანწილად სხვა კატეგორიის საკითხებს აწესრიგებენ, ვიდრე ეს აღნიშნულია საკრებო განჩინებაში. კერძოდ, ამ კრების მე-6 კანონით დადგენილია, რომ „უკუკუთუ ვინმე თუნიერ ეკლესიისა თუსაგან ეკლესიობდეს და უგულებელს-მყოფელსა ეკლესიისასა საეკლესიოთა საქმეთა მუნ ენებოს ქმნად და არა ჰყვეს ხუცესი მეცნიერებითა და ბრძანებითა ეპისკოპოსისათა, შეჩუენებულ იყავნ“.²⁵⁰ ეს კანონი, ჩვენი აზრით, კრძალავს ისეთ ქმედებას, როდესაც რომელიმე სასულიერო პირი თვითრჯულობით ასრულებს საეკლესიო წესებს ეპისკოპოსის გარეშე ან მეტიც, მიეკუთვნება საერო პირთა დასს და თვითგამოცხადებით უწოდებს თავს მდვდელმსახურს. რაც შეეხება მე-20 კანონს, იგი შეჩვენებას ადგენს იმ პირთა მიმართ, რომლებიც ქედმაღლობით შეიძულებენ მოწამეთა კრებებს ან იქ შესრულებულ წირვებს.²⁵¹ ეს კანონი კი განეკუთვნება ლიტურგიკული ხასიათის კანონებს და შეაჩვენებს იმ პირებს, რომლებიც არ იღებენ მოწამეთა ღვაწლს ან მათ სახელზე შესრულებულ მსახურებას. ამდენად, მოხმობილი კანონები უზუსტოა ბრალდებასთან დაკავშირებით და არ შეესაბამებიან მდვდელ ზაქარიას მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების აღეკვატურ ამკრძალავ ნორმებს.

რაც შეეხება სასჯელს, ამ კანონების დარღვევისათვის მდვდელი ზაქარია შეჩვენებულ იქნა და დამდაბლებულ „უქვემოეს ეშმაკისა“, ხოლო მეფის მწვალებლად მოხსენიების გამო, თანახმად რუსეთში მიღებული პრაქტიკისა, აეკრძალა სამღვდელო გარეგნობის შენარჩუნება, ამასთან, მას ჩამოერთვა მდვდლად ხელდასხმისას მინიჭებული სახელი (ზაქარია) და დაუბრუნდა მას ერისკაცობამდელი სახელი.²⁵²

²⁴⁶ დიდი სჯელისკანონი, გვ. 258

²⁴⁷ იქვე, გვ. 272

²⁴⁸ იქვე, გვ. 380

²⁴⁹ იქვე, გვ. 424

²⁵⁰ იქვე, გვ. 244

²⁵¹ იქვე, გვ. 245

²⁵² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 507

მეოთხე ბრალდების (ეკლესიის მიერ კრების წინაშე გამოცხადებაზე უარის თქმა) გამო წმ. კრებას არ მოუხმია კონკრეტული კანონიკური ნორმა, თუმცა საგულისხმოა, რომ სასჯელის ნაწილში მითითებულია უშუალოდ წმ. წერილის მუხლი, კერძოდ, მათეს სახარებიდან: „უპუეთუ არცა მათისა ისმინოს [იგულისხმება ორ ან სამ მოწმეს, დ.ჩ.] უთხარ ეკლესიასა. და უპუეთუ არცა ეკლესიისა ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა წარმართი და მეზუერე“ (18:18).

6.4. განკანონება

იმის მიუხედავად, რომ თითოეული ბრალდების დასაბუთების შემდეგ მოცემულია ამ კონკრეტული ბრალდებისათვის დადგენილი სასჯელი, განჩინების ბოლოს შეჯამებულია ბრალდებები და მოცემულია საერთო სასჯელი და მას მიესაჯა (ა) მღვდლობიდან განკვეთა, (ბ) შეჩვენება, დაწყევლა და შეკვრა. იქვე მითითებულია, რომ კრებას ეს უფლება მინიჭებული აქვს თავად უფლის მიერ (მთ. 28:18).²⁵³

განჩინების მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ მღვდელ ზაქარიას თანამზრახველებს (ტექსტშია „მეოხთა და შუამდგომელთა“) ესჯებათ იგივე სასჯელი, რაც ზაქარიას და ამის დასტურად მოხმობილია ზირაქის სიბრძნიდან ციტატა: „რომელი შეეხოს თვისსა, გაშავდეს“ (13:1).

6.5. დასკვნითი ნაწილი

განჩინების ბოლოს, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ვხვდებით ქრისტიანული სულისკვეთებისათვის მახასიათებელ მოხმობას დამნაშავეთა სინანულისაკენ: „ხოლო უკეთუ მოვიდნენ სინანულად, და დიდითარე სინანულითა უკუთქვნენ ყოველნივე წართქმულნი თვისნი, და შეუვრდენ წმიდასა მამად-მთავარსა ჩვენსა და წმიდასა კრებასა, სრულითა გულითა შევიწყნარებთ და მოუწოდთ სინანულად, და არა სრულიად წარწყმედილ ვყოფთ, ვითარცა მონანულთა...“²⁵⁴

7. განაჩენის ძალაში შესვლის საკითხი

განაჩენის გამოტანის შესახებ კვლევის დასასრულს დავსძენთ, რომ განაჩენზე დათანხმების, გასაჩივრების ვადის არასაპატიოდ გაშვების ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ საბოლოო განაჩენის გამოტანის შემთხვევაში განაჩენი ითვლება ძალაში შესულად.

²⁵³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 507

²⁵⁴ იქვე

VI. გასაჩივრება

საეკლესიო კანონები საკმაოდ დეტალურად ადგენენ შემთხვევებს, როდესაც დასაშვებია გამოტანილი განჩინების გასაჩივრება. ასევე განსაზღვრულია წინაპირობები, რა შემთხვევაშიც კანონიქური ნორმები კრძალავენ გამოტანილი განჩინების გასაჩივრებას. მართალია, საეკლესიო კანონებში არსად არ არის კონკრეტული მითითება იმის თაობაზე, რომ გამოტანილი განჩინება ძალაში არ შედის, სანამ მხარის მიერ არ იქნება იგი გასაჩივრებული ან გასაჩივრების ვადა არ იქნება გაშვებული, მაგრამ განხილული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გასაჩივრების გამოყენებასა თუ არ გამოყენებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განჩინების ძალაში შესვლა.

1. შემთხვევები, როდესაც გასაჩივრება არ დაიშვება

1.1. განაჩენის მხარეთა არჩეული მოსამართლეების მიერ გამოტანისას

კართაგენის კრების 96-ე კანონით განისაზღვრა, რომ „უკუეთუ იქმნას წოდებად ბჭეთად და რჩევით უწოდოს მწოდებელმან მან ბჭეთა და მისთანამანცა, რომლისა წინააღსაღგომელად გამოირჩინა მან, მიერითგან ნულარამცა იქმნების მათ მიერ გამორჩეულთა მათგანისად ოდესცა წოდებად ბჭედ“.²⁵⁵ როგორც ამ კანონის კომენტირებისას ეპ. ნიკოდიმოსი აღნიშნავს, კანონის გამოცემის მოტივად იქცა ის, რომ თუკი ორივე მხარე დაეთანხმა საქმის ახალი მოსამართლეებისთვის გადაცემას და ამასთან, საწინააღმდეგო არაფერი აქვთ პირადად მოსამართლეთა მიმართ, ასეთ შემთხვევაში ისინი ვალდებული არიან, რომ დაემორჩილონ მათ მიერ გამოტანილ ნებისმიერ გადაწყვეტილებას.²⁵⁶

განსაზიანებელ საკითხზე უფრო დეტალურად საუბრობს ამავე კრების 122-ე კანონი. ამ კანონში, გარდა ზემოაღნიშნული დებულებისა, რომ დაუშვებელია არჩეული მოსამართლეების გადაწყვეტილების გასაჩივრება, აღნიშნულია, რომ „ვინცა გამოჩნდეს უჯეროებითა თუსითა არა მრწმუნებელად განჩინებასა გამორჩეულთა მათ ბჭეთასა, ესე ეუწყოს პირველისა საყდრისა ეპისკოპოსსა და მან წარსცნეს ყოველგან წიგნი, რაოთა არავინ ეპისკოპოსთაგანი ეზიაროს მას, ვიდრემდის არა ირწმუნოს“.²⁵⁷ პირველიერარქის ფუნქცია ამ შემთხვევაში არის ის, რომ დაარწმუნოს ეკლესიის სისახსენი მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში. აღვნიშნავთ, რომ ზემომოყვანილი წესის თაობაზე შესაბამის მაგალითებს სასამართლო პრაქტიკიდან ვერ გადავაწყდით.

1.2. ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებისას

ანტიოქიის კრების მე-15 კანონით დადგენილია, რომ „უკუეთუ ვინმე ბრალისა რავსთუსმე შესმენილი ეპისკოპოსი განიკითხოს ყოველთაგე სამთავროსა მის ეპისკოპოსთაგან და ყოველთა ერთგმობით ერთი განჩინებად განსცეს მისთვის, ესე ნუდარა მერმეცა განიკითხვის სხუათა

²⁵⁵ დიდი სჯულისკანონი, გვ. 338

²⁵⁶ Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, დასახ. ნაშრომი, გვ. 247

²⁵⁷ დიდი სჯულისკანონი, გვ. 349

მიერ, არამედ უცვალებელად ეგენ მისთვის ერთჯმობითი იგი განჩინებად ეპისკოპოსთა მის სამთავროვასთა²⁵⁸ საინტერესოა, რომ ამ კანონის კომენტირებისას ეპ. ნიკოდიმოსი ხაზს უსვამს იმას, რომ გადაწყვეტილების მიღებაში უნდა მონაწილეობდეს სამთავროს ეპისკოპოსი ანუ მიტროპოლიტი,²⁵⁹ ჩვენს შემთხვევაში, სავარაუდოდ, კათოლიკოს-პატრიარქი. ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი ამავე დროს მიუთითებს, რომ საიმისოდ, რათა გადაწყვეტილება ჩაითვალოს კანონიერად, ბრალდებულის კანონიკურად უნდა ექვემდებარებოდეს იმ სამთავროს, რომელიც იხილავს მის საქმეს.²⁶⁰

13. საერო სასამართლოში

IV მსოფლიო კრების მე-9 კანონმა აკრძალა სასულიერო პირთა შორის სამართლებრივი დავის სამოქალაქო სასამართლოში განხილვა ეპისკოპოსის სასამართლოს ნაცვლად.²⁶¹ მსგავსივე წესს ადგენს კართაგენის კრების მე-15 კანონი.²⁶² საგულისხმოა, რომ ამ კანონის თანახმად, „დაღათუ მის კერძცა იყოს მძღეობად სამართლობისად, ეგრეთცა წარუწებულიეს მას ადგილი თვისი“.²⁶³ საინტერესოა, რომ დიდი სჯულისკანონის ქართული თარგმანის მინაწერში „ადგილი თვისი“ განმარტებულია შემდეგნაირად: „ადგილად აქა სამდღელოსა პატივსა იტყუს“.²⁶⁴

მეტად საინტერესოა, რომ კართაგენის 104-ე კანონი ადგენს გამონაკლისს ამ აკრძალვიდან. კერძოდ, თუკი მეფე განიხილავს საჩივარს არა საერო, არამედ საეკლესიო კანონების საფუძველზე, ამ შემთხვევაში დასაშვებია მასთან გასაჩივრება.²⁶⁵

2. გასაჩივრებისა და განხილვის წესი

2.1. გასაჩივრების უფლება

საეკლესიო კანონებით განმარტებულია, რომ მმართველი მდვდელ-მთავრის გულფიცხელობის თუ აჩქარების გამო უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად დაღგენილია გასაჩივრების უფლება.²⁶⁶ სარდიკიის კრებაზე შეკრებილმა მამებმა მე-14 კანონით დაადგინეს, რომ „განკვდილსა მას კელმწიფებად აქუნდინ მიღლოლვად ეპისკოპოსისა მიმართ, რომელი მჯდომარე იყოს მის სამთავროსა დედაქალაქსა შინა. ხოლო უკუეთუ არა იყოს ეპისკოპოსი დედაქალაქისათვის, რათა მახლობელისა სამთავროსა მიისწრაფოს და მოქმენე ექმნეს, რათა გამოწულილვით გამოიძიონ საქმე მისი, რამეთუ არა უკმს მათ, რომელთა ევედრებოდის, არა მიპყრობად მისი სასმენელთად“.²⁶⁷ საგულისხმოა, ამ კანონის

²⁵⁸ დიდი სჯულისკანონი, გვ. 250-251

²⁵⁹ Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, დასახ. ნაშრომი, გვ. 74-75

²⁶⁰ იქვე, გვ. 75

²⁶¹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 271

²⁶² იქვე, გვ. 296-297

²⁶³ იქვე, გვ. 296

²⁶⁴ იქვე, სქოლიო ***

²⁶⁵ იქვე, გვ. 341

²⁶⁶ იქვე, გვ. 284

²⁶⁷ იქვე

კომენტირებისას ეპ. ნიკოდიმოსი აღნიშნავს, რომ მახლობელი სამთავროს მიტროპოლიტთან საჩივრით მისვლა არ უნდა იქნეს სიტყვასიტყვით გაგებული, რადგან, აღნიშნავს იგი, „სხვა ეპარქიის მიტროპოლიტს არასდროს არ აქვს უფლება, ქვემდებარეობის მიხედვით განიხილოს ეპისკოპოსის ან მდვდლის საქმე, თუკი იგი არ ექვემდებარება ამ მიტროპოლიტს“²⁶⁸ თანახმად IV მსოფლიო კრების მე-9²⁶⁹ და მე-17 კანონებისა.²⁷⁰ ნიკოდიმოსის მოსაზრებით, ამგვარი უფლებამოსილება მხოლოდ ორ შემთხვევაში შეიძლება ექნეს მახლობელი სამთავროს მიტროპოლიტს, კერძოდ, (ა) თუკი ადგილზე არმყოფი საქმის განხილვისათვის კანონიკურად უფლებამოსილი მიტროპოლიტი ნებას დართავს მახლობელი სამთავროს მიტროპოლიტს, განიხილოს ეს საქმე, ან (ბ) მოდავე პირები თავად აირჩევენ შუამავალს, მათ შორის – მახლობელი ეპარქიის მმართველს.²⁷¹

2.2. გასაჩივრების ვადები

საეკლესიო კანონებით, ცალსახად არ არის განსაზღვრული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების გასაჩივრების ვადები. ვადების შესახებ ზოგადად საუბრობს, აგრეთვე, ეპ. ნიკოდიმოსიც: „განაჩენით უმაყოფილების შემთხვევაში, ბრალდებულს შეუძლია გაასაჩივროს იგი უმაღლეს საეკლესიო სასამართლოში საამისოდ კანონით განსაზღვრული ვადის განმავლობაში“,²⁷² თუმცა არ უთიოებს, კერძოდ რომელი კანონი ადგენს გასაჩივრების ვადებს. საგულისხმოა ერთი რამე, რომ I მსოფლიო კრების მე-5 კანონის თანახმად დადგენილია გადაწყვეტილების კრებულის წინაშე გასაჩივრების უფლება, რომელიც საგანგებოდ ამ მიზნით, უნდა გაიმართოს წელიწადში ორჯერ – დიდმარხევის წინ და შემოღომაზე.²⁷³ ჩვენი მოსაზრებით, გასაჩივრების ვადის გასვლად შეიძლება ჩაითვალოს არასაპატიო მიზეზით უახლოესი გასაჩივრების საშუალების, ანუ საეკლესიო კრების, გაშვება.

რაც შეეხება შედეგებს, რომელიც შესაძლოა მოყვეს ვადის გაშვებას, აღნიშნულის თაობაზე სჯულისკანონში არ არსებობს კონკრეტული ჩანაწერი. სამწუხაროდ, ხსენებულის შესახებ ვერ მივაკვლიერ ჩვენ მიერ განხილულ პრაქტიკაში. ერთადერთი ამის თაობაზე მსჯელობს ეპ. ნიკოდიმოსი და აღნიშნავს, რომ ვადის „ამოწურვის შემდეგ იგი [ბრალდებული, დ.ჩ.] კარგავს ამ [გასაჩივრების, დ.ჩ.] უფლებას“²⁷⁴

2.3. საქმის ხელახლა განხილვა

ზემომყვანილი მრავალი კანონის კომენტირებისას ჩვენ არაერთხელ შევეხეთ იმ კანონებს, რომლებიც ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვას აწესრიგებენ. ამ პარაგრაფში კიდევ ერთხელ შევეხებით ამ საკითხს, ამასთან განვიხილავთ იმ კანონებსაც, რომლებიც არეგულირებენ საქმის ხელახლი განხილვის პროცედურებს.

²⁶⁸ Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, фасб. ნაშრომი, გვ. 137

²⁶⁹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 271

²⁷⁰ იქვ, გვ. 272-273

²⁷¹ Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, фасб. ნაშრომი, გვ. 137

²⁷² Никодимъ, Православное Церковное право, фасб. ნაშრომი, გვ. 486

²⁷³ დიდი სჯულისკანონი, გვ. 232

²⁷⁴ Никодимъ, Православное Церковное право, фасб. ნაშრომი, გვ. 486

სარდიკიის კრების მე-3 კანონის თანახმად, „უკუეთუ ეპისკოპოსი ვინმე დასჯილად საგონებელ იყოს რომლისავე საქმისათვს და იგი პგონებდეს, ვითარმედ არა უძლური, არამედ მტკიცე სამართალი აქუს საქმისა მის მიმართ და რაოთა კუალად განაახლოს საბჭო, უკუეთუ პნებავს თქუენსა სიყუარულსა, პეტრე მოციქულისა წსენებასა პატივ-სცეთ და მიეწეროს მათ მიერ, ცხად არის, ვითარმედ განსაკითხავთა მიერ იულიოსს ეპისკოპოსსა პრომისასა, რაოთა მეზობელთა მიერ სამთავროდსათა ეპისკოპოსთა იხილოს, უკუეთუ ჯერ-არს განახლებად სამსჯავროდსად და ბჭენი მისცნეს მათ. ხოლო უკუეთუ კუალად განხილვისა და სამსჯავროდსა განახლებისა არღარა მოქენე იყოს საქმე ერთგზის ბჭობილი იგი და გამოძიებული, ნულარამცა დაიკსნების, არამედ მტკიცედ ეგენინ იგი“.²⁷⁵

ამ კანონით დადგენილია შემდეგი პროცედურები:

(ა) საქმე განახლდება ბრალდებულის მიერ – „უკუეთუ... იგი პგონებდეს, ვითარმედ არა უძლური, არამედ მტკიცე სამართალი აქუს საქმისა მის მიმართ და რაოთა კუალად განაახლოს საბჭო“;

(ბ) გასაჩივრება ხორციელდება ეკლესიის მეთაურის მეშვეობით – „მიეწეროს მათ მიერ... იულიოსს ეპისკოპოსსა პრომისასა“. აქ, ჩვენი მოსაზრებით, არ უნდა იგულისხმებოდეს მხოლოდ რომის ეპისკოპოსი, რაკიდა სარდიკიის კანონი მაინც ადგილობრივი კრების კანონია, ის ადგენს წესს საკუთრივ სარდიკიის მიტროპოლიისათვის. მით უფრო, როგორც ეპ. ნიკოდიმოსი განმარტავს, ამ კანონის გამოცემას ჰქონდა კონკრეტული მიზანი – დაეცვა სარდიკიელები არიოზელთა გამოხდომებისაგან.²⁷⁶ ამიტომ, პროცედურულად ამ შემთხვევაში დგინდება, რომ გასაჩივრების თაობაზე უნდა ეცნობოს ეკლესიის მეთაურს;

(გ) დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ეკლესიის მეთაური – „იხილოს, უკუეთუ ჯერ-არს განახლებად სამსჯავროდსად“;

(დ) განმხილველ მოსამართლებს ნიშნავს ეკლესიის მეთაური – „და ბჭენი მისცნეს მათ“;

(ე) ბრალდებულის მიერ განაჩენის დათანხმება ნიშნავს გადაწყვეტილების ძალაში შესვლას – „ხოლო უკუეთუ კუალად განხილვისა და სამსჯავროდსა განახლებისა არღარა მოქენე იყოს საქმე ერთგზის ბჭობილი იგი და გამოძიებული, ნულარამცა დაიკსნების, არამედ მტკიცედ ეგენინ იგი“.

რაც შეეხება საკუთრივ საქმის განხილვის პროცედურებას, აღნიშნულის თაობაზე ცალკე საეკლესიო კანონი არ არსებობს და ჩვენი აზრით, საქმე განხილულ უნდა იქნეს იმ წესის მსგავსად, რაც დადგენილია პირველ ინსტანციაზე განსახილველად. გასაჩივრების პროცედურებზე მსჯალობისას პროფ. ბერდნიკოვი აღნიშნავს, რომ საეკლესიო სასამართლებში ძირითადად იხილებოდა სასამართლო აქტები, ხოლო ცალკეულ

²⁷⁵ დიდი სჯულისკანონი, გვ. 278-279

²⁷⁶ Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, დასახ. ნაშრომი, გვ. 122

შემთხვევებში კი – გარდებოდა ხელახალი გამოძიება: „სასამართლოს უმაღლეს ინსტანციაში აპელაციისას იხილებოდა პირველი ინსტანციის სასამართლო აქტები. ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ ვხვდებით, აგრეთვე, დებულებას გამოძიების დაწყების შესახებ, როდესაც საჭიროებამ მოითხოვა ზოგიერთი ფაქტის ადგილზე დამოწმება“.²⁷⁷

3. საქმის განსახილველად დაბრუნება

სარდიკიის კრების მე-5 კანონი ადგენს იმგვარ შემთხვევას, როდესაც შეიძლება საქმე განსახილველად დაუბრუნდეს ქვედა ინსტანციას, იმავე ან სხვა შემადგენლობას. ხსენებული კანონის თანახმად განისაზღვრა შემდეგი: „უკუეთუ ვინმე მოქენე იყოს კუალადცა სასმენელ ქმნისათვის მის საქმისა და ვედრებითა თვისითა არწმუნოს ეპისკოპოსსა პრომისასა კუალად განხილვად მისი, გუარდიისა თვისისა მახლობელი ხუცესი წარავლინენ მან და განსაზღვრენ წარვლინებად ბჭეთა ეპისკოპოსსა თანა, რომელთა აქუნდეს კელმწიფებად მისი, რომლისა მიერ წარვლენილ იყვნენ და ესე რაო იქმნას, უკუეთუ პგონოს, ვითარმედ კმა არს ესე ზედამიწევნით შესამეცნებელად და გამოსაძიებელად მის საქმისა, განსცეს განჩინებად ეპისკოპოსისათვის, ვითარ რამეცა სთნდეს ბრძენსა განზრახვასა მისსა“.²⁷⁸ განსხვავებით წინა შემთხვევისაგან, ამ კანონით საქმე განსახილველად უბრუნდება ქვედა ინსტანციის სასამართლოს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების უფლება რჩება ზედა ინსტანციას. ცხადია, ეს კანონი ზუსტად არ ეთანადება საერო კანონმდებლობაში არსებულ საქმის განსახილველად დაბრუნების წესს, მაგრამ შინაარსობრივად იგი განსხვავდება საქმის ზედა ინსტანციით განხილვისაგან და ამდენად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც საქმის განსახილველად დაბრუნება ქვედა ინსტანციისათვის.

4. შერიგებით დასრულება

საეკლესიო კანონები ითვალისწინებენ იმგვარ შემთხვევასაც, როდესაც კანონი ბრალდებულ სასულიერო პირს მოუწოდებს თავის მღვდელ-მთავართან შერიგებისაკენ. ამ პროცედურას ადგენს კართაგენის მე-11 კანონი: „უკუეთუ ვინმე ხუცესი ქცევისა თვისისათვის იბრალოს, უკმს ეგვითარსა მას მეზობელთა ეპისკოპოსთა მიმართ მილტოლვად, რაოთა მათ ისმინონ საქმე მისი და მათ მიერ თვისისა ეპისკოპოსისა დაგებად“.²⁷⁹ მნიშვნელოვანია, რომ ამ სახით საქმის მოგვარებისათვის აუცილებელია მიმართვა მეზობელ ეპისკოპოსთან შუამდგომლობის თაობაზე. სავარაუდოდ, ეს წესი დადგენილია იმის გამო, რომ შესაძლოა ბრალდებულს საქმის განმხილველმა მდვდელმთავარმა არც მოუსმინოს. ამასთან, ჩვენი აზრით, შერიგებით საქმის დასასრულებლად ერთი მხრივ, ალბათ, სავალდებულოა ბრალდებულის მხრიდან ან ბრალის აღიარება (თუ ბრალდება მძიმე არ არის, ანუ არსებობს შერიგების სამართლებრივი წინაპირობა) ან შუამავლის მიერ განმხილველი მღვდელმთავრის დარწმუნება იმაში, რომ ბრალდებული დამნაშავე არ არის.

²⁷⁷ Краткий курс церковного права, до сих пор. Башкортостан, 23. 186

²⁷⁸ დიდი სჯულის კანონი, გვ. 279

²⁷⁹ იქვე, გვ. 295

რაც შეეხება ამ კანონის პრაქტიკაში გამოყენებას, ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლთა შორის მოიპოვება ნიკოლოზ ალავერდელის „ვედრების წიგნი იოსებ ტფილელისადმი კათალიკოზთან შუამავლობისა და შერიგების შესახებ“.²⁸⁰

როგორც შინაარსიდან ირკვევა, კათოლიკოს-პატრიარქთან დათისმსახურების დროს ალავერდელ ეპისკოპოს ნიკოლოზს კათალიკოსის კურთხევის გარეშე დაუხურავს მიტრა (ტექსტშია: გვირგვინი), რაზეც კათოლიკოსი განრისხებულა და ამის გამო ნიკოლოზ ალავერდელი სვეტოცხოველში ვედარ ჩადიოდა მსახურების შესასრულებლად.²⁸¹

ვედრების წიგნი იწყება მიმართვით ტფილელ იოსებისადმი, სადაც მეუფე ნიკოლოზი მას ახასიათებს, როგორც „ღმრთის წყალობას“, „ორსავეცხოვრების დიდ სიხარულს“ და „ყოვლად სანატრელს“.²⁸²

დასაწყისში მეუფე ნიკოლოზი აღწერს, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება არ ყოფილა თვითნებობით გამოწეული, არამედ მან ის გააკეთა, რაც ტრადიციულად სრულდებოდა ალავერდის მმართველი მღვდელმთავრების მიერ: „ღმერთია მოწამე და კაცნიცა მრავალი, რომე ჩემის თავმოთხობითა და არც თავგედობითა და არც წინა აღმდგომობითა მე გვირგვინი არ დამეხუროს; მრავალთ დარბაისელთ და მახსოვართ ვკითხე, მეც მითხრეს და მაგ ბატონს კათალიკოზსაც მოახსენეს, რომ სხვას ალავერდელსა უკათალიკოზოდ დაუხურაგსო და მეც დავიხურე“.²⁸³

ეპ. ნიკოლოზი იმასაც შიშობს, რომ კათალიკოსი მის ამ ქმედებაში მთლიანად ეპარქიის განდგომას დაინახავს: „ეგების ასე ეგონოს, რომე სხვა ალავერდელიც მოინდომებსო, რადგან ამან ქნაო“.

ყოველივე ამის შემდეგ ეპ. ნიკოლოზი ეპ. იოსებს თხოვს შუამდგომლობას კათალიკოსის წინაშე, რომ ისევ შეურიგდეს და ამის შემდეგ იგი შეხვდება კათალიკოსს, ან თავის ეპარქიაში, ან მცხეთაში – როგორც კათალიკოსი ინებებს. დასასრულ, მეუფე ნიკოლოზი კიდევ ერთხელ თხოვს კათალიკოსს „შერიგების წიგნს“ და ამასთან, ზემოხსენებული შიშის გასაქარწყლებლად გამოსცემს საეპარქიო ბრძანებას, რომ „ვინც ჩვენსა უკან ალავერდელი დაჯდეს, უკათალიკოზოდ გუირგვინი ვერ დაიბუროს“.²⁸⁴

²⁸⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 594-595

²⁸¹ ბიზანტიური ლიტურგიკული ტრადიციით, როდესაც მწირველია ეკლესიის მეთაური, მხოლოდ მას აქვს უფლება ეხუროს მიტრა, ხოლო ყველა სხვამ საამისოდ მისგან უნდა აიღოს კურთხევა. ჩანს, ამის გამო, კათოლიკოსს აუკრძალია მღვდელმსახურება მეუფე ნიკოლოზისთვის იმ ფორმით, რომ მცხეთაში, საპატრიარქო ტაძარში ვეღარ სწირავდა.

²⁸² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 594

²⁸³ იქვე

²⁸⁴ იქვე, გვ. 595

5. ქასაციის საკითხისათვის

დიდი სჯულისკანონის სამი კანონით დადგენილია პროცედურა, როდესაც კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებაც შეიძლება უმაღლეს საეკლესიო მმართველობასთან. ცხადია, სახელწოდება „კასაცია“ პირობითია და მასში ჩვენ ვგულისხმობთ, ერთი მხრივ, საქმის მეორედ გასაჩივრებას უმაღლესი ინსტანციის საეკლესიო სასამართლოში, ხოლო, მეორე მხრივ, საქმის არა არსებით განხილვას, არამედ მხოლოდ წინა ინსტანციების გადაწყვეტილებათა რევიზიას. საინტერესოა, რომ ამ ტერმინს იყენებს საქართველოს ეკლესიის 1917 წლის მართვა-გამგეობის დებულება: „ყოველი საქმე არსებითად გადაწყდება ორს ინსტანციაში და მესამე ინსტანცია იქნება საკასაციო“.²⁸⁵

სარდიკის კრების მე-4 კანონის შესაბამისად, „უკუეთუ ვინმე ეპისკოპოსი განიკუეთოს ბჭობითა მეზობელთა თვისთა, ეპისკოპოსთადთა და იტყოდის, ვითარმედ: აქუს რამე კუალად სიტყვა-გებად შესაწევნელი თავისა თვისთა, ნუმცა დაიდგინების სხუა საყდარსა მისსა პირველად, ვიდრე არა ეპისკოპოსსა პრომისასა ეუწყოს ესე და განჩინებად გამოსცეს მისთვე“.²⁸⁶ ამ კანონით დადგინდა, რომ დასავლეთის ეკლესიების უმაღლესი და საბოლოო ინსტანცია არის რომის საყდარი.

რაც შეეხება აფრიკის კონტინენტზე მდებარე ეკლესიებს, მათ შესახებ კართაგენის კრების 125-ე კანონმა დაადგინა, რომ „ხუცესნი და დიაკონი და სხუანი უქუემოესნი მოყუასნი, რომელთა აქუნდენ საბჭონი რამე, უკუეთუ არა ჯერ-იყვნენ ბჭობასა თვისთა ეპისკოპოსისასა, მეზობელთა ეპისკოპოსთა ისმინონ მათი და განხილვითა შორის მათსა განბჭონ საძიებელი მათი, რომელთა მიმართ მისრულ იყვნენ იგინი თანა-ჯერჩინებითა ეპისკოპოსთა თვისთადთა. ხოლო უკუეთუ მათსაცა არა დასჯერდენვე, ნუსადა წარვლენ სხუაგან თვისთა კრებათა მიმართ აფრიკეთისათა, ანუ მიტროპოლიტთა მიმართ სამთავროთა თვისთასა“.²⁸⁷

როგორც ვხედავთ, ამ კანონით სარდიკის კანონისგან განსხვავებით მცირედით სხვა პროცედურებია დადგენილი, (ა) მხარეს შეუძლია განხილვისთვის მიმართოს არა მხოლოდ ერთ ეპისკოპოსს, არამედ კრებასაც, ამასთან (ბ) შეუძლია აირჩიოს განმხილველი სასამართლო.

რაც შეეხება აღმოსავლეთის ეკლესიებს, მათვის კასაციის პროცედურა განსაზღვრულია IV მსოფლიო კრების მე-17 კანონით, რომლის თანახმადაც „უკუეთუ ვინმე თვისთა მიტროპოლიტისა მიერ იმძლავრებოდის, ზედამხედველმან განსაგებელისამან, ანუ საყდარმან კოსტანტინეპოლისამან განუბჭოს, ვითარცა პირველ ითქუა“.²⁸⁸ ამ კანონშიც, მსგავსად კართაგენის კანონისა, არსებობს არჩევანი მომჩივანისათვის სასამართლოსადმი მიმართვის თვალსაზრისით. რაც შეეხება კანონის ჩანაწერს „ვითარცა პირველ ითქუა“, აქ ეპ. ნიკოდიმოსის მოსაზრებით იგულისხმება ნი-

²⁸⁵ საქართველოს ეკლესიის 1917 წლის მართვა-გამგეობის დებულება, §40, დასახ. გამოცემა, გვ. 24

²⁸⁶ დიდი სჯულისკანონი, გვ. 279

²⁸⁷ იქვე, გვ. 349-350

²⁸⁸ იქვე, გვ. 273

კეის I მსოფლიო კრების მე-6 კანონი, რომელმაც დაადგინა ეკლესიის მმართველობის უზენაესობა მის საგამგებლო ტერიტორიაზე მომხდარ საქმეებთან დაკავშირებით.²⁸⁹

საეკლესიო კანონებიდან არ ირკვევა, როდის ან რა ვადაში შეიძლება მოხდეს უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრება.

6. გასაჩივრებული განაჩენის ძალაში შესვლის საკითხი

აღნიშნულთან მიმართებით, მოკლედ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ განაჩენის გასაჩივრების ვადის გაშვების ან გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შემთხვევაში, განაჩენი ძალაში შესულად ითვლება და იგი უნდა აღსრულდეს.

²⁸⁹ ქპ. ნიკოდიმოსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 342

VII. ბანაჩენის აღსრულება სასჯელების მიხედვით

1. ზოგადი დებულებანი განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებით

განაჩენის ძალაში შესვლასთან ერთად ხშირ შემთხვევაში სულიერ-მისტიკური თვალსაზრისით აღსრულებულად ითვლება მასში მითითებული სასჯელი და მას არ სჭირდება გარეგნული სახით გამოხატულება. ვთქათ, სასულიერო პირის განკვეთა გარეგნულად შეიძლება გამოიხატოს მისთვის სამკერდე ჯვრის ჩამორთმევაში, სასულიერო შესამოსლისაგან განმოსვაში. ეს იქნება გარეგნული გამოხატულება. რაც შეეხება სამდვდელო მადლისგან განძარცვას, იგი, ქრისტიანული რწმენის თანახმად, ადამიანზე მისტიკურად, სულიერად და უხილავად აღესრულება, ხოლო განაჩენი აღსრულებულად სწორედ რომ ამ მომენტიდან უნდა ჩაითვალოს და არა მისი გარეგნული შესრულებიდან. ამდენად, სასჯელის სულიერი ასპექტი საინტერესო ინსტიტუტია საეკლესიო სამართლში და განარჩევს მას საერო სამართლისგან. განსხვავება მდგომარეობს იმაშიც, რომ საეკლესიო სასჯელი ჭირდოდაა დაკავშირებული ადამიანის სულთან, მის სულიერ ცხოვრებასთან, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, შეცოდების მიზევებისა და შეკვრის უფლება მინიჭებული აქვს ეკლესიას, რომელიც მას მიენიჭა უფლის მიერ მოციქულთა გზით: „პრქუა მათ: მიიღეთ სული წმიდა. რომელსა მიუტევოთ ცოდვანი, მიეტეოს, ხოლო რომელი შეიძყროთ, შეპყრობილ იქმენინ“ (ინ. 21:22-23). ამიტომაც, საეკლესიო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, ზემომოყვანილი მაგალითის შემთხვევაში, უნდა დადასტურდეს საღმრთო განგებულებითაც, რომელიც ჩვენთვის უხილავი და დაფარულია. საეკლესიო სამართლისათვის არსებითი მხოლოდ ის არ არის, გარეგნულად აღსრულდება თუ არა გამოტანილი განაჩენი, არამედ უმნიშვნელოვანებია ისიც, რომ მისი აღსრულება უტყუარი იყოს სულიერი თვალსაზრისითაც. ეკლესიის სწავლებით, სასულიერო პირი დვთისმსახურად გამორჩეულია თავად უფლის მიერ, რომელიც მას, როგორც თავის მსახურს ანიჭებს მდვდელმოქმედებისთვის საჭირო მადლს, ამდენად საღმრთო მსახურებას აღასრულებს თავად ღმერთი.²⁹⁰ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საეკლესიო განაჩენს, ვინაიდან მისი კანონიერ ძალაში შესვლა იწვევს პირის საღმრთო მადლისგან განძარცვას.

როგორც წინა თავშიც განვიხილეთ, საეკლესიო პროცესი ადგენს გასაჩივრების წესსაც, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი შეიძლება გადაისინჯოს და ამდენად, შეიცვალოს ზემდგომი ინსტანციის მიერ. ამ დროს ბუნებრივია ჩნდება კითხვა: ითვლება თუ არა სასულიერო პირი დვთისმსახურებიდან განკვეთილად, როცა მის წინააღმდეგ ამგვარი განაჩენი არსებობს? ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქვს თუ არა ამგვარ პირს უფლება აღასრულოს საღმრთო საიდუმლოებანი, სწიროს, დაწეროს ჯვარი, მონათლოს და ა.შ.? ეს საკითხი შემდეგნაირად წყდება: პირს, რომლის მიმართაც გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი, ეკრძალება ზიარება საბოლოო განაჩენის გამოტანამდე.

²⁹⁰ პროტოპრ. მიხეილ პომაზანსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 180-181

ამ თავში ჩვენ საუბარი გვექნება გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულებაზე. თავისთვად ცხადია, რომ გამამართლებელ განაჩენს განსაკუთრებული აღსრულება არ სჭირდება, ვინაიდან ამ უკანასკნელით ხდება ბრალდებულის გამართლება, მას მოეხსნება ყოველგვარი ბრალი და აღდგება თავის უფლებებში.

ეპ. ნიკოდიმოსის აზრით, სასჯელი ორ სახედ იყოფა – მისაგებელ და მაკურნებელ სასჯელად.²⁹¹ აღსრულების თვალსაზრისითაც განსხვავდება ეს ორი სასჯელი. „მისაგებელი სასჯელის შეფარდებისას, დამნაშავემ სრულად უნდა დაითმინოს სატანჯველი, სასამართლოს მიერ მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამო განჩინებული, მიუხედავად იმისა, მოინანია თუ არა, გამოსწორდა თუ არა; გამოსასწორებლად გამოტანილი მაკურნებელი სასჯელის დროს კი შურისგება წყდება იმ მომენტში, როდესაც სასჯელმა თავის მიზანს მიაღწია, ანუ როცა მონანული დამნაშავე გამოსწორდა“.²⁹² პროფ. ბერდნიკოვის მოსაზრებით კი „„საეკლესიო სასამართლოს უმაღლესი მიზანი არის არა დამნაშავის დასჯა, არამედ შემცოდის გამოსწორების ხელშეწყობა. საეკლესიო სასჯელი არ დაედება უცოლობლად და შეიძლება შეიცვალოს, შემცოდის გამოსწორების მიხედვით მხოლოდ სასულიერო პირთა განკვეთად უცილობელი და ამგარად მას აქვს დასჯითი ხასიათი“.²⁹³

ჩვენ თავის დროზე ამ საკითხის მიმართ განსხვავებული მოსაზრება გვქონდა და ვიზიარებო იმ აზრს, რომ სასჯელის აღსრულება, ისევე როგორც ნებისმიერი მოქმედების შესრულება ეკლესიაში ეფუძნება მხოლოდ ადამიანის ნებას და მასში იძულება ან ძალდატანება პრინციპულად არის გამორიცხული: „ეპიტიმიების შესრულება არ ხდება ძალის გამოყენებით და იძულებით, ვინაიდან ამგვარ მეთოდებს მართლმადიდებელი ეკლესია არ იცნობს. მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც განკანონებული გამოთქვამს სინანულის ჩადენილთან დაკავშირებით, შესაძლებელია აღსრულდეს ეპიტიმია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოცი წელიც რომ გავიდეს განაჩენის გამოტანიდან, განკანონებულს უფლება არ აქვს ეზიაროს, თუკი მას სრულებით არ აღუსრულებია მისთვის განსაზღვრული სასჯელი“.²⁹⁴

რაც შეეხება სასჯელის სახეებს, მის შესახებ ზემოთაც აღინიშნა, რომ ეკლესია იცნობს მხოლოდ ეკლესის ერთობიდან განყენების ფორმით ადამიანის დასჯას. შესაბამისად, არსებითი არის ამ ერთობიდან განყენების კონკრეტული ფორმის და ვადის განსაზღვრა, რათა მისი აღსრულებაც შესაბამისად და ადგვატურად განხორციელდეს.

ცალკეული შეცოდებისთვის სასჯელის კონკრეტულ ფორმას, როგორც ცნობილია, განსაზღვრავენ კანონიკური ნორმები. აქ მხედველობაში გვაქვს სასჯელის სახე, კერძოდ: უზიარებლობა, დაცადება, განკვეთა და ა.შ. რაც შეეხება სასჯელის ვადას, მას აღგენს საეკლესიო სასამართლო

²⁹¹ ეპ. ნიკოდიმოსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35

²⁹² იქვე, გვ. 35-36

²⁹³ Краткий курс церковного права, დასახ. ნაშრომი, გვ. 180

²⁹⁴ დ. ჩიკვაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 137

ან აბსოლუტური ძალმოსილებით ანდა შეზღუდული ძალმოსილებით, იმის მიხედვით, თუ რის უფლებას ანიჭებს მას საეკლესიო კანონი.²⁹⁵

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია აღსრულების ფორმაც, განსაკუთრებით – უზიარებლობის შემთხვევაში, ვინაიდან როგორც საეკლესიო კანონების, ისე სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, შეცოდებისათვის მისჯილი სასჯელის ვადა განვლილ უნდა იქნეს შესაბამისი ქმედობებით. ეს ქმედობები ხშირად პირდაპირ არის მითითებული კანონებში და მისი აღსრულების პროცედურებზე ქვემოთ იქნება მსჯელობა.

2. ეპიტიმიების აღსრულების წესი მათი სახეების მიხედვით

ეპიტიმია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ზე-პატიობას, ანუ პატივზე ზემოთ დადგომას. იგი გულისხმობს იმას, რომ შეცოდების გამო საკუთარი პატივის დამცრობით ერისკაცმა დაიბრუნოს ის უფლებები, რაც მას იქამდე ჰქონდა. ეპიტიმია შეიძლება მიესაჯოს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის სახით.²⁹⁶

2.1. შეტირება

შეტირება შეიძლება დაენიშნოს ერისკაცს. იგი ხშირად ინიშნება ყველაზე უფრო მძიმე შეცოდების სასჯელის პირველ ნაწილად.

შეტირება სრულდება შემდეგი წესით: განკანონებული ვალდებულია შეტირებისთვის განსაზღვრული მთელი პერიოდის მანძილზე იდგეს ეკლესიის კარებში და ყოველი შემსვლელის და გამომსვლელის წინაშე აღიაროს თავისი შეცოდება, თხოვოს ყველას პატივება აღნიშნულისათვის და ითხოვოს მისთვის ლოცვა, რათა ლმერთმა შეუნდოს ჩადენილი შეცოდება.

შეტირების წესი აღწერილი აქვს ექვთიმე მთაწმინდელს VI მსოფლიო კრების პე (85-ე) კანონის კომენტირებისას: „ესე იგი არს, რათა დგეს გარეშე კართა ეკლესიისათა და შემავალთა ეკლესიად მორწმუნეთა ევერებოდის ლოცვად მისთვის და აღიარებდეს ცოდვასა მას თვისეა“.²⁹⁷

შეტირების მსგავს წესს ადგენს, აგრეთვე, კათალიკოს ანტონ II-ის 1793 წლის 13 აგვისტოს „კანონთა განწესება ცოდვილთათვის“, რომლის მე-2 კანონის თანახმად, ცოდვილი „ნუ შევალს ეკლესიასა შინა ვიდრე სამთა წელიწადთა სრულყოფამდე, არამედ ჰსდგეს გარე კარსა ეკლესიისასა წირუასა ანუ ლოცვასა ზედა და შემავალთა და განმავალთაგან დიდითა

²⁹⁵ აქ გულისხმობთ იმ შემთხვევებს, როდესაც ერთი მხრივ საეკლესიო კანონით დადგენილია სასჯელის ვადა (ვთქვათ, „ათი წლით უზიარებლობა“), ხოლო მეორე მხრივ საეკლესიო კანონში სასჯელის ვადაზე საერთოდ არ არის საუბარი. პირველ შემთხვევაში არის შეზღუდული ძალმოსილება, ხოლო მეორე შემთხვევაში – აბსოლუტური ძალმოსილება.

²⁹⁶ ეპ. ნიკოდიმოსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 37

²⁹⁷ მცირე სჯულისკანონი, გვ. 78

ვედრებითა ითხოვდეს და თავსა თვისსა მოიდრეკდეს მათდამი და იტყოდეს „შემინდვენით მე, ცოდვილსა“.²⁹⁸

რაც შეეხება პრაქტიკას ამ მიმართებით, დოსითეოს ნეკრესელის 1791 წლის 9 ნოემბრის განჩინება პეტრე მღვდლის სასისხლო საქმეზე²⁹⁹ უფრო მძიმე განწეს ადგენს ცოდვილისათვის. განჩინების თანახმად, პეტრე მღვდელს, რომელმაც განზრას მძიმე დაზიანება მიაყენა ნიკოლაოს მღვდელს (ტექსტშია: „ძალიერ მტერსავით დაეკრა“ და შემდეგ აღწერილია დაზიანებები), მიესაჯა შემდეგი სახის ეპიტიმია: „კუნდში ფეჭი უნდა დაეკრძალოს მტკიცედ, საყდრის კარზედ უნდა დადგეს, შემავალს-გამომავალს შენდობას უნდა თხოვდეს“.³⁰⁰ აქ საინტერესო ისაა, რომ ზემომოყვანილი წესისაგან განსხვავებით აქ ტაძრის შესასვლელში დგომის გარდა, პეტრე მღვდელი ფაქტიურად დაბმული უნდა იყოს და ასე დამცირებულ მდგომარეობაში ითხოვოს შენდობის მიღება.

2.2. შევრდომა და მეტანია

შევრდომა სულხან-საბას სიტყვის კონის მიხედვით ნიშნავს „ორისავ მუჭლით დაჩოქებას“. საეკლესიო სამარათალში შევრდომა შემდეგი სახით აღსრულება: განკანონებული ვალდებულია შეასრულოს განსაზღვრული რაოდენობის მეტანია (ვთქვათ, დღეში 40 ან 50-ჯერ) და მუხლმოდრეკილმა მოისმინოს წირვა.

შევრდომის, ლოცვისა და მეტანიის წესს დეტალურად განსაზღვრავს ექვთიმე მთაწმინდელი: „ლოცვისა კანონი ესრეთ აქუნდეს: გარეშე განწესებულთა უამთასა სამგზის ადასრულებდენ ლოცვასა სინანულისასა: განთიად და შუადღე და მწუხრი. და თითოეულსა ლოცვასა ზედა იტყოდინ: „მიწყალესა“ ერთგზის, „წმიდაო დმეროოსა“ სამგზის, „მამაო ჩუენოსა“ ერთგზის, კურიელებიონი რ [ე.ი. 100-ჯერ, დ.ჩ.], „დმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას“ ნ [ე.ი. 50-ჯერ, დ.ჩ.], და მუგლოდრეკად ნ“.³⁰¹

კათალიკოს ანგონ II-ის ზემოხსენებული განწესების მე-6 კანონის თანახმად, „თკთოეულსა დღესა შინა ჰყოფდეს მეტანიასა ასესა: ორმეოცსა დიდსა მეტანიასა და სამეოცსა გელის მეტანიასა და იტყოდეს თითოეულსა ზედა: „დმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას და შემიწყალე მე“.³⁰²

2.3. მსმენელებთან დადგინება

მსმენელებად იწოდებიან ის ადამიანები, რომელთაც სურვილი აქვთ შეისწავლონ მართლმადიდებლური სჯული და მოინათლონ წმიდა სამების სახელით. მათ სხვანაირად კათაქმევლები ეწოდებათ. მსმენელებთან დადგინებულ ქრისტიანს, მათივე მსგავსად არ აქვს უფლება ბოლომდე იყვნენ წირვაზე და დაესწრონ უსისხლო მსხვერპლშეწირვის საიდუმლოს. ისინი ვალდებული არიან მსმენელებთან (ანუ კათაკ-მევლებთან) ერთად დატოვონ ტაძრი მას შემდეგ, რაც მღვდელი წარმოთქვამს სიტყვებს - „რაოდენი კათაკმეველი ხართ განვედით“.

²⁹⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 1019

²⁹⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 549

³⁰⁰ იქვე

³⁰¹ მცირე სჯულისკანონი, გვ. 112

³⁰² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 1020

ექვთიმე მთაწმინდელის განმარტებით „ქუედავრდომით მვედრებელთა თანა განვიდოდის, რომელი-იგი დგანან შინაგან ბჭეთა ეკლესიისათა. და ოდეს დიაკონმან წმა-ყოს: „კათაკუმეველნი განვედით!“ განვლენ ეკლესი-ით“³⁰³

საინტერესოა, რომ ანტონ კათალიკოსის განწესება არ ითვალისწინებს ამგვარ ეპიტიმიას.

2.4. მორწმუნებთან დოცვა ზიარების გარეშე

ეს არის უზიარებლობის კანონის აღსრულების ბოლო და ყველაზე მსუბუქი სახე. იგი გულისხმობს მორწმუნის დასწრებას მთელ წირვაზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას უფლება არ აქვს ეზიაროს. ამგვარი სასჯელის შეფარდების უფლება აქვს მდვრელსაც ეპისკოპოსის და საეკლესიო კრების გარეშე, შედარებით ნაკლებად მძიმე შეცოდებისთვის ან ყველა იმ ცოდვისთვის, რომელიც თავისი მცირე მნიშვნელობის გამო შეცოდებად არ ითვლება. (ცხადია, ამგვარი უზიარებლობის ვადა დიდ ხანს (თუმცა საეკლესიო სამართალი ზუსტად არ განსაზღვრავს ვადას) არ შეიძლება გაგრძელდეს. ნებისმიერ შემთხვევაში მორწმუნეს უფლება აქვს მდვრელის ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს ეპისკოპოსთან).

ანტონ კათალიკოსი თავისი განწესების მე-3 კანონით მოკლედ აღწერს ამ ეპიტიმიას: „შემდგომად სამისა წლისა შევიდეს ეკლესიასა შინა და სეფისკვერი³⁰⁴ მიეცემოდის“.³⁰⁵

დიდ სჯულისკანონში ეს ეპიტიმია მოხსენიებულია, როგორც ზიარება „თუნიერ სიწმიდეთა“ (იხ. ანკვირიის მე-4,³⁰⁶ მე-8³⁰⁷ და მე-16 კანონები³⁰⁸). ამ შემთხვევაში „ზიარებაში“ უნდა ვიგულისხმოთ ეკლესიის ერთობაში, მათ შორის წირვა-ლოცვაში თანამონაწილეობა, ანუ თანაზიარება. ხოლო რაც შეეხება „სიწმიდეს“, მასში მოიაზრება უშუალოდ ქრისტეს ხორცისა და სისხლის მიღება, რასაც ჩვენ, როგორც წესი, ზიარებას ვუწოდებთ.

2.5. მორწმუნებთან დოცვის აკრძალვა

შესაძლებელია საეკლესიო სასამართლოს მიერ განკანონებულს მიესაჯოს დოცვის აკრძალვა ეკლესიის წევრების, ანუ მორწმუნების გვერდით. ასეთ შემთხვევაში მას უფლება აქვს ილოცოს ცალკე ან იმ კატეგორიის ადამიანებთან, რომელთა ერთობა ეკლესიას არ ქმნის. მაგალითად, ანკვირიის ქრების მე-17 კანონის თანახმად „პირუტყუთა თანა პირუტყუქმნილთა და განკეთრებულთა უბრძანებს წმინდა კრებად, რათა ეშმაკეულთა თანა ილოცვიდენ“.³⁰⁹ ასეთ შემთხვევაში უკვე ეკლე-

³⁰³ მცირე სჯულისკანონი, გვ. 78

³⁰⁴ სეფისკვერი – მრგვალი, საგანგებოდ საეკლესიო მსახურებისთვის დამცხვარი მცირე ზომის პური.

³⁰⁵ ქართული სამართლის ძველები, ტ. III, გვ. 1019

³⁰⁶ დიდი სჯულისკანონი, გვ. 237

³⁰⁷ იქვე, გვ. 238

³⁰⁸ იქვე, გვ. 239

³⁰⁹ იქვე

სიის მიერ დგინდება არა მხოლოდ მორწმუნეთა გვერდით ლოცვის აკრძალვა, არამედ ვისთან თანალოცვის უფლება აქვს მას.

ამ ეპიტიმიის ზედმიწევნით შესრულება მართებს არა მხოლოდ განკანონებულს, არამედ ყველა სხვას, ვინც მის გვერდით თანაცხოვრობს, რადგან მოციქულთა მე-10 კანონის შესაბამისად, ვინც დაარღვევს საეკლესიო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას და ამგვარად განკანონებულთან ერთად ილოცებს, ისიც იმავე სასჯელით დაისჯება.³¹⁰

2.6. დამატებითი მარხვა

ქრისტიან ეპიტიმიის სახით შეიძლება განესაღვროს დამატებითი მარხვა სხილის პერიოდში ან მარხვის ჩვეულებრივი ფორმის მძიმე ფორმით შესრულება მარხვის პერიოდში. ექვთიმე მთაწმინდელი იოანე მმარხველის „განონი შეცოდებულთანი“-ს კომენტირებისას დეტალურად აღწერს დამატებითი მარხვის შესრულების წესს.³¹¹ მას დამატებითი მარხვა გაყოფილი აქვს სამ ჯგუფად. პირველი არის ვრცელი და ყველაზე მძიმე. მეორე ჯგუფს მიწერილი აქვს: „უკუეთუ ზემოწერილი იგი წესი ვერ ეძლოს მონაცელთა მათ აღსრულებად, ანუ უძლურებისაგან, ანუ არა ლობისერებისა, ესე დაიმარხონ“.³¹² ხოლო მესამე ჯგუფი განსაზღვრულია მათთვის, ვინც სისუსტის თუ სხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებს როგორც პირველი, ისე მეორე ჯგუფის მარხვის წესის შესრულებას: „ხოლო მესამე სახე ესრეთ არს ჭირის მაგიერ: უკუეთუ ზემოწერილთა მათ წესთა ვერ იმარხვიდენ, მრავალთა რამე მიზეზთათვს“.³¹³

ანტონ II კათალიკოსის განწესის მე-5 კანონი შემდეგნაირად ადგენს ამგვარი ეპიტიმიის შესრულების წესს: „წმიდათა მათ დიდთა ორმეოცოა და დმრთისმობდის მარხუათა შინა თვის შაბათ-კვირისა ნუ ჰსუამან დგინოსა და ქრისტეს-შობის მარხვათა და მოციქულთა მარხვათა შინა ოთხშაბათ-პარასკევისა ესრეთვე ნუ სუამნ და ქსნილსა შვდეულთა სამთა წელიწადთა ორშაბათსა ჭორცსა ნუ სჭამან და ოთხშაბათ-პარასკევისა თევზსა, თვის საუფლოსა დღესასწაულისა და განწესებულისა ტიბიკონისა“.³¹⁴

ეს კანონი პირობითად შეგვიძლია ორ ნაწილად გავყოთ: დამატებითი შეზღუდვები მარხვის პერიოდში და შეზღუდვები სხილის პერიოდში.

(ა) მარხვის პერიოდში შეზღუდვა თავის მხრივაც ორ ნაწილად იყოფა: მძიმე მარხვის და მსუბუქი მარხვის პერიოდებად.

დიდ მარხვაში და მარიამობის მარხვაში, როგორც წესი, ოთხშაბათ-პარასკევის გარდა, დვინის მცირედით მიღება დასაშვებია. ამ შემთხვევაში კი, ცოდვილს ეკრძალება დვინის მიღება შაბათ-კვირის გარდა. სხვა შეზღუდვები ამ პერიოდისთვის არ განისაზღვრება.

³¹⁰ დიდი სჯულისგანონი, გვ. 217

³¹¹ მცირე სჯულისგანონი, გვ. 110-113

³¹² იქვე, გვ. 111

³¹³ იქვე, გვ. 112

³¹⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 1020

შედარებით მსუბუქ, საშობაო და პეტრე-პავლობის მარხვაში კი, თუკი ჩვეულებრივ ღვინის მიღება დასაშვებია მთელი მარხვის მანძილზე, ამ განწევით ცოდვილისათვის აკრძალულია ოთხშაბათს და პარასკევს.

რაც შეეხება (ბ) ხსნილის პერიოდს, აქ წესდება ორი შეზღუდვა: იკრძალება ხორცის მიღება დამატებით ორშაბათსაც და ამასთან, თევზის მიღება ოთხშაბათს და პარასკევს, რომლებიც, ჩვეულებრივ, დაშვებულია ხოლმე.

რაც შეეხება პრაქტიკას, დამატებითი მარხვა განესაზღვრა, მაგალითად, მდვდელ პეტრეს დოსითეოს ნეკრესელის განხინებით: „ორს ორმეოცს უშაბათ-კვირაოდ ჭორცს ნუ შჲამს; თევზი, ყველი და სხვანი საურწყოები მიიღოს. ამ ორს ორმეოცს ოთხშაბათს და პარასკევს საფამომდინ იმარხოს და ნურც ღვინოს დალევს“.³¹⁵

თეომურაზე II-ისა და ანტონ I-ის განხინებაში თავად გიორგისა და თამარის უხვედრი ქორწინების გამო აღნიშნულია, რომ შემცოდეები „განუენებულ იყვნენ, ვითარცა მონაზონნი ჭორცთა მიღებისაგან და იმარხვიდენ და შვიდეულსა შინა ერთგზის მიიღებდენ ღვინოსა დღესა კვირიაკესა“.³¹⁶

2.7. ფინანსური ვალდებულება

ეპიტიმიის სახით, მორწმუნეს შეიძლება განესაზღვროს ფინანსური ვალდებულებაც. იგი სხვადასხვანაირი სახის შეიძლება იყოს: გადასახადი ეკლესიისთვის, მოწყალების გაცემა, გაჭირვებულთათვის შემწეობა და ა.შ.³¹⁷

მოციქულთა 72-ე კანონი პირდაპირ ადგენს გადასახდელი ფინანსური ვალდებულების ოდენობას. აღნიშნულის თანახმად, „უპუეთუ ვინმე მოყუასმან, ანუ ერისკაცმან წმიდისა ეკლესიისაგან მიიხუჭოს ცკლი, ანუ ზეთი, უზიარებელ იქმენინ და ხუთწილად მიეჭადენ, რამცა-იგი წარიღო“.³¹⁸ მსგავსადვე, თანხის ოდენობას ადგენს VII მსოფლიო კრების მე-6 კანონიც, სადაც განსაზღვრულია ოთხმაგი გადასახადი.³¹⁹

ამ ეპიტიმიის შესრულება შეიძლება გახდეს განხინებით დაწესებული სასჯელის გაუქმების საფუძველი. ასე მაგალითად, ზაქარია კათალიკოსის შენდობის წიგნში (1623-1630 წწ.) ციციშვილებისადმი³²⁰ აღნიშნულია, რომ იგი გარეული იყო განაყოფის სისხლში და შეუნდობელი იყო კათალიკოსისაგან. აქ არ იკვეთება, კონკრეტულად რა ბრალი მიუძღვოდა მას. უცნობია ისიც, თუ რა სასჯელი შეუფარდა მას კათალიკოსმან. კათალიკოსი წერს, რომ „აწე ჩუენ სარჯულო მოგვეცით და საყდარს

³¹⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 549

³¹⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 446

³¹⁷ შეად. ეპ. ნიკოდიმოსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 37

³¹⁸ დიდი სჯულისკანონი, გვ. 224

³¹⁹ იქვე, გვ. 423

³²⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 490

კარგი ვენაპი დაუდევით“.³²¹ სავარაუდებელია, რომ ციციშვილებს საკათალიკოსო კათედრისათვის (საყდრისათვის) გადაუხდიათ როგორც „სარჯულო“, ისე გაუშენებიათ კარგი ვენახი. აქ უცნობია, ციციშვილებს ეს ფინანსური ვალდებულება განჩინებით დაეკისრათ, თუ ეს ნებაყოფლობით შეასრულეს მათ. ამის შემდეგ კათალიკოსი ბრძანებს: „აწე ჩუენგან და ჩუენის სამწეოს ებისკოპოზისაგან და სვეტის ცხოველისაგან განკსნილ, კურთხეულ და შენდობილ იყავით“³²²

რაც შეეხება ანტონ II-ის განწევებას ცოდვილთათვის, მისი ბოლო კანონი ეხება ფინანსური ვალდებულების შესრულებას: „რომელიც მღუდელმთავრის მისართმევი საკანონოს დებულება იყოს, შეძლებისაებრი დაუყოვნებლივ მიართვას და ესრეთ სრულპყოს განწევებულნი ესე კანონი“. ³²³ ამ კანონში საინტერესოა სამი დებულება: კანონი ადგენს მისართმევ საკანონოს (ა) მღვდელმთავრისათვის და არა დაზარალებულის ან მისი ახლობლისათვის; ამასთან, (ბ) საკანონოს ოდენობის შესახებ მითითებულია, რომ იგი უნდა იყოს შესატყვისი, ადეკვატური, ანუ „შეძლებისაებრი“ და მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ (გ) ამით სრულდება განკანონების ეპიტიმია – „და ესრეთ სრულპყოს განწევებულნი ესე კანონი“.

ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში გვაქვს სხვა შემთხვევაც, სადაც მოხსენიებულია ფინანსური ვალდებულება, კერძოდ, იქსე ერისთავის საკანონოს წიგნი იოანე კათალიკოზისადმი.³²⁴ იქსე მიმართავს კათალიკოსს: „ეშმაკის საფრგიო ჩვენი ბიძისშვილები დაგუეგოცნეს და მოგახსენეთ საკანონოდ თქუენ სუეტსა ცხოველსა და კვართსა საუფლოსა და მირონსა ღმერთმყოფელსა და მათსა საჭეომპყრობელსა ქართლისა კათალიკოზსა პატრონსა იოანეს...“³²⁵ საკანონოს წიგნიდან ირკვევა, რომ იქსეს მცხეთისთვის შეუწირავს ექვსი ოჯახის მამული, ხოლო წიგნის ბოლოს აღნიშნავს: „ესე ასრე გავათაოთ“-ო.³²⁶

საინტერესოა, რომ დოსითეოს ნეკრესელის განჩინებაში პეტრე მღვდლის სასისხლო საქმეზე აღნიშნულია, რომ „ნიკოლაოს მღვდელს სისხლი ერგებოდა, მაგრამ არ მივეციოთ: ერთი რომ მღვდელია, მეორედ, ორის სარჯელის მიწდა არა ბრძანებულ არს“. ³²⁷ ფინანსური ვალდებულების დაუნიშნაობა ამ განჩინებით ორი მიზეზის გამო არის ახსნილი: (ა) იმის გამო, რომ იგი სასულიერო დასის წარმომადგენელია, (ბ) ერთი სასჯელისათვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობის პრინციპი ამ განჩინებით განმარტებულია იმგვარად, რომ დამატებითი სასჯელის დაკისრებაც დაუშვებელია. ამისგან განსხვავებულად მსჯელობს ნიკოდიმოსი: „კანონიკური მნიშვნელობით ეპიტიმია დამოუკიდებელ სასჯელს წარმოადგენს, მაგრამ ის ხშირად სხვა სასჯელებთან ერთად გამოიყენება“. ³²⁸ როგორც ჩანს,

³²¹ ქართული სამართლის ძეგლები, გ. III, გვ. 490

³²² იქვე

³²³ იქვე, გვ. 1020

³²⁴ იქვე, გვ. 482-483

³²⁵ იქვე, გვ. 482

³²⁶ იქვე, გვ. 483

³²⁷ ქართული სამართლის ძეგლები, გ. V, გვ. 550

³²⁸ გვ. ნიკოდიმოსი, დასახ. ნაშრომი, იქვე

ფინანსურ ვალდებულებას დოსითეოს ნეკრესელი მიიჩნევს ძირითად სასჯელად, და არა დამატებით სასჯელად, რადგან მას ამავე განჩინებით, როგორც ზემოთაც აღინიშნა, პეტრე მდვდლისთვის მისჯილი აქვს სხვა დამატებითი სასჯელებიც, მაგრამ აღნიშნულის თაობაზე იგი არ უთითებს წმ. წერილის მუხლს ორჯერ დასჯის დაუშვებლობის შესახებ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გრიგოლ ნოსელის მე-6 კანონის თანახმად თუ განკანონებულს არ აქვს შესაბამისი ფინანსური შესაძლებლობა, მაშინ მან ფიზიკური შრომით უნდა აანაზღაუროს მსგავსი ვალდებულება.

2.8. ჩაცმულობა და გარეგნული სახე

ანტონ II-ის განწესება ცოდვილთაოვის ადგენს წესს, თუ როგორ უნდა შეიმოსოს და გამოიყურებოდეს ცოდვილი განკანონების პერიოდში. კერძოდ, მე-7 კანონით განსაზღვრულია, რომ „სამსა წელიწადსა ვიდრე შესვლადმდე ეკლესიასა შინა ნუ მოიპარსავნ თმასა და ნურცა წვერსა და შეიმოსოს კვართი და სარვარი სამოსლისა“.³²⁹ ანტონ II-ის განწესებამდე ცოტა ხნით ადრე, თავად გიორგისა და თამარის უხვედრი ქორწინების გამო თეიმურაზ II-ისა და ანტონ I-ის განჩინებით განისაზღვრა, რომ „ექვს თვე შეიმოსდენ ჭაბუკიცა იგი გიორგი და ქალიცა თამარ გარეგნით სამოსელსა შავსა, შინაგან თეორთა უნდოთა სამოსელთა“.³³⁰

2.9. სხვა ვალდებულებები

ეპიტიმიის სახით შეიძლება დამნაშავეს განესაზღვროს სხვა ვალდებულებებიც, რომელთა შესახებ ზემოთ არ ყოფილი მსჯელობა. ასე მაგალითად, ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი ამბობს, რომ ეპიტიმიის სახით შეიძლება განკანონებულს მიესაჯოს ავადმყოფების მონახულება.³³¹

ანტონ II-ის განწესებით, გამომდინარე ისტორიული რეალობიდან, ამგვარ ვალდებულებად განსაზღვრულია ტყვის გამოსყიდვა ან სხვისი შემწეობა ამ საქმეში (მე-8 კანონი).³³²

კაცის კვლის შემთხვევაში, ანტონ II ადგენს საგულისხმო ეპიტიმიას დამნაშავისათვის: „ერთსა წელიწადსა სულიერსა მამასა თუსსა ორმეოცდათსა აწირვინებდეს ცოდვის მიტევებისათვის თავისა თუსისა და განსვენებისათვის მის მიერ მოკლულისა“ (მე-9 კანონი).³³³ ამდენად, ეს კანონი ადგენს, რომ დამნაშავემ წელიწადში ორმოცდათჯერ უნდა ადასრულებინოს წირვა როგორც თავისთვის, ისე მის მიერ მოკლულის სულის საოხად.

თავად გიორგისა და თამარის უხვედრი ქორწინების გამო განჩინებაში ვხვდებით ეპიტიმიის კიდევ ერთ საინტერესო შემთხვევას – მონასტერში გაგზავნას გარკვეული ვადით, სინაზულისა და გამოსწორებისათვის (და არა იძულებით ბერად ან მონოზვნად).³³⁴

³²⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 1019

³³⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 446

³³¹ ეპ. ნიკოდიმოსი, დასახ. ნაშრომი, იქვე

³³² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 1019

³³³ იქვე, გვ. 1020

³³⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 446

ეპისკოპოს ნიკოლიმოსის მოსაზრებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვი-ვარაუდოთ, რომ ეკლესიის მიერ დადგენილი ხორციელი მოწყალების შვიდი საქმიდან ნებისმიერი მათგანი შეიძლება განესაზღვროს ცოდვილს ეპიტიმიის სახით სავალდებულო შესასრულებლად. ესენია: მშიერთა დაცურება, მწყურვალთა სმევა, შიშველთა შემოსვა, უცხოთა შევრდომა, სნეულთა მიხედვა, პატიმართა მოკითხვა და მიცვალებულთა დამარხვა.³³⁵

3. უზიარებლობის აფსრულების წესი

ზიარება, ანუ ევქარისტიის საიდუმლო, ქრისტიანთა რწმენით, არის პუ-რისა და ღვინის უხილავად გადაარსება ქრისტეს ხორცად და სისხლად. იგი ქრისტიანული რწმენის უდიდესი საიდუმლოა.³³⁶ ევქარისტიის უდიდე-სი მნიშვნელობა კანონიკური სამართლისათვის არის ის, რომ იგი „უმჭი-დროესად აერთიანებს ყველა მართალს ქრისტეში ერთ სხეულად“.³³⁷ ზი-არების უფლებას ერთგვარად შეიძლება ეწოდოს სრული ქმედუნარიანო-ბა ქრისტეს ეკლესიაში, ხოლო მისგან განყენება – ქმედუნარიანობის მოკლება და შესაბამისად, უფლებათა დამცრობა ქრისტიანისათვის.

უზიარებლობის პარალელურად ინიშნება არაერთი დამატებითი ეპიტიმია, როგორებიცაა მორწმუნებთან ლოცვა ზიარების გარეშე, შეტირება, შევრდომა და ა.შ. განვიხილოთ უშუალოდ უზიარებლობის, როგორც სასჯელის შესრულების წესი.

3.1. კანონიკური განსაზღვრება

უზიარებლობა გულისხმობს ქრისტიანისთვის ზიარების მიღების უფლე-ბის ჩამორთმევას გარკვეული ვადით ან სიკვდილამდე. ეს სასჯელი, როგორც წესი, განესაზღვრება ქრისტიან საერო პირს.

ზიარების წესი, ჩვეულებრივ, სრულდება საღმრთო წირვის დროს, მის დასასრულ ნაწილში. დასაშვებია, ზიარების შესრულება შინ, სახლშიც და სხვა საგანგებო პირობებში, საზიარებელი პირის სხეულების ან სხვა-გვარი უძლურების გამო. რამდენადაც ზიარება წირვის დროს სრულდება, კანონიკურ სამართალში არსებითია იმის დადგენაც, რამდენად აქვს უზიარებელს საერთოდ წირვაზე დასწრების უფლება, რამდენადაც მოციქულთა მე-9 კანონის თანახმად, „ყოველთავე ეკლესიად შემავალთა მორწმუნებთა და წარკითხვისა წიგნთასა მომსმენელთა, ხოლო არა მომ-ლოდეთა დოცვასა და წმიდასა ზიარებასა, ვითარცა უწესოების შემქ-ნელთა ეკლესიისათავი, უზიარებელ-ყოფად ჯერ-არს“.³³⁸

საეკლესიო სასამართლო ტრადიცია გვიჩვენებს, რომ ზიარებიდან გან-კვენება არ მოიცავს წირვაზე დასწრების აკრძალვასაც. როგორც ეპიტი-მიებზე მსჯელობისას აღინიშნა, წირვაზე დასწრების აკრძალვა დამატე-ბითი სასჯელია და იგი განსაკუთრებით მძიმე შეცოდებისათვის გაინ-საზღვრება ხოლმე. მაგალითისათვის, ანტონ II-ის ზემოხსენებული გან-

³³⁵ ლოცვანი, მერვე შევს. გამოცემა, რუსთ. 2006, გვ. 230

³³⁶ პროტოპრ. მიხეილ პომაზანსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 244

³³⁷ იქვე, გვ. 253

³³⁸ დიდი სჯელისკანონი, გვ. 217

წესების მე-2 და მე-3 კანონებით³³⁹ დადგენილია შემცოდის პირველი 3 წლით განყენება როგორც ზიარებიდან, ისე წირვაზე დასწრების უფლებიდან, ხოლო ამ სამი წლის გასვლის შემდეგ წირვაზე დასწრების უფლება მას აღუდგება, მაშინ, როდესაც უზიარებლობის პერიოდი გრძელდება.

რაც შეეხება სხვა საეკლესიო საიდუმლოებსა თუ საღმრთისმსახურო ლოცვებში მონაწილეობის უფლების საკითხს, აღნიშნულის თაობაზე უშუალოდ არცერთ საეკლესიო კანონში არ არის საუბარი. კანონისტოა მოსაზრებების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

(ა) ნათლობის საიდუმლოში განკანონებული ვერ მიიღებს მონაწილეობას. საუბარია მის მიერ მიმქმედის, ანუ ნათლიის ფუნქციის შესრულებაზე. ის, ვინც განყენებულია თავისი შეცოდების გამო ეკლესიის ერთობიდან, ცხადია, ვერ იქნება დავმდები სხვის მიერ ქრისტიანული ცხოვრებისა და აღზრდისა. „აკრძალულია მიმქმედი იყოს სხვა სარწმუნოების წარმომადგენელი, ან მწვალებელი, სქიზმით განდგომილი თუ დაყენებული“³⁴⁰.

რაც შეეხება მირონცხების საიდუმლოს, მასში მონაწილეობს მხოლოდ სასულიერო პირი და ის, ვისაც მირონს ცხებენ. ამდენად, გარეშე პირების მასში მონაწილეობაზე საუბარი არ შეიძლება იყოს.

რაც შეეხება (ბ) აღსარებას, ბუნებრივია, რამდენადაც იგი დადგენილია სწორედ რომ ცოდვილთათვის, მისი მონანიებისა და სულიერი კურნებისათვის,³⁴¹ ცხადია, მასში მონაწილეობა უპირველესად განკანონებულისთვის არის სასურველი. მეტიც, ანტონ II-ის ცოდვილთათვის განწევების მე-4 კანონის შესაბამისად, ცოდვილმა რეგულარულად უნდა ჩააბაროს აღსარება სულიერ მოძღვარს და განიწმინდოს თავი: „ოთხთავე მარხვათა... იტყოდეს აღსარებასა და დაუფარველად აღუარებდეს ცოდუათა თვისთა და ცრემლით სულითა შემუსვრილითა და გულითა შემუსვრილითა ინანდეს“³⁴²

(გ) ზეთის კურთხევის საიდუმლო ეკლესიაში დაწესებულია სწორის სულიერ და ხორციელ უძლურებათა განსაკურნებლად.³⁴³ პ. ბუმისის მითითებით, ზეთის კურთხევის აუცილებელ წინაპირობათაგან ერთ-ერთია ის, რომ სწორი მიეკუთვნებოდეს მართლმადიდებელ ეკლესიას.³⁴⁴ იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა განკანონებულ პირს, მონაწილეობა მიიღოს ზეთის კურთხევის საიდუმლოში, პასუხს სცემს V ს. საეკლესიო მოღვაწე რომის პაპი ინოკენტი I, რომელიც აღნიშნავს, რომ „საეკლესიო სინანულში მყოფს არ შეიძლება ცხების ნება დაერთოს, რადგანაც ეს არის

³³⁹ ქართული სამართლის ქეგლები, ტ. III, გვ. 1019

³⁴⁰ პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 78

³⁴¹ პროტოპრ. მიხეილ პომაზანსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 256

³⁴² ქართული სამართლის ქეგლები, ტ. V, გვ. 1019

³⁴³ პროტოპრ. მიხეილ პომაზანსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 272

³⁴⁴ პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94

საიდუმლო და ვისაც ეკრძალება სხვა საიდუმლონი, როგორ შეიძლება მარტო ერთის ნება მიეცეს?“³⁴⁵

რაც შეეხება (დ) ქორწინებას, მასში მონაწილეობის შესახებაც, სხვა საიდუმლოთა მსგავსად, როგორც აღინიშნა, არ არსებობს მკაფიო განსაზღვრება. თუმცა, საგულისხმოა, რომ ქორწინების დადებით წინაპირობათა შორის, პ. ბუმისი გამოყოფს „ეპისკოპოსის ნებართვას“.³⁴⁶ გვიქრობთ, ეს მრავლისმომცველი ჩანაწერია, რამდენადაც სწორედ ეპისკოპოსი დაადგენს კონკრეტულ შემთხვევაში მიიღოს თუ არა ჯვრისწერის საიდუმლოში მონაწილეობა ზიარებიდან განყენებულმა, შეცოდების სიმძიმის, მისჯილი სასჯელისა და მისი აღსრულებიდან გამომდინარე.

ბუნებრივია, (ე) მდვდლობის საიდუმლოში მონაწილეობას განკანონებული ვერ მიიღებს, რამდენადაც არათუ განკანონებულის ან სხვაგვარად დაყენებულის, არამედ ახლად მოქცეულის ხელდასხმაც კი იკრძალება,³⁴⁷ რათა ახალბედა ქრისტიანის მდვდლობით არც თვითონ დაბრკოლდეს და არც სხვები დააბრკოლოს.

3.2. ვადა და მისი დინება

უზიარებლობის ვადის განსაზღვრისა და სამისოდ უფლებამოსილი სასამართლოს შესახებ ზემოთ გვქონდა მსჯელობა.

უზიარებლობის ვადის განმავლობაში აუცილებელია მმართველი მდვდელმთავრის მეთვალყურეობა, რათა მან შეაფასოს, როგორ სრულდება განსაზღვრული სასჯელი და როგორ წარემატება სულიერ დვაწლში განკანონებული. ამას კანონიკური მნიშვნელობა ენიჭება იმ მხრივ, რომ თუკი ის შეატყობს, რომ დამნაშავის სულიერი კურნება ბევრად უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე ეს უზიარებლობისთვის ვადის განსაზღვრისას ივარაუდებოდა, მას უფლება აქვს იმსჯელოს უზიარებლობის ვადის შემცირების თაობაზე. მნიშვნელოვანია, რომ I მსოფლიო კრების მე-12 კანონის თანახმად, „გამოწულილვით გამოძიებად საჭმარ არს მოსწრავებასა მათსა [შემცოდეთა, დ.ჩ.] და სახესა სინანულისასა, რამეთუ რაოდენთა შიშით და ცრემლით, მოთმინებით და კეთილთა მოქმედებით, საქმით და არა სახით ხოლო აჩუქონ მოქცევად თვისი“.³⁴⁸

თავის მხრივ, ბასილი დიდის 74-ე კანონით განისაზღვრა, რომ „ვინავცა, უკუკოუ... მოსწრავე იქმნეს სინანულად და აღსაარებად, კაცომოყუარე თუ იქმნეს მის ზედა, რომლისად-იგი რწმუნებულ-იყოს კაცომოყუარისა დმრთისაგან კელმწიფებად შეკრვისა და განგსისად, ჰედვიდეს რაო გარდამატებულებასა აღსაარებისა და სინანულისა მისისასა და შეუმოკლოს მას უამი იგი განკანონებისად, არა ღირს-იყოს იგი ბრალობასა“.³⁴⁹ ამ კანონის მსგავსივე შინაარსი, მხოლოდ ერთი კონკრეტული შეცოდების თაობაზე არსებობს IV მსოფლიო კრების მე-16 კანონ-

³⁴⁵ იხ. პროტოპრ. მიხეილ პომაზანსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 274

³⁴⁶ პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 103

³⁴⁷ იხ. I მსოფლიო კრების მე-2 კანონი, დიდი სჯულისკანონი, გვ. 231

³⁴⁸ დიდი სჯულისკანონი, გვ. 234

³⁴⁹ იქვე, გვ. 495

შიც: „განვასაზღვრებთ, რათა აქუნდეს ჭელმწიფებად მათდა მიმართისა კაცომოყუარებისად თითოეულისა ადგილისა ეპისკოპოსსა“.³⁵⁰

საინტერესოა, რომ ამ მხრივ ანკვირიის კრების მე-5 განონი ავრცობს ეპისკოპოსის კომპეტენციას და უფლებას აძლევს მას არა მხოლოდ შეა-მოკლოს, არამედ გაზარდოს კიდევაც სასჯელის ზომა, გამომდინარე მისი აღსრულებისას გამოჩენილი ქმედობიდან: „ეპისკოპოსთა ჭელმწიფე-ბად აქუს, რათა სახე მოქცევისა მათისად განიცადონ და ანუ კაცომოყუ-არებითა შეუმოკლონ, ანუ გაუვრცელონ ჟამი უზიარებლობისა. ხოლო პირველ ყოვლისა გარდასრულიცა ცხორებად და ამისსა შემდგომიცა გა-ნიხილვოდედ და ეგრეთ მიეწყვოდედ კაცომოყუარებად“.³⁵¹

ზემოაღნიშნული კანონებიდან გამომდინარე, უზიარებლობის ვადის დინებასთან და უზიარებლობის კანონის შესრულებასთან დაკავშირებით შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

- (ა) განკანონებულ პირზე აუცილებლად უნდა დაწესდეს მმართველი მდგდელმთავრის მეთვალყურეობა, რათა მას შეექმნას წარმოდგენა გან-კანონებული სინაზულის თაობაზე, განსაკუთრებით შეცოდებამდელი და შეცოდების შემდგომი ქმედობების შესადარებლად;
- (ბ) გამომდინარე განკანონებულის საქციელიდან, შესაძლებელია უზი-არებლობის ვადის შემცირება;
- (გ) ამის უფლებამოსილება აქვს მმართველ მდგდელმთავარს;
- (დ) ეს არის მხოლოდ უფლება და არა ვალდებულება ან აუცილებლობა;
- (ე) ვადის შემცირებას საფუძვლად უდევს კაცომოყვარეობა და არა ძალაში მყოფი სასჯელის მიმართ ეჭვი ან მისი უკანონობის თაობაზე შესაძლო ვარაუდი.

3.3. სიკვდილამდე უზიარებლობის შემთხვევები

განსხვავებულად წესრიგდება უზიარებლობის კანონის შესრულების შემთხვევები, როდესაც უზიარებლობა სიკვდილამდე არის მისამართი.

ასეთ შემთხვევაში, აგრეთვე მაშინ, როდესაც სიკვდილი დგება უზი-არებლობის კანონის ვადის დინების დროს, ეკლესია უშვებს ზიარების უფლებას, უზიარებლობის რა დროც არ უნდა იყოს გასული, რათა მისი მოკლებით ქრისტიანს არ მოაკლდეს მარადიული ნეტარი ცხოვრების სა-წინდარი.³⁵² აღნიშნულთან მიმართებით, განსახილველია ორი შემთხვევა: სასჯელის მოხდის გაგრძელების საკითხი, თუკი მომაკვდავი ქრისტიანი სასწაულებრივად გადარჩება მის მიმართ ვადიანი ან სიკვდილამდე უზი-არებლობის შემთხვევაში.

როდესაც უზიარებლობა (ა) ვადიანია და ზიარების შემდეგ ქრისტიანი გადარჩება, იგი ვალდებულია, რომ დაასრულოს შეცოდებისათვის განწე-სებული როგორც უზიარებლობის კანონი, ისე თანმდევი ეპიტიმია. აღ-ნიშნულ საკითხს აწესრიგებს ანტონ II-ის ცოდვილთათვის განწესების 1-

³⁵⁰ დიდი სჯულისკანონი, გვ. 272

³⁵¹ იქვე, გვ. 237

³⁵² მაგ., ნებსითო მკვლელობისათვის, ანგირიის 22-ე კანონის თანახმად, იხ. დიდი სჯუ-ლისკანონი, გვ. 240

³⁵³ პროტოპრ. მიხეილ პომაზანსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 255

ლი კანონი: „შპდ წელ ნუ ეზიარებიან წმიდათა საიდუმლოთა. და თუ სადმე სიკუდილად მიიწიოს შპდთა მათ წელიწადთა შინა რომლითამე მიზეზითა, აზიაროს სულიერმან მამამან... და თუ მორჩეს, ისევ შპდთა წელიწადთა შესრულებადმდე ნუ იქმნებიან მიახლება მისი წმიდათა საიდუმლოთა“.³⁵⁴

რაც შეეხება შემთხვევას, როდესაც სასჯელად (ბ) სიკვდილამდე უზიარებლობა იყო განსაზღვრული, მაშინ, გრიგოლ ნოსელის 1-ლი კანონის შესაბამისად განკანონებული „უკუეთუ შეემთხვოს თვის სასოებისა კუალად-გებად სიცოცხლედვე, კუალად მასვე დასჯასა ქუეშე ცხორებდეს უზიარებელქმნილი საიდუმლოთა სიწმიდეთაგან ვიდრე უამადმდე უკუანათხებელისა განსლვისა“.³⁵⁵

საგულისხმოა, რომ ანათემა ანუ დიდი დაყენება თვით სიკვდილის წინაც კი არ იძლევა ზიარების უფლებას, რამდენადაც ანათემიზირებული ადამიანი ეკლესის წევრი ადარ არის.

რაც შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც განკანონებული პირი უზიარებლად გარდაიცვლება. მიუხედავად იმისა, უზიარებლობა ვადიანი იყო თუ უვადო, იგი სიკვდილის შემდეგ უბრუნდება ეკლესის უფლებებს და შესაძლებელია მისი როგორც ქრისტიანული წესით დაკრძალვა, ისე მისი მოსხენიება ქრისტიანისათვის დადგენილ ლოცვებსა და მსახურებებში.³⁵⁶

4. დაყენების (დაცადების) აღსრულების წესი

დაყენება, იგივე დაცადება, როგორც ზემოთაც აღინიშნა, სასულიერო პირის სასჯელია. მას სხვაგვარად მღვდელმოქმედების აკრძალვასაც უწოდებენ. დიდი სჯულისკანონის ძველქართულ თარგმანში მიეთითება ხოლმე, რომ ცალკეული შეცოდების ჩადენისათვის სასულიერო პირი „დაეცადენ“.

კ. ბუმისის მოსაზრებით, დაყენების ანუ დაცადების სამი ფორმა არსებობს: „ა) დაყენება მხოლოდ განსაზღვრული სახით დმრთისმსახურებისაგან, ბ) დაყენება ყველანირი დმრთისმსახურებისაგან გარკვეული დროით... და გ) დაყენება მთელი ცხოვრების მანძილზე“.³⁵⁷ მსგავსივე პოზიცია აქვს ეპ. ნიკოდიმოსაც.³⁵⁸ შესაბამისადვე, განსხვავდება თითოეული მათგანის აღსრულების წესი.

4.1. ცალკეული მღვდელმოქმედებისაგან დაყენება

ეს სასჯელი გულისხმობს იმას, რომ სასულიერო პირს ეკრძალება შეასრულოს ცალკეული სახის საღმრთისმსახურო მოქმედებანი. ეს სასჯელი შესაძლებელია იყოს როგორც ვადიანი, ისე უვადო, ანუ სიცოცხლის ბოლომდე. ცალკეული მღვდელმოქმედების აკრძალვის

³⁵⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 1018

³⁵⁵ დიდი სჯულისკანონი, გვ. 513

³⁵⁶ შეად. კ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 170, აგრეთვე ანტონ II-ის განწესების 1-ლი კანონი (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 1018)

³⁵⁷ კ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 167

³⁵⁸ ეპ. ნიკოდიმოსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40

აღსრულებაში უმთავრესი არის ის, რომ სასულიერო პირს უნარჩუნდება წოდება, აქვს უფლება შეასრულოს მხოლოდ განჩინებით განსაზღვრული მსახურებები, ხოლო სასჯელის სრულად და პირნათლად აღსრულების შემდეგ, თუკი სასჯელი ვადიანი იყო, მას სრულად აღუდგება არა მხოლოდ სამღვდელო პატივი, არამედ შესაბამისი წოდებისათვის ნებადართული ყველა მღვდელმოქმედების შესრულების უფლება.

ჩვენს მიერ ზემოთ არაერთხელ განხილულ დოსითეოს ნეკრესელის განჩინებაში პეტრე მღვდლის საქმეზე მითითებულია, რომ ჩადენილი შეცოდების გამო პეტრე მღვდელს ეკრძალება სრული მღვდელმოქმედება 80 დღით, უფლება რჩება, რომ შეასრულოს მხოლოდ წიგნის მკითხველის ფუნქცია: „ორს ორმეოცს წირვისაგან დადგეს, ნურცა რას სხვას მღვდელობას იმოქმედებს თვინიერ ჟამნ-დავითნისა“.³⁵⁹ ეს განჩინება ასევე მიესადაგება შემდეგ ქვეთავსაც – მღვდელმოქმედების დროებით აკრძალვასაც.

4.2. მღვდელმოქმედების დროებითი აკრძალვა

ეს სასჯელი სასულიერო პირს განესაზღვრება მაშინ, როდესაც მას „ისეთ დანაშაულში ედება ბრალი, რომელსაც ხარისხიდან განკვეთა მოსდევს“.³⁶⁰ ამის მაგალითია მოციქულთა მე-5 კანონი, რომელიც სასულიერო პირს მეუდლის უმიზეზოდ გაშვებისთვის მღვდელმოქმედების აკრძალვას, ხოლო განმეორების ან გაგრძელების შემთხვევაში – განკვეთას უდგენს,³⁶¹ აგრეთვე, მოციქულთა 58-ე კანონი, რომელიც სასულიერო პირს ავალდებულებს კეთილმსახურების სწავლებას³⁶² და მოციქულთავე 59-ე კანონი, რომელიც ავალდებულებს სასულიერო პირს მოყვასის თანადგომას.³⁶³

რაც შეეხება პრაქტიკას, საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდის 2004 წლის 14 დეკემბრის სხდომაზე მიღებულ იქნა VII განჩინება დეკანოზ ბასილ კობახიძისათვის მღვდელმოქმედების აკრძალვის შესახებ.³⁶⁴ საოქმო ჩანაწერს აქვს მცირედი წანამდვარი და კანონიკური დასაბუთება. წანამდვარში მითითებულია, რომ მიუხედავად გაფრთხილებისა, დეკანოზი ბასილ კობახიძე კვლავ აგრძელებს ანტიეკლესიურ საქმიანობას და ავრცელებს ანტიმართლმადიდებლურ სწავლებას. რაც შეეხება მღვდელმოქმედების აკრძალვის ნაწილს, მასში მხოლოდ პირველი მათგანის დარღვევების შესახებ არის მითითება, კერძოდ, იმის თაობაზე, რომ მღვდლებმა და დიაკონმა არაფერი უნდა მოიმოქმედოს ეპისკოპოსის გარეშე (მოციქულთა 39-ე და ლაოდიკიის 57-ე კანონები). ამასთან, დამატებით მითითებულია, აგრეთვე, მოციქულთა 55-ე კანონი, რომელიც უკრძალავს სასულიერო პირს თავისი იერარქიის შეურაცხყოფას. ანტიმართლმადიდებლური სწავლების გავრცელების თაობაზე, ანუ ზემომყვანილ მოციქულთა 58-ე კანონზე წმ. სინოდს მითითება არ აქვს.

³⁵⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 549

³⁶⁰ ეპ. ნიკოდიმოსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40

³⁶¹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 216

³⁶² იქვე, გვ. 222

³⁶³ იქვე

³⁶⁴ იხ. http://patriarchate.ge/?action=text/oqmi_14-12-04

საგულისხმოა, რომ სამივე ამ კანონის დარღვევისათვის სანქციად გათვალისწინებულია განკვეთა, მაგრამ, როგორც აღინიშნა, სასჯელის დამდებ საეკლესიო ორგანოს უფლება აქვს გაფრთხილების დონისძიებად გამოიყენოს ჯერ მღვდელმოქმედების აკრძალვა, ხოლო ამის შემდეგ – განკვეთა.

4.3. დაყენება მთელი ცხოვრების მანძილზე.

ამ სასჯელს ძველქართულად „დაცხომაც“ ეწოდება. „ეს სასჯელი ეფარდებათ შედარებით მძიმე ცოდვისათვის, განსაკუთრებით ისეთებისათვის, რომელიც ერში საცდურს წარმოშობენ, მაგრამ ჩადენილია ან უმეცრებით, ან გამოუვალი მდგომარეობით და, ამასთან, როცა შემცოდებელმა მოინანია და ცოდვა დაუტევა“.³⁶⁵

დაყენება, თუკი ის ვადიანია, აუცილებლად გულისხმობს სასულიერო პირისათვის შესაძლებლობას, რომ ამ გამოსაცდელ პერიოდში მან გააცნობიეროს თავისი შეცოდების სიმძიმე და გამოიყენოს სამდგდელო პატივში ხელახლი ადდგენის ეს საშუალება. ხოლო თუკი მან პირიქით, უარყოფითად და არაქრისტიანულად განვლო სინაცვლისთვის მიცემული პერიოდი, შესაძლებელია არათუ ადარ ადუდგეს მას სამდგდელო პატივი და მდგდელმოქმედების უფლება, არამედ საერთოდ განიკვეთოს კიდევაც სასულიერო დასიდან.

5. განკვეთის ადსრულების წესი

განკვეთა უმძიმესი სასჯელია სასულიერო პირისათვის. განკვეთის ადსრულების შემდეგ სასულიერო პირი კარგავს ყოველგვარ პატივს, მდგდელმოქმედების უფლებას და იგი ერისკაცამდე დაიყვანება. „განკვეთით დასჯილი სასულიერო პირი, პირველ რიგში კარგავს ყველა იმ უფლებასა და უპირატესობას, რაც მას მინიჭებული პქონდა... ამას გარდა, ის კარგავს ყველა პატივს, რაც მას ეკუთვნოდა, როგორც ღვთისმსახურს... მისი სახელი წარიშლება სასულიერო დასის სიიდან, სადაც ის ხელდასხმისას შეიყვანეს, დაბოლოს, გადადის ერისკაცთა რიგში და სარგებლობს მხოლოდ მრევლის უფლებებით“.³⁶⁶

5.1. მადლმოქმედების საკითხი

განკვეთასთან მიმართებით უაღრსად საინტერესო და მნიშვნელოვანია საეკლესიო სამართლისთვის მახასიათებელი და საერო სამართლისაგან განმასხვავებელი საღმრთო მადლმოქმედების საკითხი, რამდენადაც სასულიერო პირის უფლებამოსილების საკითხს განსაზღვრავს არა მხოლოდ განკვეთის თაობაზე არსებული დოკუმენტი, არამედ – მდგდლობის საიდუმლოს ადსრულებით მისთვის მინიჭებული მადლის მოქმედების საკითხი. შესაბამისად, ამასთანვე მჭიდროდ დაკავშირებული ამ სასჯელის ადსრულების საკითხიც. აღნიშნულის თაობაზე საკუთარ მოსაზრებას აყალიბებს პროფ. პანაიოტის ბუმისი: „განკვეთის სასჯელს უკავშირდება „წარხოცვის“ ანუ მდგდლად ყოფნა-არყოფნის საკითხი. კანონის მრავალ მცოდნეს მიაჩნია, რომ მდგდლობა არ არის წარუხოცველი ხა-

³⁶⁵ ქპ. ნიკოდიმოსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41

³⁶⁶ ქპ. ნიკოდიმოსი, იქვე

სიათისა, და, შესაბამისად, განკვეთა წარხოცავს მდგდლობის ნიჭისაც (მადლს). სხვების აზრით კი, რაკი მდგდლობის მადლს ანიჭებს ღმერთი, ადამიანს არ ძალუძს მისი წარხოცვა, შესაბამისად, იგი წარუხოცველია. მართლმადიდებელ ეკლესიას არ გამოუტანია ოფიციალურად აზრი ამ საკითხის თაობაზე. მაგრამ შეიძლება აქ დავიმოწმოთ უფლის სიტყვები: “რაოდენი შეჰკრათ ქვეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა” (მათე 18, 18). მაშასადამე, თუკი ეკლესია უკრძალავს ამა თუ იმ სასულიერო პირს ღმრთისმსახურებას, იგი მას „შეჰკრავს“ ეკლესის წევრთა მიმართ და წინაშე უფლისა და მდგდელი მოკლებულია ნიჭისა და უნარს, რათა გადასცეს საღმრთო მადლი მორწმუნებებას³⁶⁷. ზემომოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, პ. ბუმისი ასკვნის, რომ „განკვეთა... არის მდგდლობის მადლის მოქმედების წარხოცვა. მაშასადამე, განკვეთა უმოქმედოს ხდის ღმრთიურ მადლს“³⁶⁸.

განკვეთა „აღსრულდება შემდეგნაირად: პირი განაჩენის ძალაში შესვლის მომენტიდან აღარ იწოდება სასულიერო პირად, უკრძალება შესაბამისი სამოსლის ტარება და მდგდელმოქმედება. განაჩენის ძალაში შესვლისთანავე პირს აქვს საერო წესით ზიარების უფლება, რათა ერთბაშად ორი სასჯელი არ მოიწიოს პირზე“³⁶⁹.

5.2. განკვეთილის სამდგდელო ხარისხში აღდგენის საკითხი

განკვეთის აღსრულებასთან მიმართებაში საგულისხმოა განკვეთილი სასულიერო პირისათვის ხარისხის აღდგენის საკითხი. დეკანოზ ვლ. ციპინის მოსაზრებით, „ხარისხიდან განკვეთა განისაზღვრება ერთხელ და სამუდამოდ. ბასილი დიდის მე-3 კანონის თანახმად, სასულიერო ხარისხი, რაკი ერთხელ ჩამორთმეულ იქნა, არ შეიძლება დაბრუნებულ იქნეს“³⁷⁰ აღსანიშნავია, რომ წმ. ბასილი დიდი თავის მე-3 კანონში საუბრობს მხოლოდ დიაკვნის შეცოდებებზე, თუმცა კი დასძენს, რომ „დიაკონსა ერთგზის მიეკადების პატიჟი განკუეთისად და... არდარა კუალადგებადსა მასვე ხარისხსა დიაკონობისასა“³⁷¹ საგულისხმოა, რომ ამ კანონის კომენტირებისას ეპ. ნიკოდიმოსი არ მოიაზრებს მას იმ წესის საზოგადოდ დამდგენად, რომლის თანახმად სასულიერო პირის განკვეთა სამუდამოა და აღდგენას არ ექვემდებარება. ნიკოდიმოსი პარალელს ავლებს მხოლოდ ამ კანონსა და მოციქულთა 25-ე კანონს³⁷² შორის, რომელიც, მსგავსად ამისა, აწესებს ერთ სასჯელს ერთი შეცოდებისათვის.³⁷³ თუმცა, სხვაგან ეპ. ნიკოდიმოსი არა მხოლოდ იზიარებს იმ აზრს, რომ სასულიერო პირის განკვეთა სამუდამოა და არ აღდგება, არამედ ამის საფუძვლად სწორედ რომ ბასილი დიდის ზემოხსენებულ მე-3 კანონს უთითებს: „სასულიერო პირისათვის წოდებიდან განკვეთა სამუდამოა და მას უკვე აღარასოდეს შეეძლება მიიღოს რაიმე იურარქიული ხარისხი (ტრულ. 21; ბასილი დიდ. 3 და სხვ.), თუნდაც მან მოინანიოს და თავისი ვალდებულებების კანონებისამებრ შესრულების

³⁶⁷ პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 168

³⁶⁸ იქვე

³⁶⁹ დ. ჩიგაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 139

³⁷⁰ Протоиерей Владислав Цыпин, Курс церковного права, г. Клин, გვ. 531

³⁷¹ დიდი სჯელისკანონი, გვ. 475

³⁷² იქვე, გვ. 218

³⁷³ Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, დასახ. ნაშრომი, გვ. 378

პირობა დადოს“.³⁷⁴ ამავე აზრს იზიარებს პროფ. ბერდნიკოვიც: „მხოლოდ სასულიერო პირთა განკვეთაა უცილობელი და, ამგვარად, მას აქვს დასჯითი ხასიათი“.³⁷⁵

აღნიშნულთან მიმართებაში საგულისხმოა, რომ პ. ბუმისი უშვებს განკვეთილი სასულიერო პირისათვის ხარისხის აღდგენის საკითხს და მას უკავშირებს თავის (ჩვენს მიერ ზემომყვანილ) მსჯელობას სამდგრელო მადლის მუდმივობის და მხოლოდ მადლის მოქმედების წარხოცის შესახებ: „რაკი განკვეთა არის სწორედ მდვდლობის მადლის წარხოცა და არა მისი განყენება, მოკლება, ამიტომ ახალმა სასამართლომ კვლავაც თუ გაამართლა განკვეთილი სასულიერო პირი, იგი ახალი ხელთდების გარეშე უბრუნდება სამდვდელო წოდებას“.³⁷⁶

შემთხვევას, როდესაც შესაძლებელია განკვეთილ სასულიერო პირს აღუდგეს ხარისხი და წოდება, განავრციბს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის 1917-1918 წწ. აღგილობრივი საეკლესიო კრების დადგენილება „სასამართლოს მიერ წოდებაჩამორთმეული პირებისათვის სასულიერო წოდების აღდგენის შესაძლებლობის შესახებ“, რომელმაც განაჩინა, რომ „პირებს, რომლებსაც სამდვდელო წოდება ჩამოერთვათ სასულიერო სასამართლოების არსობრივად და ფორმალურად სწორი განაჩენებით, წოდება აღარ აღუდგებათ. სასულიერო წოდების ჩამორთმევის შესახებ სასამართლოს განაჩენები, რომლებიც უმაღლესი საეკლესიო სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნენ არსობრივად ან ფორმალურად არასწორად, ექვემდებარებიან გადასინჯვას და შეიძლება გაუქმებულ იქნენ მათი უმოქმედოდ გამოცხადების გზით“.³⁷⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე, დეკვლ. ციბინი ასკვნის, რომ მხოლოდ 2 შემთხვევაში შეიძლება გაუქმდეს სასულიერო ხარისხიდან პირის განკვეთის სასჯელი: (ა) სასამართლოს მიერ შეცდომის დაშვების და (ბ) სამართლით განკვეთის დადგენილი წესების, ესე იგი საეკლესიო სამართლის პროცესის ნორმების დარღვევის გამო.³⁷⁸

ამდენად, თუ ბოლო ინსტანციის საეკლესიო სასამართლომ საქმე განიხილა ობიექტურად, დიდი სჯულისკანონის როგორც მატერიალური, ისე საპროცესო ნორმების სრული დაცვით, სრულად გამოიკვლია მტკიცებულებები და ამის შემდეგ გამოიტანა განაჩენი სასულიერო პირის ხარისხიდან განკვეთის შესახებ, ეს განაჩენი აღარ უქმდება და განკვეთის ძალმოსილება რჩება სამუდამოდ.

6. ანათემის აღსრულების წესი

ანათემა, იგივე დიდი განყენება, იგივე შეჩვენება, იგივე ყოვლითურთ მოკვეთა არის უმძიმესი საეკლესიო სასჯელი.

³⁷⁴ ქ. ნიკოლოზი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41

³⁷⁵ Краткий курс церковного права, დასახ. ნაშრომი, გვ. 180

³⁷⁶ პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 168

³⁷⁷ Определения и постановления Священного Собора Православной Российской Церкви. 1917-1918, М., 1994, გვ. 370

³⁷⁸ Протоиерей Владислав Цыпин, დასახ. ნაშრომი, გვ. 531

6.1. ქანონიგური განსაზღვრება

პ. ბუმისის მოსაზრებით, ანათემა „მიიჩნევა ბეჭდად მებრძოლი ეპლე-სიიდან ერთ-ერთი მისი წევრის თავისი ნებით გამოსვლისა, და იგი სულიერი სიკვდილის ტოლფასია“. ³⁷⁹ ე. ნიკოლიმოსი ანათემის შესახებ განმარტავს, რომ იგი იწვევს ეკლესიიდან ერთობის დაკარგვას, ყველა იმ უფლებისა და შესაძლებლობის დაკარგვას, რომელიც ქრისტიანს ენიჭება ნათლობის შედეგად. უზიარებლობისა და ანათემის ურთიერთმიმართების საინტერესო შედარებაა რუსულ „სასულიერო რეგლამენტში“: „ანათემით ადამიანი ემსგავსება მოკლულს, ხოლო უზიარებლობით ან განყენებით მსგავსია დაპატიმრებულისა“.³⁸⁰

6.2. ანათემის აღსრულების თავისებურებები

იმის გამო და გათვალისწინებით, რომ ანათემის შედეგად ქრისტიანი კარგავს ეკლესიის წევრობის პატივს, საერო პირებთან რელიგიური, ხოლო სასულიერო პირებთან პირადი ურთიერთობის უფლებასაც,³⁸¹ ანათემის შესახებ გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ.³⁸² მეტიც, ეპლე-სიაში არსებობდა ტრადიცია, როდესაც ანათემებს საგანგებოდ აცხადებდნენ. დღეს ეს სრულდება დიდი მარხვის პირველ კვირა დღეს, როდესაც ადინიშნება „მართლმადიდებლობის ზეიმი“. თუმცა, დღესდღეობით, ამ დღეს წირვის დასასრულს წარმოითქმება ხოლმე ისტორიულ-დოგმატური ცდომილებებისა და მათი მხარდამჭერების ანათემები. მსგავსივე რუს-ურბნისის ძეგლისწერის სინოდიკონის ბოლო ნაწილი.³⁸³ განჩინების თანმდევი პროცედურების თაობაზე მსჯელობისას ჩვენ მივუთითეთ, რომ ნებისმიერი ანათემის შემდეგი თანმდევი პროცედურა განაჩენის ერის მიმართ გამოცხადება.³⁸⁴

ანათემის საგულისხმო და გამორჩეული მახასიათებელია მისი სიკვდილის შემდეგ ძალმოსილება. როგორც ცნობილია, ქრისტიანულ სარწმუნოებაში, „მის ცხოვრებასა და სწავლების სისტემაში, სულის უკვდავების შეგნება ცენტრალურ ადგილს იკავებს“.³⁸⁵ დოგმატიკის ეს პოსტულატი განარჩევს საეკლესიო სამართლის საერო სამართლისგან, რადგან იგი იმგვარადვე ადგენს და განსაზღვრავს საეკლესიო კანონებს გარდაცვლილი ადამიანების მიმართ, როგორც ცოცხლების მიმართ. ამიტომ, შეჩვენების შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი იმდენად უვადო და მარადიულად ძალმოსილია, რომ თუკი სხვა ყველა სასჯელის მოქმედება წყდება ადამიანის გარდაცვალებით,³⁸⁶ ანათემით ქრისტიანი კარგავს „უფლებას, სიკვდილის შემდეგ აეგოს წესი და დაიკრძალოს მართლმადიდებლურ სასაფლაოზე“.³⁸⁷ პ. ბუმისის მიხედვით კი, „ეკლესიას არ აქვს უფლება სამგლოვიარო მსახურება აღუსრულოს ასეთ [ე.ი. ანათემიზირებულ,

³⁷⁹ პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 205

³⁸⁰ იხ. Протоиерей Владислав Цыпин, დასახ. ნაშრომი, გვ. 526

³⁸¹ იხ. ე. ნიკოლიმოსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39

³⁸² პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 205

³⁸³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 117

³⁸⁴ Дѣянія Вселенскихъ Соборовъ, ტ. I, გვ. 266

³⁸⁵ პროტოპრ. მიხეილ პომაზანსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 107

³⁸⁶ პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 170

³⁸⁷ ე. ნიკოლიმოსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39

დ.ჩ.] მიცვალებულს, მოიხსენიოს იგი, ან აღასრულონ ესა თუ ის შესანდობარი წესი“.³⁸⁸

ამდენად, ანათემის აღსრულების პირობებში ქრისტიანი (ა) განიდევნება ეკლესიიდან, (ბ) კარგავს ყველა უფლებასა და პრივილეგიას, (გ) შეჩვენების პერიოდი უვადოა, ანუ გრძელდება სიკვდილის შემდეგაც და (დ) ამის შემდეგ მასზე (რამდენადაც იგი აღარაა ეკლესიის წევრი) მოქმედებას წყვეტს საეკლესიო სამართალი,³⁸⁹ რამდენადაც საეკლესიო სამართლის სუბიექტები მხოლოდ ეკლესიის წევრები არიან.³⁹⁰

რაც შეეხება საღმრთო აღსრულების საკითხს, „სრული დაჯერებულობით მაინც ვერ განვსაზღვრავთ შეჩვენებულის სულიერ მდგომარეობას. იგი გადაეცემა უფლის განგებას“.³⁹¹

7. სხვა სასჯელების აღსრულების წესი

საეკლესიო კანონები ზემოგანხილულ სასჯელებთან ერთად ითვალისწინებენ სხვა სასჯელებსაც, რომელთა აღსრულების წესებს განვიხილავთ ამ თავში. მათი ცალ-ცალკე გამოყოფა არ მივიჩნიეთ საჭიროდ, რამდენადაც დიდი სჯულისკანონის ნორმები და განხილული პრაქტიკა მწირ სურათს იძლევა აღნიშნული სასჯელების თაობაზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად.

7.1. სხვაგან გადაყვანა

ეს სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ქრისტიანს, თუკი უფლებამოსილი სასამართლო ჩათვლის, რომ მისი იმ პირობებში ყოფნა, სადაც მას ჩვეულებრივ უწევს ცხოვრება/მოღვაწეობა დადგებითად არ წაადგება შემცოდის გამოსწორებას და სულიერ კურნებას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეს სასჯელი შეიძლება განესაზღვროს შემცოდეს სინანულის ან შეწყალების პირობებში, რაზეც შემდეგ თავში იქნება საუბარი.

სხვაგან გადაყვანის სასჯელი, როგორც წესი, აღსრულდება იმავე ეპარქიაში, რომელსაც განკანონებული მიეკუთვნება. „თავიდან, ამ სასჯელის ქვეშ მყოფი დამნაშავე, მთელ ამ სასჯელის ვადას ეპისკოპოსის ადგილსამყოფელში მისი ზედამხედველობის ქვეშ ატარებდა. შემდგომში, როცა მონასტერი ამისთვის უფრო შესაფერის ადგილად მიიჩნიეს, დამნაშავეთა მონასტრებში გამწერება დაიწყება“.³⁹²

ამ მხრივ საინტერესოა, რომ საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდის 2006 წლის 21 დეკემბრის X და XI საოქმო განჩინებებით მდგდელმოქმედება-აკრძალულ ქრისტეფორე წამალაიძესა და ამბობის ქათამაძეს განუწესა შიომღვიმის მონასტერში სინანულის შესრულება.³⁹³

³⁸⁸ პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 205

³⁸⁹ დ. ჩიკვაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 139

³⁹⁰ იქვე, გვ. 64

³⁹¹ პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 206

³⁹² ეპ. ნიკოლოზი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40

³⁹³ იბ. http://patriarchate.ge/?action=text/oqmi_21-12-06

იმის მიუხედავად, რომ სხვაგან გადაყვანა ხშირად გამოიყენებოდა ეპლესის მიერ, ამ სასჯელზე საუბრისას პ. ბუმისი აღნიშნავს, რომ მისი ბუნება ეწინააღმდეგება ზოგადად ქრისტიანობის სულისკვეთებას: „ეს სასჯელი, როგორც ჩანს, არ ეთანხმება წმიდა კანონებს, რადგან გადაყვანით ეპლესის სავსება ითრგუნება“.³⁹⁴

7.2. განკანონებულის წიგნების აკრძალვა

ეს სასჯელი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საეკლესიო ბრალდება ეხება ბრალდებულის მიერ დოგმატური ცდომილების ქადაგებას წერითი ფორმით.

მოციქულთა მე-60 კანონი ყველას უკრძალავს მწვალებლური, უდვოთ და ცრუ წიგნების (საერთო ტერმინით – არამართლმადიდებლური წიგნების) საჯაროდ კითხვას და გამოყენებას: „უკუეთუ ვინმე მდდელთაგანმან ტყუვილით ზედაწარწერილნი წიგნი უღმრთოთანი, ვითარცა წმიდანი, ეპლესიასა შინა საანჯელო ყვნებს განსარყუნელად ერისა და მდდელთა კრებულისა, განიკუთება“.³⁹⁵

VI მსოფლიო კრების 63-ე კანონით დადგინდა: „ეპლესიაში არავინ შემოიტანოს ჭეშმარიტების მტერთა მიერ შეთხული მოწამეთა წიგნები“. მსგავსადვე, VII მსოფლიო კრების მე-9 კანონით, „არავინ დამალეს ქრისტეანობის შემასმენელობითისა მის წვალებისა წიგნი. ყოველთა ყრმებრივთა ნაჩქურთა და ბორგნეულობითთა სიცბილთა მტყუვარისა აღმწერლობისათა, რომელნი-იგი დასამჯობელად პატიოსანთა ხატთა მოიპოვნებ და აღწერნებ ვიჟორებ, სათანადო არს მიცემად საეპისკოპოსოდ კოსტანტინოპოლისა, რათა დასხენებ იგინი სხვა თანა წიგნებისა მწვალებელთავსა. ხოლო უკუეთუ ვინმე იპოოს დამმალველად მათდა, უკუეთუ ეპისკოპოსი, ანუ ხუცესი, გინა დიაკონი იყოს, განიკუთებ, ხოლო უკუეთუ ერისკაცი ანუ მონაზონი – უზიარებელ იქმნება“.³⁹⁶

ზემომყვანილი ყველა კანონი ადგენს ზოგად აკრძალვას ყველა იმ წიგნისა, რომელიც მიეკუთვნება ქრისტიანული მოძღვრებისათვის საწინააღმდეგო ნააზრევებს. რაც შეეხება სასჯელს, როდესაც ადამიანი ისჯება იმით, რომ იკრძალება მისი წიგნები, მასზე მითითება არის III მსოფლიო კრების ოქმებში. კერძოდ, ნესტორის განკანონების საიმპერატორო სიაში საგანგებოდ არის აღნიშნული: „არავის არ აქვს უფლება ხელთ იპყრას, წაიკითხოს ან გადაწეროს წიგნები უხმარი და სიწმიდის მკრეხელი ნესტორისა“.³⁹⁷

³⁹⁴ პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 167

³⁹⁵ დიდი სჯულისკანონი, გვ. 222

³⁹⁶ იქვე, გვ. 424

³⁹⁷ Дѣянія Вселенскихъ Соборовъ, изданныя въ русскомъ переводѣ, при Казанской Духовной Академіи, томъ II, Казанъ, 1892, გვ. 192

VIII. შენდობა. შეწყალებისათვის

1. ზოგადი დებულებანი შენდობისა და შეწყალებისათვის

ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ეკლესია დაარსებულია ცოდვილთა სინანულისკენ მოწოდებისთვის: „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“ (მთ. 9:13).³⁹⁸ ქრისტიანული სასჯელის მიზანი არ არის შურისძიება და ადამიანის დამცირება, ეკლესია მიიჩნევს, რომ საეკლესიო სასჯელთა, უფრო სწორედ კი – მისაგებელთა ფუნქცია არის შემცოდე ქრისტიანის გადარჩენა, მისი მიზანია „მონანიება, წუართნა და კურნება ცოდვილისა. ამგვარად, ის მოძღვარი, რომელიც ზემოთმოყვანილ სასჯელთაგან რომელიმეს დაუწესებდა სულიერ შვილს, „სულიერ მკურნალად“ უნდა ჩავთვალოთ და არა დამსჯელად, „რამეთუ მსგავსადვე იესუ ქრისტისა, აჩუმნებენ წყალობასა და მმათმოყვარებასა შეცოდებულთა ზედა“.³⁹⁹

გარდა ზემოაღნიშნულისა, სადისერტაციო ნაშრომში იყო, აგრეთვე, აღნიშვნაც იმის თაობაზე, რომ თვით უმძიმესი სასჯელის – ანათემის დროსაც კი შემცოდეს ეძლევა შანსი, რომ მოინანიოს და ამ გზით კვლავ დაუბრუნდეს ეკლესიას. როგორც ეკლესიის წმ. მამის სვიმონ მეტაფრასის ლოცვაშია აღნიშნული „არა არ ცოდვა, მძლე კაცომოყუარებისა“ დმრთისა.⁴⁰⁰ ჩვენს მიერ განხილულ კანონიკურ ნორმებშიც და შესწავლილ საეკლესიო პრაქტიკაშიც უხვად არის შემთხვევები, რომლებიც ამ საკითხს აწესრიგებენ და ეხებიან.

თვალსაჩინოებისათვის განვმარტავთ, რომ ტერმინ „შენდობაში“ ვგულისხმობთ იმ შემთხვევას, როდესაც განკანონებული სრულად აღასრულებს მასზე დადებულ სასჯელს, რის შედეგადაც მას შეენდობა ჩადენილი ცოდვა. შენდობისათვის აუცილებელია, რომ განკანონებულმა ზედმიწევნით შეასრულოს ყველა ის ეპიტიმია, რაც მას განესაზღვრა, განსხვავებით შეწყალებისაგან. „შეწყალებაში“ მოვიაზრებთ შემთხვევას, როდესაც განკანონებულს, გამომდინარე სხვადასხვა სუბიექტური წინაპირობებიდან, ეპიტიმიათა და სასჯელთა სრულად შესრულებამდე კომპეტენტური საეკლესიო ორგანო მიანიჭებს მას შენდობას, რის შედეგადაც განკანონებულს, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად სრულად არ ექნება შესრულებული მისდამი დადებული სასჯელი, საეკლესიო იერარქიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, იგი განთავისუფლებული იქნება ცოდვისაგან და დაუბრუნდება ის უფლებები, რაც მას აღუდგებოდა შენდობის შედეგად. შედეგობრივად, შენდობაც და შეწყალებაც ერთი და იგივეა, მაგრამ განსხვავდება მისი წინაპირობები, პროცედურა და საეკლესიო ორგანოთა ფუნქცია.

³⁹⁸ იხ. აგრეთვე პროტოპრ. მიხეილ პომაზანსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 258

³⁹⁹ დ. ჩიკვაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 67

⁴⁰⁰ ლოცვანი, გვ. 174

2. შენდობის მიღების წინაპირობები

მიცემული სასჯელის სრულყოფილად აღსრულების შედეგების და აქედან გამომდინარე, შეცოდების პატიობის გამო სასჯელის დასასრულის თაობაზე საუბრობს პროფ. ბუმისი, რომელიც ჩამოთვლის ხუთ შემთხვევას, როდესაც სასჯელის ვადა დასრულებულად, ხოლო თავად სასჯელი აღსრულებულად ჩაითვლება:

- „1) თავისთავადი, ანუ როცა მთავრდება დადგენილი სასჯელის ვადა.
- 2) ბუნებრივი, მსჯავრდებულის სიკვდილისთანავე. გამონაკლისი დაშვებულია დიდი დაყენების სასჯელისათვის, რომელიც სიკვდილის შემდეგაც გრძელდება.
- 3) შესაბამისი სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელის გადასინჯვის და შეცვლის შემდეგ.
- 4) თუკი მომდევნო ხანის კანონიკური განკარგულება ან ოქმი ხასიათდება, როგორც უკან გამოხმობილი (წყვეტს დამსჯელობით ძალმოსილებას).
- 5) შეწყალების მინიჭების შედეგად. ესე იგი შეწყალების მინიჭებისათვის დამაშავე სულიერი პირის დარღვევა უნდა იყოს ისეთი, რომლის შედეგად განკანონება არ აბრკოლებდეს მას მდგდლობისაგან“⁴⁰¹

ამდენად, ბუმისის მოსაზრებით, შენდობის საკითხს ძირითადად ორი შემთხვევა ეხება. ერთი არის ისეთი, როდესაც ყოველგვარი დამატებითი შეწყალების გარეშე, განკანონებულის მიმართ დადებული სასჯელი შესრულდა სრულად, ყოველი კომპონენტის დაცვით, რაზეც ჩვენ ზემოთ ვიმსჯელეთ. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, ეს ისეთია, როდესაც გარდაიცვლება ადამიანი, რის შედეგადაც, დიდი დაყენების, ანუ ანათემის გარდა ყოველგვარი სასჯელი შეწყდება და ადამიანის ხვედრი მიენდობა ღმრთის განგებულებას. საეკლესიო სამართლისათვის კი ამ ადამიანს ზუსტად იმგვარად ექნება აღდგენილი უფლებები, როგორც ეს იქნებოდა სასჯელს სრულად შესრულების შემთხვევაში. საიმისოდ, რომ ბუნებრივი სიკვდილით შენდობა განვასხვავოთ წმინდა მოწამეობისაგან⁴⁰², აუცილებელია აღინიშნოს, რომ რაკი ჩვენ ვსაუბრობთ სასჯელის აღსრულების დროს განკანონებულის გარდაცვალებაზე, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ (ა) სასჯელი უკვე განსაზღვრული და, ამავე დროს, (ბ) განკანონებულს დაწყებული აქვს მისი აღსრულება, ანუ დადასტურებულია ბრალი, განსაზღვრულია მისაგებელი და შემცოდეს ნებაყოფლობით დაწყებული აქვს მისი შესრულება.

რაც შეეხება ბუმისის მიერ ჩამოთვლილ მე-3, მე-4 მე-5 შემთხვევებს, მათ ეხება ამ თავის შემდგომი ქვეთავები.

3. შეწყალების მიღების წინაპირობები

აღვნიშნავთ, რომ შეწყალების საკითხს ჩვენ ნაწილობრივ შევეხეთ გასაჩივრების, აგრეთვე უზიარებლობის წესის აღსრულების თაობაზე მსჯე-

⁴⁰¹ პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 170

⁴⁰² ამის შესახებ, იხ. ამ ნაშრომის გვ. 104

ლობისას. ამასთან, დავძენთ, რომ არსობრივად შეწყალების საკითხის განხილვა გასაჩივრებისაგან იმით განსხვავდება, რომ ამ დროს არ ხდება საქმის ხელახალი განხილვა, არც განჩინების გადახედვა, არამედ, მსგავსად საერო წესისა, განიხილება მხოლოდ შემცოდის შეცოდების შემდგომი ქმედებები და აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე რამდენიმე სხვა შემთხვევაშიც (რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი) ხდება შემცოდის შეწყალება და შესაბამისად, მისთვის შეცოდების შენდობა.

3.1. კერძო დებულებანი შეწყალებისათვის

ნაშრომის დასაწყისში საეკლესიო სამართლის პრინციპების თაობაზე მსჯელობისას ცალკე გამოვყავით ერთ-ერთი საპროცესო პრინციპი საეკლესიო სამართალში, რომ სავალდებულოა მონანულის შეწყალება. დეტალურად აღნიშნულის თაობაზე შესაბამის თავში იყო საუბარი. აქ კი აღვნიშნავთ, რომ, რამდენადაც ეკლესიაში მოქმედებს ეს პრინციპი, იგი მოქმედებს არა მხოლოდ საქმის დაწყების წინ, არამედ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, რათა საეკლესიო მსახურებმა მიიღონ, შეაფასონ და სათანადო გაგრძელება მისცენ შემცოდის სინანულს და სულიერ სწრაფვას გამოსწორებისაკენ. ამასთან ერთად, დროულად დააფიქსირონ, მიიღწა თუ არა განკანონების განჩინებით დასახული მიზანი.

რაც შეეხება სინანულს, იგი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არის შეწყალების უშუალო წინაპირობა. საიმისოდ, რომ კანონიერ ძალაში მყოფი და აღსრულების რეჟიმში მყოფი საეკლესიო სასამართლოს განჩინება გადახედილ იქნეს, ამისთვის აუცილებელია, რომ შემცოდეს პქონდეს განსაკუთრებული სინანული და, ცხადია, პირნათლად უნდა ასრულებდეს მისთვის განწესებულ ეპიტიმიის კანონს. წმ. ბასილი დიდი თავისი 84-ე კანონით განსაზღვრავს: „რამეთუ არა უეჭუელად უამითა განვიკითხავთ ესევითართა ამათ, არამედ გუარსა სინანულისასა განვიცდით“.⁴⁰³ მსგავსივე პათოსი და შინაარსი აქვს წმ. გრიგოლი ნოსელის მე-8 კანონსაც: „პირველ ყოვლისა ამისი განხილვად სათანადო არს, თუ ვითარი არს გულსმოდგინებად განკურნებადისად მის და რათა არა ამას ვპგონებდეთ, ვითარმედ უამი კმა არს საკურნებელად, რამეთუ რადმცა კურნებად იქმნა უამისაგან, არამედ ნებისაგან და აღრჩევისა მისისა, რომელი მოქცევისა მიერ მოსწრაფე იყოს კურნებად თავისა თუსისა“.⁴⁰⁴

3.2. პირები, ვისი შეწყალებაც შეიძლება

იმ პირთა თაობაზე, რომლებიც შეიძლება ვადაზე ადრე დაექვემდებარონ შეწყალებას და შენდობას, იმსჯელა ლაოდიკიის ადგილობრივმა კრებამ, რომელმაც მე-2 კანონით განსაზღვრა ამგვარ პირთა წრე: „თითოვერთა ცოდვათა შინა დაცემულნი და მოთმინენი ლოცვასა შინა აღსაარებასა და სინანულსა და სრულიადისა ბოროტაგან მოქცევისა მოქმედნი, რომელთადა შემსგავსებულად ცოდვისა მათისა უამი სინანულისად მიცემულ იყოს, ესევითარნი ესე მოწყალებათათვს და სახიერებათა დმრთისათა მოყვანებულ იქმენინ ზიარებად“.⁴⁰⁵ ამ კანონის კომენტირებისას ცნობილი ბიზანტიული კანონისტის ბალსამონი ამბობს:

⁴⁰³ დიდი სჯულისკანონი, გვ. 497

⁴⁰⁴ იქვე, გვ. 520

⁴⁰⁵ იქვე, გვ. 254

„შეწყნარება ხდება არა იმდენად ცოდვილის სინანულის გამო, არამედ ღმრთის მოწყალებისა და წყალობის გამო“.⁴⁰⁶ თუმცადა, ცხადია, ღვთის მოწყალების და შესაბამისად, საეკლესიო სასამართლოს მიერ შემცოდის შეწყალების უპირველესი საფუძველი სწორედ რომ სინანულია.

უზიარებლობის ვადის დინების თაობაზე მსჯელობისას მოვიხმეთ წმ. ბასილი დიდის 74-ე კანონი, რომელიც უფლებამოსილებას ანიჭებს ეპისკოპოსებს, ისევ და ისევ განკანონებულის სინანულის გათვალისწინებით შეამოკლონ მისთვის განსაზღვრული სასჯელი.⁴⁰⁷ ეს სულისკვეთება დაცულია მომდევნო, 75-ე კანონშიც, სადაც შემცოდის მიმართ განსაზღვრული სასჯელის შემდგომ აღნიშნულია, რომ მოხდება მისი შეწყნარება, „ესრეთ აჩუენნეს რად ნაყოფი ღირსხი სინანულისანი“.⁴⁰⁸

შეიძლება შეიწყალონ, აგრეთვე, ის შემცოდე, რომელსაც განესაზღვრა იმგვარი ეპიტიმია, რომლის შესრულება ვადაზე ადრე შეუძლია. ამის დასტურია ჩვენს მიერ ზემოთ მოხმობილი მაგალითი, კერძოდ, ზაქარია კათალიკოსის შენდობის წიგნი ციციშვილებისადმი, სადაც ჩანს, რომ ციციშვილებმა, შეასრულეს რა კათალიკოსისაგან განჩინებული ეპიტიმია, მიიღეს შენდობა (შეწყალება).⁴⁰⁹

ექვთიმე მთაწმინდელის მიხედვით, არსებობს ორი შემთხვევა, როდესაც არ შეიძლება განკანონებულის შეწყალება, თუნდაც რომ მას თავისი ღვაწლით შეწყალება ეკუთვნოდეს. ერთი ის შემთხვევაა, როდესაც განკანონებული მადლობით არ მიიღებს დადებულ სასჯელს და დრტვინვას დაიწყებს მის გამო: „რომელი განიკანონოს და იდრტვნოს და არა მადლობით მიითუალოს, ორკეცად მიიღენ კანონი იგი“.⁴¹⁰ ამდენად, სასჯელის მიმართ განკანონებულის პოზიცია არ უნდა იყოს განპირობებული უკმაყოფილებით, არამედ მან მადლობით უნდა მიიღოს ყოველივე და მადლობის გრძნობით დაიწყოს დადებული სასჯელის შესრულება. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, იგი მსგავსია ამისა და განსაზღვრავს, რომ „უკუთუ ვინმე წინამდებურმან განკანონოს სამართლად და მეორე მეშუელად აღუდგეს, იგივე კანონი მიეცეს მას“.⁴¹¹ ზემოაღნიშნულთან ერთად მცირე სჯულისკანონი აგრეთვე კრძალავს განკანონებულის მიერ სხვა პირის ჩართვას თავისი შეწყალების საქმეში. სავარაუდოდ, აქ არ უნდა მოვიაზროთ განკანონებულის პირადი მოძღვარი, არამედ ისეთი პირი, ვისაც საქმესთან უშუალო კავშირი არ აქვს.

3.3. შეწყალების კანონისმიერი უფლებამოსილება

მოციქულთა 32-ე კანონით განისაზღვრა, რომ შეწყალების (შეწყნარების) უფლება აქვს მხოლოდ განმკანონებელ ეპისკოპოსს: „უკუთუ ვისმე ხუცესსა ანუ დიაკონსა ეპისკოპოსმან დაცადებად უბრძანოს მდდელობისაგან, ამისი არა ჯერ-არს სხვსა ეპისკოპოსაგან შეწყნარებად, თუნიერ

⁴⁰⁶ Σύνταγμα των Θειών και Ιέρων Κανόνων, Γ.Α.Ράλλη, Μ.Πότλη, τόμος Γ', Αθ.,1992, გვ. 473

⁴⁰⁷ დიდი სჯულისკანონი, გვ. 495

⁴⁰⁸ იქვე

⁴⁰⁹ იხ. ამ ნაშრომის გვ. 82-83

⁴¹⁰ მცირე სჯულისკანონი, გვ. 122

⁴¹¹ იქვე, გვ. 121

მისგე მისისა ეპისკოპოსისაგან“.⁴¹² იმავე უფლებამოსილებას, მხოლოდ ოდნავ განვრცობით ადგენს V-VI მსოფლიო კრების 102-ე კანონი: „უგმს, რომელთა-იგი შეკრვისა და განცხისა პელმწიფებად ღმრთისა მიერ მიეღოს, რათა ვითარებასა ცოდვისასა განიხილვიდენ და ცოდვის-მოქმედისა მის კაცისა მოქცევისა მიმართისა გულსმოდგინებასა განიცდიდენ და ესრეთ შემსგავსებულსა წამალსა სნეულებისასა შეუმზადებდენ, რათა არა ლიტონად ცოდვისა მიმართ ოდენ მხედველი უქმად დაშოუს ვერ სარგებელ-ყოფითა უძლურისავთა“.⁴¹³

ამდენად, ეს ორი კანონი განსაზღვრავს, რომ მონაცელის შეწყალებისათვის განჩინების გამომტანი ეპისკოპოსია უფლებამოსილი:

- (ა) განიხილოს შეწყალების საქმე;
- (ბ) განიხილოს ცოდვის ხარისხსი;
- (გ) შეაფასოს მისი სინაცელი და
- (დ) მიიღოს ის გადაწყვეტილება, რაც აღებულ დროს ადეკვატური და ამავე დროს სამართლიანი იქნება.

საქმის განხილვის უფლებამოსილების თაობაზე ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლები იცნობენ საქმის განხილვის უფლებამოსილებას არა ეპისკოპოსის, არამედ მდგდლის მიერ. შესაბამისად, ქართული საეკლესიო სამართლის წყაროებში არა ერთგან არის მითითება მდგდლების მიერ, აგრეთვე, შეწყალების უფლებამოსილების თაობაზეც.

ექვთიმე მთაწმინდელის მიერ შედგენილ კანონიკურ ძეგლში „კრულების დადებისათვე“, განსაზღვრულია შეწყალების უფლებამოსილების საკითხიც: „გერეთვე, კრულებად უკუეთუ წინამდღურისაგან დაედვას, ანუ მდღელობრივისაგან საქმესა ზედა სამართალსა, ვერვინ აჯდის მას, თვინიერ მისსა, რომელმან დასდვა კრულებად იგი“.⁴¹⁴ საგულისხმოა, რომ არსებობს ექვთიმე მთაწმინდელის სხვაკანონიკური შრომა, კერძოდ, კანონიკური კითხვა-მიგებანი თეოდორე საბაწმინდელის მიმართ, სადაც მე-9 კითხვად მოთავსებულია სწორედ შეწყალების საკითხი. პასუხი თითქმის იდენტურია ზემომოყვანილ ციტატასთან: „კრულებად უკუეთუ წინამდღურისაგან დაედვას, გინა მდღელობრისაგან საქმესა ზედა სამართალსა, ვერვინ აჯდის მას თვინიერ მისსა, რომელმან იგი დასდვა“.⁴¹⁵ ამდენად, წმ. ექვთიმე მთაწმინდელი იმეორებს მოციქულთა 32-ე კანონის დებულებას, რომ, ზოგადად, სასჯელის ახსნის, ანუ შეწყალების უფლებამოსილება აქვს იმას, ვინც განსაზღვრა ეს სასჯელი, მაგრამ ასევე, როგორც ვნახეთ, იხსენიებს წინამდღვარსაც მათ რიცხვში, ვისაც აქვს სასჯელის დადების უფლება. საინტერესოა, რომ მთაწმინდელს პარალელურად, ერთმანეთის თანასწორად ჰყავს მოხსენიებული როგორც მდგდელი (წინამდღური), ისე ეპისკოპოსი (მდგდლობრი).⁴¹⁶ იმის მიუხე-

⁴¹² დიდი სჯულისკანონი, გვ. 219

⁴¹³ იქვე, გვ. 405

⁴¹⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 8

⁴¹⁵ იქვე, გვ. 61

⁴¹⁶ მდგდლობრი იგივე მდგდელმთავარია. მდგდელობრის განმარტების შესახებ იხ. სულხან-საბა მრბელიანი, ლექსიკონი ქართული, წიგნი 1, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1976, გვ. 532, სვეტი II

დავად, რომ იერარქიულად მდვდელი ეპისკოპოსზე ნაკლებია,⁴¹⁷ ექვთიმეს არ აქვს მითოთება იმის თაობაზე, რომ ეპისკოპოსს აქვს უფლება შეცვალოს მდვდლის მიერ დადებული სასჯელი ან შეიწყალოს მდვდლის მიერ განკანონებული. როგორც ჩანს, წმ. ექვთიმე უფრო იმ აზრს ემხრობა რომ მოციქულთაგან დადგენილი წესი – გამოტანილი განაჩენისა და მის საფუძველზე დადებული სასჯელის გადახედვის უფლებამოსილება ჰქონდეს მხოლოდ აღნიშნულის დამდებ სასულიერო პირს, ეს იქნება მდვდელი, თუ ეპისკოპოსი.

მიზეზს, თუ რატომ უნდა იქნეს იმავე სასულიერო პირის მიერ გადახედილი შეწყალების საქმე, ვინც განაჩენი გამოიტანა, ნაწილობრივ განმარტავს პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონის მე-13 თავის 45-ე კანონი, რომელიც იმეორებს სახარებისეულ სწავლებას შეკვრისა და განხსნის შესახებ (ინ. 20:21-23): „რამეთუ გელსა შინა მდდლისასა არს შეკრვა და განჯსნა, ჯერ-არს წინამდებრისა, რათა გამოირჩიოს მდვდელთაგან უმჯობესი და მოღუაწე და მეცნიერი შჯულსა მას კანონთასა და იგი განაჩინოს სულიერად მოძღურად ყოველთა ძმათა“.⁴¹⁸ პეტრიწონის ტიპიკონის ამ კანონის ანალიზიდან ჩანს, რომ მდვდელს არა მხოლოდ შეკვრის, ანუ დასჯის უფლება აქვს, არამედ განხსნისაც, ანუ შეწყალების. ამასთან, საგულისხმოა, რომ არა ყოველ მდვდელს აქვს ეს უფლებამოსილება, არამედ იმას, ვინც სჯულისკანონის მცოდნეა.

რაც შეეხება სასჯელის დამდები მდვდლის მმართველი ეპისკოპოსის წინაშე შეწყალების თხოვნას, ჩვენი აზრია, რომ ეს მიჩნეულ იქნეს გამონაკლის შემთხვევად (რაზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ) და მიეცეს უფლებამოსილება ეპისკოპოსს შეიწყალოს მისი იურისდიქციაში მყოფი მდვდლის მიერ განკანონებული პირი.

3.4. გამონაკლისი შემთხვევები

რაც შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც გარდაცვალების ან სხვა ობიექტური მიზეზების გამო, კანონისმიერად უფლებამოსილ პირს არ ძალუბს შეწყალების განხორციელება, მაშინ, როდესაც ობიექტურად არსებობს საამისო წინაპირობები, აღნიშნული წესრიგდება შესაბამისი კანონიკური ნორმებით.

3.4.1. განაჩენის გამომტანი ეპისკოპოსის გარდაცვალება

თუკი გარდაიცვლება ის ეპისკოპოსი, რომელმაც გამოიტანა განკანონების გადაწყვეტილება, მაშინ, თანახმად მოციქულთა 32-ე კანონისა, ამ შემთხვევაში საქმეს იხილავს „სხვა ეპისკოპოსი“.⁴¹⁹ იმას, თუ ვინ შეიძლება მოაზრებულ იქნეს ამ „სხვა ეპისკოპოსში“, შესანიშნავად განმარტავენ ბიზანტიული კანონისტები ზონარა და ბალსამონი: „განყენებულისათვის აკრძალვის მოხსნა შეუძლია მხოლოდ იმ ეპისკოპოსს, რომელმაც მემკვიდრეობითად მიიღო გარდაცვლილი ეპისკოპოსის სამთავრობო დირსება. ბალსამონი დასძენს, რომ მისთვის აკრძალვის მოხსნა, ასევე შეუძლია იმ უპირატეს იერარქს, რომელმაც გარდაცვლილი ეპისკოპო-

⁴¹⁷ იხ. პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127

⁴¹⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 67

⁴¹⁹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 219

სის ქიროგონია მოახდინა, ანუ – მიტროპოლიტს ან პატრიარქს, მაგრამ ეს მხოლოდ საქმის საკრებულო გამოძიებისა და ჭეშმარიტების დადგანის შემდეგაა შესაძლებელი“.⁴²⁰

ამდენად, გარდაცვლილ ეპისკოპოსს შეწყალების კომპეტენციაში ცვლის მისი მემკვიდრე ან ზემდგომი იერარქი, მხოლოდ კრებაზე განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით.

3.4.2. განაჩენის გამომტანი ეპისკოპოსის მიერ შეწყალების შეუძლებლობა იმ შემთხვევის მოსაწერიგებლად, როდესაც უფლებამოსილ მდვდელმთავარს არ შეუძლია განიხილოს შეწყალების საქმე, კართაგენის ადგილობრივმა კრებამ მიიღო დადგენილება „რომელნი ჭირთა და შიშა სიკუდილისასა იყვნენ, მათისა დაგებისათვე“ (კანონი 7)⁴²¹. ამ კანონით დამტკიცდა ავრილის ეპისკოპოსის წინადადება, რომ საგანგებო ვითარებაში, როდესაც ეპისკოპოსი არ არის, შეწყალების განხორციელების უფლება აქვს მდვდელს ეპისკოპოსთან შეთანხმებით. ამგვარი გამონაკლისი, ამ კანონის თანახმად, ორ შემთხვევაშია დასაშვები: (ა) როდესაც განსაკუთრებულ გაჭირვებაშია შემცოდე და (ბ) როდესაც სიკვდილის საფრთხეა. სიკვდილის საფრთხის დროს ზიარების წესი I მსოფლიო კრების მე-13 კანონით დადგინდა.⁴²² რაც შეეხება სხვა გაჭირვებას, მის შესახებ კომენტატორები არ საუბრობენ. ეპ. ნიკოდიმოსი განიხილავს იმ შემთხვევას, როდესაც ვერ ესწრება ეპისკოპოსის ნებართვის მიღება.⁴²³ ასეთ დროს, დასაშვებია ზიარების საკითხი უეპისკოპოსოდ, თავის თავზე აიღოს მდვდელმა, თანახმად კართაგენის კრების 43-ე კანონისა, რომლის შესაბამისად „ხუცესი თვინიერ კითხვისა ეპისკოპოსისა ნუ პყოფს დაგებასა მონაწელთასა, არა თუ აიძულებდეს ამისდა ქმნად ჭირი ეპისკოპოსისა მუნ არა ყოფისად“.⁴²⁴

4. სასამართლო პრაქტიკა შეწყალების თაობაზე

შეწყალებასთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმ. სინოდის გადაწყვეტილებები. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

(ა) წმ. სინოდის 1999 წლის 26 ოქტომბრის IX საოქმო განჩინებით შენდობა მიეცა ე.წ. ავქსენტიოსის სინოდის ბოსტონურ ფრთაში მყოფ ჯიმა შაკაიას და იგი დაუბრუნდა ეკლესიას. შეწყალების საფუძველი, როგორც საოქმო ჩანაწერიდან ირკვევა, იყო თავად შემცოდის შენდობის წერილი;⁴²⁵

(ბ) წმ. სინოდმა განიხილა ყოფ. ნიკორწმინდელი მდვდელმთავრის ამბროსის (ქათამაძე) შეწყალების წერილი, მაგრამ 2005 წლის 27 ივნისის

⁴²⁰ Σύνταγμα των Θειών και Ιέρων Κανόνων, Γ.Α.Ράλλη, Μ.Πότλη, τόμος Β', Αθ., 1966, გვ. 82-83

⁴²¹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 294

⁴²² იქვე, გვ. 234

⁴²³ Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, დასახ. ნაშრომი, გვ. 151

⁴²⁴ დიდი სჯულისკანონი, გვ. 306

⁴²⁵ გაზ. „საპატიოარქოს უწყებანი“, №43, 1999 წ.

IX საოქმო განჩინებით, არ მისცა მას სრული შენდობა და დაუდგინა საბერო მოწესეობა;⁴²⁶

წმ. სინოდმა 2006 წლის 21 დეკემბრის სხდომაზე განიხილა სამი შეწყალების წერილი. (გ) ნოდარ ქათამაძეს, შიომღვიმის მონასტრის არქიმანდრიტ მიქაელის (გაბრიჭიძე) შუამდგომლობით (სადაც ნ. ქათამაძე გადიოდა სინანულის ეპიტიმის წესს) IX საოქმო განჩინებით აღუდგა სამღვდელო ხარისხი, თუმცა სინანულის წესის გაგრძელება შიომღვიმე-ში კვლავ გაუგრძელდა. რაც შეეხება (დ) ქრისტეფორე წამალაიძის და (ე) ამბროსი ქათამაძის (ხელმეორედ) საკითხებს, მათი სამღვდელმთავრო ხარისხში აღდგენა წმ. სინოდმა „ამჟამად შეწყალებლად მიიჩნია“ და ორივენი სინანულისთვის შიომღვიმის მონასტერში განაწესა.⁴²⁷

5. შენდობისა და შეწყალებისგანსაკუთრებული შემთხვევები

საეკლესიო კანონებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ არსებობს შეწყალების რამდენიმე, განსაკუთრებული შემთხვევა. ამ დროს, ყოველგვარი განხილვის გარეშე, ასე ვთქვათ, „ავტომატურად“ მოიპოვებს განკანონებული ცოდვისათვის შენდობას.

5.1. მოწამეობის შედეგად

ქრისტიანულ სამყაროში მიღებულია, რომ ქრისტიანობისათვის და მისი მცნებების აღსრულებისათვის თავდადება, თუკი ის დასრულდა ამ პირის ფიზიკური სიკვდილით, უტყუარი ნიშანია წმინდანობისა და ამ გზით მისთვის ყველა ცოდვის მიზევებისა.⁴²⁸ მოწამეობის დროს, განსხვავებით სიკვდილის შედეგად შენდობისა, არ არის აუცილებელი არც საეკლესიო სასამართლოს განჩინება და არც სასჯელი ან მისი აღსრულების დაწყება. თუკი დადასტურდება თავად ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ პირმა თავი შესწირა ქრისტიანულ რწმენას, იგი ითვლება სრულად შენდობილად ეკლესიის მიერ და აღირაცხება წმიდათა დასში.

ყოველივე აღნიშნულის დასტურად შეგვიძლია მოვიხმოთ წმ. მოწამე მეფის დემეტრე თავდადებულის ცხოვრება, რომელსაც სამი ცოლი ჰყავდა.⁴²⁹

5.2. ცალკეულ საეკლესიო საიდუმლოებაში მონაწილეობის შედეგად

საეკლესიო კანონების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცალკეულ საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობა, ცოდვის შენდობისა და შემცოდის შეწყალების საფუძველია.

5.2.1. აღსარება

აღსარება, გარდა იმისა, რომ აღიარებაა ჩადენილი ცოდვისა და იწვევს საეკლესიო კანონებით გათვალისწინებულ შედეგებს, აგრეთვე არის ცოდვის შენდობის საფუძველი. „სინანულის საიდუმლო არის მადლო-

⁴²⁶ http://patriarchate.ge/?action=text/oqmi_27-06-05

⁴²⁷ http://patriarchate.ge/?action=text/oqmi_21-12-06

⁴²⁸ იხ. პ. ბუმისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 208, აგრეთვე პროტოპრ. მიხეილ პომაზანსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 292

⁴²⁹ წმიდათა ცხოვრებანი, ტ. I, თბ., 2008, გვ. 234-239

სილი მდგდელმოქმედება, როდესაც მაცხოვრის აღთქმის თანახმად, სადგომი მოწყალებისა და ეკლესიის მწყემსის შუამდგომლობით, მორწმუნეს მიეტევება ცოდვები მათი აღიარებისა და შენანების შემდგომ“.⁴³⁰ აქ ვგულისხმობთ ისეთ შემთხვევას, როდესაც აღსარების შედეგად არ დანიშნულა რაიმე სასჯელი ან ეპიტიმია, რა დროსაც ცოდვა შენდობილად სწორედ ამ სასჯელის შესრულების შემდგომ ჩაითვლებოდა. პომაზანსკი აღნიშნავს, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით, სინანულის საიდუმლო ორი ნაწილისგან შედგება, რომლის პირველ ეტაპზე ხდება აღსარება, ანუ შემცოდის მიერ ჩადენილი ცოდვის აღიარება, ხოლო მეორე ეტაპზე – „მდგდელმსახურის მიერ წარმოთქმული ლოცვითი ვედრება და ცოდვათაგან მონანულის განხსნა“.⁴³¹

5.2.2. ზეთის კურთხევა

ზეთის კურთხევის საიდუმლოში მონაწილეობა, როგორც აღინიშნა, განკანონებაში მყოფს არ შეუძლია. თუმცა, განკანონებამდე, მასში მონაწილეობით შესაძლებელია ცოდვების მიზევება: „უძლურ თუ ვინმე არს თქუენ შორის, მოუწოდენ ხუცესთა ეკლესიისათა და ილოცონ მის ზედა და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისადთა. და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სხეული იგი და ადადგინოს იგი უფალმან. დადათუ ცოდვად რამე ექმნეს, მო-უ-ეტეოს მას“ (იაკ. 5:14-15). აქ უნდა ვიგულისხმოთ, რომ არ არის საუბარი მძიმე ცოდვებზე, არამედ ისეთზე, რომელიც განსაკუთრებული სასჯელის გარეშეც შეიძლება ეპატიოს შემცოდეს.

5.2.3. ზიარება

ზიარების საიდუმლოსთან დაკავშირებით განსახილველ საკითხთან მიმართებაში შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ იგი დადგენილია მოსატევებულად ცოდვათა⁴³² და ამდენად, წარმოადგენს ცოდვის მიზევების განსაკუთრებულ შემთხვევას. აქაც, მსგავსად ზეთის კურთხევის საიდუმლოსი, უნდა აღვნიშნოთ, რომ უცილობლად საუბარი უნდა იყოს ნაკლებად მძიმე ცოდვაზე, რადგან მძიმე ცოდვის დროს ზიარება იმდენად მიუღებელია, რომ არათუ განკანონებულს, ბრალდებულსაც კი არ აქვს ზიარების უფლება.

5.2.4. მდგდლობა

რაც შეეხება მდგდლობის საიდუმლოს, საგულისხმოა, რომ ნეოკესარიის მე-9 კანონი ადგენს შემდეგს: „ხუცესი, უაუთუ პირველ მცოდველი ჭორცითა, მოყვანებულ იქმნეს მდგდელობად და აღიაროს, ვითარმედ ცოდა უწინარეს ჭელთ-დასხმისა, ნუმცა ტევებულ იქმნების მდგდელობად სხვა მოსწრავებისათვეს, რამეთუ სხვათა ცოდვათად მრავალთა უთქუამს ჭელთ-დასხმისა მიერ მიტევებად“.⁴³³ ამ კანონით განისაზღვრა, რომ თუკი აღმოჩნდება, რომ მდგდელს ხელდასხმამდე ჩადენილი ჰქონია ხორციელი შეცოდება, იგი დაეუნდება მდგდლობისაგან, მაგრამ სხვა ცოდვის შესახებ, როგორც კანონი ამბობს, მრავალი ამბობს, რომ მიეტევება. ხორციელ ცოდვებში, როგორც წესი, მოიაზრება – სიძვა, მრუშება და მისთანა-

⁴³⁰ პროტოპრ. მიხეილ პომაზანსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 255-256

⁴³¹ პროტოპრ. მიხეილ პომაზანსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 256

⁴³² იქვე, გვ. 253

⁴³³ დიდი სჯულისკანონი, გვ. 241

ნი. რაც შეეხება „სხვა ცოდვას“, როგორც ეპ. ნიკოდიმოსი ამბობს ამ კანონის კომენტირებისას, იგულისხმება ყველა მცირე ცოდვა. ⁴³⁴ იმაგვა აზრს იზიარებს ბალსამონიც. ⁴³⁵

5.3. სიკვდილისწინა მდგომარეობისას

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ და მოვიყვანეთ შესაბამისი კანონიკური ნორმები, რომ სიკვდილისწინა მდგომარეობა შემცოდეს საშუალებას აძლევს ეზიაროს და ამით შეურიგდეს ეკლესიას. მართალია, გადარჩენის შემთხვევაში იგი ვალდებულია, დადებული ეპიტიმია შეასრულოს, მაგრამ ჩვენ მაინც ეს პროცედურა ცოდვათა მიტევების წინაპირობად მიგვაჩნია, რადგან (ა) სიკვდილის შემთხვევაში უპირობოდ ითვლება ამგვარი განკანონებული ეკლესიაში დაბრუნებულად, ამასთან (ბ) სიცოცხლის შემთხვევაშიც, იმის მიუხედავად, რომ სასჯელის აღსრულებას გააგრძელებს, მას განკანონების შემდეგ უკვე მიღებული ექნება წმ. ზიარება, რაც, როგორც ცნობილია და როგორც აღვნიშნეთ, ეკლესიასთან ერთობის ნიშანია. ⁴³⁶

⁴³⁴ Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, დასახ. ნაშრომი, გვ. 33

⁴³⁵ Σύνταγμα των Θειών και Ιέρων Κανόνων, Γ.Α.Ράλλη, Μ.Πότλη, τόμος Γ', Αθ., 1992, გვ. 85

⁴³⁶ პროტოპრ. მიხეილ პომაზანსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 253

IX. მტკიცებულებები

საპროცესო სამართლის შესწავლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მტკიცებულებებს, ანუ იმას, თუ რას შეიძლება დაეფუძნოს სასამართლოს გადაწყვეტილება. უნდა აღინიშნოს, რომ საეკლესიო სამართლის პროცესში და განხილულ გადაწყვეტილებებში არ არის უხვად მტკიცებულება და მით უფრო, განაჩენის დაფუძნება მტკიცებულებებზე, მაგრამ უდავოდ, საპროცესო სამართლისათვის ამ მნიშვნელოვან ინსტიტუტს გვერდს ვერ ავუვლით საეკლესიო სამართლის პროცესის განხილვისა და კვლევის დროსაც. მტკიცებულებათა შესახებ საუბრისას აუცილებელია კიდევ ერთხელ მოვიხმოთ ზემომოყვანილი ციტატა ბერდნიკოვის წიგნიდან, რომ „ბრალდებული ზრუნავდა ყველა იმ საშუალების შეკრებისათვის, რითაც დაარწმუნებდა სასამართლოს მისი ბრალდების სიმართლეში“.⁴³⁷

1. ბრალდებულისა და ბრალმდებლის ჩვენება

როგორც საქმის არსებითი განხილვის დროს აღვნიშნეთ, ყველაზე გავრცელებული მტკიცებულება არის ბრალმდებლის საჩივარი, ერთი მხრივ, ხოლო ბრალდებულის ჩვენება ან აღიარება, მეორე მხრივ. ამდენად, მასზე ხელახლა აღარ შევჩერდებით.

2. წიგნიდან ციტატა, როგორც მტკიცებულება

მტკიცებულების ეს სახე უნიკალურია და იგი ძირეულად განსხვავებულია საერო სამართალში არსებული მტკიცებულებებიდან. თავად მიზეზი ამგვარი მტკიცებულების არსებობისთვის განპირობებულია საეკლესიო სამართლის თავისებურებებიდან. რამდენადაც საეკლესიო სამართალში არცთუ იშვიათია ბრალდება და საქმის განხილვა დოგმატური ცდომილების გამო, ასეთ შემთხვევაში საპროცესო სამართალში მიღებული და საყოველთაოდ ცნობილი მტკიცებულებები ვერ გამოდგება ბრალდების პოზიციის გასამყარებლად, რამდენადაც ბრალდება ამ დროს ეხება არა ცალკეულ ქმედობას, არამედ ბრალდებულის თეოლოგიურ შეხედულებას. თუკი სასამართლოსთვის საქმის განხილვის კონკრეტულ ეტაპზე არსებითია, რომ ბრალდებულს დაუმტკიცდეს, მართლა ჰქონდა თუ არა მას ესა თუ ის თეოლოგიური მოსაზრება (იგულისხმება – დოგმატურად ცდომილი), ასეთ შემთხვევაში, ცხადია დასაშვებია, გამოყენებულ იქნეს საპროცესო სამართლისათვის ცნობილი მეთოდები და, მათ შორის, მტკიცებულებებიც აღნიშნულის დასამოწმებლად, მაგრამ როდესაც ბრალდებული დიად აცხადებს თავისი თეოლოგიური პოზიციის თაობაზე, ანუ როდესაც სასამართლოსთვის განსახილველი არის არა ასეთ დროს, გამოყენებულ უნდა იქნეს სხვა მეთოდი, რათა დამოწმდეს თავად ამ მოსაზრების უმართებულობა ეკლესიის მოძღვრებასთან მიმართებაში. ამდენად, იმისათვის, რომ ბრალდებულს დაუდასტურდეს ცდომილება, საჭიროა წმინდა წერილიდან შესაბამისი ციტატის მოხმობა, რომელიც უტყუარი მტკიცებულება იქნება იმისა, რომ ბრალდებულის სადავო თეოლოგიური მოსაზრება ეწინააღმდეგება მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ მოძღვრებას. შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევაც, როდესაც სადავო შეხედულება ეხება არა წმ. წერილის, არამედ მისიდან გამომდინარე სა-

⁴³⁷ Краткий курс церковного права, დასახ. ნაშრომი, გვ. 185

დგომისმეტყველო პოსტულატს. ასეთ დროს, მტკიცებულების სახით გა-
მოდგება ეკლესიის მიერ აღიარებული წმ. მამის შეხედულება.

2.1. წმ. წერილის და საღმრთო წიგნების დამოწმება

IV მსოფლიო კრებაზე, მონოფიზიტობის მხარდამჭერ ევტიქის საქმის განხილვის დროს მტკიცებულებად გამოყენებულ იქნა სწორედ წიგნები-დან ციტატის მოხმობა. კრებამ განახორციელა მისი დაკითხვა ქრისტეს ბუნებათა შესახებ, ხოლო მას შემდეგ, რაც მოისმინეს მისი პო-ზიცია, რომ მისი რწმენით ქრისტე იყო ერთბუნებიანი, კრებამ შესაბამისი ციტატები მოიხმო ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ. „ამის შემდეგ და-დგენილი წესით წაკითხულ იქნა დამოწმებანი წმიდა მამათა და აღ-მსარებელთა“.⁴³⁸ საეკლესიო სწავლების მოხმობა თითქმის ოთხ გვერდ-ზეა. წმ. კრებამ ევტიქის სწავლების საწინააღმდეგოდ მოიყვანა ციტატები წმ. ილარიონ აღმსარებლისა და ეპისკოპოსის მე-9 წიგნიდან „რწმენის შესახებ“, წმ. გრიგოლი ნაზიანზელის დმრთის განცხადების დღეს წარ-მოთქმული სიტყვიდან, წმ. ამბორის მედიოლანელის მეორე წიგნიდან „რწმენის შესახებ იმპერატორის მიმართ“ და სხვა მამათა ნაწერებიდან.⁴³⁹

2.2. სადაცო მოსაზრებისა და მართლმადიდებლური სწავლების

შედარებები

საინტერესოა, აგრეთვე, ნესტორის მიმართ III მსოფლიო კრების მიმ-დინარეობისას მოხმობილი შედარებები წინა კრებაზე განკვეთილი პავლე სამოსაზრების მოსაზრებებთან და აგრეთვე, აქაც, დამოწმებები წმინდა წერილიდან ნესტორის ცდომილების თაობაზე. მოგვავს სრულად:

„მოწმობანი კონსტანტინოპოლის კლიროსისა,
საჯაროდ განცხადებული მთელი ეკლესიის წინაშე
მასზე, რომ ნესტორი თანამოაზრეა პავლე სამოსაზრებისა,
რომელიც ას სამოცი წლით ადრე ნესტორამდე
მართლმადიდებელი ეპისკოპოსების მიერ
გადაცემულ იქნა ანათემაზე

წმინდა სამების სახელით, გაფიცებო ყველას, ვინც მიიღებს ამ ქარტიას, განცხადოს იგი ეპისკოპოსებს, ხუცესებს, დიაკვნებს, წიგნის მკით-ხველებს და ერისკაცებს, რომლებიც კონსტანტინოპოლში ცხოვრობენ, აგრეთვე მისცენ მათ სიები აქედან, დასამოწმებლად იმისა, რომ მწვალებელი ნესტორი თანამოაზრეა პავლე სამოსაზრებისა, რომელიც ას სამოცი წლით ადრე გადაცემულ იქნა ანათემაზე მართლმადიდებელი ეპისკოპოსების მიერ. მათი სწავლება ამგვარია:

პავლე ამბობს: „მარიამს არ უშვია სიტყვა“. ამის შესატყვისადვე ამბობს ნესტორიც: „საყვარელნო, მარიამს არ უშვია დმერთი“.

პავლე: „იგი არ ყოფილა საუკუნეთა წინ“. ნესტორი: „დმერთს, რომელმაც დრო შექმნა, ისინი აძლევენ დედას, დროში მცხოვრებს“.

⁴³⁸ Дѣянія Вселенскихъ Соборовъ, изданныя въ русскомъ переводѣ, при Казанской Духовной Академіи, томъ IV, Казанъ, 1908, გვ. 224

⁴³⁹ იქვე, გვ. 225-228

პავლე: „მარიამმა მუცლად იფო სიტყვა, მაგრამ იგი არ ყოფილა უწინარეს სიტყვისა“. ნესტორი: „როგორ შეიძლებოდა, რომ მარიამს ეშვა ის, ვინც მის არსებობამდე იყო?“

პავლე: „მარიამმა შვა ისეთივე ადამიანი, როგორიც ჩვენ ვართ“. ნესტორი: „ქალწულისაგან შობილი არის ადამიანი“.

პავლე: „რომელიც, ყველაფრით, ჩვენზე უაეთესია, ვინაიდან იგი სულისაგან არს წმიდისა; მასზე იყო წინასწარმეტყველებანი, და როგორც წერილი ბრძანებს მადლი იყო მასზე“. ნესტორი ამბობს: „დავინახე სული წმიდა, რომელიც მტრედის სახით მასზე გადმოდიოდა“; ამ სულმა მიანიჭა მას ამაღლება: ბრძანებებს აძლევდა მოციქულებს, ბრძანებს წერილი, სული წმიდით ამაღლებამდე (საქმ. 1; 2); მანვე მისცა ქრისტეს მხოლოდ დიადი დიდება“.

პავლე ამბობს: „დავითის შთამომავალი ცხებულ იქნა იმის გამო, რომ თანაზიარი ყოფილიყო სიბრძნესთან, და რომ მასში დამკვიდრებულიყო სიბრძნე განსაკუთრებულად უხვად, ვიდრე სხვებში. იგი იყო წინასწარმეტყველებში, მაგრამ განსაკუთრებულად – მოსეში; იყო ბევრ წმიდაში, მაგრამ განსაკუთრებულად – ქრისტეში, როგორც ღმრთის ტაძარში“. სხვაგან ის ამბობს: „სხვა არის იესო ქრისტე და სხვა არის სიტყვა“. ნესტორი კი ამბობს: „შეუძლებელია შობილი უწინარეს საუკუნეთა შობილიყო ხელმეორედ, და დაბადებულიყო ღმრთაებრიობით“.

აი, მკაფიო დასტური იმისა, რომ ნესტორი განდგომილია ჭეშმარიტებისაგან, როდესაც ასწავლის, რომ შობილი მამისაგან არ არის შობილი ქალწულისაგან. აი, მისი თანამოაზრეობა მწვალებელ პავლე სამოსატელთან, რომელიც, საუბრობს ოა, რომ სხვა არის სიტყვა და სხვა არის იესო ქრისტე, და ისინი ერთი (პირი) არ არიან, არ ასწავლის ისე, როგორც ასწავლის მართლმადიდებლური რწმენა.

მიგითოთებ აქ, შენ, დაუჭვებულო წმინდა რწმენაში, როგორ აღიარებდა ქრისტიანული სწავლების ამ ნაწილს ანტიოქიის ეკლესია, რომლისგანაც ჩვენზე პირველივე საუკუნეებიდან გავრცელდა ქრისტიანის სახელი. იგი არ იცნობდა ღმრთის ორ ძეს, რომლისგანაც სხვა და სხვაა განსაკუთრებული არსი, არამედ ერთ ძეს, შობილს უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ღმერთს ღმრთისაგან მამისა, თანაარსის მამისა; ავგუსტუს კუისრის დროს შობილს ქალწული მარიამისაგან. ეს სწავლება გადმოცემულია ამ სიტყვებში: ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, თანაარსი მამისა, რომლისგან ყოველი მოეწყო და ყოველმან შეიძინა არსება; რომელი ჩვენთვის გარდამოხდა და იშვა წმიდა მარიამ მარადქალწულისაგან, ჯვარ ეცვა პონტოელი პილატეს დროს და სხვანი, როგორც ეს სიმბოლოშია ნათქვამი. ამავენაირად ასწავლის აგრეთვე ნეტარი ევსტათი, ეპისკოპოსი იმავე ანტიოქიისა, სამას თვრამეტ მამათაგან ერთ-ერთი, რომელიც ესწრებოდა წმიდა და დიდ კრებას⁴⁴⁰; მისი სიტყვები ამგვარია: „იგი არა მხოლოდ ადამიანია, არამედ ღმერთიცაა, როგორც ამბობს წინასწარმეტყველი ბარუქი: ეს არის

⁴⁴⁰ ოგულისხმება ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრება, 325 წ.

ღმერთი ჩვენი და სხვა არ შეირაცხება მის წინაშე. მან იპოვა უკელა გზა ცოდნისა და მისცა იგი იაკობს, თავის მორჩილს, და ისრაელს, რომელიც შეიყვარა. შემდგომად ამისა გამოჩნდა იგი დედამიწაზე და მიმოიქცეოდა ადამიანთა შორის. ხოლო განა მაშინ არ ცხოვრობდა იგი ადამიანთა შორის, როდესაც იშვა ქალწულისგან, როგორც სხვა ადამიანები იშვებიან; ასევე, როგორც ისინი, იყო ყრმა, იზრდებოდა, სვამდა, ჭამდა და მიიღო ადამიანური ბუნების უკელა სხვა თვისება?“ ამდენად, ვინც გაბედავს და იტყვის, რომ სხვა ძე არის მხოლოდ შობილი, შობილი მამისგან უწინარეს უკელა საუკუნეთა, და სხვა არის, ვინც იშვა მარიამ ქალწულისაგან, და არ არის ერთი და იგივე უფალი იესო ქრისტე, ანათემა მას!“⁴⁴¹

III მსოფლიო კრების ეს ოქმი მეტად საგულისხმოა იმ მხრივ, რომ მასში გადმოცემულია მტკიცებულებათა მოხმობის რამდენიმე სახე, ასევე საპროცესო რამდენიმე მოქმედებაც.

- (ა) კრება პარალელს ავლებს ნესტორის მოძღვრებასა და პავლე სამოსატელის მოძღვრებას შორის. აქ ჩანს წინა კრების გადაწყვეტილების-თვის ერთგვარი პრეცედენტის მინიჭების მცდელობა, რადგან მოქმედ კრებას შეუძლია თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს წინა კრების მიერ განხილულ როგორც მტკიცებულებას, ისე ამ მტკიცებულებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებას პავლეს აზრების მცდარობის შესახებ.
- (ბ) განსახილველ სადაცო მოსაზრებასთან მიმართებაში კრება ახდენს დეტალურ გამოკვლევას, რამდენად ზუსტია მისი აზრები პავლეს მოსაზრებებთან.
- (გ) კრებამ მიიჩნია, რომ რამდენადაც პავლესა და ნესტორის აზრები თანხვედრაშია, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი საიმისოდ, რომ ნესტორიც მწვალებლად ჩაითვალოს.
- (დ) ამის შემდეგ არის მიმართვა თავად ნესტორისადმი, სადაც ხდება სწორი სარწმუნოების განმარტება. ამ მოქმედებას მტკიცებულებად ვერ ჩავთვლით, თუმცადა, თავად საპროცესო თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა.
- (ე) ეს ციტატა სრულდება ნესტორის მიმართ ანათემით, თუმცა, აქ უნდა ითქვას, რომ მტკიცებულების ეს ნაწილი არ განეკუთვნება განკანონებას, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ანათემით არ ხდება რეალურად ანათემაზე გადაცემა. ეს, შეიძლება ითქვას, რომ უფრო მითითებაა იმის თაობაზე, რა ტიპის შეცოდება უდასტურდება ამ მტკიცებულებით ბრალდებულს და, ამავე დროს, იგი გამაფრთხილებელი მიმართვაცაა ბრალდებულისთვის.

⁴⁴¹ Дѣянія Вселенскихъ Соборовъ, изданныя въ русскомъ переводѣ, при Казанской Духовной Академиї, томъ I, Казань, 1910, гл. 156-157

3. კრების სწავლების გამოცემა მტკიცებულების სახით

მტკიცებულების ეს სახე, მსგავსად ზემოთ განხილული მტკიცებულებისა, უნიკალურია საეკლესიო სამართლის პროცესში და ამით იგი განსხვავდება საპროცესო სამართლში ზოგადად მიღებულ მტკიცებულებათა სახეებისაგან. მტკიცებულების ეს სახე შინაარსობრივად პრაქტიკულად წინა მტკიცებულების სახესხვაობა და მისი გაგრძელებაა.

მნიშვნელოვანი ისაა, რომ ისტორიულად საეკლესიო კრებები, როგორც წესი, მოიწვეოდა კონკრეტული მწვალებლობის საწინააღმდეგოდ და მის განსამარტად. კანონიკურად კი ეს გულისხმობს იმას, რომ საეკლესიო კრებები ერთ-ერთ ყველაზე მძიმე შეცოდებას (საეკლესიო დანაშაულს) განიხილავდნენ. კრების სწავლების გამოცემა მაშინ ხდებოდა საჭირო, როდესაც კრების მონაწილენი ნახვამონენ, რომ მათ მიერ განხილული საეკლესიო მოღვაწის მოსაზრებები ეწინააღმდეგებოდა ეკლესიის მოძღვრებას, მაგრამ ამის დასაღასტურებლად იმ აღებულ მომენტში არ მოიპოვებოდა საეკლესიო სწავლება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წმიდა წერილის ცალკეული ფრაზის განმარტებასთან დაკავშირებით იყო აზრთა სხვადასხვაობა, რა დროსაც, ბუნებრივია, ციტატა წმ. წერილიდან მტკიცებულების სახით ვერ გამოდგებოდა.

არასწორი მოძღვრების გამო პირის განკანონების განაჩენს თუკი მტკიცებულებად სწავლება უნდა დაედოს, ამისთვის, როგორც აღინიშნა, უნდა არსებობდეს ორი წინაპირობა: (ა) აზრთა სხვადასხვაობა უნდა იყოს წმ. წერილის ან გადმოცემის არა ტექსტის, არამედ მისი შინაარსისა და განმარტების მიმართ და (ბ) ამის თაობაზე არ უნდა არსებობდეს ეკლესიის შეთანხმებულად დამტკიცებული წმ. მამების ნაწერი, როგორც ეკლესიის უტყუარი სწავლება.

მსგავსი შემთხვევები არაერთია მსოფლიო კრებების ისტორიაში და მათ საოქმო ჩანაწერებში. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიხმოთ VI მსოფლიო კრების განსაზღვრება.

კრების ოქმიდან ჩანს, რომ იმპერატორმა კონსტანტინემ მიმართა კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსისა და პატრიარქის გიორგის წიგნის მკითხველსა და ნოტარიუსს აღათონს, რომ წაეკითხა კრების განმარტება. კრების განმარტება რამდენიმე გვერდიანია და იგი ძირითადად ეხება ეკლესიის ქრისტოლოგიურ სწავლებას. სწავლება ასევე იმოწმებს ნიკეის I და კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრებების მიერ მიღებულ მრწამსს და სხვა ძველ სწავლებებს, რომლებიც ამ მტკიცებულებით დამოწმებულ საკითხებს ეხება.

საგულისხმოა, რომ სწავლება სრულდება განკვეთითა და ანათემით ყველა იმის მიმართ, ვინც უტყუარ მტკიცებულებად არ მიიჩნევს ამ სწავლებას ჭეშმარიტად: „ხოლო მათ, ვინც დაამახინჯებენ ან შექმნიან სხვა მოწმობას... რომელიც ჩვენ მიერ განისაზღვრა, განვაძევებოთ – უპის-

კოპოსებს ეპისკოპოსობიდან, სამღვდელოებას მდვდლობიდან, ხოლო თუ მონაზონი ან ერისკაცია, გადავცემთ ანათემას“.⁴⁴²

4. მოწმის ჩვენება

მოწმის ჩვენება საეკლესიო სამართალში ყველაზე გავრცელებული და ხშირად გამოყენებადი მტკიცებულებაა. მოწმის ჩვენებასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებენ კანონიკური ნორმები, გვხვდება განხილულ პრაქტიკაში.

4.1. პირები, რომლებიც მოწმედ არ მიიღებიან

ამ ქვეთავს ნეგატიური სათაური შევურჩიეთ იმდენად, რამდენადაც კანონიკური სამართალი ვრცელ ჩამონათვალს აკეთებს იმ პირებისა, რომლებსაც ეკრძალებათ მოწმედ ყოფნა და მათი ჩვენება ვერ იქნება მიღებული მტკიცებულებად.

უპირველესად აღვნიშნავთ, რომ ყველა ის პირი, ვინც არ შეიძლება იყოს ბრალმდებელი (და ამის თაობაზე ითქვა ზემოთ), ასევე არ შეიძლება რომ იყოს მოწმეც: „მოწმედ არ მიიღებოდნენ ის პირები, რომლებსაც ბრალდების უფლება არ ჰქონდათ“.⁴⁴³ თუმცა, როგორც ქვემოთ ჩამოთვლილიდანაც ჩანს, იმ პირთა ნუსხა, ვინც მოწმედ არ მიიღება, მცირედით ვრცელია პოტენციურ ბრალმდებელთა ნუსხაზე და აქ, ზემოხსენებული ნუსხისგან განსხვავებით გვხვდება საქმეში მონაწილე პირი, მხოლოდ ერთი მოწმე, ნათესავი და დაინტერესებული პირი:

- (ა) ურწმუნო – თანახმად კართაგენის 129-ე კანონისა;⁴⁴⁴
- (ბ) მწვალებელი – თანახმად მოციქულთა 75-ე და II მსოფლიო კრების მე-6 კანონებისა;⁴⁴⁵
- (გ) განხეთქილნი და განკვეთილნი,
- (დ) ის, ვინც თავად არის ბრალდებული – ორივე თანახმად II მსოფლიო კრების მე-6 კანონისა;⁴⁴⁶
- (ე) ის, ვინც მონაწილეობდა საქმის გარჩევაში – თანახმად კართაგენის 59-ე კანონისა: „უკუეთუ საეკლესიოთაგანნი ვინმე მიზეზთა რათათვესმე განისჯებოდინ, არა მიიწოდნენ იგინი სამსჯავროდ წამებისათვეს მათ საქმეთავსა, რომელთათვეს განიკითხვოდინ“;⁴⁴⁷
- (ვ) მხოლოდ ერთი მოწმე (ერთი ჩვენებით) – თანახმად წმ. წერილისა (მთ. 18:16) და მოციქულთა 75-ე კანონისა;⁴⁴⁸
- (ზ) 14 წლის ასაკს მიუღწეველი – თანახმად კართაგენის 131-ე კანონისა;⁴⁴⁹

⁴⁴² Дѣянія Вселенскихъ Соборовъ, изданныя въ русскомъ переводѣ, при Казанской Духовной Академіи, томъ VI, Казань, 1908, გვ. 219-222

⁴⁴³ Краткий курс церковного права, დასახ. ნაშრომი, გვ. 185

⁴⁴⁴ დიდი სჯულისკანონი, გვ. 352

⁴⁴⁵ იქვე, გვ. 224, 262

⁴⁴⁶ იქვე, გვ. 262

⁴⁴⁷ დიდი სჯულისკანონი, გვ. 318

⁴⁴⁸ იქვე, გვ. 224, აგრეთვე, მცირე სჯულისკანონი, გვ. 69

⁴⁴⁹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 352

(მ) მოწმის ნათესავი – თანახმად „საეკლესიო სასამართლოებისა და მათი სამართლწარმოების შესახებ“ საბერძნეთის კანონის 68-ე მუხლისა;⁴⁵⁰

(ი) საქმეში დაინტერესებული პირი – თანახმად კართაგენის 59-ე კანონისა.⁴⁵¹

ამდენად, შეგვიძლია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ, რომ კანონიკური სამართლის მიხედვით მოწმედ შეიძლება გამოძახებულ იქნეს მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელიც არ იმყოფება ეპიტიმიის ქვეშ და შეუსრულდა 14 წელი.

4.2. სასამართლო პრაქტიკა მოწმის ჩვენების გამოყენების თაობაზე

მოწმის ჩვენებასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესო პრაქტიკას ვხვდებით ძევლი საეკლესიო სასამართლოს გადაწყვეტილებებში. ზოგიერთი მათგანის თაობაზე ჩვენ ზემოთაც გვქონდა საუბარი.

მოწმის მიერ ჩვენების მიცემას ვხვდებით იოანე ავალისშვილის საქმეზე მდვდელ ლაზარეს წინააღმდეგ: „იოანე ავალისშვილს მოწმეები ვსთხოვეთ. რომელსაც ჩიოდა, ეს მართალი ყოფილიყო. ამის საქმისათვის ოთხმა და ხუთმა უმოწმა ავალისშვილს და თავისი საჩივარი დამტკიცებით აღმოუჩინეს, რომ ამის თქმული ყოველივე მართალია.“⁴⁵² მოცემულ შემთხვევაში არ ჩანს, შეამოწმეს თუ არა კანონიკურ ნორმებთან შესაბამისობაში მოწმეების პიროვნება. ამასთან, ისიც უცნობია, რას გულისხმობს „ოთხმა და ხუთმა“, რადგან აქ არ ჩანს მოწმეების ზუსტი რიცხვი, თუმცა, ისიც არის, რომ კანონიკურად დადგენილ მოთხოვნას – მინიმუმ როს აქმაყოფილებს განხილული განჩინება.

საეკლესიო სამართლის პროცესის ინკვიზიციურ ხასიათი ჩანს ზემომოყვანილ მაგალითში ავალიშვილის საქმეზე, სადაც საეკლესიო სასამართლო აღნიშნავს, რომ „მოწმეები ვსთხოვეთ“, ასევე, 1795 წლის 30 მაისის განჩინებაში მოსე ხეციშვილისა და გიორგი ხარებაშვილის საქმეზე. საქმის მსვლელობიდან ჩანს, რომ სადავო საკითხზე (კერძოდ, თუ რომელს ეპყრა ხელო ხატი დღესასწაულებზე) ერთმანეთში დავობდნენ და ვერც ერთი მხარე ვერ ამტკიცებდა თავის სიმართლეს. ამის გამო საქმის განმხილველმა ურბნელმა ეპისკოპოსმა იულიოსმა მხარეებს მოსთხოვა ან მოწმეების მოყვანა ან წერილის მოტანა: „ამათი ლაპარაკი, დიად, უძლური და შეუწყნარებელი სიტყვა იყო. ორისავ მხარს სამართალმა მოწამე მოსთხოვა და წერილებიც“.⁴⁵³

ცრუმოწმეობასთან დაკავშირებით აუცილებელია მოვიხმოთ ეპ. ნიკოდიმოსის ზემომოყვანილი მოსაზრება, რომ სასამართლო დადასტურებული ცრუმოწმეობის დროს არ მიმართავდა დამატებით განხილვას და აქედან გამომდინარე, მათ „სასამართლო მაშინვე, იქვე უსჯიდა სასჯელს“.⁴⁵⁴

⁴⁵⁰ Βλασίου Ιω. Φείδα, Δασάκ. კრებული, გვ. 503

⁴⁵¹ დიდი სჯულისკანონი, გვ. 318

⁴⁵² ქართული სამართლის ქველები, ტ. V, გვ. 108

⁴⁵³ იქვე, ტ. V, გვ. 660

⁴⁵⁴ Никодимъ, Православное Церковное право, Дасак. ნაშრომი, გვ. 478

რაც შეეხება აღსარებისას მიღებულ ცნობას, რუსეთის საეკლესიო სასამართლოს დებულების მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის მე-4 ქვეპუნქტის თანახმად, მტკიცებულების ძალა არ აქვს.⁴⁵⁵

5. ფიცი

საეკლესიო სამართალში მოწმის ჩვენებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ფიცი. ზოგადად, ქრისტიანული მოძღვრება კრძალავს ფიცს, რადგან ქრისტიანის დასტური დასტური უნდა იყოს და უარი – უარი (მთ. 5:34-37). თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, იმის გამო, რომ სახარებისეული ეს სწავლება ხშირად არ სრულდება ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, კანონიკურმა სამართალმა დაადგინა ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ფიცთან დაკავშირებულ საკითხებს.

5.1. კანონიკური ნორმები ფიცის გამოყენების თაობაზე

კანონიკური ნორმებით დადგენილია შემთხვევები და წინაპირობები, როდესაც ფიცი იკრძალება.

ფიცის დადება იკრძალება, ხოლო დადების შემთხვევაში – დაფიცებულის შესრულება იკრძალება, თუკი ეს ფიცი, ბოროტ საქმეს ეხება, თანახმად ბასილი დიდის 29-ე კანონისა.⁴⁵⁶ თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს კანონი უშუალოდ არ ეხება ფიცს, როგორც მტკიცებულებას, არამედ მასში განხოგადებულია ფიცის მიმართ დამოკიდებულება. ჩვენი აზრით, ეს კანონი განსახილველ საკითხთან მიმართებაში მაინც აქტუალურია, რადგენადაც გადმოსცემს ფიცისადმი ეკლესიის დამოკიდებულებას, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ სასამართლოს მიერ, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას მტკიცებულების ამ სახის გამოყენების თაობაზე.

მცირე სჯულისკანონი კი მღვდლებს საერთოდ უკრძალავს ფიცს: „არცა ყოვლადვე წეს არს მღვდელთა ფიცი“.⁴⁵⁷

5.2. ფიცის ჩამორთმევის წესი

ზემოთქმულიდან გამომდინარე და ასევე ზოგადად, ეკლესიის ფიცისადმი დამოკიდებულების გათვალისწინებით ლაოდიკის კრების 26-ე კანონით დადგინდა, რომ „ვითარმედ არა უქმს ფუცებად მათი, რომელნი არა მოყუანებულ იქმნენ წინაშე ეპისკოპოსისა, არცა ეკლესიათა შინა, არცა სახლთა“.⁴⁵⁸

ლაოდიკის ხსენებული კანონით დგინდება, რომ ფიცის ჩამორთმევის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ეპისკოპოსს. ჩვენის მხრით დავძენთ, რომ ეს, სავარაუდოდ, უნდა ხდებოდეს გამოუვალ და განსაკუთრებულ სიტუაციაში. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიხმოთ ზემომოყვანილი განჩინება ხუციშვილის მნათეობის საქმეზე. როგორც აღინიშნა, საქმის განმხილველმა ეპისკოპოსმა ვერ დაადგინა სიმართლე და მოითხოვა მოწ-

⁴⁵⁵ <http://www.patriarchia.ru/db/print/428440.html>

⁴⁵⁶ დიდი სჯულისკანონი, გვ. 487-488

⁴⁵⁷ მცირე სჯულისკანონი, გვ. 107

⁴⁵⁸ დიდი სჯულისკანონი, გვ. 256

მექი ან წერილი. იმის გამო, რომ მათ მიერ წარმოდგენილ წერილებსაც არ ენდო, მან უკვე მოითხოვა არა მხოლოდ მოწმეები, არამედ ფიციც, რათა ამით გამყარებულიყო ერთი ან მეორე მხარის პოზიცია: „ამათმა ლაპარაკმა სამართალს ეჭვი მისცა და დააფიქრა. სამართალმა სარწმუნო მოწმეები და წერილები სთხოვა და ფიცი. ამ სამში ერთი უნდა ეშოვნა; და პეიმანი ერთი კვირა დავუდევით. ამ ერთ კვირაში უნდა ეშოვნა“.⁴⁵⁹

პირდაპირ ფიცის მოთხოვნა ჩანს ანტონ I-ის 1766 წლის 27 მაისის ბრძანებაში ზურაბ ხითარიშვილისადმი ყმაზე დავის ფიცით გადაწყვეტის შესახებ: „მურვანისშვილი რომ ურიაზედ ლაპარაკობს, მიღი ცხინვალს. თუ ბაზაზისშვილი ან თამარაშნელი მოძღვარი მოფიცრათ იშოვნოს, რომ სვეტის ცხოვლის ყმა იყოს, ესენი დააფიცე და საჩვენოთ დაზდევ. თუ ესენი მოფიცრათ ვერ იშოვნოს, აუყარე და მურვანისშვილს მიაბარე. თავისი ყმა ყოფილა“.⁴⁶⁰

მეორე გვერდზე წაწერილია ხითარიშვილის მიერ: „თამარაშნელი მოძღვარი და ბაზაზისშვილი დავითა მოგხი; და ამ ურიას ვერ უფიცეს. და ეს ურია თავის შვილებით მურვანისშვილებს დარჩა, სხვას ხელი არ აქვს“.⁴⁶¹ ამდენად, ქონებრივი დავა ანტონ I-ის ბრძანებით გადაწყდა ფიცით. აქ საინტერესოა ისიც, რომ ზემომოყვანილი მცირე სჯულისკანონის განწესისაგან განსხვავებით, მდვდელს მოთხოვეს დაფიცება.

5.3. ფიცის ფორმა და მისი მნიშვნელობა

ბასილი დიდის მიხედვით, განსხვავდება ფიცი და მისი ფორმები, რის გამოც, თითოეული მათგანს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. სავარაუდოდ, მათ განსხვავებული მნიშვნელობა უნდა ექნეთ კანონიკური თვალსაზრისითაც:

„ხოლო განხილვად სათანადო არს სახესაცა ფიცისასა და სიტყუათა და მიზეზსა გულითადობისასა, რომლისა ძლით ფუცეს მათ და წულილ-წულილადთა მათ დასართავთა სიტყვებითაც“.⁴⁶²

როგორც ვხედავთ, ფიცი განსხვავდება სამი კომპონენტით: (ა) ტექსტი, (ბ) გულითადობა და (გ) გასამშვენებელი (ან დამამძიმებელი) სიტყვები. ამდენად, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რას ამბობს დამფიცებელი, როგორ ამბობს და იმასაც, რითი ამკობს თავის ფიცს.

საგულისხმოა, რომ რუსეთის საეკლესიო სასამართლოს დებულებას თან ერთვის მოწმის ფიცის ტექსტი. ფიცის ტექსტი ორ ვარიანტად არის მოცემული: იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმე მართლმადიდებელია და როდესაც მოწმე არ არის მართლმადიდებელი (ეს, სავარაუდოდ, საერო სასიათის საქმის განხილვის დროს). მოწმუნის ფიცი შემდეგნაირა:

„მე, სახელი, მამის სახელი, გვარი (სახულიერო პირი მიუთითებს აგრეთვე თავის ხარისხს), ვაძლევ რა მოწმის ჩვენებას საეკლესიო სასა-

⁴⁵⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 661

⁴⁶⁰ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 861

⁴⁶¹ იქვე

⁴⁶² იბ. ბასილი დიდის მე-10 კანონი, დიდი სჯულისკანონი, გვ. 480

მართლოს, წმინდა ჯვრისა და სახარების წინაშე ვდებ აღთქმას ვილაპარაკო სიმართლე და მხოლოდ სიმართლე“.

რაც შეეხება არამართლმადიდებლის ფიცს, იგი მოკლეა:

„მე, სახელი, მამის სახელი, გვარი, ვაძლევ რა მოწმის ჩეგნებას საეკლესიო სასამართლოს, ვდებ აღთქმას ვილაპარაკო სიმართლე და მხოლოდ სიმართლე“.⁴⁶³

5.4. განკანონება ცრუ ფიცისათვის

ფიცს, მტკიცებულება იქნება იგი თუ სხვა მოტივით განპირობებული, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საეკლესიო სამართლი და ცრუდ დაფიცებისათვის საკმაოდ მძიმე სასჯელს ადგენს. ბასილი დიდის 64-ე კანონის თანახმად, ცრუ ფიცისათვის 10 წლით უზიარებლობა არის დადგენილი. ⁴⁶⁴ გამონაკლის ადგენს ბასილი დიდისვე 82-ე კანონი, რომლის შესაბამისად, თუკი ცრუდ დაფიცება გაჭირვების ან იძულების გამო მოხდა, ასეთ დროს სასჯელად 6 წლით უზიარებლობაა დადგენილი.⁴⁶⁵

6. სხვა მტკიცებულებები

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ საეკლესიო კანონები უშუალოდ არ ეხებიან და არ განსაზღვრავენ სხვა სახის მტკიცებულებებს, გარდა იმისა, რაც ზემოთ იყო მოყვანილი. თუმცა საეკლესიო სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად შესაძლებელია გამოიყოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებსაც მიმართავდა საეკლესიო სასამართლო საქმეების განხილვის დროს. ამდენად, აქ მოგვყავს მტკიცებულებათა ის სახეები, რომელთა გამოყენებასაც გხვდებით საეკლესიო სამართლის საქმეებზე, მაგრამ მათი რეგულაცია არ მოიპოვება საეკლესიო კანონებში და აგრეთვე ისინი, რომელთა შესახებ მითითებულია საეკლესიო სამართლის თანამედროვე დებულებებში.

6.1. დოკუმენტი

დოკუმენტის თაობაზე, როგორც აღინიშნა, საეკლესიო კანონებში არ გვხდება პირდაპირი მითითება, თუმცა საეკლესიო პრაქტიკის განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსგავს მტკიცებულებას იცნობს კანონიკური სამართლი და იგი არაერთხელ გამხდარა ცალკეული გადაწყვეტილების წინაპირობა.

ერთადერთი კანონიკური განწესი, რაც ამის თაობაზე გვხვდება, არის საქართველოს ეკლესიის 1917 წლის დებულების §39: „განაჩენს სასამართლოს წევრები დაადგენენ თავისი შინაგანი დარწმუნების თანახმად, და მხოლოდ მას შემდეგ, როცა შემოწმებულ იქნება სასამართლოში წარმოდგენილი საბუთები“⁴⁶⁶

⁴⁶³ <http://www.patriarchia.ru/db/print/428440.html>

⁴⁶⁴ დიდი სჯულისკანონი, გვ. 494

⁴⁶⁵ იქვე, გვ. 496

⁴⁶⁶ საქართველოს ეკლესიის 1917 მართვა-გამგეობის დებულება, დასახ. გამოცემა, გვ. 23-24

ზაოზერსკის მოყვანილი აქვს ციტატა სასამართლო პროცესიდან, რომ ვინმე ივას „ბრალი დასძეს, რომ მან წმ. კირილე ალექსანდრიელს მწვალებელი უწოდა. მან აღნიშნა, რომ მოხდა ამგვარი რამ, მაგრამ შემდეგ მას შეურიგდა. ამის დასამტკიცებლად ივამ მომმართა წერილობით საბუტს, სწორედ რომ თავის წერილს სპარსელი მარრას მიმართ, რომელიც მართლაც იყო წაკითხული კრებაზე და ამტკიცებდა ივას ჩვენებას“.⁴⁶⁷ ჩვენ მიერ განხილულ პრაქტიკაში დოკუმენტს „წერილი“, „წიგნი“ ან „საბუტი“ ეწოდება.

მოსე ხუციშვილისა და გიორგი ხარებაშვილის მნათეობის საქმეზე გამოტანილ განჩინებაში რამდენიმეგან არის მითითება დოკუმენტის, როგორც მტკიცებულების შესახებ:

- (ა) „ორისავ მხარს სამართლმა მოწამე მოსთხოვა და წერილებიც...“
- (ბ) „ეს... წიგნები მხოლოდ ხუციშვილებს აცხადებდა და ხარებაშვილის გვარობის ხუციანობის ძის კი არას...“
- (გ) „ხარებაშვილს ნუგზარ ერისთავის სითარხნის წიგნი აქუს და იმ ეკლესიის მნათეობას უცხადებს...“
- (დ) „ხარებაშვილს სამართალში სხვა საბუტი მოჰკონდა...“⁴⁶⁸

6.2. დათვალიერება

დათვალიერების შესახებ, მსგავსად დოკუმენტისა, საეკლესიო კანონები არ უთითებენ. თუმცა, ამ მტკიცებულების გამოყენების თაობაზე არ-სებობს როგორც საეკლესიო სამართლის მკვლევართა ნაშრომებში მითითებები, ისე მაგალითები საეკლესიო სასამართლოს პრაქტიკიდან.

ეპ. ნიკოდიმოსი აღნიშნავს, რომ „დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, თუ საეკლესიო სასამართლო აღმოაჩენს, რომ აუცილებელია გამოძიება ადგილზე, მაშინ იგი უფლებამოსილებით აღჭურვავს სანდო პირს, რომელიც ვალდებულია მას წარუდგინოს ზედმიწევნითი მოხსენება“.⁴⁶⁹ როგორც ვხედავთ, ეპისკოპოსს მიაჩნია, რომ დათვალიერების თაობაზე (ა) სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება (ბ) უნდა აღასრულოს სასამართლოსთვის ნდობით აღჭურვილმა პირმა, რომელიც შემდეგ (გ) სასამართლოს წარუდგენს მოხსენებას და, სავარაუდოდ, ამ დოცუმენტს მიეცემა მტკიცებულების სახე.

რაც შეეხება პროფ. ბერდნიკოვს, იგი საუბრობს რა ადრინდელი საუკუნეების ეკლესიაზე და მის სასამართლოზე, აღნიშნავს, რომ „ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ ვხვდებით, აგრეთვე, დებულებას გამოძიების დაწყების შესახებ, როდესაც გამოძიებამ მოითხოვა ზოგიერთი ფაქტის ადგილზე დამოწმება“.⁴⁷⁰

ჩვენს მიერ განხილულ დოსითეოს ნეკრესელის 1791 წლის 9 ნოემბრის განჩინებაში პეტრე მღვდლის სახისხლო საქმეზე ვხვდებით დათვალიერება.

⁴⁶⁷ Н. Заозерский, Церковный судъ въ первые вѣка христіанства, гл. 328

⁴⁶⁸ იხ. ქართული სამართლის დებულები, ტ. V, გვ. 660-661

⁴⁶⁹ Никодимъ, Православное Церковное право, დასახ. ნაშრომი, გვ. 486

⁴⁷⁰ Краткій курсъ церковнаго права, დასახ. ნაშრომი, გვ. 186

ერების, როგორც მტკიცებულების სახეს. პეტრე მღვდელს მისმა ძმამ ნიკოლაოს მღვდელმა უჩივლა, რომ მან ძალიან მძიმედ დააზიანა: „ძალიერ მტერსავით დაეკრა, თავი ძალიერ გაეტეხა, ბეჭები და გული შე-დებული ჰქონდა გარშემო, თავისა და კისრის გარშემო დალურჯებული ჰქონდა“.⁴⁷¹ იმის გამო, რომ საჩივრის თანახმად დაზიანება საკმაოდ მძიმე ჩანდა, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ცემის შედეგად მიყენებული და-ზიანებები თავად შეემოწმებინა და აღნიშნულის სიმძიმის შესაბამისად გამოეტანა განჩინება: „ჩვენ ვნახეთ, გავსინჯეთ ეს ნაცემები, ძალიერ შევ-სწუხდით და გვეწყინა“.⁴⁷²

ამის შემდეგ, განჩინებაში ჩანს, რომ გამოტანილი გადაწყვეტილება სწორედ რომ დათვალიერების შედეგად მიღებულ მტკიცებულებას ეფუძნება.

6.3. ნივთმტკიცება

ნივთმტკიცების თაობაზე საეკლესიო კანონები, როგორც ზემოთ დოკუ-მენტებსა და დათვალიერებაზე მსჯელობისას მიღუთითეთ, არ არსებობს. პროფ. ბერდნიკოვიც ზოგადად უთითებს ნივთმტკიცების თაობაზე და აღნიშნავს, რომ „მოწმეთა ჩვენების გარდა სასამართლოზე მტკიცებუ-ლების სახით გამოიყენებოდა სამხილებიც, როგორც ნივთიერი, ისე სხვა სახის“.⁴⁷³ ამდენად, აქაც ვხელმძღვანელობთ განხილული პრაქტიკით.

ნივთმტკიცება ნახსენებია დიკასტერის სასამართლოს 1790 წლის 26 ივლისის განჩინებაში, რომელიც შეეხებოდა რუსთავის, ბოდბისა და მარ-ტყოფის ეპარქიების დავას ქონებრივ საკითხზე:

„ამისას ჩუენ ასე გვსჯით: თუ აიდემურმა სარწმუნო და მტკიცე ნიშანი რამ მოიტანოს...“⁴⁷⁴

ნივთმტკიცებას, უფრო ზუსტად კი დანაშაულის ჩადენის ნივთს ეხება კათალიკოს ანტონ II-ის 1796 წლის 12 მარტის ბრძანება სახლთუხუცეს ამილბარისადმი მკვლელის თოვისა და ხმლის მიბარების შესახებ.⁴⁷⁵

6.4. ექსპერტის დასკვნა.

ექსპერტის დასკვნას, როგორც ასეთს, საეკლესიო კანონმდებლობა არ იცნობს. თუმცა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თუნდაც ზემოთ მოყვანილი დათვალიერების შედეგად მიღებული დასკვნა ეფუძნებოდა ექსპერტების, ანუ იმ საქმის მცოდნეთა დასკვნას, ვისაც დაევალა დათვალიერების ჩატარება, მაგრამ სხვა მტკიცებულება ამგვარი ვარაუდისთვის არ გვაქვს. რაც შეეხება თანამედროვე საეკლესიო კანონ-მდებლობას, ექსპერტის დასკვნას, როგორც მტკიცებულების სახეს ად-გენს როგორც რუსეთის საეკლესიო სასამართლოს დებულების 21-ე მუხ-

⁴⁷¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 549

⁴⁷² იქვე

⁴⁷³ Краткий курс церковного права, да са б. ნაშრომი, გვ. 185-186

⁴⁷⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 506

⁴⁷⁵ იქვე, გვ. 1025

ლი⁴⁷⁶ ისე „საეკლესიო სასამართლოებისა და მათი სამართალწარმოების შესახებ“ საბერძნეთის კანონის 68-ე მუხლი⁴⁷⁷

⁴⁷⁶ <http://www.patriarchia.ru/db/print/428440.html>

⁴⁷⁷ Βλασίου Ιω. Φείδα, დასახ. კრებული, გვ. 503

დ ა ს პ გ ნ ა

სადისერტაციო ნაშრომი, როგორც ეს შესავალშიც აღინიშნა, არის დიდი სჯულისკანონის, საეკლესიო სამართლის სხვა წყაროების, მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო სასამართლო გადაწყვეტილებების ქართულ სამეცნიერო სინამდვილეში პირველი კანონიკურ-სამართლებრივი ანალიზის მცდელობა საეკლესიო სამართლის პროცესის სრული მიმდინარეობის შესახებ. კვლევის დროს მიგნებულ, დაზუსტებულ და გამიჯნული იქნა საეკლესიო სამართლის პროცესის მთელი რიგი სამართლებრივი ინსტიტუტები, განხილულ იქნა ისინი კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. კანონიკურ-სამართლებრივი ანალიზი ჩაუტარდა, აგრეთვე, საეკლესიო სამართლის მდიდარ ქართულ წყაროებს სადისერტაციო ნაშრომში დასახული მიზნის და ამოცანის მისაღწევად მნიშვნელოვანი თემატიკის გათვალისწინებით.

სადისერტაციო ნაშრომით იყო მცდელობა, რომ გადაწყვეტილიყო შემდეგი საკითხები საეკლესიო სამართლის პროცესში:

1. ნაშრომის შესავალში აღნიშნული იყო ზოგადად საეკლესიო სამართლის და კერძოდ საეკლესიო სამართლის პროცესის კვლევის იმ მნიშვნელობაზე, რაც დღეს არსებობს ქართულ სამართლისმცოდნეობის მეცნიერებაში. აღნიშნა ისიც, რომ საეკლესიო სამართლის პროცესის კვლევა სადისერტაციო ნაშრომისათვის შეირჩა იმის გამო, რომ საპროცესო ნორმები, ზოგადად, მნიშვნელოვანია სამართლის დარგის კვლევისთვის, მის შესახებ უფრო სრული და ზუსტი წარმოდგენის შესაქმნელად. საპროცესო ნორმების გამოყენებით, შეიძლება ითქვას, ხდება სამართლებრივი დარღვევის გამოვლენა, გამოძიება, განხილვა, გადაწყვეტილების მიღება – სამართლიანობის აღდგენა და ამ გადაწყვეტილების აღსრულება. ამ ყოველივეს შესწავლით იქნა გამოკვლეული საეკლესიო სამართლის ეს მნიშვნელოვანი მიმართულება.

2. სადისერტაციო ნაშრომს სამეცნიერო მნიშვნელობის გარდა პრაქტიკული ხასიათიც აქვს: რამდენადაც დღესდღეობით საეკლესიო სასამართლო საქართველოში დამოუკიდებელი სახით არ არსებობს და სასამართლო ფუნქციები შეთავსებული აქვთ ადგილობრივ მდგრელმთავარსა და წმ. სინოდს. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყდა საეკლესიო სასამართლოს აღდგენა, ამას ხელს შეუწყობს საეკლესიო საპროცესო ნორმების მეცნიერული დამუშავება.

3. ნაშრომში გამოყოფილ იქნა საეკლესიო სამართლის პროცესის ის პრინციპები, რომლებიც სპეციფიკურია საეკლესიო სამართლისათვის და მას განასხვავებს საერო სამართლისაგან. მართლაც, ყველა ბრალდების დამტკიცების პრინციპი (როდესაც ერთი ბრალმდებლის ერთი ბრალდება ვერ მტკიცდება, სხვა დანარჩენი იხსნება განხილვიდან), სასულიერო პირის ხარისხით ჩამოქვეითების დაუშვებლობა (როდესაც იკრძალება სასულიერო პირის ქვედა ხარისხამდე ჩამოქვეითება, ანუ უნდა მოხდეს მისი მთლიანად განკვეთა) და სხვა დანარჩენი განსაკუთრებულია საეკლესიო სამართალში. აღინიშნა ისიც, რომ ერთი დანაშაულისთვის

ორჯერ დასჯის დაუშვებლობის საყოველთაო პრინციპი ძველი აღ-
თქმიდან იღებს სათავეს.

4. საგულისხმოა, რომ შესწავლილ სამეცნიერო ნაშრომებში საერთოდ
არ გვხვდება მითითება საეკლესიო სამართლის პროცესის პრინციპებზე
და აღნიშნული წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის სიახლეს.

5. სადისერტაციო ნაშრომში არა მხოლოდ კანონიკური ნორმების
ანალიზის შედეგად იქნა ამოკრებილი ის დებულებები, რომლებიც
საეკლესიო სამართლის პრინციპებს ადგენენ, არამედ განხილულ იქნა
საეკლესიო სასამართლოების პრაქტიკა ამ თვალსაზრისით და დადგინდა,
რომ ეკლესია არცთუ იშვიათად მიმართავდა ამ პრინციპებს ცალკეული
საქმეების განხილვის დროს.

6. რაც შეეხება განსჯადობის საკითხს, აქ ჩატარდა საეკლესიო
კანონებისა და სამეცნიერო ნაშრომების ანალიზი, განხილულ იქნა
ხელმისაწვდომი სასამართლო პრაქტიკაც, რის შედეგადაც
სადისერტაციო ნაშრომით ჩამოყალიბებულ იქნა ის დებულებები, რაც
დადგენილია საეკლესიო სამართალში განსჯადობის თაობაზე,
საეკლესიო სამართლის თითოეულ სუბიექტთან დაკავშირებით.

7. განსჯადობასთან მიმართებით მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ
ქართული საეკლესიო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე
განხილულ იქნა განსჯადობის ის სპეციციური დებულებები, რომლებიც,
როგორც გამოჩნდა, ნორმატიულ ხასიათს ატარებდა და გამოიყენებოდა
საქართველოს სინამდვილეში. აღნიშნულის თაობაზე მოხმობილ იქნა
მცირე სჯულისკანონის ის ნორმებიც, რომლებიც არ გვხვდება დიდ
სჯულისკანონში და, შესაძლოა, წარმოადგენდა სახელმძღვანელო
დადგენილებებს საქართველოს ეკლესიისათვის.

8. საგულისხმოა, რომ დიდი სჯულისკანონის ნორმებში აღმოჩენილ იქნა
არაპირდაპირი მითითება საქმის განმხილველ პირთა აცილების თაობაზე,
რაც, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, როგორც სამართლებრივი
ინსტიტუტი, გამოყოფილ იქნა ცალკე ქვეთავად.

9. სამეცნიერო წრეებში საქმის აღძვრის თაობაზე არსებული აზრთა
სხვადასხვაობა განხილულ იქნა კრიტიკულად, კვლევის ლოგიკური
მეთოდის გამოყენებით სადისერტაციო ნაშრომით დადგენდა ყველაზე
ოპტიმალური მოსაზრება. ამასთან, ანალიტიკურად იქნა განხილული
ხელმისაწვდომი სასამართლო პრაქტიკა, რის შედეგადაც გამოიყო საქმის
აღძვრის სხვა საფუძვლებიც, რომლებიც საეკლესიო კანონებში არ
გვხვდება.

10. იმის გათვალისწინებით, რომ საეკლესიო სამართალი მკაცრად
ზღუდავს იმ პირთა წრეს, რომლებიც შეიძლება იყვნენ საეკლესიო
ხასიათის საქმეებზე ბრალმდებლები (განსხვავებით საერო ხასიათის
საქმეებისგან), სადისერტაციო ნაშრომისათვის ჩატარდა მრავალმხრივი
კვლევა იმ პირთა წრის სრულყოფილად დასადგენად, რომლებიც
ბრალმდებლად ვერ იქნებიან.

11. წინაპირობები ბრალდების დასაწყებად წარმოადგენს მთლიანად კანონების, პრაქტიკისა და ცალკეულ სამეცნიერო მოსაზრებათა კრიტიკული ანალიზის შედეგად მიღებულ შედეგს, რადგან ცალკე არსად არ არის ასე გამოყოფილი.
12. საინტერესოა, რომ სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას დადგინდა მნიშვნელოვანი საკითხი ქართული სამართლის ისტორიისათვის, კერძოდ მოციქულთა განწესებებში მიგნებულ იქნა სააჯო კარის ორშაბათს გამართვის მიზეზი, რომლის თაობაზე მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო.
13. ცალკე გამოყოფილ იქნა ეკდიკების ინსტიტუტი, რომელიც მეცნიერთა მოსაზრებით წარმოადგენს ადვოკატის ინსტიტუტის პირველ ჩანასახს საეკლესიო სამართლში და მის პროცესში.
14. იმის გათვალისწინებით, რომ საეკლესიო სამართლის პროცესი არ არის მკაცრად რეგლამენტირებული და მისი მრავალი ინსტიტუტი, როგორც არა ერთხელ ადინიშნა, ისტორიული განვითარების შედეგად, ჩვეულებით ჩამოყალიბდა და კანონიკურად არ არის განსაზღვრული, საჭიროებამ მოითხოვა, რომ სადისერტაციო ნაშრომში ცალკე ყოფილიყო განხილული შემთხვევები, როდესაც არ ხდება საქმის არსებითი განხილვა. ეს არის შეერთება კანონებისა და საეკლესიო სამართლის თანამედროვე წყაროებისა. გათვალისწინებულ იქნა, აგრეთვე, ცალკეულ მეცნიერთა შეხედულებებიც, რომლებიც პირდაპირ არ საუბრობენ ამგვარ ინსტიტუტზე, მაგრამ მათი ნაშრომების ანალიზის შედეგად შეიძლება მსგავსი დასკვნის გაკეთება.
15. საეკლესიო სამართლის პროცესისთვის უმნიშვნელოვანესი ეტაპი და ნაწილი – საქმის არსებითი განხილვა წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის სიახლეს და იგი ჩატარებული საეკლესიო კანონების სამართლებრივი ანალიზის შედეგია.
16. რაც შეეხება გადაწყვეტილებათა მიღების წესს, მსგავსად საეკლესიო სამართლის არა ერთი ინსტიტუტისა, იგი არ არის მკაფიოდ რეგლამენტირებული და ამდენად, სადისერტაციო ნაშრომში ხსენებული თვის სიახლეა სამეცნიერო თვალსაზრისით.
17. კიდევ ერთი სიახლე, რაც სადისერტაციო ნაშრომშია, არის განაჩენის ტექსტის სავალდებულო ნაწილები. რამდენადაც მის თაობაზე საერთოდ არ არის მოხსენიებული კანონებში, აღნიშნულის დასადგენად და დასაზუსტებლად ნაშრომზე მუშაობისას მოხდა მსოფლიო და ქართული საეკლესიო სასამართლოების განჩინებათა განზოგადება, სადაც გამოყენებულ იქნა კვლევის როგორც ისტორიული, ისე შედარებითი და დოგმატური მეთოდები (განსაკუთრებით – სინანულისკენ მოხმობის ნაწილში) და შედეგად შეიქმნა სრულყოფილი სურათი საეკლესიო სამართლის პროცესის ამ ინსტიტუტის შესახებ.

18. საგულისხმოა ისიც, რომ სადისერტაციო ნაშრომში ერთ-ერთი ქვეთავი ეძღვნება განაჩენის თანმდევ პროცედურებს. აღნიშნულიც წარმოადგენს სამეცნიერო სიახლეს, რადგან ამის თაობაზე არ საუბრობს არცერთი მეცნიერი. იგი არის ხელმისაწვდომ განჩინებათა კვლევის რეზულტატი და მათი განზოგადების შედეგად მიღებული დასკვნა.

19. რამდენადაც სადისერტაციო ნაშრომისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო უპირველესად ქართული საეკლესიო სამართლის წყაროების კანონიკური ანალიზი და კვლევა, ცალკე ქვეთავი დაეთმო საქართველოს საეკლესიო კრების 1764 წლის 18 ოქტომბრის განჩინებას ზაქარია ხუცესის საქმეზე, რომელიც იმ პერიოდის ანალოგიური შინაარსის განჩინებებთან შედარებით იმდენად სრულყოფილი და მრავლისმომცველია, რომ ცალკე განხილვას საჭიროებდა.

20. საეკლესიო სამართლის შესაბამისი კანონიკური ნორმების ანალიზის შედეგად, გასაჩივრების შესახებ თავში გამოყოფილ იქნა შემთხვევები, როდესაც გასაჩივრება არ დაიშვება. აღნიშნულის თაობაზე არის მითითებები დიდ სჯულისკანონში, ამდენდა სადისერტაციო ნაშრომი მათ შეეხო, როგორც საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტებს.

21. რაც შეეხება თვითონ გასაჩივრებისა და განხილვის წესს, იგი წარმოადგენს საეკლესიო კანონთა და სამეცნიერო ნაშრომთა ანალიზს. სადისერტაციო ნაშრომის სიახლე არის ის, რომ მიგნებულ იქნა ამ მიმართულებით საპროცესო-სამართლის სამი ინსტიტუტისათვის: საქმის ხელახლი განხილვა, საქმის განსახილველად დაბრუნება დაშერიგებით დასრულება. მოხმობილ იქნა შესაბამისი პრაქტიკაც.

22. რაც შეეხება გასაჩივრების ვადებს, იგი არის სამეცნიერო ნაშრომთა და სჯულისკანონის ნორმების ანალიზი სადისერტაციო ნაშრომში.

23. საპროცესო სამართლისთვის მნიშვნელოვან ნაწილს – განაჩენის აღსრულების წესს ეთმობა სადისერტაციო ნაშრომის ცალკე თავი. რაც შეეხება ეპიტიმიების აღსრულების წესს, იგი არის ქართული საეკლესიო სამართლის წყაროების სამართლებრივი ანალიზის მცდელობაც

24. სადისერტაციო ნაშრომში საგანგებოდ იქნა გამოყოფილი სიკვდილადე უზიარებლობის შედეგები, რადგან აღნიშნულზე, როგორც სპეციალურ ინსტიტუტზე კანონიკურ სამართალში მეცნიერები არ საუბრობენ. ვადიანი უზიარებლობით განკანონებული პირის ზიარების უფლების თაობაზე გამოყენებულ იქნა კვლევის ლოგიკური მეთოდი.

25. რაც შეეხება დაცადების (დაყენების) შესახებ ქვეთავს, იგი არის სამეცნიერო ნაშრომების სამართლებრივი ანალიზი.

26. მღვდლობიდან განკვეთა, როგორც მნიშვნელოვანი საეკლესიო სასჯელი სადისერტაციო ნაშრომში განხილულ იქნა სამართლებრივი თვალსაზრისით, შესაბამისი კანონიკური შედეგების მითითებით, რა დროსაც გამოყენებულ იქნა კვლევის დოგმატური მეთოდი, რადგან

სასულიერო პირის განკვეთის ადსრულებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მადლოქმედების საკითხი.

27. სადისერტაციო ნაშრომში ცალკე ქვეთავი ეძღვნება ანათემის, როგორც საეკლესიო სამართლის უმძიმესი სასჯელის იმ თავისებურებებს, რაც ახასიათებს მის ადსრულებას სხვა სასჯელებისგან განსხვავებით. ნაშრომში გამოყენებულ იქნა ცალკეულ მეცნიერთა ნააზრევის კვლევის შედარებითი მეთოდი და შესაბამისად მიღწეულ იქნა შედეგი.

28. მსოფლიო კრებათა კანონების და პრაქტიკის შესაბამისად სადისერტაციო ნაშრომში სიახლის სახით წარმოდგენილია დამატებითი კანონიკური სასჯელის – განკანონებულის წიგნების აკრძალვის ხასიათი და მისი ადსრულების წესი.

29. საგულისხმოა, რომ მიუხედავად არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა, სადისერტაციო ნაშრომში პირველად განიმარტა კანონიკური თვალსაზრისით შენდობა და შეწყალება. მოხდა მათი გამიჯვნა და აღინიშნა, რომ შენდობა არის სასჯელის პირნათლად და სრულად ადსრულების შედეგი, ხოლო შეწყალება არის საგანგებო ღონისძიება, როდესაც კომპეტენტური საეკლესიო ორგანო სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით სასჯელის სრულად ადსრულებამდე შეუნდობს განკანონებულს ჩადენილ შეცოდებას.

30. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სადისერტაციო ნაშრომში ჩატარდა საფუძვლიანი კვლევა, რომ საეკლესიო კანონთა ანალიზის შედეგად, სადაც ეს ორი ტერმინი აღრეულია, ასევე სამეცნიერო ნაშრომთა გათვალისწინებით გამოყოფილიყო ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ერთი მხრივ – შენდობის, ხოლო მეორე მხრივ – შეწყალების საკითხებს.

31. სადისერტაციო ნაშრომის ცალკე ქვეთავი – ვისი შეწყალება შეიძლება – არის საეკლესიო კანონების სამართლებრივი ანალიზი და სიახლე სამეცნიერო წრეში.

32. საეკლესიო სამართალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას უთმობს შეწყალების უფლებამოსილების საკითხის რეგულაციას. შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებულ იქნა სათანადო კანონიკური ნორმების კვლევა. აქ ცალკე ადგილი დაეთმო ქართულ საეკლესიო სამართლის წყაროებს და ხელმისაწვდომ სასამართლო პრაქტიკას და აგრეთვე, გამონაკლის შემთხვევებს ხსენებული წესიდან.

33. საგულისხმოა, რომ შეწყალების განსაკუთრებული შემთხვევები, კერძოდ, მოწამეობა, ცალკეულ საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობა და სიკვდილისწინა მდგომარეობა – არის ეკლესიაში ოდითგანვე დამკვიდრებული კანონიკური ტრადიციის, როგორც საპროცესო ინსტიტუტის, პირველი განხილვა.

34. სადისერტაციო ნაშრომში მტკიცებულებებში გამოყოფილ იქნა მტკიცებულებათა ორი სახე – წიგნიდან ციტატა და კრების სწავლების გამოცემა მტკიცებულების სახით, რომელთა შესახებ არ არის მითითება არცერთ სამეცნიერო ნაშრომში და არც საეკლესიო კანონებში, იგი არის მსოფლიო საეკლესიო კრებათა გადაწყვეტილებების (ოქმების) ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნა და წარმოადგენს საეკლესიო სამართლის პროცესის მნიშვნელოვან სიახლეს. შესაბამისად, იგი არის ამ ორი მტკიცებულების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის პირველი განხილვა.

35. მოწმის ჩვენება, როგორც შუასაუკუნეების სამართლებრივი კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი, სადისერტაციო ნაშრომში განხილულ იქნა ქართული საეკლესიო სამართლის პრაქტიკის გათვალისწინებით.

36. მოწმის ჩვენებასთან დაკავშირებით, მსგავსად ბრალმდებლის საკითხისა, სამეცნიერო ნაშრომთა, კანონიკურ ნორმათა და პრაქტიკის გათვალისწინებით სადისერტაციო ნაშრომში დაზუსტდა იმ პირთა წრე, ვინც არ მიიღება მოწმედ. აქვე მითითებულ იქნა ამ საკითხსა და ბრალმდებლის საკითხს შორის სხვაობათა შესახებ.

37. სადისერტაციო ნაშრომში განხილულ იქნა ფიცი და მისი გამოყენების შესახებ როგორც კანონები, ისე მეცნიერთა შეხედულებანი, პრაქტიკა და თანამედროვე საეკლესიო წყაროები. კვლევის დროს გამოყენებულ იქნა ისტორიული მეთოდი.

38. სადისერტაციო ნაშრომის ცალკე ქვეთავი ეთმობა მტკიცებულებათა სხვა სახეებს, რომლებიც, მართალია, ძველ საეკლესიო სამართლის წყაროებში არ გვხვდება, მაგრამ მათ შესახებ არსებობს მითითებები როგორც საეკლესიო სასამართლოთა ძველ გადაწყვეტილებებში, ისე თანამედროვე საეკლესიო სამართლის წყაროებში.

სადისერტაციო ნაშრომის შედეგად, მიღწეულ იქნა როგორც ზემოთჩამოთვლილი შედეგები, ისე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა საეკლესიო სამართლის სამეცნიერო-სამართლებრივი შესწავლის თვალსაზრისით. საეკლესიო სამართლის პროცესის მეცნიერული კვლევა კარგი წინაპირობა იქნება როგორც ქართული საეკლესიო სამართლის აღორძინების, ისე ქართული სამართლის ისტორიის კვლევის და ზოგადად, ქართული სამართლებრივი აზროვნების გამდიდრების და საქართველოს ისტორიული მონაპოვრის – ქართული სამართლისა და ქართული საეკლესიო სამართლის დაცვისა და პოპულარიზაციის საქმისათვის.

ბიბლიოგრაფია

საეკლესიო სამართლის წყაროები და კრებულები

1. ახალი აღთქუმავ, სხვ, თბ., 2001
2. დიდი სჯულისკანონი, ე. გაბიძაშვილის რედ., გამ. „მეცნიერება“, თბ., 1972
3. მცირე სჯულისკანონი, ე. გიუნაშვილის რედ., თბ., 1972
4. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა. დებულებანი მიღებული სრულიად საქართველოს 1917 წლის საეკლესიო კრებაზე, ტფ. 1917
5. Βλασίου Ιω. Φείδα, Ιέροι Κανόνες και καταστατική νομοθεσία της Εκκλησίας της Ελλάδος, Αθ., 1998
6. Дѣянія Вселенскихъ Соборовъ, изданныя въ русскомъ переводѣ, при Казанской Духовной Академіи, томъ I, Казанъ, 1910
7. Дѣянія Вселенскихъ Соборовъ, изданныя въ русскомъ переводѣ, при Казанской Духовной Академіи, томъ II, Казанъ, 1892
8. Дѣянія Вселенскихъ Соборовъ, изданныя въ русскомъ переводѣ, при Казанской Духовной Академіи, томъ III, Казанъ, 1910
9. Дѣянія Вселенскихъ Соборовъ, изданныя въ русскомъ переводѣ, при Казанской Духовной Академіи, томъ IV, Казанъ, 1908
10. Дѣянія Вселенскихъ Соборовъ, изданныя въ русскомъ переводѣ, при Казанской Духовной Академіи, томъ VI, Казанъ, 1908
11. Определения и постановления Священного Собора Православной Российской Церкви. 1917-1918, М., 1994

საეკლესიო სამართლის წყაროთა განმარტებები

1. მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმის (მილაში) განმარტებებით, I ტომი, თბ., 2007
2. Правила Православной Церкви с толкованиями Никодима, епископа Далматинско-Истрийского, перевод с сербского, том II, изд. Свято-Троицкой Сергиевой Лавры, 1996
3. Σύνταγμα των Θειών και Ιέρων Κανόνων, Γ.Α.Ράλλη, Μ.Πότλη, τόμος Β', Αθ., 1966
4. Σύνταγμα των Θειών και Ιέρων Κανόνων, Γ.Α.Ράλλη, Μ.Πότλη, τόμος Γ', Αθ., 1992
5. Кормчая (Номоканонъ), отпечатана съ подлинника Патриарха Иосифа, изд. пятое, Воскресеніе, СПб, 2004

სამეცნიერო ლიტერატურა

1. ოვ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ., 1982
2. ოვ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984
3. მიტროპოლიტი ანანია (ჯავარიძე), საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ. 2009, გვ. 119
4. პროტოპატ. მიხეილ პომაზანსკი, დოგმატური ლოგისმეტყველება, მეორე შესწ. გამოცემა, თბ., 2006
5. ჩიკვაიძე, საეკლესიო სამართალი (ლექციების კურსი), თბ., 2008
6. პ. ბუმისი, კანონიკური სამართალი, თბ., 2004
7. პ. მეტრეველი, ქართული სამართლის ისტორია, თბ., 2005
8. მსოფლიო საეკლესიო კრებები. დოგმატური დმრთისმეტყველება, შემდგ. გრიგოლ რუხაძე, თბ., 2004

9. Βλασίου Φείδα, Το «Αυτοκεφάλον» και «Αυτονόμον» εν τη Ορθόδοξω Εκκλησίᾳ, Ιερος. 1979
10. Протоиерей Владислав Цыпин, Курс церковного права, г. Клин
11. Никодимъ, Еп. Далматинскій, Д-ръ Богословія, Православное Церковное право, переводъ съ сербскаго Милана Петровича, СПб, 1897
12. Краткій курсъ церковнаго права, сост. проф. И.С.Бердниковъ, Казань, тип. Императорскаго Университета, 1888
13. Н. Заозерскій, Церковный судъ въ первые вѣка христіанства, историко-каноническое изслѣдованіе, М., 1878

სხვა ლიტერატურა

1. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III (საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970
2. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი IV (სასამართლო განაჩენები და განჩინებები), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1972
3. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი V (სასამართლო განჩინებანი), ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1974
4. წმიდათა ცხოვრებანი, ტ. I, თბ., 2008
5. წმიდათა ცხოვრებანი, ტ. II, თბ., 2008
7. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წიგნი 1, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1976
8. ლოცვანი, მერვე შევს. გამოცემა, რუსთ. 2006

ინტერნეტ-რესურსები

- <http://www.patriarchate.ge> - საქართველოს საპატრიარქოს ვებგვერდი
- <http://www.patriarchate.org> - მსოფლიო საპატრიარქოს ვებგვერდი
- <http://www.patriarchia.ru> - რუსეთის საპატრიარქოს ვებგვერდი
- <http://krotov.info> – საეკლესიო თემატიკის რესურსი

დანართი

ქართულ და რუსულ ენებში
ხმარებიდან ამოღებულ ასრთა
ჭაპითხვის წესი

ქართულ ენაში:

ც	გ, ეი
ვ	ი
ჟ	ვი, ჟი
ჸ	ხი
ჵ	ვო
ფ	როგორც ლათ. Ff

რუსულ ენაში

и	и
ე	е
ъ	არ იკითხება, 1918 წლის რეფორმამდე თან დაერთვოდა თანხმოვან-ზე დაბოლოებულ სიტყვას